ძნიშვნელობა

88

1610
1988/88

1610
1988

ენციკლოპედია



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალმანახი „მწიგნობარი“ მოგვითხრობს
წიგნებსა და წიგნის შემქმნელებზე,
ბიბლიოთეკებსა და ბიბლიოფილებზე,
ძიებებზე წიგნის სამყაროში,
ძველ წიგნებზე,
სხვადასხვა ქვეყნისა და მხარის
წიგნისმოყვარულებზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მწიგნობარი

88

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, 1988

002 (062) + 090.1 + 02 (с922
1) ...
2) ...
3) ...
002
76.11
002
ბ 979

მთავარი რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო საბჭო

ლეილა ბარაბაძე
გურამ ბუსნიკაშვილი (მთ. რედაქტორის მოადგილე)
ალექსანდრე გვახარია
გურამ გვერდწითელი
რევაზ ინანიშვილი
ელენე მაჭავარიანი
ლევან მენაბდე
გივი მიქაძე
ედუარდ სიხარულიძე
ზაირა სტურუა
პელო ღელეყვა (პ/მგ. მდივანი)
რევაზ ღლონტი
ცისანა ღლონტი
სარგის ცაიშვილი
აკაკი ძიძიგური
ვენერა ხუნდაძე
სოლომონ ხუციშვილი
ვახტანგ ჯავახაძე

მხატვარი

ანზორ თოდრია

ISBN 0235-4144

2000
ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ... სახ. კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბ ბლიოთეკა

К 20 979



წიგნი
და
ცხოვრება

25862

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიგნი ჩემთვის მეფის ტახტზე უფრო
ძვირფასია.

შექსპირი

წიგნის არსი მარადიულია. ეს არსი
აზრის უკვდავებაა.

ლ. ტოლსტოი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერის სიმდიდრე

ესაუბრა ირაკლი ყიფიანი

ამ უკანასკნელ ხანს ჩვენი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრება მრავალი ღირსშესანიშნავი მოვლენით აღინიშნა. ეს ეხება როგორც მეცნიერებას, ისე კულტურას. მაგრამ ამ მოვლენათა ფონზეც კი სრულიად განსაკუთრებულ ნიშან-სვეტად მოჩანს „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის" მრავალტომეულის გამოცემა. ეს მართლაც ნამდვილი ეპოქალური და სრულიად სახალხო მოვლენაა. მასში კონცენტრირებულია ქართული შემოქმედებითი ენერგია, მთელი საზოგადოების ინტელექტუალური და სულიერი ძალები, ურომლისოდაც წარმოუდგენელი იქნებოდა ქართველი ხალხის ამ საუკუნეობრივი ოცნების ახდენა.

ამიერიდან საკაცობრიო ცოდნა, ქართული შემოქმედებითი მონაპოვრით გამდიდრებული და ქართულ სააზროვნო ქურაში გატარებული, მწყობრ სისტემაში მოყვანილი და ანბანზე დალაგებული, ქართველი მკითხველის განკარგულებაშია.

თუ როგორ იქმნებოდა ცოდნის ეს საუნჯე, ამ საკითხზე „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის" მთავარ რედაქტორს აკად. ირაკლი აბაშიძეს ესაუბრა რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი ირაკლი ყიფიანი.

— ბატონო ირაკლი, ქართველი მკითხველის თაროებს დღეს უკვე ამშვენებს „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის" თორმეტტომეული. ეს უაღრესად დიდი მნიშვნელობის მოვლენაა ჩვენი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში, ამიტომ მკითხველს ბევრი რამ აინტერესებს მის ირგვლივ. თქვენს გამოსვლებში, წერილებში, ნაწილობრივ გაცემული გაქვთ კიდეც პასუხები ზოგიერთ მათგანზე, მაგრამ იქნებ ახლა, ამ ჩვენს საუბარში, რომელიც წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ინიციატივით იმართება, რომლის თავმჯდომარეც თქვენ დიდი ხნის მანძილზე ბრძანდებოდით, ისეთ საკითხებსაც შევეხოთ, რომლებიც ფართო საზოგადოებასთან ერთად წიგნის მოყვარულსაც დააინტერესებს? მოგეხსენებათ, პროფესიული ცნობისმოყვარეობა ბიბლიოფილისა მაინც სხვაა...

— მართალია, ბევრჯერ მისაუბრია ენციკლოპედიის გამოცემის თაობაზე, მაგრამ, თუ წიგნის მოყვარულებს აინტერესებთ, მზად ვარ ზოგიერთი მომენტი კვლავ გავიხსენო ენციკლოპედიის მზადების პროცესიდან. ეს მხოლოდ სიამოვნებას მომგვრის.

— რაკი ასეა, თუ შეიძლება გვიამბეთ, როგორ დაიბადა ენციკლოპედიის შექმნის იდეა, როდის დაარსდა თვით დაწესებულება, რა ამოცანებს ისახავდით მიზნად?

— ეს იყო 1965 წელს. უკრაინამ დაამთავრა თავისი 17-ტომიანი ენციკლოპედიის გამოცემა, რომელიც მას 1957 წლიდან ჰქონდა დაწყებული და დაისვა საკითხი სხვა რესპუბლიკებშიც გამოცემულიყო ენციკლოპედიები. ერთ-ერთი პირველთაგანი ჩვენ გამოვეხმაურეთ ამ იდეას, შემდეგ სხვა რესპუბლიკებიც აგვყვნენ. დადგენილება ჩვენი ენციკლოპედიის დაარსების შესახებ 1965 წელსვე იქნა გამოტანილი, ხოლო 1966 წლის 16 მარტს ოფიციალურად შევუდექით კიდეც მუშაობას მთელი შტატით. ამიტომ ამ დღეს ვთვლით ჩვენი დაარსების თარიღად. რაც შეეხება ამოცანებს, თავდაპირველად უნდა გადაგვწყვიტა საკითხი — უნივერსალურ მრავალტომიან ენციკლოპედიას გამოვცემდით, როგორც ეს უკრაინამ ეაკეთა, თუ რეგიონალურ მცირე სამტომეულს, რა გზითაც ზოგიერთი ბალტიისპირეთის რესპუბლიკა წავიდა (ლატვია, ლიტვა). ჩვენ პირველი გზა ავირჩიეთ და უნივერსალურის მზადებას შევუდექით.

— ბატონო ირაკლი, ასე ერთად რომ შევუდექით ყველა რესპუბლიკა ენციკლოპედიის მზადებას, ამაში იმანაც ხომ არ ითამაშა როლი, რომ საკითხი უკვე მომზადებული იყო საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის გაფართოების გამო ამ პერიოდში?

— უთუოდ ეგეც იყო ერთ-ერთი მიზეზი, ვინაიდან უკვე ბევრი დელეგაცია, ტურისტი და სტუმარი ჩამოდიოდა საბჭოთა კავშირში, რესპუბლიკებშიც, ცხადია, და არავითარი ლიტერატურა არ არსებობდა, რომ ეს რესპუბლიკები და ხალხები გაეცნოთ სტუმრებისათვის, არადა ომის შემდგომ საგრძნობლად გაიზარდა ინტერესი ჩვენი ქვეყნის მიმართ. ესეც რომ არ იყოს, ცივილიზებულად აღარ ითვლება ქვეყანა, თუ თავისი ენციკლოპედია არა აქვს.



ირაკლი აბაშიძე

— როგორც ყველა ახლადდაწყებულ დიდ საქმეს, ალბათ, ენციკლოპედიასაც ექნებოდა თავისი სიძნელეები, რა დაბრკოლებების გადალახვა მოგიხდათ პირველ რიგში?

— პირველ რიგში ენციკლოპედიის შენობაზე უნდა გვეზრუნა. როგორც გითხარით, შტატი კი დავაკომპლექტეთ, მაგრამ სამუშაო ად-

გილი არ გვქონდა და საქმე ფერხდებოდა. არ გვქონდა არც პოლიგრაფიული ბაზა, სადაც შეიძლებოდა ასეთი კაპიტალური გამოცემის განხორციელება. საქმე რომ შევისწავლეთ, აღმოჩნდა, რომ შესაფერისი შრიფტიც არ გვქონია, რითაც შესაძლებელი იქნებოდა ენციკლოპედიის მრავალფეროვანი და ურთულესი ტექსტის აწყობა და სხვა. ამიტომ პირველ რიგში ამ საკითხების მოგვარებაზე უნდა გვეზრუნა.

— ბატონო ირაკლი, იქნებ ყველამ არ იცის, რომ სანამ შენობას ააგებდნენ, თქვენ, როგორც მწერალთა კავშირის მაშინდელმა თავმჯდომარემ ენციკლოპედია მწერალთა კავშირის სახლში შეიკედლეთ. ხომ ვერ გაიხსენებდით, როგორ მოხდა ეს მეტად საგულისხმო ფაქტი?

— სხვა გზა არ იყო. სანამ შენობას აგვიგებდნენ, დროს ხომ არ გავაცდენდით და ამიტომ შევიფარე თანამშრომლების ერთი ნაწილი — ლიტერატურის, ფილოსოფიის, ხელოვნების, ისტორიის, მედიცინის რედაქციათა მუშაკები ჩვენთან, სხვენში. ისე, სხვენი კი ჰქვია, თორემ კაი ჭერმაღალი ოთახებია. დანარჩენები მთელ ქალაქში იყვნენ გაფანტულნი: გეოგრაფები და კარტოგრაფები — გეოგრაფიის საზოგადოების შენობაში, კეცხოველის ქუჩაზე, კოტე ჯავრიშვილისა და ალექსანდრე ასლანიკაშვილის მეთაურობით. ტექნიკის რედაქცია—მართვის ინსტიტუტში, პავლოვის ქუჩაზე—ალექსი არდიშვილის ხელმძღვანელობით. ეკონომისტები და იურისტები — ეკონომიკის ინსტიტუტში, მახარაძის ქუჩაზე თენგიზ ხოშტარიას და ვლადიმერ მაყაშვილის მეთაურობით. სოფლის მეურნეობის რედაქცია — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც მაშინ ი. ჭავჭავაძის პროსპექტზე მდებარეობდა, ვალერიან ფანჩულიძის მეთაურობით და ა. შ.

— სხვენზე გატარებული ის ორი წელი დაუსრულებლად გრძლად ჩანდა მაშინ, ბატონო ირაკლი, მაგრამ იმედიც დიდი იყო. გუშინდელივით მახსოვს 1966 წლის 7 მაისი, დღე, როდესაც საძირკველი ჩაეყარა ჩვენს შენობას. ხომ ვერ გვეტყვით, როგორ მოხდა რომ სწორედ ამ ადგილზე აიგო ენციკლოპედიის შენობა.

— რამდენიმე ადგილი შემოგვთავაზეს, მაგრამ ჩვენ, მე და გიორგი წერეთელმა, რომელიც აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის აშენებას აპირებდა, ეს ადგილი ავირჩიეთ, სამეცნიერო ცენტრებთან უფრო ახლოს იყო და ამიტომ. მგონი, სწორად მოვიქეცით.

— ორ წელიწადში აშენდა, არა?

— დიახ. მაშინ, მოლოდინში, მართლა გრძლად გვეჩვენა. მშენებლობაზე ხშირად დავდიოდით მეც, ჩემი მაშინდელი მოადგილე გიორგი ჟორჟოლიანიც, მაგრამ ახლა რომ ვფიქრობ, იმ ტემპებთან შედარებით, ბევრი დრო არ დასჭირვებია, საამშენებლო სამმართველომ კეთილსინდისიერად იმუშავა და კარგი კაპიტალური შენობა ჩაგვაბარა.

— როგორ ფიქრობთ, პატონო ირაკლი, პოლიგრაფიული ბაზის საკითხის თქვენეულმა გადაწყვეტამ გაამართლა? თუ მოისურვებდით, თქვენ ხომ შეგეძლოთ ენციკლოპედიისათვის გქონოდათ საკუთარი სტამბაც.

— მართალია, ენციკლოპედიას შეეძლო ჰქონოდა თავისი სტამბა. ეს მთავრობამ თავის დადგენილებაშიც ჩაგვიწერა და სათანადო თანხაც გამოგვიყო, მაგრამ ჩვენ ეს არ გავაკეთეთ, არ ჩავთვალეთ მიზანშეწონილად იმ მომენტში. სტამბის შექმნა ისედაც რთული საქმეა — სჭირდება ადგილი, შენობა, დაზგა-იარაღები, მუშახელი, რაც მთავარია, სჭირდება დრო, ჩვენ კი ენციკლოპედია გვქონდა გასაკეთებელი. ამიტომ გადავწყვიტეთ იმ თანხით უკვე არსებულ რომელიმე სტამბასთან საკუთარი უბნის დაარსება. არჩევანი ბეჭდვითი სიტყვის კომბინატზე შევაჩერეთ, როგორც ტრადიციულად ყველაზე უფრო მძლავრ საწარმოზე. ვფიქრობ, არ შევმცდარვართ. კომბინატის კვალიფიციური კადრების მეოხებით შესაძლებელი გახდა ენციკლოპედიის იმდენად ხარისხიანად დაბეჭდვა, რომ როგორც ცნობილია, ქსე-ის პირველმა ტომმა 1976 წელს საკავშირო წიგნის გამოფენაზე პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ საქართველოს გამსახკომმა, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატმა ბევრი გააკეთეს, რათა მკითხველს პოლიგრაფიულად მაღალ დონეზე შესრულებული ენციკლოპედია მიეღო. ისეთი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ სამუშაოს, როგორც ეს დიდ ეროვნულ საქმეს შეეფერება, რისთვისაც კიდევ ერთხელ მადლობას მოვახსენებ მათ.

— პატონო ირაკლი, თქვენ ერთ-ერთ დაბრკოლებად შრიფტის უქონლობაც ახსენეთ. მე ვესწრებოდი კოლეგიის იმ სხდომას, რომელიც 1967 წლის 4—5 ოქტომბერს შედგა თქვენს კაბინეტში (მწერალთა კავშირში) და ეძღვნებოდა ენციკლოპედიისათვის შრიფტის

შერჩევის საკითხს. ხომ ვერ გაიხსენებდით სპეციალისტთა და მეცნიერთა მსჯელობას შრიფტის ავ-კარგიანობაზე?

— ენციკლოპედია, მოგეხსენებათ, ტექნიკურ-პოლიგრაფიული თვალსაზრისითაც ურთულესი გამოცემაა, რადგან მრავალი სახის შრიფტი სჭირდება — სხვადასხვა ზომის, მოხაზულობის, გაჯერების. ჩვენ იმ დროს არ გაგვაჩნდა ისეთი შრიფტი, რომელიც სატექსტეც იქნებოდა და ბიბლიოგრაფიისთვისაც გამოდგებოდა—უფრო მცირე და ადვილსაკითხავი, მთავრულიც იქნებოდა — ტერმინებისათვის, კურსივიც — იხილეებისათვის და ა. შ. ე. ი. საჭირო იყო სრული გარნიტური, რომელიც ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებდა. ასეთი შრიფტის დამზადება დავუკვეთეთ ჩვენი გამსახკომის შრიფტის კომიტეტის ლაბორატორიას, რომელსაც მაშინ ამ საქმის დიდი სპეციალისტი ბენო გორდეზიანი ხელმძღვანელობდა. იმ კოლეგიაზე, რომელსაც თქვენ იხსენებთ, საკონკურსოდ მხატვარმა ანტონ დუმბაძემ წარმოადგინა მის მიერ დამზადებული სამი სახის შრიფტი, აქედან ერთი უნდა შეგვერჩია, გახსოვთ, როგორი პრინციპული მსჯელობა გაიმართა?

— დიახ. ჯერ, თქვენი თხოვნით, ბენო გორდეზიანმა ილაპარაკა შრიფტის ღირსებებზე, შემდეგ გამოცდილმა პოლიგრაფისტმა ერასტი წივწივაძემ. აღმოჩნდა, რომ სპეციალისტებს შორისაც არ იყო თანხმობა. წივწივაძეს, პირობითად, პირველი შრიფტი მოსწონდა, გორდეზიანს მეორე (დღევანდელი „ენციკლოპედიური“).

— არც მეცნიერთა შეხედულებანი ემთხვეოდა ერთმანეთს. გიორგი წერეთელი გორდეზიანის მხარეზე იყო, ვიქტორ კუპრაძე — წივწივაძისა. რა შესანიშნავად განმარტა მაშინ გიორგი წერეთელმა ქართული დამწერლობის ღირსებები — ადვილკითხვადობა, რომელიც ასოთა დინამიურობაშია, ფონემათა და გრაფემათა დამთხვევა. მე ვფიქრობ, არ შევმცდარვართ, რომ იმ დღეს ხმის უმრავლესობით სწორედ ეს შრიფტი — „ენციკლოპედიური“ ავირჩიეთ, უფრო ქართული ბუნებისაა, ლამაზი და საკმაოდ ეკონომიურიც. სპეციალისტთა აზრით, იგი 25%-ით უფრო ტევადია, ვიდრე მანამდე არსებული.

— ბატონო ირაკლი, რამდენადაც ვიცი, ამ გარნიტურში 451 ასო შედის. ასეთი სრული შრიფტი მანამდე არც გვქონია. რაც შეეხება ეკონომიას, მან ყოველ ტომზე 4—5 თაბახით მეტი ინფორმაციის მიწოდების საშუალება მოგვცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს ცოტა არ არის. ამიტომაა, რომ ჩვენი ენციკლოპედია სხვებთან შედარებით მეტ ტერმინს იძლევა. უკრაინის 16 ანბანურ ტომში, მაგალითად, 48000 ტერმინი შევიდა, ბელორუსიის 12-ტომეულში — 35 ათასი. ჩვენ კი ჩვენს თერთმეტ ტომში 60 ათასზე მეტი ტერმინი შევიტანეთ. ეს იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ სხვა ენციკლოპედიათა ტომებში 3,5—4,5 ათას ტერმინზე მეტი ვერ ეტეოდა, ჩვენთან საშუალოდ 5—6 ათასამდე ტერმინი შევიდა, ყოველ ტომში 6 მილიონი სასტამბო ნიშნით. ენციკლოპედიის ღირსება იმითაც ფასდება, თუ რა მოცულობის ინფორმაციას აძლევს მკითხველს და ქართული ენციკლოპედია ამ მხრივაც სათანადო დონეზეა.

— გარეგნულადაც საკმაოდ სასიამოვნოდ გამოიყურება ტომეულები. ალბათ, მკითხველს ისიც აინტერესებს, ვის უნდა ვუმადლოდეთ ამას.

— ენციკლოპედიის მხატვრულ-ტექნიკურ გაფორმებაზე ბევრს ვფიქრობდით. 1966—67 წლებში კონკურსიც გამოვაცხადეთ, შემოვიდა კიდეც ათამდე გაფორმების ესკიზი, მაგრამ სამხატვრო საბჭომ ვერც ერთი ვერ მიიჩნია დამაკმაყოფილებლად. განსაკუთრებით ბევრს ვფიქრობდით იმაზე, რა უფრო მოუხდებოდა გარეკანს — მთლიანი წარწერა თუ აბრევიატურა — ემბლემის სახით. ესეც ბევრ მხატვარს შევუკვეთეთ, მაგრამ არ მოგვწონდა. მაშინ ისევ ამ საქმის დიდოსტატს, ლადო გრიგოლიას მივმართეთ თხოვნით, რომელიც მანამდე რატომღაც თავს იკავებდა. თხოვნამ გასჭრა და ლადომ გაგვიფორმა ისე, როგორც ახლაა. ვფიქრობ, არ დაიწუნება. ლაკონიურია, როგორც ენციკლოპედიას შეეფერება და შთამბეჭდავი.

— ბატონო ირაკლი, იქნებ ენციკლოპედიის თავისებურებებზე გვითხრათ რამე. ცნობილია, რომ იგი სტანდარტული დაწესებულება არ არის, თავისი სპეციფიკა აქვს, სამუშაოს ხასიათიც განსხვავებულია. იგი, ერთი მხრივ, სამეცნიერო დაწესებულებაა, მეცნიერულ მუშაობას ეწევა, არქივებსა და წიგნსაცავებში ეძიებს მასალებს, ქმნის სტატიებს. მეორე მხრივ, გამომცემლობის ფუნქციებსაც ასრულებს — უკვეთავს სპეციალისტებს სტატიებს, წერს რეცენზიებს და რედაქციას უკეთებს ავტორების მიერ მოტანილ მასალას, ამზადებს დედანს სასტამბოდ და ა. შ. ხომ ვერ აუწყებდით მკითხველს, როგორია მუშაობის ტექნოლოგია?

— ენციკლოპედიას, როგორც დაწესებულებას, მართლაც აქვს თავისი სპეციფიკა, რაც მის სტრუქტურაშივეა ჩადებული. ეს სტრუქტურა ჩვენი მოგონილი არ არის, იგი ტიპიურია, რუსეთის ენციკლოპედიების მდიდარ გამოცდილებას ეყრდნობა; უკრაინამ მისგან გადაიღო და ჩვენც ამ მოდელით შევქმენით. კერძოდ, ენციკლოპედიაში გვაქვს 10 სამეცნიერო-დარგობრივი რედაქცია, რომლებიც თავის მხრივ კიდევ მომიჯნავე დარგებს აერთიანებენ. მაგალითად, ხელოვნების რედაქციაშია — სახვითი ხელოვნება, არქიტექტურა, თეატრი, კინო, მუსიკა; ასევე ერთ რედაქციაშია თავმოყრილი — ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა, კიბერნეტიკა, ასტრონომია, ტექნიკა და ა. შ. ყველა ამ დარგს თავისი სამეცნიერო ტერმინოლოგია აქვს, თავისი ავტორები ჰყავს და სტატიებს ამზადებს გამოყოფილი ლიმიტების მიხედვით.

— სწორედ ეს მექანიზმი მინდა აუხსნათ მკითხველს, ბატონო ირაკლი, როგორ ხერხდება ერთ გამოცემაში ამ სხვადასხვა რედაქციებიდან შემოსული მასალის უნიფიცირება? ენციკლოპედიას რომ კითხულობს ადამიანი, გრძნობს, რომ რაღაც მკაცრი სისტემა არსებობს ტერმინთა შერჩევისა, რაც მთავარია, ტოლი მნიშვნელობის ტერმინებს მოცულობაც დაახლოებით თანაბარი აქვთ, ინფორმაციაც ერთგვაროვანია, სტილიც, ტერმინოლოგიური დაწერილობაც...

— ენციკლოპედიის თავისებურებაც იმაშია, რომ ამ დარგებიდან მომდინარე, ათასობით სხვადასხვა ავტორის მიერ დაწერილი წერილები ერთ კალაპოტში მოვაქციოთ, ტერმინთა შერჩევისა და მათი მოცულობების კოორდინაცია მოვახდინოთ, ციფრობრივ-ფაქტობრივი მასალისა და ტერმინის დაწერილობათა უნიფიცირება ვაწარმოოთ, ერთ, ენციკლოპედიურ, ლაკონიურ სტილში ჩამოვასხათ მასალა. საამისოდ ენციკლოპედიაში არსებობს ფუნქციონალურ-საკონტროლო რედაქციები, დამხმარე განყოფილებები და ჯგუფები. კერძოდ, ასეთებია სიტყვანის, ბიბლიოგრაფიისა და დაკომპლექტების რედაქცია, რომლის მოვალეობაა ტერმინთა შერჩევის კრიტერიუმების შემუშავება, თემატური სიტყვანების შედგენისადმი მეთოდური ხელმძღვანელობა, დარგებსა და ტერმინებს შორის მოცულობათა რაციონალური განაწილება, გენერალური ანბანური სიტყვანის შედგენა გამოცემისათვის, ისე, რომ ამ თვალსაზრისით იგი უწევს კონტროლს და გარკვეულ სისტემას ქმნის მასალების კოორდინაციისათვის.

სტატიათა ტიპიურობასა და ინფორმაციის სიზუსტეს სამეცნიერო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონტროლის რედაქცია ახორციელებს, ხოლო მთელი გამოცემის ერთიან სტილს სალიტერატურო კონტროლის რედაქცია უზრუნველყოფს.

აი, ასეთი სამეცნიერო-მეთოდური მუშაობით წესრიგდება მასალა და ამით დაზღვეული ვართ განმეორებებისა და სხვა ნაკლოვანებათაგან. სხვანაირად გაჭირდებოდა მთელი ამ უზარმაზარი ინფორმაციის სისტემაში მოყვანა. ენციკლოპედია ხომ უბრალოდ ფაქტების თავმოყრა არ არის, არც ცნობათა კატალოგია. ესაა კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის მეცნიერულად გააზრებული მიწოდება მკითხველისათვის.

— ბატონო ირაკლი, ენციკლოპედიას ვინც გაეცნობა, ნახავს, რომ მრავალ სტატიას ახლავს ბიბლიოგრაფია. რა როლს ასრულებს იგი ენციკლოპედიაში და რამდენადაა აუცილებელი?

— მართალია, არის ენციკლოპედიები, რომლებშიც სტატიებს ბიბლიოგრაფია არა აქვთ დართული, ზოგში კი მეტ-ნაკლებად. ჩვენ სხვა გზა ავირჩიეთ და ესეც საბჭოთა ენციკლოპედიების გამოცდილებიდან გამომდინარე, სადაც უმრავლეს გამოცემაში ვრცლადაა ბიბლიოგრაფია დართული. ქართული ენციკლოპედიისთვის კი ეს აუცილებლად ჩავთვალეთ რამდენიმე მიზეზის გამო. ჯერ ერთი, თვით სტატია იმ მოცულობისა არ არის, რომ ამოწურაოს თემა. ამიტომ, გარდა იმისა, რომ სტატიებში ვიყენებთ ლიტერატურას, ტექსტქვეშაც ვურთავთ ამ თემის ირგვლივ არსებულ ბიბლიოგრაფიას, რათა მკითხველი უფრო ღრმად გაეცნოს, თუკი დასჭირდება, ამა თუ იმ საგანს, დარგს.

შემდეგ, ამას მეორე დანიშნულებაც აქვს. კერძოდ ის, რომ თვალსაჩინო იყოს, რა ლიტერატურა შექმნილა ამა თუ იმ თემაზე. ეს ხომ მეცნიერული სიმდიდრეა და გარკვეულ დონეს უჩვენებს. დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მეორე გამოცემის რედაქცია, მაგალითად, ძალიან ამაყობდა, რომ პირველ გამოცემასთან შედარებით ფართოდ იძლეოდა ბიბლიოგრაფიას. უფრო მდიდარია ამ მხრივ მესამე გამოცემა მეორესთან შედარებით. ჩვენ პირველად გვეძლეოდა საშუალება ჩვენი ავტორების წარმოჩენისა და ხელიდან არ გავუშვით შემთხვევა.

— ალბათ, საკმაოდ ძნელია ლიტერატურის მოპოვება ყოველ ცალკეულ საკითხზე, განსაკუთრებით უახლესის.

— ძნელია, მაგრამ ამ შემთხვევაში ავტორებს, სპეციალისტებს ვეყრდნობით და, ამავე დროს, „ენციკლოპედიაშიც“ გვაქვს სპეციალუ-

რი ბიბლიოგრაფიის სამსახური, რომელიც დიდ მუშაობას ეწევა, ამზადებს წარმოდგენილ ბიბლიოგრაფიულ მასალას და თუ საჭიროა, ამდიდრებს მას.

— როგორ ხდება წყაროს მითითება სტატიის ქვეშ, არსებობს რაიმე წესი? სხვანაირად რომ ვთქვათ, ბიბლიოგრაფიული აღწერილობის არსებულ წესს იცავთ, თუ სხვა რამ გაქვთ შემუშავებული?

— სპეციალური მეთოდიკაა შემუშავებული, რომელი სტატიის ტექსტში რა უნდა ითქვას და რა უნდა გავიტანოთ ტექსტგარეთ. როგორ დალაგდეს ტექსტგარეთ გატანილი ლიტერატურა, ესეც საგანგებო წესებს ემორჩილება, ვინაიდან აქ არის როგორც წყაროები, დოკუმენტები, თხზულებანი, ისე ამ თემაზე შექმნილი ლიტერატურაც. ამიტომ თანმიმდევრობა უნდა იქნეს დაცული ჯერ ბიბლიოგრაფიის სახეობაში, შემდეგ ანბანისა ცალკეულ სახეობებში. მნიშვნელობა აქვს იმასაც, რა ენაზეა წარმოდგენილი ბიბლიოგრაფია. მაგალითად, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომები პირველ რიგში თავსდება, სხვა ენებზე წინ მიდის ქართულ ენაზე დაწერილი შრომა და ა. შ.

ამ მუშაობის შედეგი ის იყო, რომ 60 ათასამდე ბიბლიოგრაფიული ერთეული დაგვიგროვდა გამოცემაში. ეს მთელი სიმდიდრეა.

— ბატონო ირაკლი, ჩვენთვის ცნობილია, რომ 30-იან წლებშიც იყო ენციკლოპედიის გამოცემის ცდა. ამ საქმეში მაშინაც დიდი მეცნიერნი მონაწილეობდნენ, ხომ ვერ გვეტყვით, დარჩათ თუ არა მათ რაიმე, რასაც გამოვიყენებდით ჩვენი გამოცემისათვის, ან საერთოდ რისი გაკეთება მოასწრეს?

— მართალი ბრძანებაა, 30-იან წლებშიც იყო ენციკლოპედიების გამოცემის ცდა არა მარტო ჩვენთან, არამედ სხვა რესპუბლიკებშიც, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო მათ ბევრი ვერაფერი მოასწრეს, მერე ომიც დაიწყო და ამისთვის აღარავის ეცალა. რაც შეეხება არქივს, იგი ნაწილობრივ გადარჩა და აკადემიამ ჩვენ ადმოგვცა. ჩვენ გამოვყავით კომისია, აღვწერეთ რაც ჩავიბარეთ. ეს იყო რამდენიმე ყუთი კარტოთეკებისა — მოპოვებული ტერმინები, პირველ სამ ასოზე გაწყობილი სტატიების ხელნაწერები, რამდენიმე თაბახის აწყობაც მოესწროთ. ეს იყო და ეს...

ხელნაწერები რედაქციებს დავურიგეთ, შევთავაზეთ გამოყენება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ აღმოჩნდა, რომ როგორც მორალურად, ისე მეცნიერულად მოძველებული იყო. მაინც საჭიროდ ვცანით გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა ზოგიერთი წერილი გამოგვეყენებინა, რომ ერთგვარად ვალი მოგვეხადა მათ წინაშე და მართლაც, ოდნავი ცვლილებებით დავბეჭდეთ ტომებში ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის, ს. ჯანაშიას, გ. ქიქოძის, გ. ჩუბინაშვილის და სხვ. წერილები. ჩვენ ვფიქრობთ, სწორად მოვიქეცით, რომ სულ არ დავუკარგეთ შრომა ამ ადამიანებს.

— ეგ მართლაც ძალიან კეთილშობილური გადაწყვეტილება იყო. ს. ჯანაშიას „აზნაური", მაგალითად, ახლაც დიდი ინტერესით იკითხება, ამისათვის მადლობის მეტი არაფერი ეთქმის მკითხველს. ბატონო ირაკლი, ერთი ასეთი საკითხიც აინტერესებთ წიგნის მოყვარულთ. კერძოდ, რას გვეტყვით სპეციალურ ტომზე „საქართველოს სსრ". იგი ანბანური ტომებისაგან განსხვავდება თავისი აგებულებით, სტრუქტურით, თემატური ხასიათისაა. ზოგიერთ მკითხველს მთელი გამოცემის ორგანულ ნაწილად არც კი მიაჩნია იგი.

— დიახ. პრესაშიც თერთმეტტომეულად იხსენიებენ გამოცემას და რატომღაც ამ ტომს არ გვითვლიან. ეს, რა თქმა უნდა, გაუგებრობაა. საქმე ისაა, რომ მდგომარეობამ განაპირობა ამ ტომის ასეთი სახით გამოცემა. ჩვენ გვინდოდა რაც შეიძლება ფართოდ მიგვეცა ცნობები საქართველოს შესახებ, მაგრამ ანბანურ ტომში ს-ანზე რომ ჩაგვერთო ეს მასალა, ტომის ზომაზე მეტს წაიღებდა და გამოცემის დინამიკას დაარღვევდა. ე. ი. ორი გზა არსებობდა. ან ანბანურ რიგში ჩაგვერთო და მაშინ სტატიები უნდა შეგვემცირებინა, ან ცალკე გაგვეტანა და ფართოდ გაგვეშუქებინა. ჩვენ ეს მეორე გზა ავირჩიეთ, ისევე, როგორც სხვა დანარჩენმა რესპუბლიკებმა (უკრაინამ, ბელორუსიამ, უზბეკეთმა და ა. შ.).

— თვით დიდმა საბჭოთა ენციკლოპედიამაც ამ გზას მიმართა.

— დიახ. რაც შეეხება იმას, რომ იგი სისტემატური ხასიათისაა და არა ანბანური, ე. ი. მასალა განლაგებულია თემების მიხედვით, ესეც მასალის უფრო ამომწურავად გაშუქების მიზნითაა გაკეთებული. ამავე სტრუქტურითაა მიცემული სხვა რესპუბლიკებისა და დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის აღნიშნული ტომიც.

— ე. ი. ეს სპეციალური ტომიც მთელი გამოცემის ორგანული ნაწილია. ამის ცოდნა აუცილებელია მკითხველისათვის.

საქ. სსრ ... ბიბლიოთეკა

— ცხადია, მისი განუყოფელი ნაწილია, რაც თუნდაც იმით ადასტურდება, რომ ეს ტომი „იხილეების“ სისტემითაა დაკავშირებული ანბანურ ტომეულებთან.

— თქვენ გულისხმობთ იმას, ბატონო ირაკლი, რომ, ვთქვათ, საქართველოს ისტორიიდან დასახელებულია გიორგი სააკაძე, იქვე კი არ არის მოცემული მისი ბიოგრაფია, არამედ „იხილეთი“ ანბანურ ტომზეა მითითებული, არა?

— დიახ, სრული სიმართლეა. ეს ჩვენ დიდ შეღავათს გვაძლევს აძ სპეციალურ ტომში, თორემ ძალიან გაიზრდებოდა იგი.

— რუსულ სპეცტომში ალბათ ასეთი „იხილეები“ არ იქნება.

— დიახ. რუსული ტომი აბსოლუტურად იდენტურია ქართულისა, მხოლოდ ანბანურ ტომებთან, ცხადია, ასეთი კავშირები არა აქვს. და ეს გასაგებიცაა. სამაგიეროდ, რუსულ ტომში დამატებულია ზოგიერთი ისეთი სტატია, როგორიცაა ქართველები, ქართული ენა, ქართული დამწერლობა და ა. შ., რაც რუსი მკითხველისათვის აუცილებელია, რადგან ასეთ ინფორმაციას ანბანურ ტომებში ვერ გაეცნობა.

— ბატონო ირაკლი, ჩვენ ვიცით, რომ ენციკლოპედია განსაკუთრებული მზრუნველობით სარგებლობდა როგორც ზემდგომი ორგანოების, ასევე საზოგადოების მხრივ. ეს თქვენ სხვა დროსაც აღნიშნეთ ზოგადად. ახლა ხომ არ დადგა დრო უფრო კონკრეტულად გავაცნოთ მკითხველს, რაში გამოიხატებოდა ეს ზრუნვა?

— ჩვენი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობას ენციკლოპედია თავიდანვე მიაჩნდა დიდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ საქმედ. ამ სწორი შეხედულებიდან გამომდინარეობდა შემდგომ ყველაფერი — ის ყურადღება და დახმარება, რასაც გვიწევდნენ. ამის შედეგი იყო სწორედ ის შტატებიც, შენობაც, პოლიგრაფიული ბაზაც, შრიფტიც და ა. შ., რაც აუცილებელია ასეთი დიდი საქმის წარმოებისათვის და რაზეც ზემოთ ვილაპარაკეთ. ეს ყურადღება, სხვათა შორის, ტრადიციულია და დღემდე მოდის. თქვენ ალბათ, მოგეხსენებათ, ამხანაგ ჯუმბერ პატიაშვილის სტუმრობის შესახებ ენციკლოპედიაში, ამაზე პრესაშიც წერდნენ. ჯ. პატიაშვილმა მაღალი შეფასება მისცა ჩვენს მუშაობას, ენციკლოპედიის ტომეულებს, რაც, როგორც იცით, საქართველოს სახელმწიფო პრემიის მინიჭებითაც აღინიშნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეცნიერთა, შემოქმედებითი ორგანიზაციების, საზოგადოების მხარდაჭერას და დახმარებას რაში გრძნობდით, ბატონო ირაკლი.

— პირველ ყოვლისა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ უნდა აღინიშნოს. დღიდან დაარსებისა, მაშინაც, როცა მის ეგიდაში გადავედით, აკადემიის მზრუნველობა არ მოგვკლებია არც ფინანსურად, არც მორალურად. აკადემიის პრეზიდენტები ნ. მუსხელიშვილი, ი. ვეკუა, ე. ხარაძე და ახლაც — ა. თავხელიძე — მხარში გვედგნენ ყოველთვის. ისინი კოლეგიის სხდომებზეც გვესწრებოდნენ. დიდი დახმარება იყო მათგან, რომ აკადემიაში შემავალ ყველა ინსტიტუტს დაეგზავნათ ბრძანება — სამეცნიერო გეგმაში შეეტანათ ენციკლოპედიისათვის საჭირო სტატიების მომზადება, რამაც ძალზე შეგვიწყო ხელი ავტორთა მოზიდვაში.

უნივერსალური ენციკლოპედია ხომ ისეთი გამოცემაა, რომელშიც ყველა სამეცნიერო დარგია თავმოყრილი და სათანადო ინსტიტუტების მონაწილეობის გარეშე გაგვიჭირდებოდა სტატიათა მოპოვება.

— ბატონო ირაკლი, მეცნიერები და მწერლები თქვენ ხომ ისედაც გყავთ შეყვანილი კოლეგიაში, საბჭოებში...

— ეგ მართალია. საერთოდ ენციკლოპედიის სტრუქტურა ითვალისწინებს გამოცემის მრავალმხრივობას და გარდა იმისა, რომ მთავარ სარედაქციო კოლეგიაში შეჰყავს ამა თუ იმ დარგის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ასევე ყოველ სამეცნიერო-დარგობრივ რედაქციასთან შექმნილ საკონსულტაციო საბჭოებსა და სექციებში თანამშრომლობენ სხვადასხვა სპეციალისტები. ასეთი სისტემა ძალზე გვეხმარება სარედაქციო საქმის მაღალ პროფესიულ დონეზე წარმართვაში. ენციკლოპედიის მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპით, სტატია უნდა დაწეროს ამა თუ იმ დარგის ყველაზე თვალსაჩინო მეცნიერმა, ან იმ პირმა, ვინც ყველაზე უკეთ იცის ესა თუ ის ვიწრო დარგი. დილეტანტიზმს ვერიდებით, დაუშვებელია. გარდა ამისა, ფართო საზოგადოების როლი ენციკლოპედიის გამოცემაში უზრუნველყოფილია იმით, რომ ისინი მონაწილეობას იღებენ თემატური სიტყვანების შედგენასა და განხილვებში. თუ სათანადო რედაქციას და მის საკონსულტაციო საბჭოს, სექციას, ინსტიტუტებში, შემოქმედებით ორგანიზაციებში, სპეციალისტებთან თემატური სიტყვანების დაგზავნისას (36 დასახელება) რაიმე გამორჩა, შეიძლება დამატებულ და შესწორებულ იქნას განხილვის დროს, რასაც რედაქცია მადლობით მიიღებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარკვეულწილად ამიტომაა დაზღვეული ენციკლოპედიური გამოცემა არსებითი ხასიათის შეცდომებისგან. ეს ღონისძიება უზრუნველყოფს მაღალ მეცნიერულ დონესაც.

— რა დახმარებას გიწევდათ დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის კოლექტივი? რა კონტაქტები ვაქვთ მათთან?

— საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს; დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მოთავეობით შეიქმნა ერთგვარი ენციკლოპედიური ოჯახი, სადაც ვეცნობით რესპუბლიკების ენციკლოპედიები ერთმანეთის წარმატებებს, გამოცდილებებს. დასაწყისში, სანამ ფეხზე დავდგებოდით, ეს ურთიერთობა უფრო სისტემატური იყო, ხან ჩვენ ჩავდიოდით იქ, ადგილზე საქმის წარმოების სანახავად, ხან ისინი ჩამოდიოდნენ ჩვენთან საკონსულტაციოდ.

ეწყობოდა და ახლაც ეწყობა საკავშირო თათბირები, კონფერენციები. წესადაა შემოღებული რეგიონალური „ენციკლოპედიების“ თათბირების ჩატარებაც, ჩვენი წარმომადგენლები ხშირად ჩადიან იქ, გამოდიან მოხსენებებით მოსკოვში, ტალინში, კიევში, მინსკში, ერევანში, ბაქოში, შუა აზიაში, სადაც ასეთი თათბირები ჩატარდა. თბილისშიც ჩავატარეთ რეგიონალური თათბირი, რომელსაც მოსკოვიდან ესწრებოდნენ. ვფიქრობ, ასეთი შეხვედრები ამდიდრებს „ენციკლოპედიებს“ თავიანთი გამოცდილებით, ვინაიდან საქმიანი საუბრები იმართება საჭირბოროტო საკითხებზე. მოსკოვის „ენციკლოპედიაში“ არის აგრეთვე ერთი რედაქცია, ცენტრი, რომელიც რესპუბლიკების საკოორდინაციო საქმეებს აგვარებს. იქიდან სისტემატურად მოდის მეთოდური მითითებები, ინფორმაციები თათბირების და კონფერენციების შესახებ, რაც აგრეთვე ძალზე გვეხმარება, საქმის კურსში ვართ, სად როგორაა საქმე და ვის რა უჭირს. საქმიანი კონტაქტები იმასაც გულისხმობს, რომ ზოგიერთი სადავო, საკამათო საკითხები უმტკივნეულოდ მოგვარდეს, როგორც ერთი ოჯახის შვილებს შეეფერება, გაუმწვავებლად.

— პატონო ირაკლი, რას გვეტყვით ჩვენი კოლექტივის, „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ მთავარი სამეცნიერო-რედაქციის თანამშრომელთა შესახებ, რომელსაც აი, უკვე ორ ათეულ წელიწადზე მეტია ხელმძღვანელობთ?

— უნდა გითხრათ, რომ კოლექტივით კმაყოფილი ვარ. ბევრი მაღალკვალიფიციური თანამშრომელი მუშაობს ჩვენთან, თავისი საქმის

ჯორგი მცოდნე. რაც მთავარია, საქმისთვის თავდადებული. იციან, რომ დიდ ეროვნულ, სახელმწიფოებრივ საქმეს აკეთებენ და ამიტომ, პასუხისმგებლობაც დიდი აქვთ. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ეს კოლექტივი თავიდანვე ასეთი არ ყოფილა. მართალია, ვცდილობდით მეცნიერმუშაკების, გამომცემლობებისა და ჟურნალ-გაზეთების მუშაკთაგან საუკეთესოების მოზიდვას, მაგრამ გამოუცდელიც ბევრი გვყავდა. ენციკლოპედიური მუშაობის გამოცდილება კი, მოგეხსენებათ, საერთოდ არავის ჰქონია. ამიტომაა დასაფასებელი ის, რომ აქ, ამ კედლებში სწორედ ენციკლოპედიურმა საქმიანობამ გააერთიანა ეს ადამიანები და კოლექტივად ჩამოაყალიბა. ამაში უთუოდ დიდი წვლილი მიუძღვის გიორგი ჯორჯოლიანსაც. ჩემს მოადგილეს მუშაობის პირველ ეტაპზე, როდესაც გამოცემის ტერმინთა მოპოვება და სიტყვანების შედგენა მიმდინარეობდა.

შემდეგ, მუშაობის მეორე, ძალიან საპასუხისმგებლო ეტაპზე, როცა პირისპირ წარვსდექით წარმოების წინაშე, ე. ი. როცა დედანი ჩავუშვით სტამბაში და კორექტურამ მოძრაობა დაიწყო, დიდი ორგანიზატორული ნიჭი და უნარი გამოიჩინა როინ მეტრეველმა, ჩემმა მოადგილემ 13 წლის მანძილზე, რომელიც მთელი პრაქტიკული მუშაობის სული და გული იყო, მის ხელში გამოვიდა თითქმის ყველა ტომი.

ახლა რესპუბლიკას ჩვენი თანამშრომლების სახით უკვე საკმაოდ გამოცდილი ენციკლოპედიური კადრები ჰყავს, რომელიც მზადაა ღა ძალაც შესწევს ნებისმიერი დავალება შეასრულოს. ჩემი ახლანდელი მოადგილე ავთანდილ საყვარელიძე უკვე სერიოზულად ჩაერთო კიდეც ახალი გამოცემების სამზადისში და იმედია ენციკლოპედიის კოლექტივი მომავალშიც გაამართლებს მკითხველის ნდობას.

— რაკი საუბარი მომავალზე ჩამოვარდა, ბატონო ირაკლი, რა მნიშვნელობას ანიჭებთ ამ გამოცემას თანამედროვეობისათვის, რა ადგილს დაიჭერს ენციკლოპედია ქართველი კაცის კულტურულ ცხოვრებაში?

— უაღრესად საპატიო ადგილს. ჯერ ერთი, ახდა ქართველი კაცის საუკუნეობრივი ოცნება და ქართველი მკითხველი ეროვნულ ენაზე ეზიარა ენციკლოპედიას.

მეორეც, ამ ენციკლოპედიამ შეაჯამა და დღევანდელ დონეზე დააფიქსირა ყოველივე ის, რაც ქართულ ეროვნულ ენერგიას, მის შემოქმედებით ნიჭს შეუქმნია ინტელექტუალურ სფეროში. შეაჯამა და საკაცობრიო გონებრივ საუნძურთან ერთად გადასცა მომავალ თაობებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე, ამით ამოივსო ის ხარვეზი, რაც არსებობდა ჩვენს საცნობარო-მეცნიერულ ლიტერატურაში. ვთქვათ, რომელიმე მე-19 საუკუნის მოღვაწის შესახებ რომ გდომებოდა ელემენტარული ცნობა, ათასი ჟურნალ-გაზეთი და წიგნი უნდა გადაგექექა, ახლა კი ხელთა გაქვს ანბანზე დალაგებული საიმედო ცნობარი, რომლითაც უცებ ისარგებლებ.

მეოთხე, ენციკლოპედიამ გვიჩვენა არა მარტო ის, თუ რა დონეზეა დღეს განვითარებული ესა თუ ის სამეცნიერო თუ სახალხო მეურნეობის რომელიმე დარგი, არამედ ისიც, თუ სადა გვაქვს თეთრი ლაქები, რა დარგი ჩამორჩება. ეს მჟღავნდება სამეცნიერო ტერმინოლოგიაშიც და სპეციალურ — მეცნიერებათა შესახებ სტატიებში.



ქართული ენციკლოპედიის ტომები

მეხუთე, ენციკლოპედიამ, ჩვენი აზრით, უკვე შეასრულა ან უნდა შეასრულოს კატალიზატორის როლი. დავინახეთ რა ეს თეთრი ლაქები და გაგვიჩნდა სხვა ქვეყნებთან ამავე დარგების მიღწევების შედარების საშუალება, ამან ერთგვარი ბიძგი უნდა მისცეს მათ განვითარებას. შესანიშნავადაა ნათქვამი, ენციკლოპედია უნივერსიტეტია, რომელიც სახლში უდევს ყველას.

მეექვსე, ენციკლოპედიის გამოცემამ თვალსაჩინო ეახადა ჩვენი მეცნიერების, შემოქმედებითი ორგანიზაციების, საგამომცემლო საქმის, პოლიგრაფიის შესაძლებლობანიც. ისტორიულად საქართველოში რამდენჯერმე იყო ცდა ენციკლოპედიის გამოცემისა, მაგრამ იგი ყოველთვის მარცხით მთავრდებოდა, ვინაიდან სწორედ ზემოთ ჩამოთვლილ დარგთა კომპლექსური განვითარება იძლევა იმ ძალას, რომელსაც ხელეწიფება ასეთი რთული გამოცემის განხორციელება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერთი კითხვაც, ბატონო ირაკლი. ალბათ, როგორც ყველა საწარმო-დაწესებულების, ისე ჩვენს წინაშეც დგას გარდაქმნის პრობლემა. როგორ ფიქრობთ მათ დაძლევას, რა გაქვთ ჩაფიქრებული, როდესაც სამეურნეო ანგარიშზე გადავალთ?..

— ეს მართლაც დიდი საკითხია ისეთი დაწესებულებისათვის, როგორიც ენციკლოპედიაა, მაგრამ ჩვენც კარგა ხანია ვფიქრობთ ამაზე და გარკვეული ნაბიჯები გადავდგით როგორც შტატების, ისე გეგმების მოწესრიგების მიმართულებით. არჩევანი ძალზე დიდია. ვინაიდან ენციკლოპედია ახლა იკრებს ძალებს და ბევრი რამაა გამოსაცემი, მაგრამ ჩვენ მაინც ისეთ მასალაზე შევაჩერეთ ყურადღება, რომელიც მკითხველს უფრო ესაჭიროება. ესაა ენციკლოპედიური ლექსიკონის ერთტომეული, რომელიც მომზადდება ქსე-ის ბაზაზე და 40 ათასზე მეტ ტერმინს გააშუქებს. მზადების პროცესშია აგრეთვე დარგობრივი ენციკლოპედიები — სოფლის მეურნეობისა 3 ტომად, იურიდიული და პოპულარული სამედიცინო ენციკლოპედიების ერთტომეულები; მიმდინარეობს მუშაობა „პოლიტიკური პარტიებისა“ და „მუშათა პროფესიების“ ცნობარებზე. მალე ხელთ გვექნება „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის“ ათტომეულის I ტომი, რომელიც შეიძლება რუსულ ენაზეც გამოვცეთ ხუთ ტომად. ამ გამოცემაზე ხელმოწერა უკვე ჩატარდა. მზადდება რეგიონალური ენციკლოპედია, რომელიც ჯერ სამტომეულად იყო დაგეგმილი, მაგრამ ახლა მასალის მიხედვით ვატყობთ, რომ ოთხი ტომი გამოვა და ამიტომ ოთხტომეულს გამოვცემთ, მით უფრო, რომ იგი, უნივერსალურისაგან განსხვავებით მხოლოდ ქართული მასალისაგან შედგება და არაქართულიც მასში ისევ საქართველოსთან კავშირში იქნება. ამაზე მუშაობა მიმდინარეობს, წლის ბოლოს ალბათ ხელმოწერას გამოვაცხადებთ, ხოლო პირველ ტომს მკითხველი მომავალ წელს მიიღებს. გამოვცემთ ენციკლოპედია „თბილისს“ ერთ ტომად, უაღრესად საინტერესო მასალებით, აგრეთვე პოლიტექნიკურ ენციკლოპედიურ ლექსიკონს ერთ ტომად. როგორც მკითხველმა იცის, ახლო მომავალში განზრახული გვაქვს აგრეთვე ენციკლოპედიების მომზადება დიდ მოღვაწეებზე — რუსთაველზე, ილიაზე, აკაკიზე, ვაჟაზე, ივანე ჯავახიშვილზე, რასაც ვფიქრობთ, მკითხველი დიდი ინტერესით მიიღებს. „მწიგნობრის“ მკითხველისათვის ისიც იქნება საინტერესო, რომ გაისად „ქსე-ის პირთა საძიებელს“ მივაწვდით ხელმომწერლებს, რითაც გავუადვილებთ თორმეტტომეულით სარგებლობას.

— დიდი მადლობა, ბატონო ირაკლი, გისურვებთ ყველა ამ გეგმის განხორციელებას და ახალ წარმატებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი დღესაც სამაგალითოა ჩვენთვის

ესაუბრა პელო ღელეყვა

— ბატონო ლუიჯი, თქვენ ილია ჭავჭავაძის იუბილეში მონაწილეობის მისაღებად ჩამობრძანდით. როგორც თქვენი გამოსვლებიდან ჩანს, კარგად იცნობთ მის შემოქმედებასა და მოღვაწეობას. რას ეტყოდით ამის შესახებ ალმანახ „მწიგნობრის“ მკითხველებს?

— საკმაოდ დიდი ხანია, რაც შევუდექი ილია ჭავჭავაძის შემოქმედების გაცნობას. საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ ქართველი ხალხის ამ დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის მხატვრული და კრიტიკული მემკვიდრეობის შემოქმედებითად შეცნობასა და ათვისებაში დიდად მეხმარებოდნენ ჩემი ქართველი კოლეგები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და შოთა რუსთაველის სახ. ლიტერატურის ინსტიტუტიდან. არ ვიცი, რამდენად შევძელი ილია ჭავჭავაძის მართლაცდა რთულ, მრავალფეროვან და ზედმიწევნით ქართულ მემკვიდრეობაში ღრმად ჩაწვდომა, ოღონდ ამას კი ვიტყვი: ჩემი დაკვირვებით, ილია, როგორც პოეტი და მწერალი, საზოგადო მოღვაწე, კრიტიკოსი და მოაზროვნე, თავისი მამულის ღვიძლი შვილია, იგი უხილავი ძაფებით ძალზე მჭიდროდაა დაკავშირებული თავის ქვეყანასთან, თავის ხალხთან, თავის ენასთან, სარწმუნოებასა და ტრადიციებთან. ამით იმის თქმა მინდა, რომ მაგალითად, ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიალობა, როგორც პოეტისა, შესაძლებელია ადვილად გასაგები და მახლობელი იყოს უცხოელისათვის, ვინც არ იცნობს ქართულ კულტურას, ქართულ ყოფას, რასაც ვერ ვიტყვით ილიაზე, რადგან მის შემოქმედებაში სინთეზურად არის შერწყმული უკლებლივ ყველა პრობლემა თუ სატკივარი, რაც პასუხობდა იმდროინდელი ეპოქის სულსა და ხასიათს. ამ გაგებით, ილია ერთადერთია. მისი ფიქრი და გონება დღენიადაგ მამულის კეთილდღეობას დასტრიალებდა, ზრუნავდა ერის როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ გადარჩენაზე, და სწორედ სამშობლოსადმი, თავისი მშობელი ერისადმი

უჩვეულო სიყვარულმა მიიყვანა იგი მოწამებრივ სიკვდილამდე. მისთვის, როგორც მწერლისა და მოაზროვნისათვის, მთავარია აზრისა და მოქმედების ერთიანობა. მისი შინაგანი პოეტური მრწამსი შერწყმულია მოქალაქეობრივ მოვალეობასთან. ილიასთვის მთავარი საზომია მორალური სიწმინდე, რადგან, მისი აზრით, არ არსებობს პოეზია მაღალი ზნეობის გარეშე. იგი უნდა იყოს ერის სინდისისა და ნამუსის კანონმდებელი, მისი სულიერი პოტენციალის უმაღლესი გამომხატველი. ილია ჭავჭავაძის მთელი შემოქმედება მიმართული იყო სოციალური უსამართლობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ; ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინა პირობად კი ილია ერის ზნეობრივი სახის განსპეტაკებას თვლიდა. ამიტომ იგი დაუნდობელ ბრძოლას უცხადებდა სულიერ გადაგვარებასა და ზნედაცემულობას. ამაში მჟღავნდებოდა მისი მოქალაქეობრივი პოზიცია, ამის განხორციელებას ახმარდა თავის მრავალმხრივ ნიჭს. ილიას სჯეროდა სიტყვის დიდი ზემოქმედებითი ძალისა, რაც განსაზღვრული იყო საკითხის დასმისა თუ პრობლემათა გადაჭრის აქტუალობით. ამიტომაა, რომ მ-ს ქმნილებებს დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა. მხატვრული შედევრებითა და საზოგადოებრივი ღვაწლით, რითაც ილია ჭავჭავაძემ მთელი ეპოქა შექმნა ერის ცხოვრებაში, იგი დღესაც სამაგალითოა ჩვენთვის.

ლუიჯი მაგაროტო

— როგორია თქვენი შთაბეჭდილებანი ამ იუბილეზე?

— ეს იყო იუბილე, რომელშიც მონაწილეობდა მოსახლეობის დიდი მასა, ეს იყო, შეიძლება ითქვას ჭეშმარიტად სახალხო ზეიმი ქართვე-

ლი ხალხისა, ასე აღტაცებითა და სიხარულით რომ აღნიშნავდა მისი სასიქადულო შვილის ამ ღირსმნიშვნელოვან თარიღს. ხშირი იყო შემთხვევა, როცა ქართველები მაჩერებდნენ ქუჩაში ან მაღაზიაში და მადლობას მიხდიდნენ იმისათვის, რომ შორეული იტალიიდან ჩამოვედი მათ დიდ ეროვნულ დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად. ამან ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. წელს იტალიაშიც იყო ერთი იუბილე—150 წლისთავი შესრულდა XIX საუკუნის ერთ-ერთი დიდი იტალიელი პოეტის — ჯაკომო ლეოპარდის დაბადებიდან, მაგრამ ეს მოვლენა აღნიშნა მხოლოდ ინტელიგენციამ, ლეოპარდის ნიჭის თაყვანისმცემლებმა, უშუალოდ მისი პოეზიის მოყვარულებმა. ჩვეულებრივ ხალხს კი, შესაძლოა, არც შეუტყვია ამ იუბილეს ჩატარება. აქ კი, საქართველოში, სრულიად საწინააღმდეგო ხდებოდა. ყველა, განურჩევლად განათლებისა თუ სოციალური მდგომარეობისა, დიდი და პატარა, მოხუცი თუ ახალგაზრდა, მთელი სულითა და გულით იღებდა მონაწილეობას ამ ზეიმში. ქართველმა ხალხმა ამით კიდევ ერთხელ დაამტკიცა, როგორ უყვარს თავისი კულტურა, ტრადიციები, თავისი ენა. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ქართველ ხალხს კვლავაც ისე ეყვარება თავისი სამშობლო, როგორც ყოველთვის, თავის თავში მუდამ მონახავს იმდენ მორალურ ძალას, რომ არა მარტო ქედს არ მოიხრის არანაირი მტრის წინაშე, არამედ სამაგალითო და მისაბაძი იქნება სხვა ხალხებისთვისაც.

— იუბილესათვის თქვენ იტალიურად თარგმნეთ და ამ დღეებში გამომცემლობა „ნაკადულმა“ გამოსცა ილიას „სარჩობელაზედ“. რა ნიშნით შეარჩიეთ იგი სათარგმნელად?

— ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში „სარჩობელაზედ“, უპირველეს ყოვლისა, მე მაინტერესებდა ის, რომ ავტორი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ილაშქრებს, რადგან ეს საკითხი დღესაც ძალზე აქტუალურია. ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ახლაც ბევრს წერენ და კამათობენ იმაზე, გაუქმდეს თუ არა ეს მძიმე სასჯელი. ამ მიზნით ეწყობა დემონსტრაციები სიკვდილით დასჯის ამა თუ იმ სახეობის აკრძალვის თაობაზე. საბედნიეროდ, ეს ჩემს ქვეყანას არ ეხება, იქ ეს კანონი არ არსებობს; თუმცა, არიან პირები, რომლებიც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში ამას დაჟინებით მოითხოვენ ისეთ ქვეყანაში, როგორიც იტალიაა. ერთი სიტყვით, ეს ისეთი საკითხია, რომელიც დღესაც აღელვებს ბევრი პატიოსანი მოქალაქის გონებას. რაც შეეხება ჩემს არჩევანს, მინდა ვთქვა, რომ ამ მოთხრობის თარგმნით

საშუალება მომეცემოდა მკითხველისათვის ნათელი გამეხადა ილია ჭავ-ჭავაძის ჰუმანისტური იდეები. მოცულობით ამ პატარა მოთხრობაში ასე ოსტატურადაა გადმოცემული მორალური პასუხისმგებლობის პრობლემა. დამენახვებინა დიდი მწერლის ინტელექტის ძალა და მო-მავლის ჭვრეტის საოცარი უნარი.

— თარგმნის პროცესში ხომ არ ვაგიჭირდათ ენობრივი ბარიე-რის დაძლევა?

— ილია ჭავჭავაძე ხომ ენის რეფორმატორი იყო. ალბათ აქ ზედ-მეტი იქნება მამათა და შვილთა ბრძოლის გახსენება, ეს ისედაც ყვე-ლამ იცის. მისი ქმნილებები დაწერილია ყველასათვის ხელმისაწვდომი, ნათელი და გამჭვირვალე ენით, ამიტომ მათზე მუშაობა განსაკუთრე-ბულ სიძნელეს არ წარმოადგენს არც უცხოელისათვის.

— ილია ჭავჭავაძე კარგად იცნობდა ევროპულ ლიტერატურას, მათ შორის იტალიურსაც. დაწერილი აქვს ლექსი „ბედნიერი ერი" — მიბაძვა ჯუსტისადმი. მის კაბინეტში სხვა გამოჩენილ ადამიანთა პორტრეტებთან ერთად ჯუზეპე გარიბალდის პორტრეტიც ეკიდა. ილია თვალს ადევნებდა იტალიის განმათავისუფლებელ მოძრაობას. ამის დასტურია მისი ლექსი „მესმის, მესმის". საინტერესოა, როგორ იცნობენ ილია ჭავჭავაძეს იტალიაში?

სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ილია ჭავჭავაძეს იტალიაში უფ-რო სამეცნიერო წრეებში იცნობენ. როგორც ცნობილია, მას მიმოწე-რაც ჰქონდა ზოგიერთ იტალიელ მწერალთან თუ სწავლულთან. ფარ-თო საზოგადოებრიობა ჩემს ქვეყანაში ილია ჭავჭავაძეს არ იცნობს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ქართული ენა ძალზე ძნელი შესას-წავლია. ახლა, როცა ვენეციის უნივერსიტეტში შეიქმნა ქართველო-ლოგიის კათედრა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, იმედი უნდა ვი-ქონიოთ, რომ უმოკლეს დროში ეს ფაქტორი ხელს შეუწყობს იტალია-ში ქართული ენისა და კულტურის შესწავლას.

— ამით, ალბათ, დაიძლევა ის ბარიერი, რაც ამჟამად არსებობს და ხელს უშლის ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციას თქვენ-თან?

— ის მასალა, რომელსაც მე ვასწავლი ვენეციის უნივერსიტეტში, საშუალებას მომცემს გარკვეული ცენტრი შევქმნა ქართული ენისა და ლიტერატურის პოპულარიზაციისათვის. მინდა გამოვთქვა იმედი, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალიის სხვა ქალაქების უნივერსიტეტებშიც შეიქმნება ქართული ენის კათედრები, მაგრამ ყოველივე ეს დამოკიდებულია თქვენი მხრივ (ავტორიტეტულ პირებს ვგულისხმობ) კონკრეტულ (და არა სიტყვიერ) დახმარებაზე; ეს ეხება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მხარდაჭერას, რაც, მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, დღემდე ძალიან სუსტია. ამის დასტურად თუნდაც ის გამოდგება, რომ დღემდე არ არსებობს ქართული ენის გრამატიკა უცხოელებისათვის. ის კი არა, დაბეჭდილი არ არის უბრალოდ, ქართული უწესო ზმნების სია; რაც შეეხება ქართულ ლექსიკონებს სხვადასხვა ევროპულ ენებზე, ისინი ძალზე მოძველებულია, გამოუსადეგარია უცხოელებისათვის. ასევე, დღემდე გადაუწყვეტელ პრობლემად რჩება სტუდენტის გამოგზავნა თბილისში სტაჟირებაზე, და კიდევ რამდენი რამ. მაგრამ იმედი ვიქონიოთ, რომ სიტუაცია შეიცვლება!..

— როგორია თქვენი მომავალი ვეგმები. კიდევ რომელი ქართველი მწერლის შემოქმედება გაინტერესებთ?

— ძალიან მომწონს და მიყვარს ვაჟა-ფშაველა. მისი შემოქმედების გაცნობა ნამდვილი აღმოჩენა იქნება იტალიური კულტურისათვის, ჭეშმარიტად გაამდიდრებს მას. ვაჟა-ფშაველას ღრმა აზროვნებას, მის ფილოსოფიას შეუძლია დასაბამი მისცეს ახალ გზებს იტალიურ პოეზიაში. მაგრამ ძალზე დამაბრკოლებელია მისი ენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩვენი იუბილარები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიგნები გონების პირმშონი არიან.

ჯონათან სვიფტი

წიგნი ზღაპრული ნათურაა, რომელიც ადამიანს სინათლით ასაჩუქრებს ცხოვრების ყველაზე შორეულ და განელ გზებზე.

ანდრე უპიტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ შენგელია

ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი და მისი „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“

გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი და მკურნალი ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი უაღრესად დიდი მოვლენაა ქართული მეცნიერული აზროვნების ისტორიაში. მისი „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“ შუა საუკუნეების ქართული სამედიცინო-ბიოლოგიური აზროვნების შესანიშნავი ძეგლია.

ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი დაბადებულია დაახლოებით 1425—1435 წლებს შორის.

როგორც პროფესორებმა ილია აბულაძემ და კონსტანტინე გრიგოლიამ გაარკვიეს, ფანასკერტელთა გვარეულობა ადრიდანვეა ცნობილი ძველ ქართულ წყაროებში. ისინი სამხრეთ საქართველოს — ტაოს მკვიდრნი იყვნენ და ფლობდნენ ფანასკერტის ციხეს, რომელიც ბანაფანასკერტის ნაპირზე მდებარეობდა და ხშირად საქართველოს სახელმწიფო საზღვრად ითვლებოდა. იოანე ბატონიშვილისა და თამარის ისტორიკოსის ცნობით, ომში გამარჯვებისათვის მხედართმთავარ ზაქარიასათვის თამარს ფანასკერტის ციხე უბოძებია და, როგორც ჩანს, აქედან წარმომდგარა ფანასკერტელთა გვარეულობაც. „ამ დროიდან მოკიდებული, ისტორიის ასპარეზზე ფანასკერტელებიც ჩანან და ისტორიულად ისინი ტაოს ერისთავები არიან და საქართველოს მეფის ძლიერებისათვის თავგამოდებით იბრძვიან“[1].

XV საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ წყაროებში იხსენიებიან თაყა და ციცი ფანასკერტელები. სწორედ ამ ციცის შვილი უნდა იყოს ზაზა, საიდანაც წარმომდგარა გვარიც — ციციშვილი.

როგორც აღვნიშნეთ, ფანასკერტელები სამშობლოს დაცვისა და მისი ერთიანობისათვის იბრძოდნენ. ზაზა ფანასკერტელიც გიორგი VIII (1446—1476 წწ.) ეხმარებოდა სამცხის ათაბაგ ყვარყვარეს-

---

[1] იხ. 1950 წელს გამოცემული „კარაბადინის“ შესავალი წერილი.

თან ბრძოლაში. ამ ბრძოლაში იგი დამარცხებულა და შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გამო იძულებული გამხდარა მიეტოვებინა თავისი მამული და შიდა ქართლში გადმოსახლებულიყო. აქ, ძამას ხეობაში მისთვის დიდძალი მამული უბოძებია კონსტანტინეს.[2] მისი წყალობის წიგნში, რომელიც ჩვენ დროამდეა შემონახული, ნაბოძებ მამულთა ჩამოთვლის გარდა, აღნიშნულია ზაზას დამსახურებაც მეფის წინაშე:

„თქვენ ჩუენისა ამოდყოფისა მეცადე, მომჭირნესა და სახლისა ჩუენისა თავადსა ფანასკერტელსა... ოდეს ჩუენისა სიყუარულისათვის შავშეთს თქუენი მკვიდრი მამული დასთმეთ და ჩუენდა საერთგულოდ მოხვედით...“

ზაზასთვის უხვ მატერიალურ წყალობასთან ერთად სამეფოს ვაზირის — მეჭურჭლეთუხუცესის საპატიო თანამდებობაც უბოძებიათ. იგი საბოლოოდ ძამას ხეობაში დასახლებულა. სწორედ აქ გადმოსახლების შემდეგ, მამის სახელის მიხედვით მიუღია გვარად ციციშვილი. ზაზას შვილის—მერაბის მიერ 1520 წელს გაცემულ ერთ-ერთ საბუთში ზაზა მოხსენიებულია ციციშვილად და „დიდ ფანასკერტელად“. „ძემან დიდისა ფანასკერტელისა ციციშვილისა პატრონისა ზაზას ძემან...“ ამრიგად, ზაზა უკანასკნელი ფანასკერტელი და პირველი ციციშვილია.

ზაზას დასახლება ძამას ხეობაში, ალბათ გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით იყო ნაკარნახევი. ძამას ხეობა იყო ქართლის მეფეებისადმი მტრულად განწყობილი ათაბაგების და ოსმალთა სამფლობელოებიდან შემოსასვლელი კარი. მეფემ სწორედ მას ჩააბარა ქართლის ეს თავისებური ჭიშკარი, როგორც ტახტის ერთგულსა და საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლს.

გარდა იმისა, რომ ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი საინტერესო პიროვნებაა თავისი პოლიტიკური ორიენტაციით, იგი ყურადღებას იქცევს აგრეთვე იმ სამშენებლო და კულტურული საქმიანობით, რომელიც მას თავის სამფლობელოში განუხორციელებია.

მომავალი საციციანოს იმ სოფლებიდან, რომლებიც ფანასკერტელთა ოჯახმა მიიღო შიდა ქართლში, ზაზას თავის რეზიდენციად მზოვრეთი[3] აურჩევია. იგი ძამას ხეობის შუა ადგილას მდებარეობს. პლატონ იოსელიანის გადმოცემით, მზოვრეთი უძველესი ციხე-ქალაქი ყო-

---

[2] კონსტანტინე II ტახტზე ავიდა 1478 წელს, მაგრამ ძამას ხეობა მის საუფლისწულო სამფლობელოში შედიოდა და ამიტომ წყალობის სიგელიც მისი სახელითაა გაცემული 1467 წელს.

[3] ამჟამად ქარელის რაიონის სოფ. ორთუბანი.

ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი. მხატვარი უჩა ჯაფარიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ციციშვილთა საგვარეულო გერბი

კოშკების ნანგრევები საციციანოს შემოსასვლელ კართან (სოფ. გვერძინეთი)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ციციშვილების ციხე სამწევრისში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაზას მიერ რესტავრირებული ყინწვისის მონასტრის საერთო ხედი ეკვდერით



ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი. ყინწვისის ფრესკის რეპროდუქცია (მხატვარი ს. მირზაშვილი)

„სამკურნალო წიგნი-კარა-ბადინი“. გამოცემები

ზ. ფანასკერტელი-ციციშვილი. ჭედური პორტრეტი (მხატვარი კობა გურული).

„ავადმყოფობა წამლებით განიკურნება“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამწევრისის ეკლესია, რესტავრირებული ზაზას შვილის, მერაბის მიერ (სათანადო ფრესკული წარწერით)

ფილა. „მძოვრეთი ქვემო ქართლში, მტკვრის შენაკად ძამას ნაპირზე, აუშენებია მეფე მირდატს 113 წელს ქრისტეს დაბადებიდან. აყვავების პერიოდში იგი მჭიდროდ იყო დასახლებული, მაგრამ VII ს-ის ნახევარში დარბეულ იქნა მურვან აბდულ-კაზიმის მიერ“.[4] ამასვე ადასტურებს ძველ ნაგებობათა დღემდე შემორჩენილი ნანგრევებიც.

ზაზას განუახლებია აქ ქალაქური ცხოვრება. ქალაქის დაწინაურებისა და მოსახლეობის კულტურულ მოთხოვნილებათა დონის მაჩვენებელია აქ შემორჩენილი აბანო, რომელიც ისე მკვიდრადაა ნაშენი, რომ დღემდე თითქმის დაუზიანებელია. მოსახლეობა ახლაც მიუთითებს ქარვასლის ნანგრევებზე. აქვე, ციცაბო კლდეზე მდგარა VII ს-ის ნაგებობა—ძველი ციხე, რომლის ნანგრევებს დღესაც ეტყობა ზაზასეული შეკეთებისა და რესტავრაციის კვალი. ცოტა ქვემოთ, მზოვრეთის მთის დავაკებაზე, გაშენებული ყოფილა ზაზას სასახლე დამხმარე ნაგებობებით. მოშორებით კი დღესაც დგას კარის ეკლესია. მას ბევრი სხვა სამუშაოებიც ჩაუტარებია: „ძამას შენაკადები გაუმაგრებია საყარაულო კოშკებით, ძამას მტკვრის შესართავთან ციციანთ აუგიათ სამწევრისის დიდი ციხე..., რომელიც გადასცქერის მტკვრის ხეობას. თავისი სამფლობელოს კულტურულად დაწინაურების მიზნით ზაზას განუახლებია ყინცვისის მონასტერი, სადაც ასწავლიდნენ წერა-კითხვას და ავრცელებდნენ სწავლა-განათლებას. ყინცვისის ტაძრის ეკვდერში დაცულია თვით ზაზას ფრესკული პორტრეტი მშენებლის პოზაში“.[5] ეს ეკვდერი ზაზამ მიუშენა განახლებულ მონასტერს.

ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილს დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ მოღვაწეობასა და სამეურნეო საქმიანობასთან კარგად შეუთავსებია მეცნიერული მოღვაწეობაც. ცნობილია, რომ მან „შემოჰკრიბა“ და გადააწერინა იოანე ოქროპირის „სწავლანი“, რაც მისი ფართო მეცნიერული დიაპაზონის მაჩვენებელია.

ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის სამხედრო, პოლიტიკური და სამეცნიერო მოღვაწეობისათვის მეტად დამახასიათებელია ციციშვილთა საგვარეულო ღერბი, რომელმაც ჩვენამდე ოდნავ შეცვლილი სახით მოაღწია, მაგრამ მისი გამოსახულებანი საბოლოოდ ასე ამოიკითხება: წმინდა გიორგი—ბოროტებასთან ბრძოლისა და გამარჯვების სიმბოლო; ფარი—სამშობლოს მტრისაგან დაცვის სიმბოლო; გველი—სიბრძნის, უმ-

---

[4] იხ. Города существовавшие и существующие в Грузии. соч. Пл. Иоселиана. 1850 г. Тифлис. გვ. 52.

[5] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ძამას ხეობა. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი, გვ. 10—12.

თავრესად საექიმო ცოდნის, ემბლემა; რქა—სიმდიდრის, დოვლათისა და სიუხვის სიმბოლო.

ეს ღერბი ნათლად მიგვანიშნებს, რომ ზაზა იყო სამშობლოს დაცვისათვის თავდადებული მებრძოლი, უდიდესი ფეოდალი, მდიდარი მემამულე და, რაც მთავარია, მკურნალი და „ბრძენმთავარი", როგორც იგი „სამკურნალო წიგნის—კარაბადინის" ტექსტშია მოხსენიებული.

„სამკურნალო წიგნი — კარაბადინი" ზაზას ნაყოფიერი მეცნიერული და პრაქტიკული სამედიცინო მოღვაწეობის შედეგია.

ამ ორტომიან ნაშრომში იმ დროისათვის საკმაო სიზუსტით არის მოცემული მედიცინის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული საკითხები. აღსანიშნავია ისიც, რომ „კარაბადინის" ძირითადი ლიტერატურული წყარო ძველი ქართული სამედიცინო ძეგლებია და არა უცხოელ ავტორთა შრომები. ამდენად, „კარაბადინი" ორიგინალური ქართული ნაშრომია, თუმცა წიგნში, რასაკვირველია, ბერძნულთან და რომაულთან ერთად, გამოყენებულია აღმოსავლური ტერმინოლოგია და აღმოსავლური სამედიცინო პრინციპები, რაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო ყველა ქვეყნისა და ერის იმდროინდელ სამედიცინო ლიტერატურაში.

პირველ ტომში მოცემულია ჰიგიენისა და დიაგნოსტიკის ზოგადი საკითხები, სამკურნალო საშუალებათა ძირითადი ფორმები, მათი გამოყენებისა და ტექნოლოგიის პროცესები. განხილულია სამკურნალწამლო საშუალების 14 ძირითადი ფორმა: თითოეული ფორმისაგან ათეულობითაა წარმოდგენილი წამალთა სხვადასხვა სახეები, სულ 495 სამკურნალწამლო საშუალება. ყველაფერი ეს იძლევა საშუალებას, წარმოვიდგინოთ ძველ ქართულ მედიცინაში სამკურნალწამლო საშუალებათა დამზადების ტექნოლოგიური პროცესები და მათი გამოყენება, ფარმაკოქიმიის განვითარების იმდროინდელი დონე.

მეორე ტომი უკვე კერძო ნაწილია. აქ განხილულია პათოლოგიისა და თერაპიის ძირითადი საკითხები, მოცემულია ცალკეულ ორგანოთა დაავადებები და მათი ნიშნები. ვრცლად არის გადმოცემული მკურნალობის მეთოდები, სამკურნალწამლო საშუალებათა სხვადასხვა სახეები, რთული შემადგენლობის სხვადასხვა სახის ნაერთები. იგი მოიცავს მედიცინის თითქმის ყველა დარგს და ყველა ორგანოს დაავადებათა აღწერას და მკურნალობას, ცხადია, იმ ფარგლებში, როგორც შესაძლებელი იყო სამედიცინო მეცნიერების განვითარების იმ ეტაპზე. ავტორს წიგნში განხილული აქვს ავადმყოფის გამოკვლევისა და დიაგნოსტიკის ხერხები. იქვე აღწერილია ჰუმორალურ კომპონენტთა აღრევით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოწვეული პათოლოგიური მდგომარეობის ძირითადი ნიშნები, ძილისა და ტანსაცმლის ჰიგიენის საკითხები, კლიმატოლოგიური მონაცემები იმდროინდელი ეაგებით და ბოლოს, ცალკე თავადაა მოცემული ადამიანის ორგანიზმზე კლიმატის, ცხოვრების პირობების, გარემოს ზემოქმედების მეტად საინტერესო საკითხები.

უკანასკნელი და ცალკე თავია მოწამვლები, მათი კლინიკა და ანტიდოტები. ამ დროს ცნობილია 43 მომწამლავი ნივთიერება. აღწერს რა ცალკეული ნივთიერებით მოწამვლის კლინიკურ სურათს, ავტორი იქვე იძლევა მომწამვლელ ნივთიერებათა გამანეიტრალებელ სამკურნალო საშუალებათა, ანუ ანტიდოტთა აღწერასაც. ამ მხრივ ეს წიგნი მეტად ორიგინალური და უნიკალურია ძველ ქართულ სამედიცინო ლიტერატურაში.

წიგნში კარგადაა გადმოცემული სადიაგნოზო საშუალებანი, დაავადებათა გამოცნობის ხერხები, ავადმყოფთა ობიექტური გასინჯვის მეთოდები.

ნევროპათოლოგიურ დაავადებათა გამოკვლევებიდან მეტად საინტერესოა ტვინში სისხლის ჩაქცევის (აპოპლექსიის) შედეგად განვითარებული დამბლის გასინჯვის მეთოდი მგრძნობელობის გამოკვლევით.

წიგნში მოცემულია დიფერენციული დიაგნოზის მაგალითები, რაც დიდი დაკვირვებისა და ფართო კლინიკური დიაპაზონის მაჩვენებელია.

სამკურნალწამლო საშუალებად ავტორს უხვად გამოუყენებია მცენარეული, ცხოველური, მინერალური ნედლეული. წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა სამკურნალო მანიპულაცია: სისხლის გამოშვება, სამკურნალო წურბელა, კოტოშები, ოყნა, ეთეტერი. ავტორი აღწერს არა მარტო სისხლის გამოშვებას, არამედ მითითებული აქვს ის სისხლძარღვები, საიდანაც ხდება სისხლის გაღება პათოლოგიის ცალკეულ შემთხვევაში.

ავტორი ქირურგიულ ოპერაციებსა და მანიპულაციებს სპეციალურად არ აღწერს, მაგრამ, ტექსტში რამდენიმე ადგილას არის ნახსენები ქირურგიული ჩარევა, რაც საშუალებას გვაძლევს მიახლოებით მაინც შევიქმნათ წარმოდგენა ქირურგიის განვითარების მაშინდელ დონეზე.

ავტორი მნიშვნელობას ანიჭებს მკურნალობაში კლიმატური და ფიზიოფაქტორების გამოყენებას (რაც ადრინდელ სამედიცინო ძეგლებში არ გვხვდება). ზოგს „გრილი მთა-გორი ადგილი“ უხდება, ზოგს კიდევ „ზღვის წყლისა და მარილიანი წყლის აბაზანები“ და ა. შ.

ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ანატომიურ-ფიზიოლოგიური საკითხების განმარტებები სცილდება საკუთრივ სამედიცინო ინტერესე-

ბის ფარგლებს და მათ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული ფილოსოფიური და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის. ზაზა არა მარტო აღიარებს სამყაროს, ბუნებას, როგორც მატერიალურს, ნივთიერს, არამედ იძლევა ფსიქიკის მატერიალისტური გაგების ელემენტებს. ტვინი აღიარებულია, როგორც გარემოს შეცნობის ორგანო... და ტვინიდან გამომავალი ნერვებით ხდება გარემოს აღქმა, შეცნობა.

ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი ფსიქიურ დაავადებებს და ბნედას (ეპილეფსიას) ხსნის როგორც ტვინის პათოლოგიას: „თუ ესე სენი დაემართოს კაცსა, რომელსა ჰქუიან მანახულია, იცოდეთ, რომე ტუინშიგა შეიქმნების“. ზაზა პირდაპირ უარყოფს ამ დაავადების მისტიკურ ბუნებას: „ზოგ-ზოგჯერ კაცსა ცნობა და ჭკუა შეეცულებოდეს და ამას იტყოდეს, ვითა არა მეშუელების რაი, ასრე ეგონოს, ან მოწამლული ვარო და ან გრძნეულთაგან ვარ ავადო და არა წამალსა იქმოდეს“.

ამგვარად, ზაზა ამ დაავადებას განიხილავს, როგორც არა „გრძნეულთაგან გამოწვეულს“, არამედ დაავადებას, რომელიც „ტუინშიგა შეიქმნების“ და რომელიც საჭიროებს წამლებით მკურნალობას, მკურნალობის რაციონალურ მეთოდებს.

ზაზასთვის ადამიანი არ წარმოადგენს ერთხელ და სამუდამოდ შექმნილ ზეციურ არსებას, როგორც ამას ქრისტიანული დოგმატიკოსები ქადაგებდნენ, არამედ ადამიანები ბუნების შვილები არიან, რომლებიც იცვლებიან გარეგანი პირობების ზემოქმედებით, ბუნებრივი და სოციალური ფაქტორების ზეგავლენით. ამ საკითხის ავტორისეული განმარტებები ეხმაურება თანამედროვე მოძღვრებას ბუნებრივი პირობების ზეგავლენით ახალ ბიოლოგიურ თვისებათა შექმნისა და გარდაქმნის საკითხებში.

ამგვარად, „სამკურნალო წიგნი“ (ისევე, როგორც „უსწორო კარაბადინი“ და „წიგნი სააქიმოჲ“) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა ძველი ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზროვნების ისტორიის შესასწავლად. ძეგლის ავტორი ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი (შესაბამისად ქანანელი და ხოჯაყოფილიც) ბაკურთან, ეფრემ მცირესთან, იოანე პეტრიწთან და სხვებთან ერთად ფეოდალური საქართველოს იმ ფილოსოფიური მიმართულების წარმომადგენელია, რომელიც ოპოზიციაში ედგა ქრისტიანულ დოგმატიზმს და იმ დროისათვის უაღრესად პროგრესული იყო.

„სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“ — როგორც ირკვევა, სხვა წიგნებთან ერთად, 300 წლის წინათ წაუღია რუსეთში გადახვეწილ ვახტანგ VI-ს და მხოლოდ შემთხვევის წყალობით მოაღწია ჩვენამდე: 1945

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა თორნიკე ჭყონიამ, ექსპედიციის დროს იგი აღმოაჩინა ქ. გორკის (ნიჟნი-ნოვგოროდის) სახელმწიფო არქივში და საქართველოში ჩამოიტანა. იგი ამჟამად დაცულია აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმში.

ვახტანგ VI



ვახტანგ VI ავტოგრაფი

„კარაბადინის“ ხელნაწერი დიდტანიანია, სულ ასამდე რვეული, ანუ 684 ფურცელია აღრიცხული. წიგნი აკინძული და ჩასმულია ტყავგადაკრულ ხის ყდაში. წიგნის 62—63 ფურცლებს შორის ჩადებული იყო ფურცელი, რომელზეც ვახტანგ VI ხელით ჩაწერილია:

„ქ. ჩვენ საქართველოს გამგებელმან, ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ თვითეულად ფურცლად მოშორებული კარაბადინი ესე შევაწყობინეთ და შევაკვრევინეთ საჯმარად და სასარგებლოდ კაცთათჳნ და საჯმარად ყოველთა, ქკს ტუზ“.

როგორც ხელნაწერის გარეგნული შესწავლით ირკვევა, ვახტანგს შემდეგი სამუშაოები ჩაუტარებია:

ფურცელ-ფურცელ დაშლილი კარაბადინი დაუწყვია, შეუკრავს და აუკინძავს ძვირფას ყდაში; ამოურკვევია, რომ ფურცლები შრომას აკლია და აღუნიშნავს, რასაც მოწმობს მისი ხელით ჩაწერილი სიტყვები: „აქ ფურცელი აკლია ერთი“, „აქაც აკლია“ და ა. შ.; შეკრული

ხელნაწერისათვის მიუცია ახალი პაგინაცია. არშიებზე ზოგან მოუთავსებია შენიშვნები და განმარტებანი. სამედიცინო ტრაქტატები სხვა სახის ლიტერატურულ ძეგლებთან შედარებით უფრო დაზიანებული სახითაა ჩვენამდე მოღწეული. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ სამედიცინო წიგნები თითქმის განუწყვეტლივ იყო ხმარებაში და ხელიდან ხელში გადადიოდა. ასევე „კარაბადინიც“ დაზიანებული მოხვედრილა ვახტანგ VI-ის ხელში. იგი მას განუახლებია 1709 წელს. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი გაცილებით ადრეა გადაწერილი.

პროფესორები ილია აბულაძე და კოტე გრიგოლია წერენ: „პალეოგრაფიული მონაცემებით, ხელნაწერი XV საუკუნისად შეიძლება მივიჩნიოთ. ამ თარიღის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის, რომ წიგნის ავტორი ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი გადამწერთა მიერ ცოცხალთა შორის იხსენიება: „ქ. ქრისტე ღმერთო, ადიდე ორთავე შინა ცხოვრებითა ბრძენთმთავარი ფანასკერტელი ზაზა, ამინ“.

ტექსტის სხვა ადგილებში ის შემდეგნაირად არის მოხსენიებული: „ქრისტე ღმერთო, ადიდე შენ მიერითა ფანასკერტელი ზაზა“. „ქრისტე ღმერთო, ადიდე პატრონი ჩვენი ზაზა მკურნალი“ და ა. შ.

მაშასადამე, „კარაბადინის“ ტექსტი პირველადი, ავტორისეული ტექსტი უნდა იყოს, რამდენადაც იგი გადაწერილია ზაზას სიცოცხლეში და, ალბათ, მისივე ხელმძღვანელობით. ზაზა კი XV საუკუნის მეორე ნახევარში ცხოვრობდა.

ტექსტზე ერთ-ერთი მინაწერის გაანალიზებით შესაძლებელი ხდება ხელნაწერის გადაწერის მიახლოებითი თარიღის დადგენაც. მაგალითად, ხელნაწერის 222 ფურცლის ზედა არშიაზე, მარჯვენა კუთხეში, ნუსხურით გაკეთებულია მინაწერი:

„ქრისტე ღმერთო, ადიდე დავით, ძე მეფეთ მეფისა კონსტანტინესი“.

მეფე კონსტანტინეს საქართველოს სამეფო ტახტი ეკავა 1479—1505 წწ., მის შვილს დავითს — 1505—1525 წწ. მინაწერის მიხედვით დავითი ჯერ კიდევ არ იხსენიება მეფედ, კონსტანტინე კი, უნდა ვივარაუდოთ, რომ ცოცხალია. ყოველივე ამით შეიძლება დავასკვნათ, რომ „კარაბადინის“ ხელნაწერი უეჭველად XV საუკუნის მეორე ნახევარს, უფრო ზუსტად, საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებს განეკუთვნება.

სხვადასხვა ისტორიულ დოკუმენტთა შეპირისპირების გზით ირკვევა ერთ-ერთი გადამწერის ვინაობაც. იგი ყოფილა კონსტანტინე მეფის მდივან-მწიგნობარი, თანამდებობით სვეტიცხოვლის ქადაგი, ჯვარისმტვირთველი მახარებელ მაღალაძე.

ხელნაწერს ვახტანგ VI-ის შემდგომაც განუცდია დაზიანება.

გორკში მოძიებული ხელნაწერი თავნაკლულია. ყდა ორივე მხარეზე გატეხილია. ყდაზე გადაკრული ტყავიც ალაგ-ალაგ გაცვეთილია, ყუის ნაწილი კი მთლიანად მოგლეჯილია. ფურცლები დალაქიანებული და დანოტივებულია. ერთი ნაპერწკლითაა მომწვარი. წიგნი მოსქო თეთრ ქაღალდზეა დაწერილი. ჭვირნიშანი არ ჩანს. ეს მიუთითებს, რომ ქაღალდი ევროპული არ არის. შესაძლოა, იგი საქართველოშიც იყოს დამზადებული. ხელნაწერი დაწერილია მხედრულით, შავი მელნით, სათაურები და აბზაცის დასაწყისი სიტყვები—სინგურით. კალიგრაფიის მიხედვით, მონაცვლეობით, აქ, სულ ცოტა, ორი სხვადასხვა ხელი შეიმჩნევა.

როგორ მოხვდა ეს ხელნაწერი ქ. გორკის სახელმწიფო არქივში? პროფესორები ილია აბულაძე და კოტე გრიგოლია წერენ: „კარაბადინის ეს ძვირფასი ხელნაწერი თავის დროზე ვახტანგის საკუთრება უნდა ყოფილიყო და რუსეთშიაც მის მიერ უნდა იყოს გატანილი სამეფო სახლის ევაკუაციის გამო 1724 წელს, ხოლო ვახტანგის სიკვდილის შემდეგ (1737) მის მემკვიდრეთა ხელში გადასულა და კერძოდ, ეს ხელნაწერი ვახტანგის უფროს ვაჟს ბაქარს მიუღია. XVIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის კარაბადინი უკვე ბაქარის შვილიშვილის გიორგი ალექსანდრეს ძის ხელში ყოფილა. როგორც ცნობილია, გიორგი ალექსანდრეს ძე სოფ. ლისკოვოში ცხოვრობდა. ხოლო 1852 წლის შემდეგ, როდესაც ეს უკანასკნელი უძეოდ გარდაიცვალა, საფიქრებელია ამ ხელნაწერის სხვა პირთა ხელში და კერძოდ, აღნიშნული არქივის განკარგულებაში გადასვლა“.[6]

„კარაბადინის“ ხელნაწერის საქართველოში ჩამოტანისა და მისი შესწავლის შემდეგ იგი ორ ნაწილად დაიბეჭდა.

ხელნაწერის მეორე ნაწილი პირველზე უფრო ადრე — 1950 წელს გამოიცა მ. სოკაშვილის საერთო რედაქციით, შესავალი წერილი და ლექსიკონი დაურთეს ილია აბულაძემ და კოტე გრიგოლიამ. 1959 წელს ჩვენ გამოვეცით „კარაბადინის“ პირველი ნაწილი, რომელსაც დავურთეთ გამოკვლევები და ლექსიკონი. 1980 წელს კი ორივე ნაწილი დაიბეჭდა ერთ წიგნად. ამჟამად, საიუბილეოდ ისევ ორ ნაწილად გამოდის.

ქართული კულტურის საგანძურში ქართულ სამედიცინო წიგნებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ. „წიგნი სააქიმოჲ“ მსოფლიო მნიშვნელობის ქმნილებათაც კი შეიძლება ჩაითვალოს. თუ „წიგნი სააქიმოჲ“

---

[6] იხ. 1950 წელს გამოცემული „კარაბადინის“ შესავალი წერილი.

ძველი ქართული კულტურის აღორძინების ეპოქა, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „კარაბადინი“ ისეთ პერიოდშია დაწერილი, როდესაც საქართველომ დაჰკარგა სამხედრო-პოლიტიკური ძლიერება, დაეცა ქართული კულტურა. ეს პერიოდი ძალიან მძიმეა საქართველოს ისტორიაში (ჯალალედინის, მონღოლების და თემურ-ლენგის შემოსევები). მაგრამ დროდადრო საქართველო მაინც ახერხებდა ფეხზე წამოდგომას და ერთიანი ძალით მტრის ძლევას (გიორგი ბრწყინვალე, ალექსანდრე I დიდი და სხვ.). XV საუკუნის ბოლოსათვის ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის მოღვაწეობის დროს საქართველოს რღვევის პროცესი უფრო მწვავედ იგრძნობა. განკერძოებისათვის სამცხე-საათაბაგოს ბრძოლას, სხვა სამთავროებმაც მიბაძეს და ერთიანი საქართველო დაირღვა. სწორედ ამ დროს, როგორ ზემოთაც აღვნიშნეთ, საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლთა შორის უნდა ვიგულისხმოთ „კარაბადინის“ ავტორიც.

თავისი პოლიტიკური მრწამსის მიხედვით ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი თავისი დროისათვის უაღრესად პროგრესულად მოაზროვნე პიროვნებაა. XV საუკუნის მეორე ნახევარში—პოლიტიკური და კულტურული დაკნინების ხანაში — ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილს, როგორც მეცნიერსა და სახელმწიფო მოღვაწეს, უდავოდ გარკვეული წონა ექნებოდა.

ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილს სამშობლოსათვის თავდადების სულისკვეთებით აღუზრდია თავისი შვილებიც. კონსტანტინეს წყალობის წიგნში ჩამოთვლილია ზაზას შვილები: ქაიხოსრო, გიორგი, სიაოში, მერაბი და ზაქარია. უფროსი ვაჟიშვილი—ქაიხოსრო ქართულ ისტორიულ წყაროებში რამდენჯერმე არის ნახსენები სამშობლოს დამცველთა მოწინავე რიგებში და იგი „ციციშვილად“ იწოდება.

„ხოლო წელსა ქ.-ს ჩუპᲩ ქრ როვ (1488 წ.—მ. შ.) წარმოავლინა იაყუბ ყეენმა სპასპეტი თᲯსი — ხალილბეგ სპითა... ამისი მსმენელი მეფე კონსტანტინე წარმოვიდა იმერეთიდამ და წარმოავლინა... წინარე ქაიხოსრო ციცი-შვილი და ჯავახიშვილი ჯავახი... ქაიხოსრო, ჯავახი და ბარათიანნი დაესხნენ ჭანდარს მდგომთა თათართა, მოსცათ ღმერთმან ძლევა და მოსრნეს სრულად“.

ეს ამბავი გაუგიათ თბილისში მყოფ თათრებს, რომლებიც შიშით გაქცეულან, მაგრამ „გარდაუსწვრეს კუმისის ბოლოს ქაიხოსრო ციციშვილმან და ბარათიანთა და იქნა ბრძოლა ძლიერი“.

მაგრამ ისინი ალყაშემორტყმულნი აღმოჩნდნენ თათრების მიერ.

მემატიანენი ქაიხოსროსა და მის თანამებრძოლთ ამ ბრძოლაში გმირებად სახავენ.

„მაშინ განხმნენ ბარათაშვილი სულხან, ქაიხოსრო ციციშვილი და ჯავახიშვილი ჯავახი, ვითარცა წინითი გმირნი რომელნიმე და გამოვლნეს ბრძოლითა თათარნი ყოვლისა სპითა თჳსთა“.

1490 წელს „კვლავ ყეენმა წარმოავლინა ჯარი საქართველოში“. კონსტანტინე მეფის წინადადება, რომ საერთო ძალით ებრძოლათ თათრების წინააღმდეგ, ათაბაგმა და კახეთის მეფემ უარყვეს. დარჩა ქართლი მარტოდმარტო მტრის პირისპირ. თათრებმა იწყეს მორბევა „ორბეთის გარემოთა“. ქაიხოსროს ამ ბრძოლაშიც უსახელებია თავი.

„ესე ყოველი მოესმათ ბარათიანთა ენაგეთს მდგომთა და მათ თანა ქაიხოსრო ციციშვილსა, თურმანის ძეს ქაიხოსროს და თავსა მათსა სულხან ბარათაშვილსა; ესენი წავიდნენ მსწრაფლად და მიეწივნენ თათართა მისვლასა და კვეთებასავე წარიქცივნეს ამით თაათარნი და შესჯარნეს ღრატე კლდოვანთა და ლეღოვანთა შინა და მოსვრიდნენ და სწყვეტდნენ ვითარცა ქათამთა, რამეთუ დიოდიან სისხლი მათნი რუდ“.

სამწევრისის ცნობილი ტაძრის განახლება დაკავშირებულია ზაზას ვაჟიშვილის მერაბის სახელთან.

ზაზას ვაჟიშვილებიდან მეოთხე — სიაუში არსად არა ჩანს ქართულ წყაროებში. 1977 წ. გამოქვეყნდა ჩვენი წერილი გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“ (№ 17. 22 IV) სათაურით „ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი და სიაუშ-ბეგი“. წერილში, ვფიქრობთ, საკმაოდ დამაჯერებელი მოტივებია მოყვანილი იმისათვის, რომ გამოჩენილი მხატვარი სპარსეთში „სიაუშ-ბეგ ქართველი“ ზაზას შვილად მივიჩნიოთ.

სხვა შვილები წყაროებში ჯერჯერობით არ ჩანან, მაგრამ ზაზას შვილთაშვილები და მოგვიანო ხანის მისი მემკვიდრეები, რომელთათვისაც სახელი ზაზა საგვარეულო სახელად იქცა, საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ საქართველოს პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში. მათ შორის აღსანიშნავია 1661—1670 წლებში „სახლთუხუცესის“ თანამდებობაზე მოღვაწე ზაზა ციციშვილი, რომელსაც 1661 წელს სასახლესთან ერთად შეუკეთებია ყინწვისის მონასტერი. მის სახელთანაა დაკავშირებული „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი უძველესი, უძვირფასესი ხელნაწერი, რომელიც მისი შეკვეთითა და ხარჯით არის გადაწერილი და მოხატული მხატვართა მიერ. ხელნაწერის გადამწერთა მიერ იგი ნახსენებია, როგორც „სარდარ სახლთუხუცესი“ და შემკულია „ჭკვით სავსე ბრძენის“ და „ამაცი მებრძოლისა და რაინდის

ეპითეტებით. მას, როგორც მებრძოლსა და სახელგანთქმულ რაინდს, „ქართლის ცხოვრება“ და ვახუშტი ბაგრატიონიც იხსენიებს. მისი ძმა ზაალი „ჟამნგულანის“ გადაწერის, მოხატვისა და მორთვის ინიციატორია, მათი ახლო ნათესავები არიან ნოდარ ციციშვილი, ცნობილი პოეტი 1650-იანი წლებისა, „ბარამგურის“ მთარგმნელი და ცნობილი მწიგნობარი და კალიგრაფი ნანუჩა ციციშვილი.

ამგვარად, ქართული კულტურისადმი მეცენატობა, ლიტერატურული საქმიანობა ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის შთამომავალთათვის არ იყო შემთხვევითი. ეს საგვარეულო ტრადიციად ჩანს, რომელსაც ჯერ კიდევ XV საუკუნეში ჩაუყარა საფუძველი ციციშვილთა საგვარეულოს ფუძემდებელმა, დიდმა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწემ, მკურნალმა და „ბრძენმთავარმა“ ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილმა.

წელს ოქტომბერში „იუნესკოს“ გადაწყვეტილებით, აღინიშნება ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის დაბადების 550 და მისი „სამკურნალო წიგნის — კარაბადინის“ შექმნის 500 წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით „კურიერ იუნესკო“ და „ვესტნიკ იუნესკო“ გამოაქვეყნებს სტატიას ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ამით კიდევ უფრო ფართოდ გაიცნობენ შუა საუკუნეების ქართული მედიცინის ამ ბრწყინვალე წარმომადგენელსა და მის სამედიცინო ტრაქტატს როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარეჯან ჯოლოგუა

იუბილარი წიგნი

ასი წლის წინათ ქართველმა საზოგადოებრიობამ მიიღო „ვეფხისტყაოსნის“ დიდებული გამოცემა, რომელიც დღემდე განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს. იგი გამოჩენილი მოღვაწეების თავდადებული შრომით მომზადდა, მაღალ დონეზე შესრულებული ილუსტრაციებით დამშვენდა, ეროვნული ჩუქურთმებით შეიმკო და მდიდრულად დაისტამბა. ამ საქმის მესვეურებმა, ერისა და ქვეყნის თავკაცებმა, სწორად გაიაზრეს და გაითვალისწინეს გამოცემის მნიშვნელობა, მისი მომზადება-გამოქვეყნება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელ ნაწილად მიიჩნიეს და ძალა და ენერგია არ ღალატობენ დასახული მიზნის მიღწევისა და ჩანაფიქრის ღირსეულად განხორციელებისათვის.

„ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის გამოცემამ სრულად წარმოაჩინა ჩვენი სულიერი კულტურის სიმდიდრე, ლიტერატურის სიდიადე, ხელი შეუწყო საერთაშორისო ასპარეზზე რუსთაველის დამკვიდრებას, ქართველთა შორის მამულიშვილური გრძნობების გაღვივებას, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომ აღმავლობას.

XIX საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს ცნობილმა ქართველმა მოღვაწეებმა დიდი ეროვნული საქმე წამოიწყეს — „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენა-გამოცემა განიზრახეს და ამ მიზნით მრავალმხრივი მუშაობა გააჩაღეს.

იმ დროს რუსთაველის პოემის რამდენიმე გამოცემა არსებობდა, სახელდობრ, 1. ვეფხისტყაოსანი, აწ ახალი დაბეჭდული ქართულს ენასა ზედა ჟამსა ამაღლებულისა საქართველოს მპყრობელისა უფლისა უფლისა ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ს ა, შრომითა და წარსაგებელითა მისვე მპყრობელისათა. გაიმართა ჯელითა ჯელმწიფის კარის დეკანოზის შვილის მიქელისათა, ქალაქსა ტფილისისასა, ქრისტეს აქეთ ათას შვიდას და თორმეტსა, დასაბამითგან ვიდრე აქამომდე შვიდიათას ორას ოცსა.

2. ვეფხვის-ტყაოსანი, რუსულად Барсова кожа, პოემა დაწერი-

ლი შოთა რუსთველის მიერ, ახლად დაბეჭდვილი შეერთებულითა ღვაწლითა უფალთა [მ.] ბროსეტ, ზ. ფალავანდიშვილისა და დ. ჩუბინოვისათა, სპბ., 1841.

3. ვეფხვის-ტყაოსანი, წიგნში: ქართული ქრისტომატია ანუ გამოკრებილნი ადგილები ქართულთა წერილთაგან დ. ჩუბინოვის მიერ, II, სპბ., 1846, გვ. 1—223.

4. ვეფხვის-ტყაოსანი, თქმული შოთა რუსთველისაგან, თამარ მეფის დროს. ახლად დაბეჭდილი დ. ჩუბინოვისაგან განმარტებითურთ. წიგნში: ქართული ქრისტომატია, ან გამოწერილნი სტატიები სხვათადასხვათა ჩინებულთა მწერალთაგან, II, ახლად დაბეჭდილი დ. ჩუბინოვისაგან, სპბ., 1860, გვ. 1—207.

5. ვეფხვის-ტყაოსანი, თქმული შოთა რუსთველისაგან, [გ. წერეთლისა და დ. ყიფიანის გამოცემა], ტფ., 1867.

6. შოთა რუსთველი, ვეფხვის-ტყაოსანი, მეექვსედ დაბეჭდილი ა. კალანდაძისა და ამხ-გან, ტფ., 1875.

ამ გამოცემათაგან ზოგიერთი კარგა ხანია ბიბლიოგრაფიული იშვიათობა გახლდათ და წიგნის ბაზარზე აღარ იშოვებოდა, ზოგი კი მოწონებას ვერ იმსახურებდა. გამოცემათა განსხვავებული სტროფული შედგენილობა თუ სტროფთა თანამიმდევრობა, წაკითხვათა ნაირგვარობა, დაბალი პოლიგრაფიული დონე, კორექტურულ შეცდომათა სიმრავლე, ბუნებრივია, მკითხველთა უკმაყოფილებას იწვევდა. ამან დღის წესრიგში დასვა რუსთაველის პოემის მეცნიერულ-კრიტიკულად დადგენილი ტექსტის შესაბამის პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემის საკითხი. „ვეფხისტყაოსნის“ ღირსეულად გამოცემა მიჩნეულ იქნა არა მხოლოდ ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიურ ამოცანად, არამედ დიდ ეროვნულ აქციად. ამიტომაც ჩაერთვნენ ამ საშვილიშვილო საქმეში იმ დროის სახელოვანი მამულიშვილები.

რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის იდეა ილია ჭავჭავაძის წრეში შემუშავდა, მისი შესრულება კი წილად ხვდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“. ამ საზოგადოების მდივანი იონა მეუნარგია ჯერ კიდევ საფრანგეთში ყოფნის დროს დაინტერესდა იქაურ სიძველეთსაცავში შემონახული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებით, ხოლო სამშობლოში დაბრუნებისთანავე ენერგიულად შეუდგა პოემის ნუსხების ძებნასა და შეგროვებას. სწორედ მან, ორ თანამოღვაწესთან ერთად, იკისრა საინიციატივო ჯგუფის მისია — პრესაში დაბეჭდა სამოქმედო პროგრამა და მოწოდება.

1880 წლის 15 ნოემბერს იონა მეუნარგიამ, რაფიელ ერისთავმა და

იაკობ გოგებაშვილმა გაზეთ „დროების“ (№ 241) ფურცლებზე გამოაქვეყნეს წერილი «„ვეფხვისტყაოსნის“ რედაქცია», რომლითაც თანამემამულეებს გააცნეს თავიანთი მიზანი და აუწყეს სამუშაოს დაწყება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილის ავტორებმა, ერთი მხრივ, წარმოაჩინეს რუსთაველის მნიშვნელობა საერთოდ და განსაკუთრებით კი ქართველთათვის, მეორე მხრივ, გულისტკივილით აღნიშნეს, რომ, რადგან საუკუნეთა მანძილზე „ვეფხისტყაოსანი“ ხელნაწერების სახით მრავლდებოდა, მისი ტექსტი დამახინჯდა, წაირყვნა, ავტორისეულ დედანს შესამჩნევად დაცილდა; აუცილებელი იყო მისი მეცნიერული რედაქტირება, ხელნაწერების ჩვენებათა მაქსიმალური გათვალისწინება, ვარიანტულ წაკითხვათაგან უკეთესის არჩევა, მართლწერის ნორმების დაცვა, ჩანართი სტროფებისაგან პოემის გაცხრილვა, ინტერპოლაციათა ავტორების დადგენა და ა. შ.

დავიმოწმებთ რამდენიმე ნაწყვეტს ამ საპროგრამო წერილიდან:

„რაც ჰომერი ბერძნებისათვის იყო, ის რუსთაველი ქართველებისათვის არის. შვიდ საუკუნეში, რომელიც გასულია რუსთაველის დროებიდამ, „ვეფხვისტყაოსანი“ ბევრის გადაწერ-გადმოწერით, ჩამატებით, გამოკლებით ისე შეცვლილა, რომ გვგონია, რუსთაველის გენიამ სამჯერ უარყოს პოემის ავტორობა, სანამ ერთი გამოცემა გაიყიდებოდეს. ამიტომ ქართული ლიტერატურის მოყვარულთ ვალია, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება, აღადგინონ ნამდვილი პოემა დიდის პოეტისა ისეთსავე მეცადინეობით და მოწიწებით, რა მეცადინეობითაც სხვა ხალხები ეპყრობიან თავიანთ საუკეთესო პოეტების მანუსკრიპტებს.

ეს აზრი მარტო ჩვენ არ გვეკუთვნის. ჩვენამდისაც გაუწევიათ ამგვარი შრომა და ბევრსაც ცდილან პოემის აღდგენაზე, მაგრამ ვერ შესძლებიათ ეშოვნათ ყველა ხელთნაწერი „ვეფხვისტყაოსნები“, საიდამაც უნდა ესარგებლნათ და ამის გამო ყველა შეცდომაც ვერ აუცდენიათ წიგნისათვის.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ თანამედროვე ქართველ ლიტერატორს არც აქვს ნება და არც შეუძლია უბრალო რამ ცვლილება მოახდინოს „ვეფხვისტყაოსანში“, თუ ეს ცვლილება არ იპოვება თვითონ პოემის სხვადასხვა ვარიანტებში. ჩვენი მოვალეობა იქნება მხოლოდ სხვადასხვა ვარიანტებიდამ უკეთესის არჩევა და აქ-იქ მართლწერის ნიშნების შესწორება.

ჩვენი განზრახვა არის:

ა. შევათანხმოთ „ვეფხვისტყაოსანი“ სხვადასხვა ვარიანტებთან. რაც

აკლია, შევმატოთ ტექსტს და, რაც ნამეტანია, გამოვაკლოთ (ხელთ გვაქვს ხუთი ხელთნაწერი ვარიანტი, კიდევ ველით რამდენსამე).

ბ. დავსხათ პოემაში თავ-თავის ადგილზე მართლწერის ნიშნები. ამ ნიშნების შეცდომას ბევრი ზიანი მოაქვს მკითხველისათვის, რადგანაც მისი გონება ირყვნება გაუგებარი ჰაზრების ზეპირებით.

გ. თუ შესაძლებელი იქნება, შევიტყოთ — ვინ არიან იმ დამატებათა ავტორნი, რომელნიც არ იქნებიან რუსთაველის ნაწერად ცნობილნი; მოვიყვანოთ წიგნში სრული ბიოგრაფიული ცნობა რუსთაველზე, შევადგინოთ საზოგადო შენიშვნა „ვეფხვისტყაოსანზე“ და შევკრიბოთ ცნობა იმაზე, თუ ვის რაგვარი „ვეფხვისტყაოსანი“ აქვს ამჟამად“.

წერილის ავტორებმა საზოგადოებას მოუწოდეს მხარში ამოდგომისა და დახმარებისაკენ, კერძოდ, პოემის ხელნაწერთა თხოვებისაკენ:

„მიზნის მისაწვევნელად ჩვენ საზოგადოებისაგან ვითხოვთ:

ა. ვისაც აქვს, დროებით გამოგზავნონ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში (საცა უნდა მოხდეს „ვეფხვისტყაოსნის“ რედაქცია) ხელთნაწერი „ვეფხვისტყაოსანი“, რომელიც შემდეგ შესწორებისა დაუბრუნდება პატრონს უკლებლათ და ყოვლის მიზეზის გარეშე.

ბ. თბილისში მყოფთ ამ საქმის თანამგრძნობელთ ვსთხოვთ მობრძანდნენ... საზოგადოების კანცელარიაში და მიიღონ მონაწილეობა რედაქციის შრომაში“.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიაში სამუშაოდ მიიწვიეს გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი, პეტრე უმიკაშვილი, ნიკოლოზ დადიანი, დავით ერისთავი და სხვ.

წერილის ავტორთა აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ რედაქციის მუშაობა საჯარო უნდა ყოფილიყო, საზოგადოებას უნდა სცოდნოდა, თუ რა ხდებოდა კომისიის სხდომაზე, რა პრინციპებით ხელმძღვანელობდნენ ტექსტის დამდგენნი. მათ საგანგებოდ აღუთქვეს მკითხველებს, ყოველივეს „დროების“ საშუალებით გამცნობთ და ყველას შეეძლება „შორიდამაც მონაწილეობა მიიღოს რედაქციაშიო“.

საინიციატივო ჯგუფის მოწოდებამ საზოგადოება გამოაფხიზლა. მას მეორე დღესვე აღტაცებით გამოეხმაურა „დროება“ (№ 242), მაღალი შეფასება მისცა ახალ წამოწყებას და იგი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მნიშვნელოვან კულტურულ-ისტორიულ მოვლენად მიიჩნია.

მოწინავე წერილში საუბარი იყო რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მნიშვნელობასა და პოპულარობაზე, ხელნაწერებისა და ბეჭდური გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოცემების ნაკლოვანებაზე, ახალი გამოცემის მომამზადებელი რედაქციის შექმნაზე და თანამემამულეთა მხრივ დახმარების აუცილებლობაზე.

გაზეთის აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ „საუკეთესო ძეგლია ჩვენის წარსულის ცხოვრებისა“, იგი ქართველების „მანუგეშებელი წიგნი იყო ჭირში და ლხინში“, მაგრამ მისი მნიშვნელობა ამით არ ამოიწურება. იგი არა მხოლოდ ჩვენი წარსულის დიდებული ძეგლია, არამედ თანამედროვეობის აქტიური მოქმედი ძალა, რომელსაც შეუძლია ცხადყოს ქართველთა კულტურული მოწიფულობა და ერთხელ კიდევ შეასრულოს დიდი როლი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. „როცა რომელიმე ხალხი იმისთანა მდგომარეობაში ჩავარდება, როგორშიაც ვიმყოფებით ამჟამად, როდესაც ერს თავის ვინაობა ავიწყდება, როცა ის ყველაფერს, რაც მშობლიურია, რაც გვარტომობის დამამყარებელია, გულგრილად შესცქერის, ამისთანა დროს ძველი მწერლობის გახსენებას, ძველ მამაპაპეულ ნანგრევთა, ნაშთთა აღდგენას, განახლებას, მოგონებას დიდი, განუსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ხალხისთვის; ყველას ეს ამხნევებს, თავის თვალში ამაღლებს, აკეთილშობილებს, ახალ იდეალებს აღმოუჩენს და ენერგიას უმატებს ამგვარ ერსა. ჩვენის აზრით, სწორედ ამგვარი მნიშვნელობა აქვს „ვეფხვისტყაოსნის“ კარგად გამოცემას, აღდგენასა და იმის დამწერის გაცნობას. ამიტომაც აღტაცებით მივეგებებით ჩვენ „ვეფხვისტყაოსნის“ რედაქციის დაარსებას და სრული იმედი გვაქვს, რომ ყველა ქართველი, რომელსაც კი რითიმე დახმარება შეეძლება, ამ რედაქციას დაეხმარება, ხელს მოუწყობს იმას და ამნაირად მძიმე ტვირთს შეუმსუბუქებს. ეს საზოგადო საქმეა და საზოგადო საქმეში ყველა ვალდებულია დაეხმაროს იმას, ვისაც ამგვარი საქმე უკისრია“.

„ვეფხისტყაოსნის“ ახლადშექმნილი კომისიის წევრები (გ. ორბელიანი, ი. ჭავჭავაძე, დ. ერისთავი, ი. მეუნარგია, ს. მესხი, გ. წერეთელი, პ. უმიკაშვილი, ი. მაჩაბელი, თ. ჟორდანია და სხვ.) პირველად 1880 წლის 24 ნოემბერს შეიკრიბნენ. იმთავითვე თავი იჩინა დიდმა სიძნელემ — პოემის ხელნაწერთა სიმცირემ.

ქართველმა მკითხველებმა, მართალია, ინტერესითა და კმაყოფილებით გაიცნეს „დროებაში“ გამოქვეყნებული მოწოდება, მაგრამ ხელნაწერთა დათმობა, თუნდაც დროებით თხოვება, ძნელად შესასრულებელ თხოვნად მიიჩნიეს და რამდენადმე თავი შეიკავეს. ამის შედეგად შეკრებილთა განკარგულებაში მხოლოდ 8 ხელნაწერი აღმოჩნდა. ცხადი გახდა, რომ მუშაობის დაწყება შეუძლებელი იყო, რომ „ჯერ რა-

მე ღონისძიება უნდა ეხმარათ საკმაო ხელნაწერების საშოვნელად, და შემდეგ დაეწყოთ ტექსტის აღდგენა“ (პ. უმიკაშვილი). გადაწყდა საზოგადოებისათვის წერილობით მიმართვა და ხელნაწერების დროებითი სარგებლობისათვის თხოვნა. „ამ წერილების მიწერა და საზოგადოთ ამ საქმეში თაოსნობა ყრილობამ ერთხმად სთხოვა თავ. გრ. დიმ. ორბელიანს, რომელმაც სიამოვნებით ინება ამ საქმეში მონაწილეობის მიღება“ (ი. მეუნარგია).

როგორც ჩანს, გრიგოლ ორბელიანი თავადაც შეწუხებული იყო „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა სიმცირით. იონა მეუნარგიას ცნობით, პოემის ნუსხებზე საუბრისას მან გულისტკივილით განაცხადა: „საკვირველი დრო დადგა. წინათ ისეთი ოჯახი როგორ იქნებოდა, რომ „ვეფხვისტყაოსანი“ არ ჰქონოდა. ქალს რომ გაათხოვებდნენ, მზითევში ატანდნენ ამ წიგნს და მზითვის სიაში უწერდნენ; ეხლა სანთლითაც ვერსად იპოვით“.

იმავე სხდომაზე გაიმართა მსჯელობა რედაქციის მუშაობის პრინციპებსა და მეთოდებზე. ილია ჭავჭავაძემ თავიდანვე საჭიროდ მიიჩნია „შრომის მოედნის შემოფარგვლა“. ეს აუცილებელი იყო, რადგან შეკრებილთა შორის აზრთა სხვადასხვაობა შეინიშნებოდა და მიზანი და ამოცანა ყველას ერთნაირად არ ესმოდა. მაგალითად, პეტრე უმიკაშვილი საჭიროდ ცნობდა წიგნს დართვოდა კომენტარები; გიორგი წერეთლის წინადადებით, „საქმეში მონაწილე პირები უნდა დაყოფილიყვნენ წრეებად და თითო წრეს ამოერჩია განსაკუთრებით მიზნად ზოგს გაუგებარის სიტყვების ლექსიკური განმარტება, ზოგს გაუგებარი ჰაზრის ახსნა, ზოგს ისტორიული თუ ზნეობითი ნაწილი პოემისა და სხვა“.

აზრთა გაცვლა-გამოცვლით კომისიის წევრები შეთანხმდნენ, რომ ხელნაწერთა შეკრების შემდეგ დაეწყოთ ტექსტის კითხვა; მაშინ უკეთ გამოჩნდებოდა, თუ რა იყო გასარკვევი და როგორ უნდა წარმართულიყო მუშაობა.

იმავე სხდომაზე რედაქციის თავმჯდომარედ აირჩიეს გრიგოლ ორბელიანი, თანაშემწეებად — რაფიელ ერისთავი და ილია ჭავჭავაძე, მაშინვე დაადგინეს მომავალი გამოცემის შედგენილობაც (წინასიტყვაობა, აღდგენილი ტექსტი, ლექსიკონი). „დროებაში“ გამოქვეყნებული ცნობით, „თავ. გრ. დიმ. ორბელიანმა, ი. ჭავჭავაძემ და დამსწრეთა უმრავლესმა პირმა გადაწყვიტეს, რომ უმჯობესი იქნება „ვეფხვისტყაოსანი“ გამოიცეს ისე, როგორც ეხლამდის გამოუციათ, ე. ი. ტექსტი იქნეს აღდგენილი და ამას სიტყვების განმარტება დაერთოს. ამასთან

წინასიტყვაობაც გაუკეთდეს, საცა იქნება მოყვანილი ცნობა რუსთაველზე და შენიშვნა „ვეფხვისტყაოსანზე“ (27. XI.1880, № 250).

სულ მალე (30. XI. 1880) გრიგოლ ორბელიანმა წერილობით მიმართა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა მფლობელებს და დახმარება სთხოვა. წერილის ტექსტი გამოქვეყნდა პრესაშიც: „ქართულის გაზეთით მოხსენებული გექნებათ, რომ არის სურვილი შეთანხმდეს დაბეჭდილი „ვეფხვისტყაოსანი“ სხვადასხვა ხელთნაწერ „ვეფხვისტყაოსნებთან“. ამისათვის მოწვეულნი არიან ქართულის მცოდნენი პირნი და აგრეთვე ყოველნივე, ვისაც ექნება ხელთნაწერი „ვეფხვისტყაოსანი“, ათხოვონ წიგნი ამ კეთილის საქმის მოსურნეთა.

მე თვით მივიღე მონაწილეობა ამ სასარგებლოს საქმეში და უმორჩილესად გთხოვთ, თუ გქონდესთ, ან თუ შოვნა შეგეძლოსთ, დროებით გამოგვიგზავნოთ... ხელთნაწერი „ვეფხვისტყაოსანი“. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ შემდეგ შესწორებისა თქვენი წიგნი უნაკლოთ მოგერთმევათ“ („დროება“, 17. XII. 1880, № 266).

გრიგოლ ორბელიანის წერილი ოცამდე პირს დაეგზავნა, ზოგს აღმოაჩნდა პოემის ხელნაწერი, ზოგს არა. რამდენიმემ ხელნაწერის თხოვებისაგან თავი შეიკავა, მაგრამ მხცოვანი პოეტის ავტორიტეტმა მაინც დადებითი შედეგი გამოიღო — კომისიის ხელთ ოცდაორმა ხელნაწერმა მოიყარა თავი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ თავის მხრივ რედაქციამ (ადრეც და შემდეგაც) არაერთგზის მიმართა „ყოველთა ქართული მწიგნობრობის მოყვარეთ“ და პოემის ხელნაწერების მიწოდება სთხოვა („დროება“, 1880, №№ 245, 271—273; 1881, №№ 1, 3, 5, 6...).

1881 წლის 6 თებერვალს შედგა კომისიის პირველი ოფიციალური სხდომა, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო (გ. ორბელიანი, ი. ჭავჭავაძე, ნ. დადიანი, რ. ერისთავი, ი. გოგებაშვილი, ი. მეუნარგია, ს. მესხი, ი. მაჩაბელი, პ. უმიკაშვილი, თ. ჟორდანია, ვ. მიქელაძე, ვ. თულაშვილი, ი. წინამძღვრიშვილი, ნ. ორბელიანი, ე. გაბაშვილი, ო. ჭავჭავაძე და სხვ.). თავმჯდომარეობდა გრიგოლ ორბელიანი (მომდევნო სხდომებს მორიგეობით უძღვებოდნენ რაფიელ ერისთავი, ნიკოლოზ დადიანი, დავით ერისთავი...).

როგორც აღვნიშნეთ, რედაქციის განკარგულებაში უკვე 22 ხელნაწერი იყო. მართალია, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის ზოგიერთი მფლობელი არ გამოეხმაურა გრიგოლ ორბელიანის თხოვნას და დროებითაც არ დათმო საკუთარი ნუსხა, მაგრამ კომისიამ ფარ-ხმალი არ დაჰყარა და ენერგიულად დაიწყო მუშაობა. ბუნებრივია, მას მომავა-

ლი წარმატების იმედს უნერგავდა ის გარემოება, რომ ხელთ ჰქონდა პოემის უძველესი თარიღიანი ხელნაწერი (1646 წ.), აგრეთვე 1671 წლისა და მომდევნო ხანის ნუსხები; იყენებდა წინა ექვსივე გამოცემას, იცნობდა „ვეფხისტყაოსანის“ გაგრძელებათა პუბლიკაციასაც („ივერია“, 1880, № 3, გვ. 3—35).

სხდომაზე კვლავ გაიმართა ბჭობა იმაზე, თუ როგორ ემუშავათ, რა პრინციპებით ეხელმძღვანელათ. გრიგოლ ორბელიანმა მუშაობის დაწყებამდე ჩამოაყალიბა თავისი თვალსაზრისი; „რადგანაც ვახტანგს, როგორც მეფეს, შეეძლო უკეთესი „ვეფხვისტყაოსნები“ ეშოვა და უკეთესი ვარიანტებიდამ დაებეჭდა პირველი გამოცემა პოემისა“, მან უპირატესობა „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეულ გამოცემას მიანიჭა და ახალი გამოცემის საფუძვლად მისი მიჩნევა მოითხოვა.

ილია ჭავჭავაძე არ დაეთანხმა თავმჯდომარეს: „პირდაპირ კითხვას შევუდგეთ და თვითონ კითხვა დაგვანახვებს, თუ რა ფასი რომელ გამოცემას ექნებაო“.

გიორგი იოსელიანმა კითხვის მიზნის დაკონკრეტება მოითხოვა: „სანამ კითხვას შევუდგებოდეთ, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რისთვის ვკითხულობთ ხელთნაწერებს, რა უნდა გვქონდეს ჩვენ მიზნად“. იონა მეუნარგიამ განმარტა, რომ საჭირო იყო ვარიანტების გათვალისწინება და მათ საფუძველზე ტექსტის შესწორება-დადგენა. განმარტების მოსმენის შემდეგ გიორგი იოსელიანმა ვარიანტების გამოქვეყნებაც მოითხოვა: შეთანხმდნენ, რომ ვარიანტები, აგრეთვე სიტყვების განმარტება დაებეჭდათ სქოლიოში ან წიგნის ბოლოს.

ილია ჭავჭავაძის რჩევით დაიწყეს ტექსტის კითხვა და ხელნაწერების ჩვენებათა საფუძველზე ამა თუ იმ ადგილის დაზუსტება-გასწორება. „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემის ტექსტს კითხულობდა რაფიელ ერისთავი (სხვა სხდომებზე მას ცვლიდნენ ი. ჭავჭავაძე, ნ. დადიანი, ი. მაჩაბელი...). შეკრებილნი თვალს ადევნებდნენ ჩამორიგებულ ხელნაწერებში შემონახულ ტექსტს, აღნუსხავდნენ ვარიანტებს, მსჯელობდნენ, დაეტოვებინათ თუ არა ესა თუ ის სიტყვა, როგორი დაწერილობა შეეწყნარებინათ და სხვ. საკამათო საკითხები „ესთეტიკურ გრძნობათა და ლოგიკური მოსაზრებების მიხედვით წყდებოდა“ (ი. ჯავახიშვილი).

თავდაპირველად დაზუსტდა სიტყვა „ვეფხვის“ დაწერილობა. რედაქციამ იგი, ხელნაწერთა მონაცემების საფუძველზე, „ვეფხით“ შეცვალა.

რუსთაველის პოემის სახელწოდება ადრინდელ გამოცემებში განსხ-

ვაევებული სახით იყო წარმოდგენილი. მართალია, ვახტანგისეულ გამოცემაში სათაურად „ვეფხის ტყაოსანი“ გვხვდება, მაგრამ მომდევნო გამოცემებში „ვეფხში“ ვინი დამკვიდრდა და პოემის სათაურმაც ასეთი სახე მიიღო: „ვეფხვისტყაოსანი“ (უფრო ზუსტად, „ვეფხვის-ტყაოსანი“). ასე რომ, ვახტანგის შემდეგ ახალმა კომისიამ პირველმა უარყო „ვეფხვში“ ვინი, შეიწყნარა „ვეფხი“ და პოემის სათაური ასე დაბეჭდა: „ვეფხისტყაოსანი“ (უფრო ზუსტად, „ვეფხის-ტყაოსანი“).

თავისთავად ის გარემოება, რომ რედაქციას არ ჰქონდა შემუშავებული სრული და კონკრეტული გეგმა, არ იყო დაზუსტებული პროგრამა, კამათს იწვევდა გამოცემის ტიპი და სხვ. ართულებდა მუშაობას, აფერხებდა მიზნის მიღწევას. სიძნელეს ქმნიდა ისიც, რომ ტექსტზე მუშაობაში არ მონაწილეობდა არც ერთი აღმოსავლეთმცოდნე, კომისიის წევრებს არ ჰქონდათ ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური მუშაობის გამოცდილება.

„ვეფხისტყაოსნის“ კომისიის მუშაობის სრული სურათი უცნობია. მოღწეულია „დროებაში“ დაბეჭდილი მოკლე ჩანაწერები (1881, №№ 31, 36, 42, 44, 48, 51, 54, 57, 60, 63, 65, 68, 71, 86), რომელთა მიხედვით რამდენადმე მაინც ხერხდება გათვალისწინება იმ მუშაობისა, რომელიც პოემის ტექსტის დადგენისა და გამოცემის მიზნით ჩატარდა.

„დროების“ ცნობებიდან ჩანს, რომ რედაქციის მუშაობაში გარდა ზემოდასახელებული პირებისა, სხვანიც მონაწილეობდნენ; კერძოდ, ზოგიერთ სხდომას დასწრებიან ვახტანგ ორბელიანი, ნიკო ნიკოლაძე, დავით ჩუბინაშვილი, ალექსანდრე ცაგარელი (ასე რომ, „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის მომზადებაში მონაწილეობდა ქართველთა მთელი კულტურულ-ინტელექტუალური აქტივი). კამათში ხშირად მონაწილეობდნენ, ცალკეული ადგილების გააზრებასა თუ სიტყვების დაწერილობაზე თავიანთ აზრს გამოთქვამდნენ გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დიმიტრი ყიფიანი, ივანე მაჩაბელი, რაფიელ ერისთავი, ნიკოლოზ დადიანი, პეტრე უმიკაშვილი და სხვ.

რადგან „დროებაში“ იბეჭდებოდა ცნობები კომისიის მუშაობის შესახებ, საზოგადოება საქმეში გარკვეული იყო, იცოდა, თუ რა პრინციპით ხდებოდა ტექსტის დაზუსტება. „დროება“ მკითხველებს აცნობდა ტექსტში შეტანილ ცვლილებებს, ერთხანს ვარიანტებსაც აწვდიდა. ამასთანავე, აუწყებდა, რომ რედაქციის გადაწყვეტილება არ იყო საბოლოო, შეიძლებოდა საზოგადოების მითითებათა საფუძველზე მას

აზრი შეეცვალა და პოემის „მოყვარულთა და მცოდნეთაგან“ მიღებული შენიშვნების მიხედვით ტექსტი სხვაგვარად დაებეჭდა. ამიტომაც მოუწოდებდა იგი თანამემამულეთ თანამშრომლობისა და თანადგომისაკენ.

როგორც ჩანს, „დროების“ პუბლიკაციები ყველა მკითხველმა სწორად ვერ გაიგო. პოემის ვარიანტების გაზეთში გამოქვეყნება ზოგმა რუსთაველის ტექსტის სწორებად მიიჩნია. გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით ერთ-ერთ სხდომაზე (3. IV. 1881) პეტრე უმიკაშვილმა მოითხოვა, რომ რედაქციას ამ საკითხზე თავისი აზრი გამოეთქვა პრესაში, კერძოდ, განემარტა საზოგადოებისათვის, რომ იგი თვითნებურად არაფერს ცვლიდა, არც ერთ ასოს არ ასწორებდა, მხოლოდ ხელნაწერთა ვარიანტებს უდარებდა ერთმანეთს და ამის საფუძველზე აზუსტებდა და ადგენდა ტექსტს. იონა მეუნარგიამ, რომელიც სისტემატურად წერდა ანგარიშებს „დროებისათვის“, განმარტა კომისიის მუშაობის არსი და ისიც განაცხადა, რომ ვარიანტებს გაზეთში აღარ გამოაქვეყნებდნენ და პოემის გამოცემაში შეიტანდნენ („დროება“, 28. IV. 1881, № 86).

რედაქციის სხდომები 1881 წლის თებერვალ-აპრილში რეგულარულად იმართებოდა; შემდეგ კარგა ხნით შეწყდა და განახლდა 6 ოქტომბერს, მუშაობა გაგრძელდა 1882 წელსაც. ტექსტის დადგენის საქმე წინ მიიწევდა, მაგრამ წიგნის გამოცემა დააგვიანა ერთმა სასიამოვნო გარემოებამ.

1881 წელს თბილისში ჩამოვიდა გამოჩენილი უნგრელი მხატვარი მიხაი ზიჩი, რომელიც იმხანად მ. ლერმონტოვის „დემონის“ დასურათებაზე მუშაობდა. იგი მალე გაეცნო და დაუახლოვდა ქართველ საზოგადოებრიობას, ხოლო რამდენადმე გვიან რუსთაველის პოემის გამოცემის სამზადისშიც ჩაერთო. იმ დროს თბილისში უკვე იდგმებოდა „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათები. ამან დააინტერესა სტუმარი, რომელმაც თავადაც დადგა არაერთი ცოცხალი სურათი, რითაც ქართველთა სიმპათია და სიყვარული დაიმსახურა. 1882 წელს მიხაი ზიჩი დაბრუნდა პეტერბურგში, თან წაიღო ცოცხალი სურათების დადგმის შთაბეჭდილება, პოემის გმირთა ესკიზები, თბილი მოგონება ქართველ ხალხზე.

იმ დროისათვის რუსთაველის პოემის ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობა დასასრულს უახლოვდებოდა. საჭირო იყო საბოლოო რედაქცია, წიგნის გაფორმებაზე ზრუნვა და გამოცემის ხელმძღვანელობა. ამიტომაც აურჩევიათ სამუშაო ჯგუფი—ახალი კომისია, „ბეჭდვის კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტეტი". ამის თაობაზე „დროება" წერდა: „როგორც ვიცით, „ვეფხისტყაოსნის" გამასწორებელმა კომისიამ შეასრულა მხოლოდ ერთი ნაწილი თავისი შრომისა, ნაწილი მცირე და მარტივი, ახლა ახალ კომისიას ვალად ედება უფრო ძნელი, რთული და დიდად საგონებელი საქმე. რაც პირველმა კომისიამ ვარიანტები აღნიშნა, ახლა ახალმა უნდა განიხილოს, უნდა არჩევანში შევიდეს და გამოარჩიოს ის ფრაზა, ის სიტყვა, რომელიც, მისი აზრით, უფრო ეკუთვნის რუსთაველის კალამს". ამ ახალ კომისიაში აურჩევიათ ილია ჭავჭავაძე, რაფიელ ერისთავი, დიმიტრი ბაქრაძე, იონა მეუნარგია, პეტრე უმიკაშვილი და ივანე მაჩაბელი.

კომისიამ გააჩაღა მუშაობა. იგი ხრუნავდა როგორც ტექსტის დადგენაზე, ისე წიგნის გაფორმებაზეც. საფიქრებელია, სწორედ მისი თხოვნით იკისრა მიხაი ზიჩიმ „ვეფხისტყაოსნის" დასურათება. მაგრამ უნგრელი მხატვარი არ ფლობდა ქართულ ენას, სათანადოდ არ იცნობდა პოემის ტექსტს. მან ითხოვა თარგმანი. „ბეჭდვის კომიტეტის" დავალებით „ვეფხისტყაოსნის" ფრანგული პროზაული თარგმანი (უფრო ზუსტად, გარდათქმა) გაამზადა იონა მეუნარგიამ. ამ თარგმანმა მაშინვე მიიპყრო ყურადღება: მას გამოეხმაურნენ უცხოელები (ავსტრიელი მწერალი არტურ გუნდაკარ ზუტნერი, ფრანგი ჟურნალისტი ჟიულ მურიე და სხვ.), ლექსი უძღვნა ვახტანგ ორბელიანმა („ნანგრევთა შუა ლამპარი", 1885), მთარგმნელი პატივით მოიხსენია ილია ჭავჭავაძემ: „რუსთაველი მზეა და მთვარე ი. მეუნარგია იქნება, რადგანაც ვითა მზის შუქით ჰნათობს მთვარე, ისე რუსთაველის შუქით იმნათობებს ი. მეუნარგიაც დღეის იქით ჩვენის ერის მოღვაწეთა შორის" („დროება", 2. XII. 1884, № 260).

1884 წლის დეკემბერში იონა მეუნარგიამ თავისი თარგმანი მიხაი ზიჩის გაუგზავნა პეტერბურგს და მალე იქ მყოფ ნიკო ნიკოლაძეს მხატვრის ნახვა და მასთან გასაუბრება სთხოვა: „როგორც ეს წიგნი მოგვიდეს, უთუოდ იმ დღესვე, ან მეორე დღეს მაინც, ზიჩისთან მიდი. ეს ხუთი დღეა გამიგზავნია მისთვის სურათები და თარგმანი და ცალკე წერილში მივწერეთ, ნ. ნიკოლაძე მოვა და თუ რამე საჭირო იქნეს, იმას უთხარით-თქო. შენ იცი, რასაც ეტყვი თარგმანზე: მე მაგინე, რამდენიც გინდა, მხოლოდ წიგნის დიდება არ დაუმცირო იმას, თორემ გულს აიყრის. უთხარი რომ ჯერ თარგმანს ბევრი შესწორება სჭირიათქო, მთარგმნელი აპირებს კიდევ ორი-სამი თვე ზედ იმუშაოს-თქო".

მიხაი ზიჩი ენერგიულად შეუდგა მუშაობას...

„ბეჭდვის კომიტეტმა“ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ტექსტ მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებას, ილუსტრირებას, არამედ საერთოდ წიგნის გაფორმებას. მან სამუშაოდ მიიწვია პირველი ქართველი გრავიორ-ქსილოგრაფი გრიგოლ ტატიშვილი, რომელმაც წიგნის სამკაულებად შეარჩია და გამოიყენა ძველი ქართული ტაძრების ჩუქურთმები, პოემის თითოეული გვერდი შეამკო ორნამენტული ჩარჩოებით.

ბუნებრივია, რუსთაველის პოემის ისეთი სახით გამოცემას, როგორც ტექსტის დამდგენ კომისიას ჰქონდა დაგეგმილი და გამიზნული, დიდძალი თანხა დასჭირდებოდა. საბედნიეროდ, გამოჩნდა შეძლებული დამფინანსებელი—გულუხვი მეცენატი, ცნობილი ქველმოქმედი გიორგი ქართველიშვილი, რომელიც წლების მანძილზე იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის წევრი და ხაზინადარი, დღენიადაგ ზრუნავდა ქართული პრესის განვითარებაზე, ქართული წიგნების გამოცემაზე, ძველი ეკლესია-მონასტრების აღდგენაზე, რუსეთს სასწავლებლად წასულ ქართველ სტუდენტებზე და ა. შ. ასეთი მოღვაწე არ შეიძლებოდა გვერდზე მდგარიყო და „ვეფხისტყაოსნის“ დადგენილ-დასურათებული ტექსტის გამოცემის საშვილიშვილო საქმეში თავისი წვლილი არ შეეტანა. მისი მორალური მხარდაჭერითა და მატერიალური დახმარებით არაერთი ეროვნულ-საზოგადოებრივი აქცია განხორციელდა. „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის გამოცემის დაფინანსებაც მას ხვდა წილად.

მოსე ჯანაშვილის სიტყვით, „იმ ხანებში გიორგი ქართველიშვილმა გამართა დიდი წვეულება და დაპატიჟა ტფილელი მწერლები. პურობას ჩამოვარდა ლაპარაკი შოთას შესახებ. ილიამ ბრძანა: „ბევრს თავი მოაქვს შოთას თხზულების ცოდნით, მაგრამ ვეჭვ, თუ ვისმე მათგანს წაეკითხოს თავიდან ბოლომდე და შეეძლოს მისი შინაარსის გადმოცემა“. ჩამოვარდა სიჩუმე. ყველა ერთმანეთის გადახედ-გადმოხედვაში იყო, რომ მასპინძელმა (გ. ქართველიშვილმა) თამადას (ილიას) მიმართა სიტყვებით: „ჩემმა ნათესავმა ჯანაშვილმა... გადმომცა საზოგადოების სურვილი, დაბეჭდოს „ვეფხისტყაოსანი“ დასურათებულად. მე მაშინვე გადავწყვიტე, გავიღო მაგისთვის ფული. ნუ დაიშურებთ ჩემს ქონებას, ოღონდ ღირსეულად გამოეცით ეგ მართლაც მარგალიტი ობოლი“.

გიორგი ქართველიშვილმა დიდი ვალდებულება აიღო. „დროება“ ამ ფაქტს და საერთოდ გამოცემის სამზადისის მიმდინარეობას ასე აცნობებდა მკითხველებს: „ბ. გ. დ. ქართველიშვილმა განიზრახა ჩვენის დიდებულის პოეტის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყოსნის“ ჩინებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცემა. წიგნი უნდა იყოს დიდის ფორმატისა, შშვენიერს ქაღალდზედ დაბეჭდილი, ძვირფას ინგლისურს ყდაში, სურათებითა და ავტორის პორტრეტით შემკული. ამ გამოცემისათვის თადარიგს კიდეც შესდგომიან. ტექსტი შესწორებული იქნება იმ ვარიანტებზე, რომელნიც „ვეფხისტყაოსნის“ კომისიამ ამოწერა. სურათების დახატვა უფასოდ უკისრია გამოჩენილს მხატვარს ზიჩის, როგორც ამას პეტერბურგიდამ ტელეგრამით გვაცნობებენ. ეს სურათები შემდეგ საზღვარს გარეთ ამოიჭრებიან. ამავე გამოცემისათვის შეუკვეთიათ აგრეთვე საგანგებოდ ასომთავრული ასოები მხატვრობით“ („დროება“, 1884, № 53).

„ვეფხისტყაოსნის“ მდიდრული გამოცემის მომზადება ყველამ არ მოიწონა. ზოგმა პრესაში გააკრიტიკა ეს ჩანაფიქრი. ერთმა თბილისელმა ჟურნალისტმა კი ასე „იხუმრა“: ქართველებს ერთი მდიდარი კაცი ჰყავთ და ისიც უნდათ ვეფხვის ტყავში გახვიონ (ე. ი. გაღარიბონო).

მიუხედავად ამისა, გიორგი ქართველიშვილმა უკან არ დაიხია, პირნათლად შეასრულა თავისი დაპირება და დიდძალი თანხა გაიღო.

სასტამბოდ გამზადებულ წიგნზე უკანასკნელად ივანე მაჩაბელი მუშაობდა, არსებითად მას ეკუთვნის „ვეფხისტყაოსნის“ საბოლოო რედაქცია. როგორც შემონახული მასალებიდან ჩანს, ივანე მაჩაბელს ძალზე შრომატევადი სამუშაოს შესრულება მოუხდა. ნათქვამის საილუსტრაციოდ დავიმოწმებთ ერთ ნაწყვეტს წერილიდან, რომელიც მან იონა მეუნარგიას გაუგზავნა: „შეგებრალები, რომ ნახო ჩემი სიტყვების სია: სად, რა, როგორ უნდა იწერებოდეს: შექმნა თუ შეჰქმნა, სდის თუ დის, სულთქმა თუ სულ-თქმა და სხვა ამისთანა დავიდარაბა“.

თანამოსაგრენი მხარში ედგნენ ივანე მაჩაბელს, ეხმარებოდნენ, ამხნევებდნენ. „რაც შეიძლება, ცდას ნუ დააკლებ, გამოცემას შენი სახელი ერქმევა“, — წერდა მას იონა მეუნარგია (27. VIII. 1887). ივანე მაჩაბელი ცდას მართლაც არ აკლებდა, თავდაუზოგავად შრომობდა, მუხლჩაუკეცავად იღვწოდა, მაგრამ, რასაკვირველია, არა მისი სახელის მოხსენიების, არამედ რუსთაველის პოემის ღირსეულად გამოცემისათვის.

დაინტერესებულ მკითხველებს ქართული პრესა დროდადრო კვლავ აცნობებდა სამუშაოთა მიმდინარეობასა და წიგნის გამოცემის მოახლოებას (იხ., მაგალითად, „ივერია“, 1886, № 93; 1887, №№ 61, 79, 151, 163....). აი ერთი ცნობა: „სურათებიანის „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვის საქმე ნელ-ნელა მიდის წინ. ახალი ასოები მალე მზად იქნება, ქაღალდი მზადაა, ტექსტი შესწორებულია და შემოწმებული, ასომთავრულები

ამოჭრილია, არშიაც გაკეთებული“ („ივერია“, 30. IV. 1886, №93). იმავე გაზეთმა 1887 წლის 12 სექტემბერს ამცნო მკითხველებს, რომ მიხაი ზიჩიმ დახატა სურათები და „უსასყიდლოდ მიუძღვნა „ვეფხვისტყაოსნის“ მბეჭვდელს კომიტეტს“.

მიხაი ზიჩის ილუსტრაციებზე საუბარს არ გავაგრძელებთ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მიხაი ზიჩიმ დიდი წვლილი შეიტანა „ვეფხისტყაოსნის“ დასურათების ისტორიაში და არსებითად ახალი ეტაპიც კი შექმნა. მისი ილუსტრაციები „დღესაც არ ჰკარგავენ ემოციური ზემოქმედების ძალას, დღესაც ერთ-ერთი საუკეთესოა“ (ლ. გუდიაშვილი).

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემა, რომელსაც ჩვეულებრივ ქართველიშვილისეულ გამოცემას უწოდებენ, 1888 წლის გაზაფხულზე გამოვიდა წიგნის ბაზარზე. მთელი ტირაჟი, 1270 ცალი, დაიბეჭდა თბილისში, ი. მარტიროსიანცის სტამბაში, ახლანდელ ვახტანგ ორბელიანის ქუჩაზე (№ 4—6). მისი მომზადების ისტორია მოკლედ იყო მიმოხილული და შეჯამებული ბოლოსიტყვაობაში („გამომცემელისაგან“), რომელშიც ვკითხულობთ: „პირველი აზრი სურათებიან „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვისა დაიბადა მაშინ, როდესაც ბ. იონა მეუნარგიას თაოსნობით შემდგარმა კომისიამ შეამოწმა ამ პოემის ტექსტი ძველ ვარიანტებთან. თუმცა ძველისძველი ეგზემპლარი არ აღმოჩნდა, — კომისიისაგან მოპოვებული უძველესი გადაწერილია 1646 წელს, — მაინც კომისიამ სხვადასხვა ხელნაწერების ერთმანეთთან შედარებით რამდენიმე ბნელი აზრი გამოარკვია, ძველებური მართლწერა შეძლებისამებრ აღადგინა და ზოგიერთი ხანა, რომელიც ძველ ვარიანტებში არ იყო და აზრის მიმდინარეობას უშლიდა, ტექსტს გამოაკლო.

სურათების დახატვა ამ წიგნისათვის იკისრა უსასყიდლოდ გამოჩენილმა მხატვარმა ზიჩიმ, რომელსაც ამ დავალებისათვის უსაზღვრო მადლობას ვუძღვნით. ზიჩის ხელით დახატულიდამ ფოტოცინკოგრაფიით ვენაში ანგერერმა გადაიღო, ხოლო ფერადებიანი სურათი გაკეთებულია პეტერბურგს ბრეზეს ქრომო-ლითოგრაფიაში.

არშიები, სათაური ასოები და საბოლოები შეადგინა გრიგოლ ტატიშვილმა და ამოსჭრეს პეტერბურგში ლემანმა და მეიმ. მხატვრობა ამ მორთულობისათვის გადმოღებულია ძველის მწერლობიდამ და საქართველოს ციხე-ეკლესიებიდამ, მხოლოდ ზოგიერთი ამ მხატვრობათაგანი უფრო დამთავრებული და დასრულებულია. თითქმის ყოველ მონასტერსა და ციხეს, — მცხეთას, უფლისციხეს, ბეთანიას, ქუთაისს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გელათს, საფარას, ჯაბენს, ახტალას, ფიტარეთს, სამთავისს, ატენს, — თავისი წილი უდევს ამ წიგნში, თავის კვალი აქვს აღბეჭდილი.

ბეჭდვის დროს ყურადღება თავს იდვა თ. ივანე გიორგის ძე მაჩაბელმა, რომელსაც ეკუთვნის ამ წიგნის უკანასკნელი რედაქციაც.

მარტის 20, 1888 წ.“

„ვეფხისტყაოსნის“ გ. ქართველიშვილისეულმა გამოცემამ დიდი მოწონება დაიმსახურა. სიამაყის გრძნობით წერდა „ივერია“: „ამისთანა ლამაზსა და კარგს სანახავს იშვიათად შეხვდება კაცი არამც თუ ჩვენში, არამედ რუსეთშიც კი. ეს წიგნი განძი იქნება ყოველი ქართველის ოჯახისათვის“ (1888, № 54).

მართლაც, მხატვრულ-პოლიგრაფიული თვალსაზრისით გამოცემა ჩინებულია. მისი გარეგნული ფორმა, მისი მორთულობა (ყდა, ილუსტრაციები, ქაღალდი, შრიფტი, დეკორაციული ჩარჩოები, თავსართ-ბოლოსართები...) მნახველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს და რუსთაველისა და მისი თხზულებისადმი მოწიწებითა და პატივისცემით აღავსებს არა მხოლოდ ქართველებს, არამედ უცხოელებსაც კი. არაა შემთხვევითი, რომ ამ გამოცემით ქართველები უცხოელთა წინაშე თავს იწონებდნენ. დავიმოწმებთ რამდენიმე ფაქტს.

1889 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის თხოვნითა და დავალებით „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემა სტოკჰოლმს წაიღო და აღმოსავლეთმცოდნეთა კონგრესის თავმჯდომარეს პოეტსა და მეცნიერს, შვეციისა და ნორვეგიის მეფეს ოსკარ მეორეს მიართვა ალექსანდრე ცაგარელმა. იმდროინდელი პრესის ცნობით, ქართულმა წიგნმა მაღალი შეფასება მიიღო. კერძოდ, „ივერიაში“ (22. IX. 1889, № 200) ვკითხულობთ: „სექტემბერში აღმოსავლეთის ქვეყნების მცოდნე მეცნიერთა კრება იყო შვეციის სამეუფო ქალაქში, სახელდობრ, სტოკჰოლმში, და კრების საპატიო თავმჯდომარედ თვით შვეციისა და ნორვეგიის მეფე ოსკარ II ბრძანდებოდა. ქართველთაგან ამ კრებას დაესწრო პროფესორი ა. ცაგარელი, რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტმა გაგზავნა თავის წარმომადგენლად, როგორც მცოდნე აღმოსავლეთის ქვეყნისა და მწერლობისა. ამ პროფესორის ხელით ჩვენმა „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ გაუგზავნა ძღვნად მეცნიერთა კრების გვირგვინოსან თავმჯდომარეს მდიდრულად დაბეჭდილი სურათებიანი „ვეფხისტყაოსანი“. ეს „ვეფხისტყაოსანი“ პროფესორ ა. ცაგარელს ჯერ სტოკჰოლმში შეჩერებულ ზოგიერთ მეცნიერთათვის უჩვენებია და იმათ ძლიერ მოსწონებიათ. ერთს იქაურ პროფესორს მეტად გაჰკვირვებოდა კიდეც, რომ ტფი-

ლისში ასე კარგად დაუბეჭდიათო ეგ წიგნი. მაგისთანა ყდას ჩვენ-სტოკჰოლმშიაც ვერ გააკეთებენო. მერე ა. ცაგარელს წიგნი მიუტ-მევია ოსკარ მეფისათვის. მეფესაც ძლიერ მოსწონებია და თითქმის მთელი ოცი წუთის განმავლობაში უსინჯავს. როცა გადაუთვალიერებია ამ წიგნის ა. ბორენის მიერ ფრანგულად დაწერილი შინაარსი, მეფეს უბრძანებია: „საკვირველია, სოლომონის „ქება ქებათასა“ ჰგავსო“. მეფეს დაუბარებია ა. ცაგარლისათვის: „გადაეცით ჩემი გულითადი მად-ლობა „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ამ მშვენიერისა და ძვირფასი ძღვენის მორთმევისათვის“.

კრების გათავების შემდეგ კონგრესის მდივანს... უთქვამს პრო-ფესორ ა. ცაგარლისათვის: „თქვენს „ვეფხისტყაოსანს“ იშვიათი პატ-ივი ხვდა წილადო. მეფემ ის წიგნი თავისი წიგნთსაკითხავისათვის მოინ-დომა და ეხლა მის კაბინეტშიაო“.

უნდა შევნიშნოთ, რომ მეფე ოსკარს მრავალი წიგნი მიართვეს კონგრესის წევრთ, მაგრამ მეფემ ბრძანა, რომ ის წიგნები გაუნაწილეთ უფსალისა და ქრისტიანიის უნივერსიტეტებსაო. მეფემ მხოლოდ რამ-დენიმე წიგნი

ოვა საკუთრად თავისთვის და აი იმ წიგნებს შორის მოჰყოლია ჩვენის უკვდავის პოეტის პოემაცა“ (იხ. აგრეთვე „თეატ-რი“, 26. IX. 1989, № 19—21, გვ. 5—6).

1900 წელს „ვეფხისტყაოსანი“ გაიგზავნა გერმანიაში, მაინცს, გუტენბერგის საიუბილეო დღესასწაულზე — წიგნის საერთაშორისო გამოფენაზე. თუ რა მოწონება ხვდა ქართულ წიგნს, ნათლად ჩანს იმ წერილიდან, რომელიც იქაურმა ქალაქის თავმა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობას გამოუგ-ზავნა: „თქვენ, თქვენის უმშვენიერესი საჩუქრით, მეტად ღირსეულად პატივი ეცით გუტენბერგის დღესასწაულს და გუტენბერგის მუზეუმს. მიიღეთ უმხურვალესი მადლობა თქვენი მშვენიერი საჩუქრისათვის, რომელიც სასახელოა ქართული სტამბისათვის და რომელიც თქვენი მაღალი ხელოვნების ნიშნად დარჩება სამუდამოდ გუტენბერგის ქა-ლაქში. ეს მშვენიერი ნაწარმოები ჯერ ჩვენ დიდ გამოფენას დაამშვე-ნებს, შემდეგ კი იგი შეიქმნება მშვენებად გუტენბერგის მუზეუმისა.

ერთხელ კიდევ გიძღვნით უგულითადეს მადლობას ქ. მაინცისა და მისი დიდებული შვილის მაგივრ.

უგულწრფელესი პატივისცემით მაინცის ქალაქის ბურგომისტრი დოქტორი ჰასნერი“ („ივერია“, 21. I. 1900, № 15; „ცნობის ფურცე-ლი“, 10. II. 1900, № 1040; „კვალი“, 1900, № 7, გვ. 104—105).

1909 წელს ჟენევის უნივერსიტეტის 300 წლისთავის საიუბილეო

ზეიმზე ქართველმა სტუდენტებმა რექტორს მიართვეს „ვეფხისტყაოსნის“ გ. ქართველიშვილისეული გამოცემა, რომელმაც ქება დაიმსახურა; უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ იგი სხვა ძვირფას საჩუქრებთან ერთად გამოფინა.

„ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის გამოცემა ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური თვალსაზრისით რამდენადმე წინ გადადგმული ნაბიჯია (გაიცხრილა ტექსტი, შენიშნულ და გასწორებულ იქნა ზოგიერთი ტექსტობრივი შეუსაბამობა, გაიმართა არაერთი ადგილი, დაზუსტდა მრავალი სიტყვის დაწერილობა, შეიცვალა სტროფული შედგენილობაც — მასში 1576 სტროფია), მაგრამ მისი მეცნიერული ღირებულება მაინცდამაინც დიდი არაა, იგი არსებითად არცაა პოემის მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით). გამომცემლებს კარგი ჩანაფიქრი ჰქონდათ, მაგრამ ყველაფრის განხორციელება ძნელი აღმოჩნდა (წიგნში არ დაბეჭდილა ვარიანტები, ლექსიკონი, კომენტარები. აღარას ვამბობთ ტექსტის სადავო საკითხებზე). მათ ცოდნა და გამოცდილება არ დაიშურეს, მაგრამ მიზნის სრულად მიღწევა გაუჭირდათ, ეს კი „ფილოლოგიის დარგში ჩვენი იმდროინდელი ჩამორჩენილობის გამომამჟღავნებელია“ (ი. ჯავახიშვილი).

მიუხედავად ამისა, „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის გამოცემის პოლიტიკურ-ეროვნული მნიშვნელობა ერთობ დიდია. რუსთაველის პოემა ძველთაგან გამორჩეული იყო თავისი იდეურ-აზრობრივი სიღრმითა და მხატვრული ელვარებით, ამიერიდან იგი გამოირჩა გარეგნული ფორმითაც, იქცა კიდევ უფრო მტკიცე „ბურჯად ჩვენის თავმოწონებისათვის, ქვეყნად ხმის ამოღებისათვის“ (ი. ჭავჭავაძე).

ახლახან გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ ძვირფასი საჩუქარი მოგვიძღვნა — განმეორებით დაბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ გ. ქართველიშვილისეული გამოცემა. ეს ამ გამოცემის მესვეურთა ნამუშაკევის მაღალი შეფასებაა, მათი ღვაწლის უკვდავყოფაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვწერ ვინმე მესხი მელექსე

ვწერ ვინმე მესხი მელექსე,
რაც კი მივლია მე გზები,
ჯერ ლექსი მწყავდა, მერე მზე,
ჯერ მზე და მერე ლექსები.

იყო ნაკვეთი შაირი,
როგორც ნასროლი ისარი,
ხან ბრძოლა ქუხილნაირი,
ხან რხევა სამაისარი,

ხან საკვნესარი დაირი,
ხან ჩანგი მოდაისარი;
ის არი სუნთქვა, ჰაერი.
მთელი სიცოცხლეც ის არი.

შმაგი, ვით ვეფხვი დაჭრილი,
მშობლიურ მთა და ველებზე
ვარ ოცნებისთვის გაჭრილი
მე, ვინმე მესხი მელექსე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ყაზბეგი

ალექსანდრე ყაზბეგის გამოჩენა ქართულ მწერლობაში წუთიერი გაელვება იყო, მაგრამ მისმა შემოქმედებამ წარუშლელი კვალი დატოვა ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ცამეტი წლის იყო ალექსანდრე, როცა დაწერა თავისი პირველი ლექსი „ნანა მიხეილ გიორგის ძე ყაზბეგზე". 1861 წელს ეს ლექსი ივანე კერესელიძემ დაბეჭდა ჟურნალ „ცისკარში".[1] დიდმა ხანმა განვლო მას შემდეგ. მომავალმა მწერალმა თბილისის გიმნაზია დაამთავრა, შემდეგ მოსკოვში წავიდა სწავლის გასაგრძელებლად. ერთ წერილში იგი იწერებოდა, რომ რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნებულს ზარითა და ზეიმით დახვდებოდა მისი ქვეყანა და ამაყად შემოვიდოდა საქართველოში. მაგრამ...

როდესაც ალექსანდრე ყაზბეგი სტეფანწმინდაში დაბრუნდა, მას უკვე მიღებული ჰქონდა ერთი გადაწყვეტილება, რომლის განხორციელებასაც სულ მალე შეუდგა; დედისა და ნათესავების ამბიციათა წინააღმდეგ, მან მეცხვარეობას მიჰყო ხელი, დედამისი — ელისაბედი, მეფე ერეკლეს შთამომავალი იყო და, ადვილი წარმოსადგენია, რა ელდა იქნებოდა მისთვის, როცა სანდრომ ნაბადი წამოისხა, ხელში კომბალი აიღო და უბრალო მოხევესავით ცხვარში წავიდა...

ალ. ყაზბეგი წერს: „...გადავწყვიტე მეცხვარეობა დამეწყო და ამ ხელობის შემწეობით მომევლო მთა და ბარი, გამეცნო ხალხი და გამომეცადა ის შიშით და სიამოვნებით სავსე ცხოვრება, რომელიც მწყემსს განუშორებლივ თან სდევს... მივაღწიე ჩემს მიზანს, დავუახლოვდი, გავიცან ისინი, ვისიც გაცნობა და დაახლოვება ისე გულით მსურდა (თუ როგორ — ჩემის ნაწერების მკითხველებზედ მივაგდებ)".[2]

ამის შემდეგ ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრება დრამატულად განვითარდა და ასევე დამთავრდა. ბევრი რამაა საერთო თვით მწერალსა და

---

[1] „ცისკარი", 1861 წ, № 12.

[2] ალ. ყ ა ზ ბ ე გ ი, თხზულებანი, 1985, გვ. 712.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის მიერ შესანიშნავად დახატულ პერსონაჟებს შორის. მისი გმირები მიისწრაფიან სიყვარულისა და თავისუფლებისაკენ, მაგრამ ვერ სწვდებიან მიზანს. ტრაგიკულია მათი ბედი.

ცხვარში ყოფნის რამდენიმე წელიწადი, როგორც ჩანს, იყო შეპირისპირება ჭაბუკობა-ახალგაზრდობაში გამომუშავებული იდეებისა იმ პრაქტიკულ ვითარებასა და საქმიანობასთან, რასაც იგი ხედავდა და ეცნობოდა მოხევეთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. მან დააგროვა უზარმაზარა მასალა, რომელიც, რომ დასცლოდა, მთელი ცხოვრების მანძილზე ეყოფოდა სამწერლო მოღვაწეობისათვის. მაგრამ, მცირე ხანში შექმნილი მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა დარჩა შესანიშნავ ძეგლად ქართულ ეროვნულ კულტურაში.

ალექსანდრე ყაზბეგმა ქართულ ლიტერატურაში განამტკიცა ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის პოზიციები, მან ისარგებლა თავისი მშობლიური კუთხის ტრადიციებით და ვაჟა-ფშაველასთან ერთად უჩვეულო ძალა შესძინა ქართულ ლიტერატურას. მის თხზულებებს ყოველთვის ჰყავდა მკითხველი.

ალექსანდრე ყაზბეგი ქართულ მწერლობაში შემოვიდა 1880 წლით დათარიღებული პატარა მოთხრობით — „ციცკა". იგი გაზეთ „დროებაში" დაიბეჭდა. ეს ნოველა, რომელიც ამ ჟანრის რჩეულ ნაწარმოებთა გვერდით შეიძლება დადგეს, მწერლის პირველი განაცხადი იყო.

ამის შემდეგ თითქმის ზედიზედ ქვეყნდება ყაზბეგის დიდტანიანი ნაწარმოებები.

1881 წელს „დროების" 23 ნომერში გრძელდებოდა „ელგუჯას" ბეჭდვა. ამ ნაწარმოებმა დიდი ყურადღება მიიქცია.

ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ალ. ყაზბეგის შემოქმედების ანალიზს, შეფასებას და მისთვის სათანადო ადგილის მიკუთვნებას ეროვნული კულტურის ისტორიაში.

1881 წელს „დროებაში" გამოქვეყნდა იონა მეუნარგიას „საუბარი", რომელიც საჯარო შეფასება იყო ალ. ყაზბეგის ბელეტრისტიკისა, რასაც არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა, არ ემოქმედა მწერალზე, მის მწერლურ პრესტიჟზე, მთლიანად მის განწყობილებაზე. კრიტიკოსი მღელვარებას განიცდიდა, როცა ხელი მოჰკიდა ქართული მხატვრული ლიტერატურის ახალი მოვლენის შეფასებას. ცხადია, არ შეიძლებოდა კრიტიკოსზე არ ემოქმედა ახალ სახელს, ახალ თემას და არ გამოეთქვა აღტაცება იმის გამო, რომ ქართულ ლიტერატურას შეემატა მშვენიერი პროზაული ნაწარმოები. ი. მეუნარგიამ, უწინარეს ყოველისა, აღნიშნა, რომ ალ. ყაზბეგი ახალი მოვლენაა ქართულ ლიტერა-



ალექსანდრე ყაზბეგი

ტურაში, იგი ნიჭიერი მწერალია, მისი ნაწარმოებები „ძვირფასი განძია ჩვენს ლიტერატურაში“. როგორც ნიჭიერ მწერალს, მას თავისი კანონები შემოაქვს ლიტერატურაში, იგი არ მიდის ნატკეპნი გზით, მის თხზულებაში არ არის ტრაფარეტები, ამასთან, პირველსავე მოზრდილ

ნაწარმოებში („ელგუჯა“) გამოჩნდა მისი დახელოვნებული თვალი, ნიჭი და ხელოვნება. მისი თემაა გაუხარელი სოფლის უბრალო ცხოვრება. „ისე ხელოვნურად ამუშავა ბატ. ყაზბეგმა თავისი კალამი, რომ იგი ბურღს დაამსგავსა, რომელმაც განაპო მთიელის მაგარი და სქელი კანი და დაგვანახვა ლბილი და ნორჩი მისი გული, ღრმად მგრძნობიარე და პატიოსანი“. ყოველივე ამის შემდეგ კრიტიკოსი აღფრთოვანებული ამბობდა: „დამეთანხმებით, რომ მოთხრობა „ელგუჯა“ მოვლენას შეადგენს ჩვენს მწერლობაშიო“.

ალ. ყაზბეგის ნაწარმოების პოზიტიური მხარე იმდენად ღრმად, დიდად და ვრცლად მიაჩნდა კრიტიკოსს, რომ უძნელდებოდა ზოგიერთი ნაკლის ხსენება, რომელთაც, როგორც ჩანს, იგი ამჩნევდა ნაწარმოებს. ამას ამართლებდა შემდეგი სიტყვებით: „რამე ღირსების მიმხედი, თვალს ვარიდებ ნაკლულოვანებას“... „ყოველისფერში, ყოველთვის და ყოველგვარ ჯერ ღირსების ძიება არის ჩემი დევიზი“... „არ შემიძლია არ ვსთქვა, რომ იმ პირობებში, რომელშიც ბატ. ყაზბეგი სწერდა თავის მოთხრობას, უნაკლულოდ წერა შეუძლებელია. დღეს ერთ ფელეტონს აქ დაწერდა და დააბეჭდინებდა, ხვალ გორში დასწერდა, ზეგ ქუთაისში, მაზეგ ფოთში და ბათუმში. არც გასწორება, არც მეორეჯერ გადაკითხვა და არც უკანასკნელი რედაქცია. ჩქარა ფელეტონი! — ეტყოდნენ რედაქციაში ავტორს და ფელეტონებიდან ნელ-ნელა ცხვა, ცხვა და გამოცხვა ჩინებული მოთხრობა“. ქართულ მწერლობაში დიდი ხანია არ გამოჩენილა ისეთი ნაწარმოები, რომელსაც ამდენი სიამის მიყენება შესძლებოდეს მკითხველისათვისო, — ასკვნის ი. მეუნარგია.

იონა მეუნარგიამ კარგად გამოხატა ქართველი მწერლის ყოფა და ცხოვრება. ალ. ყაზბეგის ბიოგრაფიის მცნობთ კარგად მოეხსენებათ ის პირობები, რომელშიც უხდებოდა ცხოვრება მწერალს, რომელმაც ქართველ მკითხველს ახალი სამყარო გაიაუშალა და ფასდაუდებელი განძით გაამდიდრა მშობლიური მწერლობა. ამასთან, მან რამდენიმე რჩევა მისცა მწერალს ნაწარმოების ხელმეორედ გამოცემასთან დაკავშირებით და საერთოდ მომავალი შემოქმედებითი პროცესის უკეთ წარმართვისათვის. მან ავტორს ურჩია მოთხრობის აღნაგობის შეცვლა. კრიტიკოსს სწორად არ მიაჩნდა ის, რომ „ელგუჯას“ ერთვოდა შესავალი ნაწილი, რომელსაც თხზულების შინაარსთან ორგანული კავშირი არ ჰქონდა. კრიტიკოსი დასასრულის შეცვლასაც ურჩევდა მწერალს. კრიტიკოსის აზრით, როგორც წინასიტყვაობა, ისე ეპილოგი და სიმონ ჩოფიკაშვილის გარდაცვალებისა და გლოვის ამბებიც, თავი-

სი ეთნოგრაფიულობით ნაწარმოების დინამიკას ანელებდა და მხატვრული მთლიანობის სახეს ამახინჯებდა.

მართლაც, ი. მეუნარგიას რჩევამ გასჭრა: მწერალმა პირველნაბეჭდის მითითებული ნაწილები შეცვალა და სხვა სახე მისცა.

1882 წელს ერთმანეთის მიყოლებით გამოქვეყნდა „ელბერტ“, „ელისო“, „მამის მკვლელი“ და „ნამწყემსარის მოგონებანი“.

ალ. ყაზბეგმა თავისი წვლილი შეიტანა ქართული თეატრის განვითარებაშიც. მას რამდენიმე ნაწარმოები ჰქონდა გასცენირებული და დაწერილიც. მათ შორის იყო დრამა „არსენა“, რომელიც 1882 წლის 1 იანვარს წარმოადგინეს.

პიესის დადგმას გამოეხმაურა გაზეთი „დროება“, რომლის რეცენზენტი (ხელმოუწერლად) აღტაცებული აცნობდა მკითხველთ პიესის შინაარსს და ავტორს მადლობას უხდიდა ნაწარმოებისათვის, ოღონდ ერთ რჩევასაც სთავაზობდა: მწერალი უნდა მორიდებოდა „მეტის-მეტად ჩქარ-ჩქარა მონოლოგებს (ე. ი. მონოლოგების სიხშირეს — ს. ხ.). პიესაში, რომელიც სცენაზე წარმოსადგენად არის დაწერილი, შეიძლება ორი-სამი მონოლოგი იყოსო“.

სხვადასხვაგვარად აფასებდნენ პიესას ჟურნალები: „იმედი“ და „ივერია“. პირველი მას დადებითად აფასებდა, მეორე კი აღნიშნავდა მრავალ ნაკლს. ავტორის პასუხი კრიტიკოსებისადმი დიდხანს ინახებოდა მის არქივში. მისი პიესის შეფასებებს მწერალი „აწეწილ ლაბირინტს“ უწოდებს, რომელშიც ძნელია რაიმე აზრი იპოვოს ადამიანმა და აღნიშნავს: „ამისათვის მე ვკისრულობ უეჭველად დავბეჭდო ეს პიესა და მით მივცე საშუალება თვითონ მკითხველს საზოგადოებას თვითონ, სხვის შეუწევრად, გაიცნონ და დააფასონ პიესა“.

1883 წელს „ნობათში“ დაიბეჭდა ალექსანდრე ყაზბეგის პატარა მოთხრობა „მტრედი“, რომელსაც გამოეხმაურა იაკობ გოგებაშვილი. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ამ საყმაწვილო მოთხრობას. იგი ასკვნიდა, რომ ალ. ყაზბეგს შეუძლია „ჩვენს საყმაწვილო ლიტერატურას არა ერთი მშვენიერი და თითქმის უნაკლო მოთხრობა შესძინოსო“, თუმცა შენიშნავდა, რომ „მოთხრობა, როგორც ეტყობა, ძალიან აჩქარებული, ხელდახელი ნაწარმოებია ავტორის კალმისაო“.

მწერლის მოღვაწეობის აქტიური ეტაპი დამთავრდა „ხევისბერი გოჩას“ (1884) და „მოძღვრის“ (1885) გამოქვეყნებით.

1885 წელს ი. მეუნარგიამ „ივერიაში“ დაბეჭდა წერილი „მოძღვრის“ გამო. მაგრამ მასზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია „ელგუჯას“, რომ ვერ დაინახა მწერლის წინსვლა და აღინიშნავდა: „არ

იქნა, ვერ დაუწინაურდა „ელგუჯას“ ბატ. მოჩხუბარიძე, ვერა, ვერა“. „სრული თავის ნიჭი, მთელი თავის ხელოვნება ავტორმა ჯერ მარტო „ელგუჯაში“ გამოაჩინა“, „ეს მოთხრობა პირველი ნაბიჯი იყო მისთვის, მაგრამ, რომ იტყვიან „ლომის ნახტომიო“, სწორედ ის იყო“.

ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებთა გამოცემა ოთხ ტომად მწერლის სიცოცხლეშივე დაიწყო „ქართული წიგნის გამომცემელთა ამხანაგობამ“. 1891 წელს ყაზბეგის თხზულებების პირველი ტომი თედო საბოკიას მიუტანია ავტორისათვის საავადმყოფოში, მაგრამ მწერლის ჯანმრთელობა იმდენად იყო შერყეული, რომ ვეღარ იგრძნო ავტორისეული სიამაყე და სიხარული. სიტყვაც არ უთქვამს, ისე უნიშნებია ხელით, ექიმსაც მიუტანეთ წიგნიო.

ალ. ყაზბეგის შემოქმედების ეს პირველი, ოთხტომიანი გამოცემა მნიშვნელოვანი კულტურულ-ლიტერატურული ფაქტი იყო მაშინ. ალ. ყაზბეგის თხზულებებს ამშვენებდა მხოლოდ ავტორის პორტრეტი, არც სარედაქციო წერილი, არც მწერლის ცხოვრების აღწერა თუ შემოქმედების შეფასება, არც რაიმე ბიბლიოგრაფიული ცნობა არ დაბეჭდილა.

ამ გამოცემასთან დაკავშირებით 1891 წლის 13 იქტომბერს გაზეთმა „ივერიამ“ გამოაქვეყნა ალ. ხახანაშვილის წერილი, რომელშიც იგი ყაზბეგს ზნეობრივი სიწმინდის, პატიოსნების, კაცური კაცობის დამცველს უწოდებს, ხაზს უსვამს მის თხზულებათა დიდ აღმზრდელობით ღირებულებას. აღნიშნავს, რომ ისინი აკეთილშობილებენ ადამიანს, თვალს უხელენ ავსა და კარგზე.

საყურადღებო წერილი მიუძღვნა მწერლის შემოქმედებას გიორგი ზდანევიჩმა (მაიაშვილმა) გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ (1982, № 2767-8). ალ. ყაზბეგი მას მიაჩნდა შესანიშნავი ნიჭის მწერლად. იგი მას ხალხოსანს უწოდებდა, ხოლო მის თხზულებებს — სახალხოს. აღნიშნავდა, რომ ავტორი გამორჩეული ტალანტით აღწერს თავის გმირთა სახეებს, მათ სულის მოძრაობას, უბრალო ადამიანთა ცხოვრების ყველა წვრილმანს.

შემდეგი მნიშვნელოვანი გამოცემა 1904—1905 წლებში განხორციელდა ერთ ტომად, იგი 1200 გვერდს აღემატებოდა. ამ გამოცემას დავით კარიჭაშვილმა დაურთო მწერლის ვრცელი ბიოგრაფია. იმავე წელს ჟურნალ „მოამბეში“ გამოქვეყნდა გიორგი ნათაძის სტატია „ალექსანდრე ყაზბეგი“. ავტორმა, გარდა იმისა, რომ მიმოიხილა მწერლის შემოქმედება, მკითხველს მიაწოდა სტეფანწმინდაში შეკრებილი ახალი ცნობები მწერლის ცხოვრებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით ბევრი დაიწერა მწერლის ცხოვრების ტრაგიკულად დამთავრებასთან დაკავშირებით. ძმებმა რაზიკაშვილებმა ლექსებით დაიტირეს იგი. საერთო გლოვაში გამოირჩეოდა აკაკი წერეთლის ლექსი — „აჰა, საწლვარი სიკვდილ-სიცოცხლის...“ ასევე მნიშვნელოვანი იყო დავით მიქელაძის წერილი „ივერიაში“, სადაც ხაზგასმული იყო მწერლის პატრიოტიზმი.

არტემ ახნაზაროვი („ფარნაოზი“), გრიგოლ გველესიანი, გრიგოლ აბაშიძე, ალექსანდრე ნანეიშვილი, გრიგოლ ყიფშიძე, კიტა აბაშიძე, გიორგი ნათაძე, გიორგი თუმანიშვილი განიხილავდნენ ალ. ყაზბეგის ცხოვრებასა და შემოქმედებას, მის მოღვაწეობას ქართულ პრესასა და თეატრში. ქვეყნდებოდა მოგონებები მწერალზე. ყოველივე ეს ხელს უწყობდა მისი შემოქმედების პოპულარიზაციას.

1910 წელს გრ. ჩარკვიანმა გამოსცა პატარა წიგნი — „ალ. ყაზბეგის დაუბეჭდავი ლექსები“. წინასიტყვაობაში იგი გვაუწყებს:

„ეს ლექსები მე ალ. ყაზბეგმა 1889 წელს გადმომცა. იმ დროს მე მქონდა წიგნის მაღაზია სემინარიის პირდაპირ (ახლა პუშკინის ქუჩა — ს. ხ.). მთხოვა, რომ გამომეცა. მაგრამ დროთა ვითარების გამო ვერ გამოვეცი. და რადგან არ გვინდა, რომ დაიკარგოს და უსარგებლოდ ჩაიაროს მის შრომამ, ამისთვის განვიზრახეთ და გამოვეცით ცალკე წიგნათ. სხვათა შორის, განსვენებულს ვეღარ უჭრიდა თვალთ და მის ნაკარნახევით დამაწერინა „ანდერძი“.

ამ პატარა კრებულში შეტანილია ოცდასამი ლექსი, როგორც ჩანს, თვითონ ავტორის მიერ შერჩეული. მის ყდაზე დაბეჭდილია ცნობილი სურათი — ალექსანდრე ყაზბეგი თოფით ხელში, ხოლო სატიტულო ფურცელზე — მწერლის გავრცელებული პორტრეტი.

ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებთა მეცნიერული გამოცემა მხოლოდ 1924 წელს განხორციელდა. „სახელგამმა“ ალ. აბაშელის რედაქციით გამოსცა მწერლის ორტომეული. მას ერთვოდა შენიშვნები და თხზულებათა ვარიანტები. მაგრამ რედაქციას მწერლის ავტოგრაფებზე არ უმუშავია. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნსაცავში არ აღმოჩნდა არც ერთი მისი მოთხრობის დასრულებული ხელნაწერი. ამიტომ რედაქციამ დასაბეჭდი ტექსტი შეუდარა 90-იანი წლებისა და 1905 წლის გამოცემებს.

„მოთხრობათა პირვანდელ ტექსტთან შედარებამ აღმოაჩინა მრავალი შეცდომა, რომელიც შეპარულა გადმოწერის დროს ძველს გამოცემებში. ჩვენ ეს შეცდომები ყველგან გავასწორეთ“, — წერს ალ. აბაშელი რედაქციის განცხადებაში.

ალ. აბაშელი საინტერესო ცნობას გვაწვდის „ულგუჯას“ გამოცემის თაობაზე. დიდი ხანია ცნობილია, რომ „ელგუჯას“ გამოცემა გაზეთის პუბლიკაციის შემდეგ ცალკე წიგნად განხორციელდა, მაგრამ ეს გამოცემა ცენზურამ დაწვა იმიტომ, რომ ნაწარმოების ტექსტი განსხვავდებოდა ერთხელ ნებადართული ტექსტისაგან, რომელიც „დროებაში“ დაიბეჭდა. საგაზეთო ტექსტი, რასაკვირველია, ცენზურაში იყო გატარებული და ამიტომაც აკლდა ბევრი რამ. ავტორმა აღადგინა ცენზურისაგან ამოღებული ნაწილები, მაგრამ მკითხველამდე აღდგენილი ტექსტი მაინც ვერ მივიდა. ალ. აბაშელმა 1924 წლის გამოცემაში გაასწორა 1904 წლის გამოცემის ერთი შეცდომა: გაზეთ „დროებიდან“ ამოწერილი „ელგუჯას“ ტექსტს ჰკლებია გაზეთის ერთი ფელეტონის მასალა, რომელიც გამორჩენოდა თხზულების გადმომწერს. ალ. აბაშელმა ეს ხარვეზი ამოავსო. ამასთან, რედაქტორს მოტანილი აქვს რაძდენიმე მაკალითი ცენზურის „ვარჯიშობისა“ ალ. ყაზბეგის ნაწერებზე.

წიგნს ერთვის ივანე გომართელის წერილი „ალექსანდრე ყაზბეგი და მისი ძიება“.

აქვეა დაბეჭდილი ვახტანგ კოტეტიშვილის „ალექსანდრე ყაზბეგი. პიროვნული დახასიათება“, სადაც მკვლევარი მწერლის ბიოგრაფიაზე დაყრდნობით აშუქებს მის ხასიათს, ბუნებას, შემოქმედებას, განმარტავს ალ. ყაზბეგის სიტყვებს: „...ჩემთა საერთო საკვნესავი უცხოდ ვერ დარჩება ჩემთვისაც და ჩემი არსება გადაბმულია ჩემის ქვეყნის არსებასთან უხილავის ძალით“, და მსჯელობს იმაზე, თუ რა იყო საერთო საკვნესარი, როგორ აღელვებდა მწერალს საერთო ვითარება.

იგი ალ. ყაზბეგის ცხოვრების, საქმიანობისა და შემოქმედების პერიპეტიებს იხილავს და ასახელებს ერთურთის გამომრიცხავ საქციელს, განწყობილებას, მოქმედებას და წერილს ასე ამთავრებს: „ასე იცხოვრა და შემოქმედების ცეცხლით დაიფერფლა ადამიანი, რომელსაც სულ რომ არაფერი დაეწერა, მხოლოდ ბიოგრაფია შეინახავდა მკაცრი ისტორიის ხსოვნაში. ხოლო რაც დაწერა, ეს იყო და არის ქართული გზნების, ფანტასტიკის და ტკივილების დაუშრეტელი აუზი. ეროვნული რომანტიკა, გმირობის აპოლოგია და ადამიანურის, ნამდვილი ადამიანურის დაკარგვის გამო აგოდებული სული — ეს არის მოცემული ამ საზღვრებ გადალახულ შემოქმედებით, რომელიც გვიტაცებს და გვაოცებს კიდეც“ (გვ. XXXVIII).

1924-25 წლებში ჩატარდა ცხარე, ზოგჯერ ნორმებს გადაცილებული, პოლემიკა ალექსანდრე ყაზბეგის ავტორობის თაობაზე, რაც მოჰყ-

ვა ელისაბედ ყაზბეგის — დიმიტრი ყაზბეგის დის, ალექსანდრეს ბიძაშვილის — ჩანაწერების გამოქვეყნებას ჟურნალ „მნათობში“ 1924-1925 წლებში, სათაურით „დიმიტრი ყაზბეგის და ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფიის მასალები“[3].

ოცდაათიან წლებში ალ. ყაზბეგის შემოქმედების შესწავლისა და მისი თხზულებების აკადემიურ გამოცემას შეუდგა ვახტანგ კოტეტიშვილი. მას განზრახული ჰქონდა ალექსანდრე ყაზბეგის ლიტერატურული მემკვიდრეობა გამოეცა ათ ტომად. თითოეული ტომი უნდა შედგენილიყო სამი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში დაიბეჭდებოდა ცნობილი ტექსტები, მეორეში — მისი ვარიანტები და მესამეში — დაუმთავრებელი ნაწარმოებები. ყველა ტომს უნდა დართვოდა რედაქტორის შენიშვნები და სათანადო აპარატი. ხუთი ტომი დაეთმობოდა პროზას, ერთი — ლირიკას, ორი — დრამატულ თხზულებას, ერთი — მხატვრულ და მეცნიერულ წერილებს და ერთიც ეპისტოლურ მასალას.

პირველი ტომი 1934 წელს გამოსცა „ფედერაციამ“. წიგნს ერთვის ვახტანგ კოტეტიშვილის მოკლე წინასიტყვაობა, სადაც იგი წერს, რომ ალ. ყაზბეგის შემოქმედებაში არის ე. წ. „საპარადო“ ნაწილი, ანუ საქვეყნოდ ცნობილი ნაწარმოებნი მწერლისა და არის უდიდესი მნიშვნელობის მქონე საარქივო ნაწილი, რომელსაც აქამდე მკვლევრის ხელი არ მიჰკარებია, თუმცა მისი გათვალისწინების გარეშე „სრულიად გაუგებარი დარჩება ალ. ყაზბეგის შემოქმედების რთული გზა, ყრმობის პირველი წლებიდან შეშლილის ქსენონამდე“. „ჰკითხულობთ ამ „უთავბოლო“ ნაწერებს (გულისხმობდა მწერლის არქივს — ს. ხ.), ნაწყვეტ ფურცლებს, რვეულებს. ზოგს პირველ გვერდზევე შეწყვეტილთ, ერთი და იმავე ნაწარმოების რამოდენიმე ვარიანტს, ლექსებს, საპოლემიკო ხასიათის წერილებს, დიდ ავტორთა ნათქვამების ამონაწერებს შენიშვნებით, რითმების ლექსიკონს... და ბევრგან პირდაპირ გაოცებთ, თუ რამდენი უფიქრია ჩვენს მწერალს ლიტერატურის საკითხთა შესახებ, რამდენი უმუშავია მოთხრობის თუ ლექსის აგებულებაზე, ვიდრე დაიუფლებდა თემისა და მასალის მხატვრულად შერწყმის „საიდუმლოებას“.

რედაქტორს უნდოდა ეჩვენებინა მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორია. ის რაც არ ჩანს მხატვრულ ნაწარმოებში და ურომლისოდაც მხატვრული ნაწარმოები ვერ შეიქმნება, სურდა ნათელი მოეფინა ყველა იმ გზისა და საშუალებისათვის, რომლითაც იარა ალ. ყაზბეგ-

[3] „მნათობი“, 1924 წ. №№ 5, 7-8, 1925 წ., №№ 1, 3, 4, 8-9, 10, 11, 12; 1926 წ., № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა როგორც მწერალმა, რათა წარმოეჩინა ის შემოქმედებითი ტორტმანი, ძიება და წყვეტება, რომელიც ყველა დიდ შემოქმედს ახასიათებს და რომელიც მკაფიოდ აღნიშნავს მხატვრის სულის მისწრაფების გზებს.

ვახტანგ კოტეტიშვილი ფიქრობდა, რომ მწერლის შემოქმედებითი და საზოგადოებრივი პორტრეტის დასახატავად და დასადგენად აუცილებელია როგორც დამთავრებული, ისე დაუმთავრებელი ნაწარმოებების, ფრაგმენტების, ბიოგრაფიული და სხვა მასალის გამოცემა მწერლის არქივიდან. მას მიაჩნდა, რომ ალ. ყაზბეგის ნაწერები იყო „ხელნაწერთა ქაოსი", აღსავსე მნიშვნელოვანი საბუთებით, მაჩვენებელი დიდი შემოქმედებითი მაჯისცემის, ნამდვილი „არტისტის" ატეხილობისა.

აქვე ვ. კოტეტიშვილს მოცემული აქვს ისტორია „ელგუჯას" 1884 წლის გამოცემისა, რომელიც მწერალმა პირველ ნაბეჭდის შემდეგ გამოსცა იმ სახით, როგორითაც დაწერილი ჰქონდა, ე. ი. ცენზურისაგან ნაჯიჯგნი ტექსტის აღდგენილი რედაქცია, რომელიც იმავე ცენზურის განკარგულებით დაიწვა და მხოლოდ ერთი ეგზემპლარი დადარჩა, რომლიდანაც ვ. კოტეტიშვილმა „ელგუჯა" შეიტანა თავისი გამოცემის პირველ ტომში. რედაქტორი წერდა, რომ „ახალ „ელგუჯას" არა აქვს არც შესავალი და არც ეპილოგი. როგორც ჩანს, ეს პროლოგ-ეპილოგი საცენზურო „მსხვერპლი" ყოფილა, რადგან 1881 წლის „დროებაში" დაბეჭდილ „ელგუჯას" აქვს ეს ნაწილები და შემდეგაც გამოპკვა. არა აქვს მხოლოდ ჩვენ მიერ ნაპოვნ ვარიანტს, რომელიც ცენზურის გარეშე დაიბეჭდა. აქ, სხვათა შორის, საგულისხმო არის ალ. ყაზბეგის სიმედგრე და საბრძოლო განწყობილება, რომ ცენზურის მიერ წამოყენებული მოთხოვნილება და აკრძალვა ჯიუტად გადალახა"[4].

ათტომეულის პირველ ტომს უნდა დართოდა სიმონ ხუნდაძის მიერ დაწერილი მწერლის ვრცელი ბიოგრაფია. მაგრამ სიმონ ხუნდაძე 1933 წელს გარდაიცვალა.

ვახტანგ კოტეტიშვილმა მწერლის ბიოგრაფიის დაწერა გადადო ბოლო ტომისათვის. მაგრამ, აღარც ვახტანგ კოტეტიშვილს ღირსებულა ჩანაფიქრის განხორციელება.

პირველ ტომში ვ. კოტეტიშვილმა შეიტანა მის მიერ ნაპოვნი „ელგუჯას" ტექსტი, „ციკო" და „თავის მახეში". ვარიანტებში შეიტანა ერთსხვავებანი „დროებაში" (1881) დაბეჭდილ „ელგუჯას" და 1884 წლის სექტემბერში გამოცემულ ტექსტს შორის, დაბეჭდა აგრეთვე ამ ნაწარ-

---

[4] წინასიტყვაობა, გვ. XII.

მოების XX, XXII, XXIII და XXIV თავები იმ სახით, როგორც დაიბეჭდა „დროებაში“ იმის საჩვენებლად, თუ რა დიდი ტექსტუალური განსხვავებაა მის მიერ ნაპოვნ „ელგუჯას“ შესატყვის თავებს შორის. დაბეჭდილია ნაწარმოებების „ციკო“ და „თავის მახეში“ ვარიანტული სხვაობანიც.

„შენიშვნებში“ რედაქტორი ბევრ რამეს გვპირდებოდა შემდეგ ტომთა გამოცემასთან დაკავშირებით, მაგრამ, სამწუხაროა, რომ ეს გამოცემა პირველსავე ტომზე შეწყდა!

ალ. ყაზბეგის თხზულებათა გამოცემა განხორციელდა 1946-1947 წლებში გერონტი ქიქოძის შესავალი წერილით, 1955 წელს — ორ ტომად სოლომონ ყუბანეიშვილის შენიშვნებით, აგრეთვე 1962 და 1968 წლებში, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მისი დაბადების 100 წლისთავზე განხორციელებული ოთხტომიანი, ფაქტიურად ხუთტომიანი გამოცემა, რომელიც „საბჭოთა მწერალმა“ განახორციელა 1948-50 წლებში „ქართული კლასიკური მწერლობის“ გრიფით. სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ: ალექსანდრე აბაშელი, ალექსანდრე გომიაშვილი, შალვა რადიანი, სიმონ ჩიქოვანი (პასუხისმგებელი რედაქტორი) და გიორგი ჯიბლაძე. ტომს წინ უძღოდა წერილი „რედაქტორისაგან“. ეს გამოცემა ვახტანგ კოტეტიშვილის ჩანაფიქრის რეალიზაციაა. სარედაქციო კოლეგია, მწერლის მხატვრულ თხზულებათა ავტოგრაფების უქონლობის გამო, დაეყრდნო ავტორის სიცოცხლეში გამოცემულ ტექსტებს. ალ. ყაზბეგის თხზულებების ტექსტებს სარედაქციო კოლეგიამ „მის განკარგულებაში არსებული მასალების მიხედვით, რამდენადაც შესაძლებელი იყო, პირვანდელი სახე დაუბრუნა და ალ. ყაზბეგის სტილის თავისებურება აღადგინა“. ეტყობა, ტექსტებს სერიოზული ოპერაცია განუცდია, მით უფრო, რომ რედაქციას უცდია „უფრო მკაფიოდ გამომჟღავნება ალ. ყაზბეგის ნაწერების იდეური მხარისა, რომელიც ძველი რედაქტორების მიერ ზოგიერთ პასაჟში გაბუნდოვანებული იყო“[5].

თხზულებათა ვარიანტები დამუშავებულია სოლომონ ყუბანეიშვილის მიერ, რაშიც უშუალო მონაწილეობა მიუღიათ გერონტი ქიქოძესა და შოთა ძიძიგურს. მწერლის თხზულებების ლექსიკონი შეადგინა შ. ძიძიგურმა, შენიშვნების ავტორია ს. ყუბანეიშვილი. სარედაქციო კოლეგიას გადაწყვეტილი ჰქონდა თხზულებების ოთხ ტომად გამოცემა. აქ უნდა შესულიყო რომანები, მოთხრობები, დრამატული თხზულე-

---

[5] რედაქციისაგან, გვ. IX.

ბანი, ლექსები, ლიტერატურული წერილები და ეპისტოლური მემკვიდ-
რეობა, მაგრამ 1950 წელს გამოცემულ მეოთხე ტომს უკვე ეწერა, რომ
გამოცემა იქნებოდა ხუთტომიანი, რომ „სიძველეთასაცავებში და კერ-
ძო პირთა ხელში ალექსანდრე ყაზბეგის დღემდე უცნობი ნაწერების
აღმოჩენის გამო, მწერლის თხზულებათა გამოცემის გეგმა ერთი ტო-
მით გაიზარდა. ამიტომ, ოთხი ტომის ნაცვლად, ალექსანდრე ყაზბეგის
თხზულებანი ხუთ ტომად გამოდის“.

მეხუთე ტომი მიეძღვნა „ავტობიოგრაფიულ ცნობებს“, კერძო მი-
მოწერას, „ჩანაწერებს“, პირველ, მეორე და მეოთხე ტომთა მასალის
ვარიანტებსა და შენიშვნებს.

მწერლის ცალკეული თხზულებებისა და მოთხრობათა შემდეგი
პუბლიკაციები ხორციელდება 1948—1950 წლებში გამოცემული ხუთ-
ტომეულის საფუძველზე, რომელსაც ვახტანგ კოტეტიშვილმა შეუქმ-
ნა ნიადაგი თავის მიერ გამოცემული პირველი ტომით.

ალ. ყაზბეგის ლიტერატურული მემკვიდრეობა დიდი განძია ქართ-
ველთათვის, რაც მაშინვე შეიგრძნო და შეაფასა კიდეც მხცოვანმა
პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა, როცა ალ. ყაზბეგს „ქართველთა ომი-
როს“ უწოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანჯული ქვეყნის შვილი

XIX საუკუნის ქართულმა მწერლობამ ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედების სახით აღმოაჩინა ხევი. თითქმის იმავდროულად, ერთიანი სამშობლოს განცდას, ქართველთა შემეცნებაში ვაჟა-ფშაველამ ფშავ-ხევსურეთი შემატა. მანამდე ბარის საქართველო არც თუ ისე კარგად იცნობდა მთაში მოსახლე თვისტომთა ბუნებასა და ხასიათს, მათს ყოფასა და ზნე-ჩვეულებებს, თითქმის არაფერი იცოდა იქაურ ფოლკლორზე, მითოლოგიაზე, რწმენა-წარმოდგენებზე.

ეს შენამატი უდიდესი განძი იყო ილია ჭავჭავაძის ეროვნული მთლიანობის იდეოლოგიისათვის, თუმცა ამ შენამატის ჭეშმარიტი მნიშვნელობა, შესაძლოა, მაშინ მხოლოდ რამდენიმე კაცს თუ ჰქონდა გაცნობიერებული.

ფშავ-ხევსურეთისაგან განსხვავებით, ხევში თითქოს ახალი და უჩვეულო რა უნდა ყოფილიყო? XIX საუკუნის დასაწყისიდან ეს კუთხე საქვეყნო შარაზე გამოდებული პროვინცია იყო. სამხედრო გზის გასწვრივ საფოსტო სადგურები, ყაზარმები და საგუშაგოები იყო ჩამწკრივებული, ხევის ადგილობრივი მოსახლეობაც თითქოს უდრტვინველად შეჰყურებდა სიმაგრეთა ამ მტკიცე ჯაჭვს, რომლის გავლითაც ახალი, კავკასიური კოლონიებისკენ ეტლების ამაყი გრიალით მიჰქროდნენ რუსეთის დიდმოხელენი, მწყობრი ნაბიჯით მიემართებოდნენ ჯარისკაცთა რაზმები, ხანდახან მოგზაურობის რომანტიკით გატაცებული ვინმე არისტოკრატი, პოეტი ან მხატვარიც მოადგებოდა დარიალის კარს. ერთი ასეთი სტუმარი 1829 წელს ეწვია „მთიელთა მმართველის“ გაბრიელ ყაზბეგის რეზიდენციას სტეფანწმინდაში და საინტერესო შეხვედრა ჰქონდა მის ახალგაზრდა შვილთან მიხეილთან, ალექსანდრე ყაზბეგის მამასთან. სავარაუდოა, რომ ჩრდილოელი სტუმრის სახელი — ალექსანდრე პუშკინი ბევრისმთქმელი იყო განათლებული მოხევეებისათვის.

ალექსანდრე ყაზბეგმა შეძლო თავისი პატარა კუთხის გადარჩენა,

ვაჟა-ფშაველა და ალექსანდრე ყაზბეგი

სანამ მას სამუდამოდ დაფარავდა რუსეთ-კავკასიის კოლონიური გზის მტვერი. ყაზბეგის გმირებმა ახალი ენერგია შემატეს თვითმპყრობელობის კოლონიური უღლის სიმძიმით შეძრწუნებულ ქართულ სულს.

ელგუჯა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს შინაგანი ძალების განსახიერებაა, რომელთაც კიდევ შეეძლოთ წინ აღდგომოდნენ ათასგვარ სოციალურ და ეროვნულ უკუღმართობას, მპყრობელსა და მჩაგვრელს.

ხევისბერი გოჩა ქართული ეროვნული ზნეობის უმაღლესი ქურუ-
მის განსახიერებაა.

XIX საუკუნის საქართველოს რეალური ცხოვრება მდიდარი არ ეახლდათ ასეთი გმირებით და საჭირო გახდა მათი გამოგონება, მაგრამ ალექსანდრე ყაზბეგი გულცივი გამომგონებელი როდია. იგი თავისი დაუდგრომელი სულის ცხოველმყოფელობას უნაწილებდა თავის გმირებს და ამას ისე უანგაროდ და უშურველად სჩადიოდა, რომ სულიერი განძი სულ რამდენიმე წელიწადში შემოეხარჯა, სულიერი წონასწორობა დაკარგა და ორმოცდახუთი წლისა გარდაიცვალა. მხოლოდ იმ დღეებში აღიარა საქვეყნოდ გაზეთმა „კვალმა“ ულმობელი სიმართლე: „ასეთი ნიჭი დაგვებადა, ასეთი კაცი დადიოდა ჩვენს შორის და ჩვენ იგი ვერ ვიცანით, ხშირად მას ლუკმა პურიც არა ჰქონია საჭმელად, სანამ ცოცხალი და გონებით სრული იყო, მას არც ჩვენ მიერ თანაგრძნობა ჰქონია და არც განკითხვა“.

ყაზბეგის ხანმოკლე სიცოცხლე დიდი ადამიანის ტრაგიკული ცხოვრების ტიპიური ნიმუშია. მეცხრამეტე საუკუნის კლასიკოსთაგან ასეთი ტანჯვა არავის განუცდია, როგორც ალექსანდრე ყაზბეგმა განიცადა. ამაში ალბათ მის პიროვნულ ხასიათს — სიფიცხეს, უკომპრომისობას, რაღაცნაირ სულიერ დაუკმაყოფილებლობას მიუძღოდა ბრალი, მაგრამ, რასაკვირველია, ყაზბეგის სულიერი ძალების უპირველესი გამანადგურებელი იყო ის საზოგადოებრივი ატმოსფერო, რომელშიც მას მოუხდა ცხოვრება.

თანამედროვეთა მოგონებით, ფიცხი და კონფლიქტური იყო, სიმართლისა და სამართლიანობისათვის თავდადებული მებრძოლი და იმ კაცის წამებული ცხოვრებით იცხოვრა, ვინც უზნეო საზოგადოებაში ზნეობის მცველად დადგება.

„ცნობილი არისტოკრატიული ოჯახის ნაშიერმა, რომელსაც თავისი წრის სხვა წარმომადგენელთა მსგავსად შეეძლო საკმაოდ მშვიდად და უზრუნველად გაეტარებინა ცხოვრება, თავისი ნებით აირჩია განდეგილისა და მარტვილის ხვედრი, ქართველი მწერლის სახელს იგი ატარებდა როგორც მძიმე ჯვარს და მშობლიური საქმის სამსახურში დაფერფლა მთელი თავისი არსება“, — წერს ყაზბეგის შესახებ გურამ ასათიანი.

ალექსანდრე ყაზბეგის სახელი „ელგუჯას“ გამოქვეყნების შემდეგ მოეფინა საქართველოს. მანამდე ბევრი რამ საყურადღებო ჰქონდა დაწერილი, მაგრამ „ელგუჯამ“ აკრემლა მკითხველი, ელგუჯას ბედმა დააფიქრა, დაამწუხრა. თავისი ზნეობრივი სიმაღლით, სიყვარულით, პატრიოტიზმით ელგუჯა ახალი დროის ქართველი რაინდის იდეალად

იქცა... ეს იყო 1881 წელს. „დროება“ ხელიდან ხელში გადადიოდა. 1884 წელს მოთხრობა ცალკე წიგნად გამოუციათ, მაგრამ წიგნი ცენზურას გაუნადგურებია. ცენზორებს, რომელთაც „ელგუჯას“ განადგურების სანქცია გასცეს, უჭკუობას ვერ დასწამებს კაცი. ისინი ერთგულად ემსახურებოდნენ ცარისტული რუსეთის ოფიციალურ პოლიტიკას — არარუს ეროვნებათა შორის ეროვნული თვითშეგნების ყოველგვარი გამოვლინება დაეთრგუნა და საფუძველშივე ჩაეკლა. ბუნებრივია, ღრმა პატრიოტიზმითა და დამპყრობელი ხალხისადმი სიძულვილით გამსჭვალული „ელგუჯა“ „ხალხთა საპყრობილეში“ ძალზე საშიში წიგნი იყო.

მანამდე კი „დროების“ არშიაზე „მამათა და შვილთა“ ბრძოლით დაღლილი, მოხუცი გენერალი გრიგოლ ორბელიანი არისტოკრატიული სიმშვიდით წააწერს: „დიდად მეამა“. ამ წარწერას შემდგომ აღტაცებული სიტყვები მოჰყვება: „უფალო მოჩხუბარიძევ! გიხაროდეს, შენ ხარ პირველი მწერალი დრამატიკი საქართველოში... ჯერ ქართულს ენაზე მსგავსი არა დაწერილა რა“. ეს აღტაცებული ჩანაწერი პოეტის არქივმა შთანთქა; ქართული მწერლობის მოღვაწეთა მხრიდან განსაკუთრებული სითბო და ყურადღება სიცოცხლეში ნაკლებად უგრძვნია „ელგუჯას“ ავტორს, თუმცა თვით ნაწარმოები უმალ მოექცა ქართველი საზოგადოების ყურადღების ცენტრში და ამას თავისი მიზეზები ჰქონდა.

ყაზბეგის სამყარო ქართველი მკითხველისათვის უცხო და ახალი იყო. ყაზბეგის გმირებს ამ სამყაროს რომანტიკული საბურველი ებურათ, მათი ღრმად ეროვნული ხასიათი ამჟღავნებდა მთის ხალხის შეუდრეკელ სულისკვეთებას, უცხო იყო მწერლის მიერ აღწერილი მოხევეთა ტრადიციული ზნე-ჩვეულებანი, მაგრამ ეს მაინც არ იყო ის მიზეზი, რითაც ყაზბეგმა მკითხველი მოხიბლა.

როცა ალექსანდრე ყაზბეგი მწერლობას შეუდგა, ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების მოღვაწეობას უკვე თავისი კვალი დაეჩნია ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებაზე. რუსეთის თვითმპყრობელობა უფრო და უფრო უჭერდა მარწუხებს არარუს ეროვნებებს, ზღუდავდა მათ ენას, კულტურას, მაგრამ ილია ჭავჭავაძეს თავისი მხატვრული, პუბლიცისტური და საზოგადოებრივი მოღვაწეობით უკვე შექმნილი ჰქონდა ეროვნული იდეოლოგიის საფუძვლები. დიდმოხელე კოსმოპოლიტი ქართველების გვერდით, გულმხურვალე პატრიოტებიც მომრავლებულიყვნენ, რომელთაც იდეალური ლიტერატურული გმირები სჭირდებოდათ. ყაზბეგის გმირების სახით პირ-

ველად გამოჩნდა ლიტერატურაში ქართველი კაცი, ვინც აშკარად ებრძოდა „კაზაკებს“ — დამპყრობთა დამსჯელ რაზმებს.

ეს ბრძოლა შორს სცილდებოდა იმ წვრილმან კონფლიქტებსა და შეხლა-შემოხლას, რაც, თითქოს ერთი შეხედვით ხდებოდა თავისუფლებისმოყვარე მთიელებსა და მათ მდევნელ კაზაკებს შორის. ეს იყო ბრძოლა თავისუფლებისათვის, ეროვნული და ზნეობრივი სახის შენარჩუნებისათვის. ბუნებრივია, გამოღვიძებული საქართველო აღტაცებაში მოიყვანა ყაზბეგის პატრიოტულმა სულისკვეთებამ, მისი გმირების რაინდულმა სულმა და შემართებამ. ყაზბეგის შემოქმედებამ დიდად შეუწყო ხელი ქართველთა ეროვნული თვითშეგნების აღორძინებას.

ალექსანდრე ყაზბეგმა უბრალო მთიელთა მაგალითზე თავისუფლების მაძიებელთა ეროვნული სულის მოძრაობა დიდი მწერლის ოსტატობით ასახა, და იმაში, რომ ხარანაულებთან შეხიზნული ელგუჯა გულისფანცქალით მოელის ჯანყის ამბებს მთიულეთიდან, არაფერი გვეჩვენება გაზვიადებული. უცხო მხარეს გადახვეწილ უბრალო მოხევეს ნშვენივრად ესმის იმ ტრაგედიის ეროვნული მასშტაბები, რაც საქართველოს დაატყდა თავს მეფის რუსეთთან შეერთებით. ანდა გავიხსენოთ ხატის კარზე შეკრებილი მოხევენი აბდიას წინამდგომობით რომ დამსხდარან სათათბიროდ და ეროვნული აჯანყებისთვის ემზადებიან. მათ კარგად ესმით ბარიდან ამოსული მაცნის სიტყვებში გამჟღავნებული საფრთხე, რაც სრულიად საქართველოს მოსდგომია კარს: „სტუმარო — დაიწყო აბდიამ — ამ ხალხს გაგონება უნდა, რაც საქართველოში ხდება... მართალია, რომ გვიღალატეს, გაგვყიდეს?

— მართალია, მართალია,... დღეის იქით ვეღარ იხილავთ თქვენს მეფეს, თქვენ აღარ გეყოლებათ თქვენი საკუთარი მეფე“.

მოხევეები შესძრა სტუმრის ამ სიტყვებმა; ყაზბეგი ზუსტი ფსიქოლოგიური ნიუანსებით ხატავს ამ ცნობით თავზარდაცემული თემის უეცარ აღტკინებას: „ამ სიტყვებმა ხალხში ნაპერწკალივით გაიარა...“ აქ იგრძნობა შექმნილი ვითარების მთელი სიმძაფრე: გაურკვევლობა, მითქმა-მოთქმა, რუსეთის ვერაგული საქციელის განსჯა, ამაო ღაღადი ტრაქტატით დათქმული პირობების დარღვევის შესახებ, ჭორ-მართალი საქართველოს **უკანასკნელი** მეფის მოწამვლაზე. და ხალხსაც, რაკი სამართლის პოვნის იმედი დაუკარგავს, დამპყრობლის წინააღმდეგ ისევ იარაღით გამოსვლა გადაუწყვეტია.

ისტორიაში კარგად ცნობილი მთიულეთის აჯანყება დაიწყო. ხარანაულებიდან წამოსული ელგუჯა და მათია გზადაგზა სახალხო ლაშქარს აგროვებენ: „სანამ დანიშნულს ალაგს მივიდოდნენ, ოცამდინ ბი-

ჭი შეიყარენ, მაგრამ ისეთი ბიჭები, რომელთაგანაც ერთი ათად ღირსებულიყო. ისინი პირველსავე შეყრაზე ძმად გაიფიცნენ, დასდვეს პირობა, რომ ყოველნი ერთად გადიქცნენ და ერთის ხელით იმოქმედონ, ერთმა ყველასათვის გადასდოს თავი და ყველამ ერთისათვის".

ექვსიოდე წლის შემდეგ ვაჟა-ფშაველა დაწერს:

> როშკით მოიდენ ხევსურნი,
> სუმელჯაურნი ცხრანია,
> ამღითა ბათაკას ძენი,
> ჭინჭარაულნი ძმანია,
> გუდანელთ ჩამოსძღოლოდა
> ხომარაული ხარია,
> ... თითო ხევს არაგვისასა
> თან მოსდევს ლაშქრის ღვარია.

მომხდურთა შესამუსრავად ბახტრიონისაკენ დაძრული, იმ მთიელი მოლაშქრეების სულიერი მემკვიდრენი არიან ელგუჯას რაზმის წევრები, მათში ფეთქავს საერთო ძარღვი, რომელშიც მამულისათვის დასაღვრელი სისხლი ხმაურობს.

ალექსანდრე ყაზბეგის უმთავრესი ნაწარმოებები ეროვნული გადარჩენისათვის ბრძოლის სულისკვეთებით იქმნებოდა. მან, როგორც დიდმა პატრიოტმა, კარგად იცოდა, რომ მეფის რუსეთის დიდმპყრობელური ზრახვები განადგურებით ემუქრებოდა არა მარტო ქართველ, არამედ მთლიანად კავკასიის ხალხთა ეროვნულ თვითმყოფობას, სალდათური ჩექმა თელავდა მათ ეროვნულ თავმოყვარეობას, ადათ-წესებს, კულტურას, ტრადიციებს... მთიელთა ერთ-ერთი უდიდესი ტრაგედია იყო ჩეჩენთა აყრა-გადასახლება თურქეთში, რაც მარტოოდენ რელიგიური მოსაზრებებით როდი იყო ნაკარნახევი. იგი რუსეთის მოხელეთა მხრიდან ეროვნული და სოციალური ჩაგვრის შედეგი იყო. „...მე მყავდა ჩემი ჯოგი — ამბობს „ელისოს" გმირი ჩეჩენი ანზორი — და მთელს ჩეჩნის მინდორზე დამიდიოდა უშიშრად, მოვიდნენ გიაურები და წამართვეს, მე მყვანდა ცხორი და ჩემს სახლის წინ სტუმარს არ ჩაუვლია, რომ არ მომეპატიჟა, საკლავი არ დამეკლა — გიაურები დამეცნენ და წამართვეს. მე მქონდა სახლი, და ის თავშესაფარი იყო ყველა შეწუხებულისა, ყველა გაჭირვებულისა — მოვიდნენ გიაურები და დამიწვეს".

ალექსანდრე ყაზბეგი კოლონიური რეჟიმით დათრგუნვილი კავკასიის ხალხთა საერთო ეროვნული ტკივილების გამომხატველი იყო.

შემაძრწუნებელია მთის ხალხთა ტრაგედია „მამის მკვლელში". რუ-

სი მოხელენი მათ სდევნიან როგორც ველურებს, აწამებენ, ატუსაღებენ, კლავენ, ანადგურებენ ყველაფერს, რაც ქართულია, ყველგან თვითნებობა და ძალადობაა გაბატონებული. მწერლის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჩვენს საქართველოში ბედის საძებნელად გადმოსული“ დიამბეგისა და სხვა მოხელეთა პარპაშის ასპარეზად ქცეული საქართველოს მთიანეთი. ამ ნაწარმოებში რუსეთთან საქართველოს შეერთების მოგვიანო ხანაა აღწერილი. თვითმპყრობელობის რეჟიმს მტკიცედ მოუკიდებია ფეხი მთაში, დაუთრგუნავს, დაუბეჩავებია აქაური ხალხის მებრძოლი და მეამბოხე სული, ისინი უკვე მოთმინებით იტანენ დამცირებას და შეურაცხყოფას (გავიხსენოთ დიამბეგთან გლეხების შეხვედრა სოფელ კობში), აღარ არიან აბდიასნაირი წინამძღოლები, აღარც ელგუჯასნაირი მებრძოლებია, დაწყებულია ქართული ეროვნული სულის რღვევა-გადაგვარება, და ეს პროცესი მრავალ ტრაგიკულ ეპიზოდში იჩენს თავს.

ალექსანდრე ყაზბეგი ულმობელი მხატვრული მემატიანეა და მის მიერ აღწერილი ამბები ქართველი ხალხის ტრაგიკული ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთია, რომელმაც შვა უკვდავი მხატვრული პერსონაჟები: ხევისბერი გოჩა, ელგუჯა, მზაღო, ნუნუ, იაგო, კობა, ფარჩო, ელისო, ანზორა.

ამ გმირების არსებობა ძვირაღ უღირდა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს, რათა თათქარიძეობის მომაკვდინებელი ბანგიდან გამოფხიზლებულიყო. ამგვარი ზნეობრივი გმირები სჭირდებოდა მომავალი საუკუნისათვის იმედისთვალმიბჯენილ ქვეყანას და როცა ყაზბეგი სამუდამოდ განეშორა წუთისოფელს, მაშინდელი საქართველოს სულიერმა მოძღვარმა, იცოდა რა ყაზბეგის დიდი მისია ქართველთა თვითშეგნების აღორძინებაში, ბრძანა: „ორჯერ დაბადებულს ერთი სიკვდილი ვერას უზამსო“. მანამდე თავად ალექსანდრე ყაზბეგმა განაცხადა: „წმინდა საგანი, რომელსაც მე ვემსახურები და ქვეყნად ვერცა ცა თავისის მრისხანებითა, ვერც ქვესკნელი ჯოჯოხეთის ჭიდილით, ვერ შეაჩერებს ჩემის გულის მოძრაობას“.

მისი „გულის მოძრაობა“ საქართველოს მომავლისაკენ იყო მიმართული, თავისი დროის უმაღლესი კულტურული იდეალებით ცხოვრობდა და მისი სულისკვეთებაც მის თანამოკალმეთა სულიერ მოძრაობას ეხმიანებოდა, ეს ქართველი ერის მაშინდელი სულისკვეთება იყო და ამ სულისკვეთებას ერის მაშინდელი მესიტყვენი ბუნების მრისხანე ცვალებადობის ალეგორიული ფორმით გამოხატავდნენ, ისე, როგორც ყაზბეგი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვა დრო, უზარმაზარნი
მთანიცა შეინძრევიან,
ქარი დაჰქროლებს, მედგარნი
ღრუბელნი განიმქრევიან,
ზევით ცა ლაჟვარდოვანი,
ქვეშ მიწა შეირყევიან.

მწერლის ეს რწმენა ქართული მწერლობის მაშინდელ წინამძღოლებთან სულიერი ძმობის გაცხადება იყო, ამ ძმობის ტკივილით უთხრა ვაჟა-ფშაველამაც გამოსათხოვარი:

თავს დგმული ეკლის გვირგვინი
ფერხთ წინ დაუდე გმირებსა,
მამულისათვის გამწყდართა
იმ საქართველოს შვილებსა.

ალექსანდრე ყაზბეგის პირადი ტრაგედია თითქოს ეროვნული ტრაგედიის გამოძახილი იყო. მას, მღელვარე და დაუდგრომელ ადამიანს, შეპყრობილს სამშობლოს ტკივილების ავადმყოფური განცდით, ბუნებრივია, არ შეეძლო დიდხანს შეენარჩუნებინა სულიერი წონასწორობა, მაგრამ მწერლის სიცოცხლის ბოლო წლები, თუმცა საზოგადოებისაგან უჩინრად მიედინებოდა სულით ავადმყოფთა თავშესაფარში, საზოგადოებრივი ინტერესებისაგან დაცლილი როდი იყო, იგი კვლავ ესწრაფოდა საზოგადოებრივ ასპარეზს, ფიქრობდა, ილტვოდა მოძრაობისაკენ. მწერლის ეს დღეები კარგად აღწერა ალექსანდრე კალანდაძემ რომანში „ცეკვა ხანჯლებით“.

არც ისე დიდი ხნის წინ, შეიმჩნეოდა ალექსანდრე ყაზბეგის ეროვნული იდეების დაკნინების ტენდენცია. განსაკუთრებით ეს ითქმის ე. წ. „უძრაობის“ წლებზე, როცა ქვეყანაში ფსევდოინტერნაციონალური ლოზუნგები გაბატონდა, რაც სინამდვილეში ეროვნებათა დენაციონალიზაციას და ასიმილაციას ემსახურებოდა.

„ელგუჯას“ ე. წ. „გარჩევისას“ სასკოლო სახელმძღვანელოში არ არის არც ერთი სიტყვა ელგუჯას, როგორც ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირზე, ანდა ამ ბრძოლის აქტიურ მონაწილეზე, საერთოდ ისეთ დიდ ისტორიულ მოვლენაზე, როგორიც იყო მთიულეთის აჯანყება მეფის რუსეთის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ. უფრო მეტიც, ეს აჯანყება დღემდე შეფასებულია, როგორც საგზაო ბეგარით შეწუხებული მთიელების გამოსვლა ადგილობრივ მოხელეთა წინააღმდეგ და არა ისე და იმ მასშტაბებით, როგორც მას ალექსანდრე ყაზბეგი ხედავდა.

ალექსანდრე ყაზბეგი ეროვნული მწერალია ამ ცნების ყველაზე ღრმა გაგებით, მართლაც, უდიდესი „დრამატიკი“ და საუცხოო მთხრობელი, თუმცა მისი პროზა განსაკუთრებული ენობრივი მიღწევებით არ გამოირჩევა და მთელი დატვირთვა მოქმედების ემოციურობაზეა გადატანილი. იგი ქართული ხასიათების უბადლო მხატვარი იყო და ქართველი მწერლის მოწამებრივი ცხოვრებით იცხოვრა, იცხოვრა ისე, როგორც შეეფერებოდა „ტანჯული ქვეყნის შვილს“, შემოქმედს, რომელმაც თავისი სულიერი და ფიზიკური ძალები თავისი სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას შეალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ყაზბეგს

შვილო ტანჯულის ქვეყნისავ,
სული დაჰლიე ტანჯვითა,
მიუხვალ მამა-პაპათა
ამოღებულის ხანჯრითა,
ცრემლად დამდნარის გულითა,
დაღლილი მტრისა ჯავრითა!..
ჯავრი ტანს ნაბდად გეხვევა,
ცრემლი მიგყვება საგძლადა
და ტრფობა შენის ქვეყნისა
უქმს და ხელუყრელს აბჯრადა.
თავს დგმული ეკლის გვირგვინი
ფერხთ-წინ დაუგდე გმირებსა,
მამულისათვის გამწყდართა
იმ საქართველოს შვილებსა.
ცოცხლად იმედით მცხოვრებო,
გთხოვ, იმათაც სცე ნუგეში!
პირობა ქართველებისა,
ვგონებ, მიგყვება უბეში!..
უჩვენე შენი კალამი,
ნაწები სისხლის გუბეში!

1893 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკები
და
ბიბლიოფილები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიგნი — ეს სარკმელია, საიდანაც სული სამყაროს გასცქერის. ბინა, სადაც წიგნი არაა, ოთახია, რომელსაც სარკმელი არა აქვს.

რ. ვილსონი

კითხვა საუკეთესო სწავლაა.

პუშკინი

უწიგნოდ სწავლა საცრით წყლის ამოლეგაა.

პლინიუსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავთანდილ გენდუჭიძე, ჯონდო შარიქაძე

ნიკო მუსხელიშვილი — მეცნიერი, მოღვაწე, გიგლიოფილი

„— თბილისის უნივერსიტეტი? — ეს ხომ მირაჟია! განა ცხადი არ არის, რომ შეუძლებელია ქართულ ენაზე, რომელსაც სათანადო ტრადიცია არა აქვს, ამეტყველება და ეადმოცემა ისეთ მეცნიერებათა უმარტივესი ტერმინებისაც კი, როგორიცაა მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია?!“ — ღიმილითა და ცუდად დაფარული ბრაზით გაიძახოდნენ თბილისში უნივერსიტეტის დაარსების მოწინააღმდეგენი. ასეთები კი მრავლად იყვნენ არა მარტო რუსეთში, არამედ ჩვენშიც, საქართველოში.

დიდმა ივანე ჯავახიშვილმა და მისმა თანამებრძოლებმა გააბათილეს ეს „ბრძნული აზრი“ და უკვე 1918 წლის ნოემბერში პროფესორმა ანდრია რაზმაძემ ჩამოქნილი, დახვეწილი ქართულით წაიკითხა პირველი ლექცია მათემატიკურ ანალიზში. ასევე მომხიბლავად აამეტყველა ქართულად მათემატიკა მოსკოვის უნივერსიტეტდამთავრებულმა, ჯერ სულ ახალგაზრდა არჩილ ხარაძემ, ხოლო ასტრონომია — გენერლის ფორმაში გამოწყობილმა ანდრია ბენაშვილმა. მალე მათ მხარში ამოუდგნენ გიორგი ნიკოლაძე და ნიკოლოზ მუსხელიშვილი.

შალვა ნუცუბიძე იგონებს:

„ანდრია რაზმაძე, იმ დროს ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი, შემოვიდა ჩემთან. მას თან ვიღაც გამოკვეთილი, ენერგიული სახის ახალგაზრდა შემოჰყვა.

— ეს ეხლახან ჩამოვიდა პეტროგრადიდან, სადაც მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა. მინდა თანხმობა, რომ მოვიწვიო ჩემს თანამშრომლად. ნიჭიერი და ენერგიული ახალგაზრდა ჩანს.

ანდრია რაზმაძის თხოვნა, ცხადია, დაკმაყოფილებულ იქნა. იმ ახალგაზრდა მეცნიერმა სავსებით გაამართლა ანდრია რაზმაძის ყოველივე მოლოდინი. ეს იყო დღეს ცნობილი მეცნიერი ნიკოლოზ მუსხელიშვილი“.

ნიკოლოზ მუსხელიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრია რაზმაძე, გიორგი ნიკოლაძე, ნიკოლოზ მუსხელიშვილი, არჩილ ხარაძე — აი, ის „დიდი ოთხეული“, რომელიც ქართული მათემატიკური სკოლის სათავეებთან დგას.

ძნელი წარმოსადგენიც კია იმ სამუშაოს მოცულობა, რაც ამ ოთხეულმა ათიოდე წლის მანძილზე შეასრულა — ინტენსიურ პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, მათ მოუხდათ ქართული სამეცნიერო მათემატიკური ტერმინოლოგიის დადგენა და დაზუსტება, მშობლიურ ენაზე პირველი ორიგინალური სახელმძღვანელოების დაწერა და გამოცემა, მათემატიკის სხვადასხვა დარგში მეცნიერული კვლევის საფუძვლის ჩაყრა...

●

სამწუხაროდ, 1929 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა ანდრია რაზმაძე, ხოლო 1931 წელს — გიორგი ნიკოლაძე. მთელი ტვირთი ნიკოლოზ მუსხელიშვილს, არჩილ ხარაძეს და უნივერსიტეტდამთავრებულ რამდენიმე ახალგაზრდა მათემატიკოსს დააწვა.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ უკანასკნელთ, თავდადებისა და ერის სამსახურის საუკეთესო მაგალითს აძლევდნენ უფროსი კოლეგები, რომელთაც ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ სამეცნიერო კვლევა-ძიება და პედაგოგიური მუშაობა თბილისის უნივერსიტეტსა და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა 1928 წლის 1 ოქტომბერს.

●

ორივე უმაღლეს სასწავლებელში ნიკო მუსხელიშვილმა ძალიან დიდი ორგანიზაციო სამუშაო შეასრულა: სხვადასხვა დროს იგი იყო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის დეკანი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორი, უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი, თეორიული მექანიკის კათედრის გამგე, მისი თაოსნობით თბილისის უნივერსიტეტთან დაარსებული ფიზიკის, მათემატიკისა და მექანიკის ინსტიტუტის დირექტორი. პარალელურად, მისთვის ჩვეული ენერგიითა და ენთუზიაზმით განაგრძობდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. ძველი და საშუალო თაობის მათემატიკოსებს ახლაც ახსოვთ მისი ორიგინალური ლექციები ანალი-

ზურ გეომეტრიაში, თეორიულ მექანიკაში, დიფერენციალურ განტოლებათა თეორიაში...

ნიკო მუსხელიშვილის კალამს ეკუთვნის ანალიზური გეომეტრიის მეტად ორიგინალური სახელმძღვანელო, რომელიც რამდენჯერმე გამოიცა, და თავის დროზე ერთ-ერთ ძირითად საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოდ ითვლებოდა. გვჯერა, რომ წიგნს არც ახლა დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

ასევე ორიგინალობით გამოირჩევა მისი „თეორიული მექანიკის კურსი", რომლის ორი ნაწილი — „სტატიკა" და „კინეტიკა" შესაბამისად 1926 და 1928 წელს გამოვიდა. შემდგომში ეს წიგნები ხელმეორედ გამოიცა და წლების მანძილზე, ორივე, ერთადერთი სახელმძღვანელო იყო ქართულ ენაზე არა მარტო უნივერსიტეტის, არამედ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებისთვისაც.

საგულისხმოა, რომ ტერმინოლოგიური მუშაობა, რომელიც ბატონმა ნიკომ სამშობლოში ჩამოსვლისთანავე დაიწყო, მას არც შემდეგში შეუწყვეტია. აი, რას წერს „მათემატიკური ტერმინოლოგიის" (1944, რუსულ-ქართული ნაწილი) წინასიტყვაობაში მისი რედაქტორი პროფესორი ვუკოლ ბერიძე: „განსაკუთრებით დიდი ამაგი დასდო ტერმინოლოგიას აკადემიკოსმა ნ. მუსხელიშვილმა, რომელმაც თითოეული სიტყვა შეამოწმა და შეეცადა, რაც შეიძლება, სრული შესატყვისობა ყოფილიყო მათემატიკურ ცნებასა და მის მიერ გამოხატულ ტერმინს შორის".

აქ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ახლა საყოველთაოდ გავრცელებული ტერმინი „ტოლობა" და მისგან ბუნებრივად ნაწარმოები, ჩვენთვის ასე „ახლობელი" ტერმინები — „უტოლობა" და „განტოლება" სწორედ ბატონმა ნიკომ შემოიღო ჯერ კიდევ ოციან წლებში.

●

თბილისში, 1922 წელს, ფრანგულ ენაზე გამოვიდა ნიკო მუსხელიშვილის წიგნი: „კოშის ტიპის ინტეგრალების გამოყენება მათემატიკური ფიზიკის ზოგიერთი ამოცანისათვის". შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო თავისებური წინამორბედი მისივე ფუნდამენტური მონოგრაფიისა: „დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი ძირითადი ამოცანა" (1933), რომელსაც საფუძვლად დაედო ავტორის მიერ 1931—1932 წლებში ლენინგრადში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სეისმოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის და, აგრეთვე, ფიზი-

კა-მათემატიკის ინსტიტუტისა და ლენინგრადის უნივერსიტეტთან არსებული მექანიკისა და მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტებისათვის წაკითხული ლექციები.

მონოგრაფიამ სულ მალე მოიპოვა პოპულარობა და მისი ავტორი დრეკადობის თეორიის გამოჩენილ სპეციალისტად იქნა აღიარებული. ამიტომაც ივი, იმავე 1933 წელს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1939 წელს ნამდვილ წევრად აირჩიეს. ამ დროს ის საკავშირო აკადემიის საქართველოს ფილიალის თავმჯდომარეა.

მეცნიერებათა აკადემიების პრეზიდენტები
ნ. მუსხელიშვილი, მ. კელდიში და ა. ამბარცუმიანი

როცა 1941 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემია შეიქმნა, მის პრეზიდენტად ერთხმად იქნა არჩეული გამოჩენილი მეცნიერი ნიკოლოზ მუსხელიშვილი.

მცირე ლირიკული წიაღსვლა: აკადემიის პირველსავე სხდომაზე, 1941 წლის 27 თებერვალს, მოხსენება თემაზე „მეცნიერება საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში 20 წლის მანძილზე“ წაიკითხა მისმა პრეზიდენტმა, რომელმაც თავისი გამოსვლა ასე დაამთავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა: „ჩვენთვის სამწუხაროა, რომ დღევანდელი საზეიმო განწყობილება-იწამლება იმის შეგრძნებით, რომ ჩვენს შორის არ იმყოფება მეცნიერი, რომელიც ყველაზე აღფრთოვანებული იყო ამ დღესასწაულის მოლოდინში; ჩვენთვის ეჭვს გარეშეა, ივანე ჯავახიშვილი ცოცხალი რომ ყოფილიყო, ამ მაღალ თანამდებობას, რომლის დაკავების პატივი მე მაქვს, სწორედ ის დაიკავებდა“.

სიტყვამ მოიტანა და ვიტყვით, რომ ბატონი ნიკო ყოველთვის პატივისცემითა და მოწიწებით იხსენიებდა დიდ ივანე ჯავახიშვილს, რომელიც, როგორც ჩანს, ინტერესით ადევნებდა თვალს მის მუშაობას. აი, რას ვკითხულობთ 1922 წელს ფრანგულ ენაზე გამოცემულ ზემოთ ნახსენები წიგნის წინასიტყვაობაში: „ჩემს მოვალეობად ვთვლი მადლობა გამოვუცხადო პროფესორთა საბჭოს, განსაკუთრებით ბატონ რექტორს, პროფესორს ივანე ჯავახიშვილს იმ ცხოველი ყურადღების გამო, რომელსაც იგი იჩენდა ამ წიგნისადმი“.

●

„დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი ძირითადი ამოცანა“ 1935 წელს მეორე, შევსებული გამოცემით გამოვიდა და მის ავტორს 1941 წელს პირველი ხარისხის სტალინური პრემია მიენიჭა. იმავე პრემიით აღინიშნა ბატონ ნიკოს მეორე ცნობილი მონოგრაფიაც: „სინგულარული ინტეგრალური განტოლებანი“ (1946). მანამდე კი, 1945 წლის ივნისში აკადემიკოს ნიკოლოზ მუსხელიშვილს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭეს.

●

ნიკო მუსხელიშვილის ორივე მონოგრაფია მრავალ ენაზეა თარგმნილი და გამოცემული საზღვარგარეთ. ბევრი საქები რეცენზია დაიწერა მათზე... აი, რას წერდა, ინჟინერ-მექანიკოსთა ამერიკის საზოგადოების ყოველთვიური ორგანო „გამოყენებითი მექანიკის მიმოხილვა“, რომელიც ისტონში გამოდის:

„დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ დრეკადობის თეორიაში დაიწერა ახალი ტრაქტატი. მუსხელიშვილის ნაშრომი მკითხველს აცნობს ამ დარგის უახლეს გამოკვლევებს 1915 წლიდან მოყოლებული (როცა მისი ორიგინალური გამოკვლევა გამოვიდა) 1945 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში რუსეთის ჟურნალებში გამოქვეყნდა ასობით სტატია მუსხელიშვილის მიღწევების გამოყენებით...



ნ. მუსხელიშვილის კაბინეტი მათემატიკის ინსტიტუტში

ამჟამად მუსხელიშვილის ნაშრომის გავლენა აშკარად შეიმჩნევა არარუსულ ლიტერატურაშიც, სადაც მრავალმა ავტორმა პირველად მხოლოდ ახლა აღმოაჩინა ეს ნაშრომი...

თქმა არ უნდა, რომ ნაშრომის შინაარსი ბრწყინვალეა... მეორე ესოდენ დიდი მნიშვნელობისა და ფართო მასშტაბის წიგნის შექმნას ერთი თაობა მაინც დასჭირდება".

●

მრავალი პრემიითა და ჯილდოთი იქნა აღნიშნული ბატონ ნიკოს მეცნიერული ღვაწლი. კერძოდ, 1969 წელს ტურინის აკადემიამ მას მიანიჭა საერთაშორისო პრემია „მოდესტო პანეტი" — ოქროს მედალი და ფულადი ჯილდო. ჩვენი თანამემამულე პირველი საბჭოთა და მსოფლიოს მეექვსე მეცნიერი იყო, რომლის მეცნიერული მიღწევები ამ მაღალი ჯილდოთი აღინიშნა. „ეს ჯილდო სრულიად მოულოდნელი იყო ჩემთვის, — უთხრა გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტს მეცნიერმა,— დიდად აღფრთოვანებული ვარ ამ მაღალი აღიარებით, ტურინის აკადემია ერთ-ერთი ძველი აკადემიაა იტალიაში, მრავალი ჩემი შრომა დაკავშირებულია იტალიელი მათემატიკოსების შრომებთან. იტალია იყო პირველი უცხოეთის ქვეყანა, სადაც ჩემი ნაშრომი დაიბეჭდა დიდი იტალიელი მათემატიკოსის ვიტო ვოლტერას წარდგინებით".

●

ოცდაათ წელზე მეტ ხანს ხელმძღვანელობდა ბატონი ნიკო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას და, პარალელურად, ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტს. მისი გარდაცვალების შემდეგ ინსტიტუტში შეიქმნა მემორიალი — ნიკო მუსხელიშვილის კაბინეტი, რომელსაც ორი ოთახი უკავია. აქ, მრავალრიცხოვან საიუბილეო მილოცვას, საჩუქარსა თუ ადრესთან ერთად, დაცულია მეცნიერის ბიბლიოთეკის ნაწილი — ორი ათასამდე წიგნი. ყველა წიგნი აღნუსხულია და საგულდაგულოდ განლაგებული თაროებზე.

შედიხარ კაბინეტში და უმალ თვალში გეცემა ნიკო მუსხელიშვილის დიდი ფოტოპორტრეტი. მასზე ბატონი ნიკო მთელი ტანითაა გამოსახული, თანაც ძალიან ბუნებრივად — ეტყობა, ფოტო სპეციალურად არ არის გადაღებული.

აგერ, ძველებური, მასიური საწერი მაგიდა ძველებურივე საწერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწყობილობითა და ნათურით — ასეთებს კარგა ხანია აღარ ვხმარობთ... მაგიდაზე წიგნია გადაშლილი. ეს ცნობილი მონოგრაფიაა — „დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი ძირითადი ამოცანა“ — ავტორის ვრცელი ჩასწორებებით. ათვალიერებ ამ ექსპონატს და რწმუნდები: შემთხვევითი როდია, რომ ბატონ ნიკოს ავტორობით გამოსული ყველა წიგნი — სახელმძღვანელო იქნება ეს თუ მონოგრაფია, ასე ლაღად, ძალდაუტანებლად იკითხება. იგი არამცთუ თითოეულ წინადადებას, თითოეულ სიტყვასაც კი მისხალ-მისხალ წონიდა, ეძებდა სიტყვას, რომელიც, ასე ვთქვათ, ზუსტად ჩაჯდებოდა ტექსტში. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ბატონი ნიკოს ერთი შეგონება: «Научную статью нужно писать если не по-божески, то хотя бы по-человечески».

პირველ ოთახშივეა უამრავი ადრესი, რომელიც ბატონ ნიკოსთვის სხვადასხვა დროს მიურთმევიათ. განსაკუთრებით გამოირჩევა 70 წლისთავზე მირთმეული ადრესი, რომელიც კალიგრაფიულად შესრულებულია პერგამენტზე. აქვეა წიგნები — ეს, ძირითადად, მისივე მონოგრაფიების უცხოურ ენებზე თარგმანებია. ცალკე მაგიდაზე დევს შთაბეჭდილებათა წიგნი. შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხო იგი... აი, მაგალითად, რას წერს აკადემიკოსი ვიქტორ ამბარცუმიანი: „... ჩემთვის უდიდესი პატივია, რომ მქონდა საფუძველი იგი ჩემს მეგობრად ჩამეთვალა. მე მისგან ვსწავლობდი, ხოლო ახლა, ვიგონებ რა მის სიტყვებსა და საქმეებს, კვლავ ვსწავლობ მისგან მეცნიერებისადმი სწორ დამოკიდებულებას, ღრმა შეხედულებას სიცოცხლეზე და ადამიანურ ურთიერთობებს“.

მეორე ოთახი მთლიანად წიგნებს აქვს დათმობილი. მათი უმრავლესობა უცხოურ—ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ, იტალიურ ენებზეა გამოცემული. არის რუსული და ქართული წიგნებიც. გვინდა მკითხველს გავაცნოთ ზოგიერთი მათგანი, რადგან გვწამს, რომ წიგნი მეცნიერის ბიოგრაფიის განუყოფელი ნაწილია.

●

ნიკო მუსხელიშვილმა 1914 წელს წარჩინებით დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი და დატოვებულ იქნა თეორიული მექანიკის კათედრაზე,—როგორც მაშინ ამბობდნენ, — საპროფესოროდ მოსამზადებლად. მომდევნო წელს გამოქვეყნდა მისი პირველი მეცნიერული ნაშრომი, შესრულებული პროფესორ გური კოლოსოვთან ერთად. იგი დრეკადობის თეორიის ერთ



ნიკო მუსხელიშვილისათვის დაბადების 70 წლისთავზე
მირთმეული ადრესი (პერგამენტი)

კონკრეტულ ამოცანას ეხებოდა. მაშინაც და შემდგომშიც ბატონი ნიკოს მეცნიერული ინტერესების სფეროში ძირითადად დრეკადობის თეორიის, უფრო ზოგადად კი — მექანიკისა და მათემატიკური ფიზიკის საკითხები იყო. ამიტომაც მის ბიბლიოთეკაში უხვად არის წარმოდგენილი სათანადო ლიტერატურა — სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები.

●

აი, ფრანგი აკადემიკოსის ლეონ ლეკორნიუს „მექანიკის კურსის" სამი ტომი ფრანგულ ენაზე, გამოცემული 1914—1918 წლებში პარიზში. წარწერა პირველი ტომის ფორზაცზე — Н. Мусхеловъ, 1915, გვამცნობს, რომ ბატონ ნიკოს წიგნი გამოსვლისთანავე შეუძენია. ის კი არა, მაგარი ყდა გაუკეთებინებია და ყუაზე თავისი ინიციალები — N. M. ამოუტვიფრინებია. ასევეა დანარჩენი ორი ტომიც.

იმავე 1915 წელს არის შეძენილი ეჟენ კოსერას „დეფორმად სხეულთა თეორია", ფრანგულ ენაზე, გამოცემული პარიზში 1909 წელს. აქვე აღვნიშნავთ, რომ 1919 წელს კოსერა საფრანგეთის აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს.

ანრი პუანკარე (1854 — 1912) თავისი დროის უპირველესი მათემატიკოსი და მექანიკოსია. მისმა ფუნდამენტურმა გამოკვლევებმა რიცხვთა თეორიაში, ალგებრაში, ტოპოლოგიაში, დიფერენციალურ განტოლებათა თეორიაში, მათემატიკურ ფიზიკაში, ცის მექანიკაში, უდიდესი გავლენა იქონიეს მათემატიკის, მექანიკისა და ფიზიკის შემდგომ განვითარებაზე. და აი, ნიკო მუსხელიშვილის ბიბლიოთეკაში ეხვდებით უნიკალურ წიგნებს — პუანკარეს „ტურბულენტობის თეორიას" (პარიზი, 1893) და, აგრეთვე, „ლექციებს ელექტროდინამიკაში" (პარიზი, 1901). წიგნები შესაბამისად 1915 და 1917 წლებშია შეძენილი. უნდა ვიფიქროთ, რომ ბატონი ნიკო თავის დროზე მათ საფუძვლიანად ვაეცნო.

„პოტენციალთა თეორია" — ასე ჰქვია გერმანელი მეცნიერის არტურ კორნის მონოგრაფიას (ორი ტომი, ბერლინი, 1899, 1901), რომელიც ბატონ ნიკოს 1928 წელს შეუძენია.

იგივე სახელწოდება აქვს ამერიკელი მათემატიკოსის ოლივერ დიმონ კელოგის წიგნს, რომელიც გერმანულ ენაზე გამოვიდა ბერლინში 1929 წელს. წიგნი იმავე წელსაა შეძენილი.

„რუსული ავიაციის მამა" უწოდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა



ნ. მუსხელიშვილის წიგნები.

დიდ რუს მეცნიერს, თანამედროვე აეროდინამიკის ფუძემდებელს ნიკოლოზ ჟუკოვსკის. 1915 წელს გამოვიდა მისი „თეორიული მექანიკა“, რომელიც ბატონ ნიკოს იმავე წელს შეუძენია.

რადგან თეორიული მექანიკის სახელმძღვანელო ვახსენეთ, ბარემ აქვე ვიტყვით, რომ ბატონ ნიკოს ბიბლიოთეკაში არის მისი მოწაფის, უდროოდ გარდაცვლილი ქართველი მეცნიერის დავით დოლიძის „თეორიული მექანიკის მოკლე კურსი“ წარწერით: „ძვირფას მასწავლებელს და მეგობარს აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილს. ავტორისაგან, 1. 2. 57“.

მექანიკისა და მათემატიკური ფიზიკის საკითხებისადმი მიძღვნილი კიდევ ბევრი წიგნია ნიკო მუსხელიშვილის კაბინეტში, ყველას ვერ ჩამოვთვლით, მაგრამ ორი კი აუცილებლად უნდა დავასახელოთ.

ერთი — ეს არის იტალიელი მათემატიკოსისა და მექანიკოსის, იტალიის რამდენიმე ნაციონალური აკადემიის წევრის, პიეტრო ბურგატის „დრეკადობის მათემატიკური თეორია“ (ბოლონია, 1931). რა თქმა უნდა, იგი ბატონ ნიკოს დიდ ინტერესს გამოიწვევდა — ის თავადაც ხომ ამ საკითხებზე მუშაობდა!

მეოთხედი საუკუნის შემდეგ, იმავე სათაურით — „დრეკადობის მათემატიკური თეორია“ გამოვიდა კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორის სოკოლნიკოვის წიგნი, რომელიც ავტორს ნიკო მუსხელიშვი-

ლისთვის — დრეკადობის თეორიის აღიარებული სპეციალისტისთვის — უძღვნია სამახსოვრო წარწერით. წიგნი იმითაცაა საინტერესო, რომ ბიბლიოგრაფიაში დასახელებულია ქართველი მათემატიკოსების — ნიკოლოზ მუსხელიშვილის, ნიკოლოზ ვეკუას, გიორგი მანჯავიძის და აპოლონ კალანდიას შრომები.

●

ზემოთ დასახელებული წიგნების თემატიკა, როგორც ვთქვით, ახლოსაა მათი მფლობელის მეცნიერულ ინტერესებთან. რამდენიმე სიტყვა ზოგიერთ სხვა მათემატიკურ წიგნზე.

ყველა მათემატიკოსისთვისაა ცნობილი ბელგიელი აკადემიკოსის შარლ ჟან დე ლა ვალე პუსენის ორტომეული — „უსასრულოდ მცირეთა ანალიზის კურსი". თავის დროზე, მისი გამოსვლა ღიდი მოვლენა იყო — მან საგრძნობი ცვლილება შეიტანა მათემატიკური ანალიზის სწავლებაში. კაბინეტში არის ამ წიგნების ფრანგული გამოცემები 1923 და 1925 წლებისა, წიგნები 1925 წელსაა შეძენილი და მაგარ ყდაში ჩასმული (ორივე ტომი ერთად). ყუაზე მფლობელის ინიციალებია: N. M.

ანალიზის სხვა კურსებიც არის. დავასახელებთ მხოლოდ ორს: ფრანგი აკადემიკოსის კამილ ჟორდანის „ანალიზის კურსს პოლიტექნიკური სკოლისათვის" (სამი ტომი, 1909—1915) და ედუარდ გურსას სამტომეულს (გურსა 1919 წელს საფრანგეთის აკადემიის წევრად აირჩიეს).

დომინიკ ფრანსუა არაგო მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი ფრანგი მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწეა. მის კალამს ეკუთვნის მეცნიერული შრომები ასტრონომიასა და ფიზიკაში, სხვადასხვა გამოკვლევა მეცნიერების ზოგად საკითხებზე. და აი, ნიკო მუსხელიშვილის კაბინეტში ერთი თარო უკავია არაგოს შრომების თექვსმეტტომეულს, გამოცემულს პარიზში, 1854—1861 წლებში.

ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორი მორიც კანტორი ცნობილია მათემატიკის ზოგადი საკითხებისადმი და, კერძოდ, მათემატიკის ისტორიისადმი მიძღვნილი შრომებით. ის ფაქტი, რომ მუსხელიშვილის ბიბლოთეკაში არის კანტორის „მათემატიკის შესავალი" (სამი ტომი, ლაიფციგი, 1894), მიუთითებს, რომ ბატონი ნიკო მათემატიკის ზოგადი საკითხებითაც ყოფილა დაინტერესებული.

პარიზის აკადემიის ნამდვილი წევრის ჟან განსტონ დარბუს წიგნე-

ბი „ლექციების კურსი ზედაპირთა თეორიაში და უსასრულოდ მცირეთა აღრიცხვის გეომეტრიული გამოყენებანი“ გამოცემულია პარიზში 1887—1889 წლებში. ეს კლასიკური სამტომეული ბატონ ნიკოს მაგარ ყდაში ჩაუსმევინებია და, ჩვეულებისამებრ, ყუაზე თავისი ინიციალებიც ამოუტვიფრინებია.

ყურადსაღებია, იტალიელი ლუიჯი ბიანკის „ანალიზური გეომეტრიის ლექციების კურსი“ (პიზა, 1915). აი, რატომ შევჩერდით ამ წიგნზე: 1922 წელს თბილისში რუსულ ენაზე გამოვიდა ნიკო მუსხელიშვილის წიგნი — „ანალიზური გეომეტრიის ლექციები, წაკითხული თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში“ (პირველი ნაწილი, ხელნაწერის უფლებით), რომლის წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავს, რომ მან კურსი თავისებურად ააგო: პირველ ნაწილში განიხილა ყველაფერი, რაც ეხება წერტილებს, წრფეებსა და სიბრტყეებს, ხოლო მეორეში — ყველაფერი, რაც წირებსა და ზედაპირებს ეხება. ასეთი დაყოფა უფრო მიზანშეწონილიაო, — ამბობს იგი, — და განხორციელებულიც არის უცხოეთში გამოცემულ ზოგიერთ სახელმძღვანელოშიო. მაგალითისათვის სწორედ ბიანკის ლექციების კურსია დასახელებული.

ფუნქციათა თეორია გასული საუკუნის ბოლოსა და ჩვენი საუკუნის დასაწყისის მიჯნაზე იქმნებოდა, მათემატიკის ამ დარგის განვითარებაში გამორჩეული როლი შეასრულეს ფრანგმა მათემატიკოსებმა ემილ ბორელის მეთაურობით. სწორედ მისი ინიციატივითა და რედაქციით გამოდიოდა ფუნქციათა თეორიის საკითხებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიათა სერია (სულ 50 წიგნი გამოვიდა, რომელთაგან 10-ის ავტორი ბორელია). კაბინეტში არის ამ სერიის რამდენიმე წიგნი, მათ შორის 1898 წელს გამოცემული ბორელის „ლექციები ფუნქციათა თეორიაში“, რომელიც ბატონ ნიკოს 1915 წელს შეუძენია.

●

დაბოლოს, მოკლედ, ძალიან მოკლედ იმ წიგნებზე, რომლებიც ბატონ ნიკოს საჩუქრად მიუღია ქართველი მეცნიერებისა თუ მწერლებისაგან.

ცნობილია, თუ რა რეზონანსი ჰქონდა მთელ მსოფლიოში აინშტაინის მიერ ფარდობითობის თეორიის შექმნას. ეს თეორია, რომელსაც კარგა ხანს ზოგი სპეციალისტიც კი არ იზიარებდა, ცხადია, სრულიად მიუწვდომელი იყო ფართო მასებისათვის. ამიტომ, ბევრი მეცნიერი თავს ვალდებულად თვლიდა პოპულარულად გადმოეცა მისი შინაარსი.

არც ჩვენი სწავლულნი დარჩენილან ვალში... კერძოდ, 1924 წელს გამოიცა ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის მოსე გოგიბერიძის წიგნი — „აინშტაინის რელატივობის თეორია და მისი ფილოსოფიური საფუძვლები". კაბინეტში ჩვენ ვნახეთ ამ წიგნის ეგზემპლარი წარწერით: „დიდად პატივცემულ პროფ. მუსხელიშვილს ავტორისაგან, 20.VI-1924." საგულისხმოა, რომ ბატონი ნიკო იმხანად ძალიან იყო დაინტერესებული ფარდობითობის თეორიით, კითხულობდა კიდეც ფარდობითობის თეორიის კურსს, ხოლო სამეცნიერო კრებულში — „ჩვენი მეცნიერება", რომლის ამოცანა იყო თანამედროვე მსოფლიო მეცნიერების მიღწევების გაცნობა ქართველი საზოგადოებისათვის, დასტამბა წერილი: „როგორ გავეცნოთ ეინშტეინის ფარდობითობის თეორიას".

„ბ-ნ ნიკო მუსხელიშვილს ღრმა პატივისცემით ავტორებისაგან" აწერია ახალგაზრდა მეცნიერების თამაზ ეამყრელიძისა და გივი მაჭავარიანის წიგნს: „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში" (თბილისი, 1965).

სასიქადულო ქართველი მეცნიერი აკაკი შანიძე ბატონ ნიკოს უძღვნის თავის ვრცელ მონოგრაფიას — „ვეფხისტყაოსნის საკითხები" წარწერით: „ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ ᲜᲘᲙᲝ ᲛᲣᲡᲮᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲡᲡᲡᲗ ᲛᲗ-ის უცვლელ პრეზიდენტს ეს მცირე ძღვენი ავტორისაგან, 27. IX. 1966".

„ჩვენი ქვეყნის მასახელებელს, ჩვენი აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოსს ნიკო მუსხელიშვილს დიდის პატივისცემით, კონსტანტინე გამსახურდია. 2. 1. 1958" — ასეთი წარწერა გაუკეთებია თავის თხზულებათა პირველ ტომზე ბატონ კონსტანტინეს.

მეტად ორიგინალური მიძღვნა აქვს ირაკლი აბაშიძის წიგნს „რას გადაურჩა თბილისი" (1963): „უღრმესი პატივისცემით და სიყვარულით ნიკო მუსხელიშვილს, შვილიშვილებისათვის".

●

ქართველმა ხალხმა ნიკო მუსხელიშვილს სამუდამო ეანსასვენებელი მთაწმინდაზე დაუმკვიდრა. მეცნიერის ხსოვნის უკვდავსაყოფად დაწესდა მისი სახელობის პრემია, გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტს მისი სახელი ეწოდა, აიგო ძეგლი ჭავჭავაძის პროსპექტზე... ძეგლი დგას იმ სახლის მახლობლად, რომელშიც 1941 წლიდან გარდაცვალებამდე — 1976 წლამდე, ცხოვრობდა ბატონი ნიკო. სახლს მემორიალური დაფა და ჩვენი აკადემიის პირველი პრეზიდენტის ჰორელიეფი ამშვენებს.

ნიკო მუსხელიშვილის ვაჟს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გურამ მუსხელიშვილს ყურადღება არ მოუკლია მამის სამუშაო ოთახისათვის. ესეც თავისებური მემორიალია — კედელზე ფოტო-სურათებია გამოფენილი, სპეციალურ სტენდებზე ჯილდოებია, თაროებზე წიგნები... ბატონი გურამი და მისი შვილები — ოლია და მარინე სათუთად უვლიან სახელოვანი მამისა და პაპის ნივთებსა და მის ხელშენახებ წიგნებს...

●

— მესმის, რომ თქვენი წერილის ხასიათი უპირველესად წიგნებზე საუბარს მოითხოვს, მაგრამ ნუ დამძრახავთ, თუ საუბრის ძირითად თემას ზოგჯერ გადავუხვევ — მთლიანობისთვის ასე უკეთესიც იქნება, — გვეუბნება ბატონი გურამი.

დავიწყებ შორიდან.

პეტერბურგში ცხოვრებისას მამა მუსხელოვად იწერებოდა. იქ შეძენილ წიგნებს და ადრე გამოქვეყნებულ სტატიებს ასეც აწერია: Мусхеловъ. იმ დროს ბევრი ქართველი მეცნიერი და მოღვაწე თავიანთ გვარს რუსულ ყაიდაზე წერდა — ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ. საქართველოში ჩამოსვლისთანავე მამამ გვარის გადმოქართულების თაობაზე ივანე ჯავახიშვილს მიმართა. ბატონ ივანეს მისთვის ჩვეული თავაზიანობით უთქვამს: „გვარის არჩევა თქვენი ნებაა, მაგრამ, უნდა მოგახსენოთ, რომ მუსხელს მუსხელიშვილი სჯობია — ქართული გვარია და არაფერი დაეწუნება“. სხვათა შორის, ჩვენი წინაპრები სწორედ მუსხელებად იწერებოდნენ. მაგრამ ბატონ ივანეს ავტორიტეტმა ნათელი გახადა, რომ მამას გვარად მუსხელიშვილი უნდა აერჩია. როგორც ხედავთ, ჩვენ მუსხელიშვილები ვართ...

მამას ღამით უყვარდა მუშაობა. მახსოვს, ერთხელ ის საღამო ხანს მიუჯდა საწერ მაგიდას, დილით სკოლაში წასვლისას ვნახე, რომ იგი კვლავ მაგიდასთან იჯდა და მუშაობდა, სკოლიდან დავბრუნდი და იმავე სურათს შევესწარი.

ჯერ კიდევ სტუდენტობისას მამას ჩვევად ჰქონია მისთვის საინტერესო სამეცნიერო შრომების არა მარტო აღნუსხვა, არამედ სპეციალურად ამისთვის განკუთვნილ რვეულში მათი მოკლე შინაარსის ჩაწერაც. ამ ჩვევისთვის მას არასოდეს უღალატია. აი, ნახეთ, ეს მისი, ასე ვთქვათ, მეცნიერული კონსპექტებია, — გვეუბნება ბატონი გურამი და გვიჩვენებს რამდენიმე რვეულს. ეს სტუდენტობის დროინდელია, ეს შემდგომი — მამას ისინი უწარმოებია თბილისში, რუსეთში და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთშიც. სხვათა შორის, მისი პირველი უცხოური მივლინების მიზანი ლიტერატურის გაცნობა და, აგრეთვე, შეძენა იყო. მან ბევრი წიგნი ჩამოიტანა გერმანიიდან და საფრანგეთიდან. ხომ იცით, იმხანად, — ოციან წლებს ვგულისხმობ, — ჩვენ ძალიან ღარიბნი ვიყავით სპეციალური ლიტერატურით.

ხშირად მეკითხებიან — რატომ არ წავედი მამის კვალზე, რატომ ვამჯობინე ფიზიკოსი გავმხდარიყავი. მე ძალიან მინდოდა რადიოინჟინერი გამოვსულიყავი, მაგრამ ომის წლები იყო, ლენინგრადში წასვლა ვერ შევძელი და უნივერსიტეტში შევედი ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. პირველ კურსზე მომეწონა მათემატიკა და ამ განხრით ვაპირებდი სწავლის გაგრძელებას, მაგრამ მამამ მითხრა — კარგი ხელი გაქვს, უმჯობესია ფიზიკოსი გამოხვიდეო. მეც დავუჯერე. სხვათა შორის, მას თვითონ უყვარდა ფიზიკა, კლასიკოსების შრომებსაც სიამოვნებით ეცნობოდა. აი, აინშტაინის „ფარდობითობის თეორია“ გერმანულად, ეს კი — ნიუტონის „ნატურფილოსოფიის მათემატიკური საფუძვლებია“, აგრეთვე გერმანულად. იგი ნიკო კეცხოველს შეუძენია 1921 წელს და შემდეგ მამასთვის უჩუქებია. შეხედეთ რა ლაკონიური და ორიგინალური წარწერა აქვს: „ნიკოს ნიკოსაგან, 1946“.

დიახ, თბილისის უნივერსიტეტი დავამთავრე ფიზიკის სპეციალობით. არ იფიქროთ, ნიკო მუსხელიშვილის შვილობა რაიმე შეღავათს მაძლევდა... გამოგიტყდებით, ჩემი მასწავლებლები არ „მზოგავდნენ“ — დიდ მოთხოვნებს მიყენებდნენ. მახსოვს, რა მკაცრი იყო გამოცდაზე მამას უახლოესი მოწაფე და მეგობარი ილია ვეკუა, რომელიც ხშირად დადიოდა ჩვენთან და, ბუნებრივია, კარგადაც მიცნობდა. არც სხვები ჩამორჩებოდნენ — ზოგჯერ საათობით მცდიდნენ. შემდეგ გავიგე, მამა ეუბნებოდა თურმე — რაც შეიძლება მკაცრად გამოსცადეთო... თვითონ მამამ ორი საგანი წამიკითხა — ანალიზური გეომეტრია და დიფერენციალური განტოლებანი. პირველში ფრიადი მივიღე — ერთი ფორმულა ჩემებურად გამოვიყვანე და ეს მოეწონა. მეორეში კი... მეორეს მე და ჩემი მეგობარი ვაბარებდით ერთად, აქ, ამ ოთახში. ჩემმა მეგობარმა ხუთ წუთში ხუთიანი მიიღო. მე კი ხუთ წუთშივე... ორიანი. თანაც ძალიან ორიგინალურად: ჩემი პასუხი რომ მოისმინა, მამა ადგა და გავიდა ოთახიდან, რითაც მაგრძნობინა, რომ გამოცდა დამთავრებული იყო..

მამა წიგნებს ძალიან ფაქიზად ეპყრობოდა, ჩვენც — მე და ჩემი შვილებიც მიგვაჩვია ამას. ალბათ ნახეთ, რომ ბევრი წიგნი მას მაგარ ყდაში აქვს ჩასმული. აქაც არის არაერთი ასეთი წიგნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბათ გაინტერესებთ, მამას საყვარელი წიგნები. საერთოდ, მას ძალიან უყვარდა პოეზია და ამიტომ, ბუნებრივია, ხშირადაც კითხულობდა ლექსებს, პოემებს. უყვარდა რუსთაველი, ბარათაშვილი, პუშკინი. მაინც ვფიქრობ, რომ მისი საყვარელი პოეტი ბარათაშვილი იყო.

აღტაცებით კითხულობდა დოსტოევსკის, ლესკოვს. შვილიშვილებს სიამოვნებით უკითხავდა პუშკინსა და გოგოლს.

ისიც უნდა გითხრათ, რომ ბევრს კითხულობდა ფრანგულად, განსაკუთრებით ანატოლ ფრანსს, ალფონს დოდეს და, აგრეთვე, კონან დოილის ფრანგულ თარგმანებს. ბევრი სხვა მწერალიც უყვარდა, ძნელია რომელიმეს გამოყოფა, მაგრამ გეტყვით, რომ სიამოვნებას გვრიდა დიკენსის რომანების კითხვა. ჰო, მართლა, ძალიან მოსწონდა ტარლეს „ნაპოლეონი“.

კიდევ რა შემიძლია ვთქვა? მამა გულგრილი არ იყო ქართული ფოლკლორისადმი, განსაკუთრებით ანდაზებისა და შაირებისადმი. ხშირად შაირობდა კიდეც თავის მეგობრებთან ნიკო კეცხოველთან და მიხეილ ჭიაურელთან. ცხადია, ამ მახვილსიტყვაობისას მე ოთახიდან გამომიშვებდნენ... რაც შეეხება ანდაზებს, ბევრი იცოდა, მაგრამ გამორჩეულად ერთი მოსწონდა: „ბადრიჯანს რომ ფრთები ჰქონდეს, მერცხალი იქნებოდაო“.

ნუ იფიქრებთ, რომ ნიკო მუსხელიშვილი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს მხოლოდ წიგნებს ანდომებდა. არა! ნადირობის ტრფიალი იყო. განსაკუთრებით მწყერზე უყვარდა ნადირობა მანგლისისა და დედულეთის — მაწევანის მიდამოებში. მისი ეტაცება, ან როგორც ახლა ამბობენ, ჰობი, დურგლობაც იყო. მისი ბევრი ნახელავი გვქონდა სახლში. ზოგიერთი ახლაც შემოგვრჩა...

●

ცხადია, ძნელია ისეთი დიდი პიროვნების სრული პორტრეტის დახატვა, როგორიც ნიკო მუსხელიშვილი იყო, ისიც მხოლოდ მისი ბიბლიოთეკის ნაწილობრივ აღწერითა და ერთი მოგონებით, მაგრამ ვიმედოვნებთ, მკითხველს გარკვეული შთაბეჭდილება მაინც შეექმნა ჩვენს დიდ მეცნიერზე — ადამიანსა და წიგნისმოყვარულზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ლორია

მადლიერებით მოსაგონარი

დიდია გიორგი ბაქრაძის ღვაწლი ქართული წიგნისა და პერიოდიკის მეცნიერული კვლევის, ეროვნული ბიბლიოგრაფიის განვითარების საქმეში.

იგი დაიბადა 1887 წლის 7 აპრილს ვლადიკავკავში (ახლანდელი ორჯონიკიძე) ქართველი საზოგადო მოღვაწისა და მეცენატის ილარიონ ბაქრაძის ოჯახში. მისი წინაპრები რაჭის სოფელ სევადან ჩასახლებულან აქ და ქართველთა დიდ სათვისტომოს შეერთებიან. მშობლიურ მიწა-წყალს მოშორებული იქაური ქართველები არ ივიწყებდნენ მამა-პაპათა ადათ-წესებსა და ენას. მათ კერძო შეწირულებათა სახსრებით ქართული სკოლა და ბიბლიოთეკა გახსნეს. ქართველებს მხარში ედგნენ სხვა ერის წარმომადგენლებიც — ოსები, სომხები, რუსები. გიორგი ბაქრაძის პირად არქივში დაცულია სია იმ პირებისა, რომელთაც ფული გაიღეს ამ სკოლისათვის. მათ შორის დასახელებულია ილარიონ ბაქრაძეც.[1]

გიორგი ბაქრაძემ ბავშვობაშივე შეიყვარა საქართველოს ისტორია და ლიტერატურა, გატაცებული იყო მუსიკით.

1907 წელს იგი წარმატებით ამთავრებს ვლადიკავკავის ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიას, ხოლო 1908 წელს ვარშავაში მიემგზავრება და ვეტერინარულ ინსტიტუტში შედის. აქ იგი ბეჯითად ეუფლება ძირითად დისციპლინებს, მაგრამ ამავე დროს არ ივიწყებს ლიტერატურას, ისტორიას, მუსიკას, ეწაფება უცხო ენებს. მასზე დიდ გავლენას ახდენს ცნობილი პოლონელი პოეტი ანტონ გრაბოვსკი, რომელიც მისი მასწავლებელიც იყო და მეგობარიც. მან აზიარა ახალგაზრდა ქართველი იმდროინდელ მოწინავე ევროპულ ლიტერატურას, ჩაუნერგა დაუოკებელი წყურვილი თავისუფლებისა, გააცნო პოლონური კულტურა.

1914 წელს დაამთავრა თუ არა უმაღლესი სასწავლებელი, გიორგი ბაქრაძე სამშობლოში დაბრუნდა და მაშინვე შეუდგა საზოგადოებ-

---

[1] Список лицам, внесшим денежные пожертвования в пользу Владикавказской безплатной школы Общества распространения грамотности среди Грузин с основания школы (1888 г.) по 18 мая 1897 года.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რივ საქმიანობას. ახლახან ატეხილმა მსოფლიო ომმა თავისი მსახვრალი ხელი საქართველოსაც შეახო. ჩაკვდა ყოველგვარი კულტურული საქმიანობა, დაქვეითდა ეკონომიკა, პოლიტიკა მხოლოდ სამხედრო რეჟიმს დაექვემდებარა. თითქმის არავინ დარჩენილა ჯარში გაუწვეველი. თითქოს ჯერი გიორგიზეც უნდა მიმდგარიყო, მაგრამ აქ იგი მისმა პროფესიამ იხსნა. იმდენად იშვიათი იყო ვეტერინარი, იმდენად საჭირო იყვნენ ამ დროს ასეთი სპეციალისტები, რომ მეფის მოხელეებმა ძირითად საქმეს არ მოწყვიტეს იგი, მით უმეტეს, რომ ამ პერიოდში თითქმის ყველგან საქონლის ჭირი მძვინვარებდა.

გ. ბაქრაძეს აგზავნიან სამუშაოდ თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრის დაბა ჯალალოღლში (ახლანდელი სტეფანავანი) საქონლის ჭირიანობის წინააღმდეგ საბრძოლველად. აქ იგი აყალიბებს სანიტარულ პუნქტებს, ქმნის საკარანტინო საგუშაგოებს, თავის მდიდარ თეორიულ ცოდნას პრაქტიკულად იყენებს, აგრეთვე ზრდის ახალგაზრდა კადრებს, ეხმარება მათ სპეციალობის დაუფლებაში.

1918 წელს გიორგი ბაქრაძე თბილისში ბრუნდება და უნივერსიტეტის დაარსების პირველივე დღიდან ინიშნება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილედ, შემდგომში 1935 წლამდე ხელმძღვანელობდა ბიბლიოგრაფიულ განყოფილებას.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში იგი დაუღალავად მუშაობდა ახალი ფონდების შექმნაზე. განსაკუთრებით დიდი ღვაწლი დასდო მან რევოლუციამდელი პერიოდიკის თავმოყრის, შემდეგ კი მისი აღწერის საქმეს. ჯერ კიდევ 1919 წელს მისი ინიციატივით უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ თხოვნით მიმართა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ბიბლიოთეკის საბიბლიოგრაფიო წრისათვის დროებით გადაეცა ქართული ჟურნალებისა და გაზეთების კომპლექტები ბიბლიოგრაფიის შესადგენად. ამ საქმეს იგი სათავეში ჩაუდგა გ. მამრაძესთან ერთად და ბოლომდეც მიიყვანა. შეიძლება სწორედ აქ გაუჩნდა მას სურვილი ქართული პერიოდიკის რეპერტუარის შედგენისა, რასაც მან თითქმის მთელი ცხოვრება მოანდომა.

როგორც ცნობილია, რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ჩამოყალიბებამდე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა არსებითად რესპუბლიკის პირველი ბიბლიოთეკის ფუნქციებს ასრულებდა. უსაზღვროდ მდიდარი იყო მისი წიგნადი ფონდი. მას თავდაპირველად საფუძვლად დაედო საეკლესიო მუზეუმის, აგრეთვე მცხეთის საპატრიარქო კარის, გარეჯის, სამთავისის, ქვათახევის, ბოდბესა და სხვა ეკლესია-მონასტრების ხელნაწერი თუ ძველი ნაბეჭდი წიგნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გადაეცა აგრეთვე თბილისის სამხედრო სასწავლებლის, თბილისის სასულიერო სემინარიის, სამთო სამმართველოს, წყალთა სამმართველოს, კავკასიის სამხედრო შტაბის, მრავალი საშუალო სასწავლებლის, ყოფილი სათავადაზნაურო გიმნაზიის ბიბლიოთეკების ფონდები.

გიორგი ბაქრაძე

მას წიგნები შესწირა თითქმის ყველა გამოჩენილმა მეცნიერმა, მათ შორის ალექსანდრე ცაგარელმა, დავით ბაქრაძემ, თედო ყორდანიამ, ცნობილმა მეცენატებმა დავით სარაჯიშვილმა, სიმონ კლდიაშვილმა, დავით ბებუთოვმა და სხვ. 1918 წ. ივანე ჯავახიშვილმა და ეახტანგ ღამბაშიძემ ბიბლიოთეკისათვის წიგნები სტამბოლშიაც კი შეიძინეს. უფრო მოგვიანებით — 1926 წელს ამ ბიბლიოთეკას გადაეცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავიც.

ცხადია, ფონდების ასეთი დიდი თავმოყრა, მათი შერწყმა, აღწერა-კლასიფიკაცია, განლაგება და დაცვა ძალიან დიდ მეთოდიკურ და ორგანიზაციულ სირთულეებთან იქნებოდა დაკავშირებული და სწორედ ასეთ ვითარებაში მოუხდა გ. ბაქრაძეს ყოფილიყო ამ ბიბლიოთეკის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი და შემდგომში მისი მუდმივი კონსულტანტი.

1935 წელს, როგორც საბიბლიოთეკო საქმის თვალსაჩინო მოღვაწე, გ. ბაქრაძე მიიწვიეს საქ. სსრ რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობის კაბინეტის გამგედ. იმავე წელს წიგნის პალატაში გადადის სამუშაოდ, სადაც სწავლულ მდივნად ინიშნება.

1938 წელს მიიწვიეს თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ბიბლიოთეკათმცოდნეობის კათედრაზე, სადაც დოცენტად მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე.

პედაგოგიურ სარბიელზე მოღვაწეობის დროს მას კავშირი არ გაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყვეტია პრაქტიკულ ბიბლიოგრაფიულ საქმიანობასთან. განსაკუთრებით მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა საქართველოს წიგნის პალატასთან ქართული წიგნის რეპერტუარის შედგენის პერიოდში.

ამ ხანებში გ. ბაქრაძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მეთოდიკურ მუშაობასაც. 1939 წელს გამოდის მისი წიგნი „ბიბლიოგრაფიული მომსახურების ორგანიზაცია ბიბლიოთეკაში. მოკლე სახელმძღვანელო საბიბლიოთეკო კურსების მსმენელებისა და ბიბლიოთეკარებისათვის", რომელიც დიდხანს რჩებოდა როგორც ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდიკური ნაშრომი ბიბლიოგრაფიული საქმის ორგანიზაციის დარგში.

30-იან წლებში დიდი მუშაობა მიმდინარეობდა ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის მეცნიერული ტერმინოლოგიის შემუშავებისათვის. გ. ბაქრაძემ აქაც შეიტანა თავისი წვლილი. აღსანიშნავია მისი მონაწილეობა ცენტრალურ სამეცნიერო-სატერმინოლოგიო კომისიის საქმიანობაში. როგორც ცნობილია, ამ კომისიამ 1932 წელს გამოსცა მე-6 ნაკვეთი ტერმინოლოგიური ლექსიკონისა: „ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიისა და პოლიგრაფიული წარმოების ტერმინოლოგია, რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული", რომლის წინასიტყვაობაში ნათქვამია: „აღსანიშნავია ჩვენი სპეციალისტების მუშაობა ამ დარგში. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას ამხ. ამხ. გიორგი ბაქრაძისა და გობრონ ციცქიშვილის შესახებ, რომლებიც ჩვენი ტერმინოლოგიის ფუძემდებლად უნდა ჩაითვალონ."

მართალია, გ. ბაქრაძეს დიდი შრომა ჰქონდა გაწეული კადრების აღზრდაში სხვადასხვა ორგანიზაციებთან არსებულ ბიბლიოთეკართა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე, მაგრამ მისი პედაგოგიური მოღვაწეობა მთელი სისავსით გაიშალა ბიბლიოთეკათმცოდნეობის კათედრაზე მუშაობისას. უმაღლეს სასწავლებელში საქმიანობამ მას მეცნიერული მოღვაწეობის სურვილიც გაუცხოველა, გაზარდა მისი მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი. იგი მეტი ცოდნის დაუფლების საჭიროებას ეძიებდა, განსაკუთრებით ფილოლოგიის განხრით, და უკვე ხანში შესული, 1948 წელს ექსტერნის წესით ამთავრებს თბილისის უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტს გერმანული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. ამავე პერიოდში შეუდგა იგი მუშაობას საკვალიფიკაციო შრომაზე.

თემის არჩევა მისთვის სიძნელეს არ წარმოადგენდა. დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა ქართული ჟურნალ-გაზეთების ბიბლიოგრაფიაზე. ჯერ კიდევ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მოღვაწეობის დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუდგა პერიოდიკის ბიბლიოგრაფიისათვის მასალის შეგროვებას. ამ საქმისათვის მას თავი არასოდეს დაუნებებია და ამრიგად, საბოლოოდ შექმნა ბრწყინვალე ნაშრომი „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია 1819—1945“, რომელიც 1947 წელს გამოიცა. არსებითად იგი არა თუ უბრალო ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელია, არამედ წარმოადგენს ქართული პერიოდიკის ისტორიის შესანიშნავი მასალის თავმოყრასა და მეცნიერულ ანალიზს. მისი დონე არაფრით ჩამოუვარდება მსოფლიოს თანამედროვე დონის სტანდარტებს. მასალის სიდიდით, აღწერილობით, სისტემატიზაციით, სტრუქტურით, დამხმარე აპარატით, მასალის ეადმოცემის მაღალი კულტურით იგი უდავოდ სანიმუშოა. განუზომელია მისი როლი ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში. ეს ნაშრომი დღესაც დიდ დახმარებას უწევს ჩვენს მეცნიერებს.

საერთოდ, ამ წიგნს უცნაური ბედი დაჰყვა. გამოიცა თუ არა, მაშინვე გახდა უაზრო დევნისა და შევიწროების საგანი. შესაბამისი ორგანოების მითითებით იგი ამოიღეს სავაჭრო ქსელიდან, რადგანაც აღწერილობაში აქა-იქ მოხსენიებული იყვნენ 30-იან წლებში რეპრესირებული პირები. ამის თაობაზე ავტორს თავისი მოსაზრებები გამოთქმული აქვს ერთ-ერთ ოფიციალურ წერილში, რომელშიც თავს იმართლებდა იმით, რომ მას არ შეეძლო სცოდნოდა ყველა, ვისი ხსენებაც აკრძალული იყო. ზოგიერთი მათგანი თვითონ ავტორმაც არ შეიტანა ნაშრომში. ამით, ცხადია, ნაშრომმა დიდად წააგო, რამდენადაც უკვე აღარ შეიძლებოდა მის აბსოლუტურ სისრულეზე ლაპარაკი. უნდა აღინიშნოს, რომ გ. ბაქრაძის პირად არქივში ახლაც ხელუხლებლად ინახება „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიის“ სრული ვარიანტი. გამოქვეყნებული ვარიანტი კი დღეს უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. არადა, იგი ამჟამადაც ფრიად საჭირო წიგნია და მისი შევსებული, ხელახალი გამოცემა აუცილებელია. ეს ნაშრომი რეტროსპექტული ბიბლიოგრაფიაა, რომელსაც ისტორიული, წმინდა სარეგისტრაციო მნიშვნელობაც აქვს, იგი გამოცემათა რეპერტუარია და სრულყოფილ, ამომწურავ სურათს უნდა იძლეოდეს. მისი შეკეთებაშელამაზება დაუშვებელია. ეს უკვე ბიბლიოგრაფიის პრინციპული თავისებურებაა.

სხვათა შორის, მეცნიერის არქივში ინახება აგრეთვე მის მიერ შედგენილი შემდეგი პერიოდის მასალის დამუშავებული, გამოსაცემად გამზადებული ვარიანტიც, მაგრამ მისი გამოქვეყნება ფერხდება, რადგანაც ძალიან ჭირს ბიბლიოგრაფიული ხასიათის წიგნების გამოცემა.

გ. ბაქრაძის „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია“ დიდი მოცუ-

ლობის, კაპიტალური ნაშრომია. ძნელი წარმოსადგენია, რომ ერთმა კაცმა, რომელიც ყოველდღიურად დაკავებული იყო სამსახურებრივი საქმიანობით, შეძლო ასეთი მძიმე და მომქანცველი, ასეთი რთული და შრომატევადი საქმე შეესრულებინა. მართლაც ტიტანური შრომაა ჩაქსოვილი ამ წიგნში.

სწორედ ეს წიგნი წარადგინა გ. ბაქრაძემ თავის საკვალიფიკაციო ნაშრომად. 1954 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და ახალი ენერგიით შეუდგა მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობას.

გ. ბაქრაძე, საერთოდ, მეტად მრავალფეროვან და ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა. ამისი დასტურია თუნდაც მისი მუშაობა გეორგიკის დარგში. მან თავი მოუყარა საქართველოს შესახებ არსებულ ბიბლიო-

ვლადიკავკაზის ესპერანტისტთა ჯგუფი. მეორე რიგში მეორე — გ. ბაქრაძე

გრაფიულ მასალას და მისი ანალიზის საფუძველზე შექმნა მეორე საფეხურის ბიბლიოგრაფიული ნაშრომი — „გეორგიკა“, რომელიც 1960 წელს გამოიცა.

გიორგი ბაქრაძეს ჰქონდა სხვა გატაცებაც. ესპერანტოს ენის შესწავლით იგი ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს დაინტერესდა.

საუკუნის დასაწყისში საქართველოში ესპერანტისტთა რამდენიმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წრე არსებობდა. 10-იან წლებში ერთი ასეთი წრე ვლადიკავკაკაკავშიც ჩამოყალიბდა, რომელშიც გ. ბაქრაძეც იყო გაერთიანებული. როგორც მისი პირადი წერილებიდან ჩანს, რომელიც ვაჟა-ფშაველასათვის გამოუგზავნია, ესპერანტოს ის ვარშავაში გამგზავრებამდე ეუფლებოდა.

ესპერანტისტთა ჟურნალი

ვარშავაში სწავლის პერიოდში გიორგი ბაქრაძეზე დიდი გავლენა მოუხდენია შემდგომში ცნობილ საბჭოთა ბიოლოგს, ლვოვის უნივერსიტეტის პროფესორს, ასევე ცნობილ ესპერანტისტს ანატოლი კოხს.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გიორგი ბაქრაძისათვის ესპერანტოს ფუძემდებელ პროფესორ ლუდვიგ ზამენჰოფთან დაახლოებას, რომელიც მისი ლექტორი იყო ვარშავაში. იგი ყოველთვის განსაკუთრებული სითბოთი და პატივისცემით იხსენებდა თავის საყვარელ მასწავლებელს. გამორიცხული არ არის, რომ ლუდვიგ ზამენჰოფმა სწორედ გ. ბაქრაძის მითითებით შეიტანა ესპერანტოს ენაზე ქართველთმცოდნეობა არა „გეორგიკის“, როგორადაც ეს ტრადიციულად იყო დამკვიდრებული ევროპაში, არამედ „კარტველიკის“ სახელწოდებით.

იმ პერიოდში თბილისში გამოდიოდა ესპერანტისტთა ორკვირეული ჟურნალი „კაუკაზა ესპერანტისტა“ („კავკასიის ესპერანტისტი“), რომელშიც ახალგაზრდა სტუდენტმა გიორგი ბაქრაძემ (მე-14 და მე-15 ნომრებში) შიო არაგვისპირელის მოთხრობების თარგმანი ეამოაქვეყნა.

ვარშავაში ყოფნის დროს 1910 წელს გ. ბაქრაძემ ესპერანტოს ენაზე თარგმნა და გამოაქვეყნა ვაჟა-ფშაველას „მთის წყარო“. ახალგაზრ-

და ესპერანტისტი შეაფიქრიანა იმ გარემოებამ, რომ ამაზე მას თვით ავტორისაგან ნებართვა არ ჰქონდა მიღებული და 1912 წელს წერილით დაუკავშირდა მას. მან ჯერ არ გაუმჟღავნა დიდ მგოსანს, მისი ნაწარმოების თარგმანი უკვე გამოქვეყნებული რომ ჰქონდა და სთხოვა „ჩხიკვთა ქორწილის“ და „შვლის ნუკრის ნაამბობის“ თარგმნის ნებართვა.

„რვა წლის წინეთ შევისწავლე საერთაშორისო დამხმარებითი ენა ესპერანტო და მას აქეთ განვიზრახე ქართველ მწერლების ამ ენაზე გადათარგმნა და ზოგი რამ წვრილმანი კიდეც გადავთარგმნეო“, — წერდა იგი ვაჟა-ფშაველას.[2] შემდეგ, როცა ვაჟასაგან თანხმობა მიიღო, იგი გამოუტყდა მას, რომ უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა „მთის წყარო“, ამ წერილთან ერთად მან მგოსანს გამოუგზავნა ერთი ეგზემპლარი ჟურნალისა, რომელშიც ესპერანტოს ენაზე გამოქვეყნებული იყო მისი მოთხრობა და აგრეთვე ამავე ენაზე ცალკე წიგნად გამოცემული ალ. ყაზბეგის „ნინო“.

გ. ბაქრაძემ ბოლოს და ბოლოს შეძლო განეხორციელებინა თავისი ჩანაფიქრი—ესპერანტოს ენაზე გამოექვეყნებინა „ჩხიკვთა ქორწილი“, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია.

საერთოდ გ. ბაქრაძეს არასოდეს აუღია ხელი თავის გატაცებაზე— ესპერანტოზე. ხანდაზმულობაშიც ენერგიულად მოღვაწეობდა ამ დარგში. სისტემატურად ღებულობდა პრაღის ესპერანტისტთა კლუბის ბიულეტენს („ბიულეტენ დე ესპერანტისტა კლუბო ენ პრაჰა“). კლუბის ხელმძღვანელობა სთხოვდა, აქტიურად ეთანამშრომლა ჟურნალში. უკანასკნელ ხანებში მისი სტატიები იბეჭდებოდა ჟურნალებში „პოლა ესპერანტისტოსა“ და „ნენტემპა ბულგარიოში“, პოლონელ და ბულგარელ ესპერანტისტთა ორგანოებში. მას კარგად იცნობდა ესპერანტისტთა საზოგადოება, როგორც მთარგმნელსა და ესპერანტოლოგს, მიმოწერა ჰქონდა მსოფლიოს ცნობილ ესპერანტისტებთან. ერთ-ერთი მათგანი — იაპონელი ესპერანტისტი მიამორი ცესუმი საქართველოში ყოფნის დროს სპეციალურად ესტუმრა ოჯახში და მეგობრული ურთიერთობა დაამყარა მასთან. გ. ბაქრაძე ერთ-ერთი ყველაზე უხუცესი ესპერანტისტი იყო ჩვენში. მას ხომ ჯერ კიდევ სტუდენტს, 1912 წელს ჟენევის ესპერანტისტთა საერთაშორისო ინსტიტუტმა სპეციალური ნაშრომისათვის პროფესორის წოდება მიანიჭა.

ესპერანტოს შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით, 1938 წელს,

---

[2] გ. ბაქრაძის წერილები გამოქვეყნებულია ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ათტომეულში. ტ. 10. 1964, გვ. 268—271.



PROFESORA DIPLOMO

Internacia Instituto de Esperanto

(Parizo - Londono - Berlino - New-Jorko)

Centra Direkcio en Genève

Sub la patronado de la Ligo Internacia de la Societoj de Esperanto

Al la diploma kursoj en la nomo de Internacia Instituto de Esperanto la

Sr. Giorgi Bakradze

en Tasavio

pro sukceso plenumo de specialo ekzamena komisio

1° esti bazon de la lingvo Esperanto en ĝia fundamento en la tiaj valoro de ĝia literaturo kaj en la tiaj fazoj de ĝia historio.

2° esti kapableco kapabla paroli kaj skribi esperanto.

3° esti kapableco tiel pri ties lingvo kaj ties esperanto literaturo.

4° esti konpreneno pri Esperanto de la lingvo internacia, la [illegible] [illegible] kaj [illegible] [illegible] [illegible]

როგორც ვეტერან ესპერანტისტს, ჟენევიდან სპეციალურად გამოუგზავნეს ოქროს სამკერდე ნიშანი-ემბლემა, მაგრამ რაკი რაღაც მიზეზების გამო ვერ მიიღო იგი, ხოლო ხელმეორედ მისი გაცემა არ შეიძლებოდა, მას პლასტმასის ასლი გამოუგზავნეს, რომელიც ამჟამად მის პირად არქივში ინახება. 1958 წელს, ესპერანტოს შექმნის 70 წლისთავზე გიორგი ბაქრაძე ლონდონში დაუსწრებლად აირჩიეს ესპერანტისტთა საზოგადოების წევრად. საქართველოში ის რესპუბლიკის ესპერანტისტთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე იყო.

ექსპერანტისტთა ემბლემა

სამწუხაროდ, ბევრი მასალა, რაც გ. ბაქრაძის ესპერანტისტულ მუშაობასთან იყო დაკავშირებული, იმ პერიოდში განადგურდა, როდესაც ესპერანტისტები ჩვენში კოსმოპოლიტიზმთან ბრძოლის საბაბით ოფიციალურ დევნასა და შევიწროებას განიცდიდნენ.

ვანსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გ. ბაქრაძის პედაგოგიური მოღვაწეობა. ეს იყო ნამდვილი პედაგოგი-მეცნიერი, პედაგოგი-აღმზრდელი, პედაგოგი-მოღვაწე, უმწიკვლო და კეთილსინდისიერი პიროვნება. როგორც ერთ-ერთმა ფუძემდებელთაგანმა, მან დიდი ღვაწლი დასდო სპეციალური ფაკულტეტის დაარსებისა და განვითარების საქმეს. მან პირველმა გამოსცა ქართულ ენაზე „ზოგადი ბიბლიოგრაფიის“ პროგრამა, შეადგინა ამ კურსის სახელმძღვანელოც, რომლის გამოქვეყნება თავის დროზე ვერ მოხერხდა, მაგრამ გარკვეული სარგებლობა მაინც მოუტანა კათედრის ახალგაზრდა სპეციალისტებს. გ. ბაქრაძე ითვლება „ზოგადი ბიბლიოგრაფიის“ როგორც საუკეთესო პედაგოგად, ისე თეორეტიკოსადაც.

გ. ბაქრაძის ლექციები ლაკონურობით და კონკრეტულობით გამოირჩეოდა. მას შეეძლო მეტად მრავალფეროვანი და დიდი მოცულო-

ბის მასალის მოკლედ და შთამბეჭდავად ეადმოცემა, ყურადღების უმთავრესზე გამახვილება. უყვარდა, როცა სტუდენტებიც კონკრეტულად საუბრობდნენ და უსაფუძვლოდ არ „იხარჯებოდნენ“ მრავალსიტყვაობით. აღტაცებული რჩებოდა, როდესაც სტუდენტი თავის დამოუკიდებელ მოსაზრებას იცავდა. ასეთ სტუდენტს ყოველთვის წაახალისებდა და ცდილობდა მეტი გასაქანი მიეცა მისთვის. ვისაც სურვილსა და მონდომებას შეამჩნევდა, ცდილობდა ჩაება სერიოზულ სამეცნიერო საქმიანობაში, ყოველმხრივ ეხმარებოდა მას. სტუდენტებსაც იშველიებდა თავის საქმიანობაში, სხვადასხვა ტექნიკურ საქმეებს ავალებდა მათ და ამით ერთგვარად თავის მეცნიერულ ლაბორატორიაში ჩახედვის საშუალებას აძლევდა. მაგალითად, რამდენიმე სტუდენტს „გეორგიკაზე“ მუშაობის დროს თავის გეგმებს გვიზიარებდა, გვიჩვენებდა, რა როგორ გვეკეთებინა და გვაბამდა კიდეც ბიბლიოგრაფიის შედგენის პროცესში.

ერთხელ დამამთავრებელი კურსის სამი სტუდენტი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა სამმართველოში წაგვიყვანა, რომ იქ ხელმძღვანელებისათვის გაეცნო ჩვენი თავი და საჭიროების შემთხვევაში ჩვენთვის რაიმე სამუშაო მოეცათ, სურდა აქედანვე ჩავბმულიყავით მეთოდიკურ საქმიანობასა და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლების შედგენაში.

იმ პერიოდში ძალიან ჭირდა სპეციალური ლიტერატურის შოვნა. ბატონი გიორგი თავის წიგნებს გვაძლევდა სამუშაოდ. როცა ოჯახში გვიწვევდა ამის გამო მასთან მისვლა, თანატოლივით მიგვიღებდა, დაგვსხამდა, საუბარს ეაგვიბამდა. ინსტიტუტშიც დატვირთული მოდიოდა ხოლმე, ხან ვისთვის და ხან ვისთვის მოჰქონდა საჭირო წიგნები. საოცრად უბრალო და უშუალო ადამიანი იყო.

სამი ვაჟი ჰყავდა. ომის დროს სამივე სხვადასხვა ფრონტზე იბრძოდა. სამივენი სახელიანი დაბრუნდნენ. ეამაყებოდა ეს, როგორც მოქალაქესა და პატრიოტს. ბუნებით ოპტიმისტი იყო, წუწუნი და გულგატეხილობა არავის გაუგონია მისგან. საკუთარი თავის მიმართ საერთოდ საკმაოდ დაუდევარი იყო. არ უფრთხილდებოდა ჯანმრთელობას, ექიმებს არ ეპუებოდა, ყოველთვის ახერხებდა დასხლტომოდა მათ მეთვალყურეობას.

ერთგვარი ირონიით უყურებდა თავის ავადმყოფობას, მის ირგვლივ მოფუსფუსე ხალხს, სიკვდილის შიში არ შეჰპარვია, ბოლომდე შეინარჩუნა ვაჟკაცური სული.

ასე წავიდა ვალმოხდილი. მიიცვალა უსიტყვოდ, უშფოთველად... 1960 წლის 18 დეკემბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ მაჭავარიანი

ცნობილი რუსი ბიბლიოგრაფი ნიკოლოზ რუბაკინი ამბობს: „საკუთარი და სხვისი კითხვისათვის წიგნის შერჩევა — ეს არა მარტო მეცნიერება, არამედ ხელოვნებაცაა. მის განვითარებას კი ზღვარი არა აქვს“. სწორედ ამ მეცნიერების, ამ ხელოვნების განვითარებას ემსახურებოდა თამარ მაჭავარიანი თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში.

თამარ მაჭავარიანი დაიბადა 1895 წელს სოფ. ბორში (ორჯონიკიძის რაიონი). ქართველი ინტელიგენტის პეტრე სამსონის ძე მაჭავარიანის ოჯახში, სადაც თავს იყრიდნენ იმდროინდელი საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლები: რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის ერთ-ერთი მეთაური, საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, დიმიტრი ყიფიანის ძმისწული მიხეილ (მიშო) ყიფიანი; ცნობილი საბავშვო მწერალი შიო მღვიმელი; მსახიობი და მთარგმნელი ეფროსინე (ეფრო) კლდიაშვილი; მწერალი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „ჯეჯილის“ რედაქციის წევრი სოფიო ირაკლის ასული ციციშვილი. ეს იყო გარემო, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა თამარ მაჭავარიანის, როგორც პიროვნების ჩამოყალიბებაში და განსაზღვრა მისი შემდგომი მოღვაწეობის ასპარეზი და ხასიათი.

საშუალო განათლება თ. მაჭავარიანმა მიიღო ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელში, რომელიც 1912 წელს დაამთავრა. ამავე წელს 17 წლის თამარი პედაგოგიურ მოღვაწეობას იწყებს ზესტაფონის ქალთა პროგიმნაზიაში. 1915 წლიდან სამუშაოდ გადადის ქუთაისში, საზოგადოება „სინათლის“ მიერ დაარსებულ პირველ ქალთა სასწავლებელში. 1920 წლიდან იგი თბილისში ცხოვრობს და მასწავლებლობას განაგრძობს საზოგადოება „განათლების“ ქალთა სასწავლებელში, რომელიც 1921 წელს გადაკეთდა ჯერ შრომის სკოლად, ხოლო შემდეგ კი პედაგოგიურ ტექნიკუმად. აქვე იწყებს თამარი საბიბლიოთეკო მოღვაწეობას, როგორც ტექნიკუმის ბიბლიოთეკის გამგე.

1923 წელს თამარ მაჭავარიანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ მუშფაკულტეტში მასწავლებლად, 1931 წელს კი — სასოფლო-სამეურნეო მუშფაკში. ამავე წელს იგი შეთავსებით იწყებს მუშაობას კ. მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში, სადაც 1932 წლიდან უკვე პერიოდიკის განყოფილების გამგედ ინიშნება.

1938 წელს მუშათა ფაკულტეტების რეორგანიზაციის გამო თ. მაჭავარიანი თავს ანებებს პედაგოგიურ მოღვაწეობას.

1935 წელს ბიბლიოთეკის დირექტორის, პოეტისა და საზოგადო მოღვაწის სანდრო ეულის (ქურიძის) ინიციატივითა და მხარდაჭერით თამარი საფუძველს უყრის კავკასიოლოგიის კაბინეტს (დღეს ქართველოლოგიის განყოფილებას). თ. მაჭავარიანისა და მისი კოლეგების — რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარის თამარ დონდუასა და ელენე გოგოძის დაუღალავ შრომას უნდა უმადლოდნენ ქართველი მკვლევარები კავკასიოლოგიის ძვირფასი დამხმარე ფონდისა და მდიდარი, ოპერატიული საცნობარო-ბიბლიოგრაფიული სამსახურის შექმნას.

მე-19 ს-ის მეორე ნახევრიდან ქართული ჟურნალისტიკის განვითარება დიდი აღმავლობით მიდის წინ. არ დარჩენილა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე არ ეპოვოს გამოხმაურება. ამ ზღვა მასალაში ორიენტირება შესაფერისი საძიებლების გარეშე ჩვენს მეცნიერ-მუშაკებს სამეცნიერო კვლევისათვის განკუთვნილი დროის დიდ ნაწილს ართმევდა. ხშირი ფურცვლა კი პერიოდიკის განადგურების სიშიშროებას ქმნიდა. ამის გამო 1936 წელს ადადუდებელ ამოცანად დაისახა ძველი ქართული პეროდული გამოცემების სრული რეპერტუარისათვის ანალიტიკური საძიებლების შედგენისა და გამოცემის საკითხი. ამ მეტად პასუხსაგები სამუშაოს ხელმძღვანელობაც თამარ მაჭავარიანს ხვდა წილად. მისი მრავალწლიანი თავდადებული შრომის შედეგად დღეს ქართველი მკითხველის განკარგულებაშია მდიდარი სამეცნიერო აპარატით აღჭურვილი, ფუნდამენტური შრომები: „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ სამი ტომი (1852 — 1905 წწ.) და „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ 8 წიგნად (1866—1904 წწ.). ამ ტომეულებში თავმოყრილია თ. მაჭავარიანის ხანგრძლივი შემოქმედებითი და მეცნიერული შრომის შედეგები. დადგენილია ხელმოუწერელი სტა-

ტიების ავტორები, გახსნილია ფსევდონიმები და კრიპტონიმები, თანაც ხელს უწყობს თითოეული მწერლის, პუბლიცისტის თუ ჟურნალისტის შემოქმედებითი ბიოგრაფიის მთელი სისრულით შესწავლას. მაგალითად, ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიებზე მუშაობის შედეგად გამოვლინდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გიორგი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყიფშიძის, თედო სახოკიას, მიხეილ თუმანიშვილის, ივანე მესხის და სხვათა ფსევდონიმები, დაზუსტდა მრავალი წერილის ავტორის ვინაობა.

თამარ მაჭავარიანი

თ. მაჭავარიანის მიერ ამ მიმართულებით გაწეული უაღრესად ნაყოფიერი მუშაობის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ნაწყვეტებს მისი ჩანაწერებიდან: „ჩვენს მიერ დიდი შრომაა გაწეული ფსევდონიმების გახსნაში. მეოცე საუკუნის დასაწყისის პრესაში ფსევდონიმების გახსნის საკითხი კიდევ უფრო მწვავედ დგას. ერთი და იგივე ფსევდონიმით ხშირად ორი და მეტი პიროვნებაც წერს.

გაზეთ „ივერიის“ თანამშრომელი დ. მაჩხანელი (დიმიტრი ნადირაძე) წერდა სხვათა შორის ფსევდონიმით — „ქიზიყელი“, მისი გარდაცვალების შემდეგ, ამ ფსევდონიმით გვევლინება ეგნატე მენთეშაშვილი, რომელიც თავის ავტობიოგრაფიაში (ინახება ქ. თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში) ამბობს, რომ წერილი დაბეჭდილი გაზეთში — „ივერია“, 1904 წ. № 147 — ქიზიყის ავ-კარგი — მე მეკუთვნისო. წერილი მოწერილია ფსევდონიმით „ქიზიყელი“. ...

ერთი საყურადღებო ცნობაც — 1904 წლის „ივერიაში“ იბეჭდებოდა ლექსები „ცალხელის“ ან „ცალხელას“ ფსევდონიმით. ზოგს ჰგონია, რომ ეს პარმენ თვალჭრელიძის ფსევდონიმი იყო, მაგრამ იგი გარკვეულად წერდა ფსევდონიმით — „ცახელი“. პოეტ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილის მასალების მიხედვით ფსევდონიმი „ცალხელი“ ვინმე გიორ-

გაძეს ეკუთვნის, დ. სულიაშვილის მოსაზრება, რომ „ცალხელი“ ბ. თვალჭრელიძეაო და „ივერიამ“ კორექტურული შეცდომა დაუშვაო, სწორი არ არის (იხ. „დროშა“, 1930, № 3, გვ. 4). სამწუხაროდ, გიორგაძის სახელი ვერ გავიგეთ“[1].

ქართული პერიოდული გამოცემების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის ღირებულება აუწონავია. მის ტომებში ასახული მასალა ჩვენი სამშობლოს უტყუარი ისტორიაა ერთი საუკუნის მანძილზე. აქ არის საქართველოს ეკონომიკა, გეოგრაფია, სამართალი, სამხედრო საქმე, განათლება, ხელოვნება, ლიტერატურა, მედიცინა, მუშათა მოძრაობა და ბევრი სხვა რამ, რასაც ადგილი აქვს ცხოვრებაში, რაც აირეკლება პრესაში და რაც იწვევს აზრთა სხვადასხვაობას, კამათს...

თამარ მაჭავარიანის და მისი ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის დიდი მონაპოვარია გაზ. „ივერიიდან“ ილია ჭავჭავაძის რამდენიმე ათეული უცნობი ხელმოუწერელი პუბლიცისტური წერილის გამოვლენა. წერილები ცალკე რვეულებად ამოიბეჭდა და შესასწავლად დაეგზავნა ქართველ მკვლევარებს. დღეს ბევრი მათგანი აღიარებულია ილიასეულ მემკვიდრეობად და განზრახულია მათი თხზულებათა ოცტომეულში შეტანა.

დადებითი რეცენზიებით გამოეხმაურა პრესის ფურცლებზე ქართველი მეცნიერული საზოგადოებრიობა ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის ტომეულების გამოსვლას. გაგაცნობთ ამონაწერებს რამდენიმე რეცენზიიდან. ვასილ გოგოლაძე თავის სტატიაში „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ წერს: „გაზეთ „ივერიას“ ქართველი ხალხის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. არ დარჩენილა არც ერთი ცოტად თუ ბევრად საჭირბოროტო საკითხი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, რომელთა შესახებაც „ივერიას“ მკითხველისათვის თავისი სიტყვა არ ეთქვას. მიუხედავად ამისა, ამ გაზეთის შესახებ მონოგრაფია ჯერაც არ დაწერილა, მაგრამ ჩვენი სარეცენზიო წიგნის გამოცემა (ტომი 3, ნაკვ. 1) მეტად გაუადვილებს მეცნიერ-მკვლევარებს შეადგინონ ნაშრომი, რომელიც მკითხველს მისცემს სრულსა და ყოველმხრივ წარმოდგენას „ივერიის“ სულისა და გულის — ი. ჭავჭავაძისა და მის თანამებრძოლთა შრომასა და შემართებაზე.

სარეცენზიო წიგნის წინასიტყვაობის ავტორი, ბიბლიოგრაფიული

---

[1] თ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, წინასიტყვაობა, ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია. ტ. 1, ნაკვ. 1., 1969. გვ. 19.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი, მდიდარი საძიებლების დამრთველი, საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარი თამარ მაჭავარიანი მეტად საინტერესო მასალას აწვდის მკითხველს"[2].

ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის ამავე ტომის შესახებ პროფესორი სოლომონ ხუციშვილი აღნიშნავს: „ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის ეს ნაკვეთი „ივერიის" ნომრებში დაბეჭდილი მასალის რეგისტრაცია კი არ არის, არამედ დიდი ხნის დაკვირვებული კვლევისა და ათასგვარ ცნობათა შეჯერების შედეგია... მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მხარე ამგვარი გამოცემისა, და კერძოდ, „ივერიის" ანალიტიკური ბიბლიოგრაფიისა ისაა, რომ იგი ამდიდრებს ზოგიერთი ქართველი მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობას. საგაზეთო მასალის დაკვირვებული შესწავლა, თითოეული კორესპონდენტის სტილზე დაკვირვება, ბიბლიოგრაფიის შემდგენლებს საშუალებას აძლევს შესანიშნავი დასკვნების გამოტანისათვის. ბიბლიოგრაფიის შედგენისას ისინი სხვადასხვა მასალას და მითითება-ჩვენებას იყენებენ და, ამრიგად, სრულყოფილს ხდიან მწერალთა მხატვრულ-პუბლიცისტურ მემკვიდრეობას, მწერალთა შემოქმედებას ემატება აქამდე უცნობი მასალები. ... მარტო ბიბლიოგრაფიის წინამდებარე ნაკვეთში აღნუსხულია ილია ჭავჭავაძის ინიციალების მქონე 21 საგაზეთო წერილი, რომელნიც ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამომცემლებისაგან უყურადღებოდ იქნა დატოვებული — ისინი მწერლის თხზულებათა ტომებში არ მოხვედრილა. წინამდებარე ნაკვეთმა ვაჟა-ფშაველას ლიტერატურულ მემკვიდრეობას შესძინა ორი წერილი — „ერთი კვირა ხევსურეთში" დაბეჭდილი „იქაურის" ფსევდონიმით 1892 წელს „ივერიაში" და „თიანეთის ცხოვრების ქრონიკა", გამოქვეყნებული 1890 წელს იქვე. ბიბლიოგრაფიამ გამოავლინა ნიკო ლომოურის უცნობი და მეტად საინტერესო კორესპონდენციები და სხვ."[3].

უდიდესი შეფასება მისცა და თავისი სიყმაწვილის ოცნების წიგნი უწოდა ივანე ჯავახიშვილმა 1940 წელს გამოცემულ „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის" 1 ტომს.

1942 წელს ცნობილი საზოგადო მოღვაწის, მწერლისა და პუბლიცისტის ნიკო ნიკოლაძის მემკვიდრეებმა მათი სახელოვანი მამის უნიკალური პირადი არქივი (9940 დაცვის ერთეული) დროებით დასაცავად

---

[2] ვ ა ს ი ლ გ ო გ ო ლ ა ძ ე, ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, „მნათობი", 1965. № 3. გვ. 144—145.

[3] ს ო ლ ო მ ო ნ ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი. ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია. „მნათობი", 1964. № 2. გვ. 188—189.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მხარეთმცოდნეობის განყოფილებას გადასცეს. არქივის დაცვა დაეკვალა მთავარ ბიბლიოგრაფს თამარ მაჭავარიანს.

თ. მაჭავარიანმა ფონდის ჩაბარების და ინვენტარიზაციის დროს ბიბლიოგრაფის უტყუარი ალღოთი განსაზღვრა ნიკო ნიკოლაძის პირადი არქივის დიდი მნიშვნელობა და საჭიროდ სცნო ფონდის აღწერა და კატალოგის მომზადება.

კატალოგის გამოცემა მართლაც უაღრესად საშური საქმე იყო, რადგან ეს არქივი იმ დიდი ძვრების ამსახველია, რომლებსაც საქართველოში ჰქონდა ადგილი ბატონყმობის გადავარდნის წინა პერიოდში და XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე. ამ ფონდში ქართველოლოგიით დაინტერესებული მკვლევარი ნახავს როგორც ეროვნული ლიტერატურისა და ხელოვნების, ხელნაწერი თუ ბეჭდური წიგნის, პრესისა და გამომცემლობის ისტორიის ამსახველ დოკუმენტებს, ისე ჩვენი კულტურის მოღვაწეთა შემოქმედებითი ურთიერთობისათვის საინტერესო ეპისტოლარულ მემკვიდრეობას. აქ არის ილია ჭავჭავაძის, გიორგი წერეთლის, სერგეი მესხის, იონა მეუნარგიას, ლუი ბლანის, ანრი როშფორისა და სხვათა პირადი წერილები, ნიკო ნიკოლაძის მიმოწერა და იშვიათი საუწყებო გამოცემები, მდიდარი ფოტოარქივი.

არქივის შესწავლის პერიოდში დამუშავდა და 1949 წელს გამოიცა «Письма русских литературно-общественных деятелей к Н. Я. Николадзе», სადაც შესულია დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატის ნ. ჩერნიშევსკის, ა. პიპინის, მ. ანტონოვიჩის, ა. სუმბათაშვილ-იუჟინის, გ. უსპენსკის და სხვათა წერილები ნ. ნიკოლაძისადმი. წიგნს ახლავს თ. მაჭავარიანის მიერ შედგენილი ვრცელი კომენტარები თითოეული მათგანის შესახებ. 1954 წელს დაიბეჭდა „ნ. ნიკოლაძის არქივის კატალოგის“ პირველი ნაწილი, ხოლო 1964 წელს — მეორე ნაწილი. ამ გამოცემებს საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან ეს იყო პირველი მეცნიერულად დამუშავებული პირადი არქივის ბიბლიოგრაფიული აღწერილობა ქართულ ენაზე.

1943 წელს თ. მაჭავარიანი საცნობო-საკონსულტაციო განყოფილების გამგეა, სადაც მას მხარში უდგანან მაშინ ახალგაზრდა, შემდეგში გამოჩენილი ბიბლიოგრაფები: მწერალი და საზოგადო მოღვაწე, რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარი ნიკოლოზ აკერმანი და ცნობილი ბიბლიოგრაფი ლევან ეგორაშვილი.

1944 წელს თ. მაჭავარიანი ისევ უბრუნდება კავკასიოლოგიის კაბინეტს და შემდგომში 30 წლის მანძილზე ერთგულად ემსახურება ქართული კულტურის ამ მეტად საპატიო უბანს.

1937 წელს მთავრობის განკარგულებით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა გადაეცა კ. მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკას. ფონდის გადაბარების დროს ყურადღება გამახვილდა ილიასეული პირადი ბიბლიოთეკის წიგნებზე, რომლებიც საზოგადოებამ ილიას ანდერძის თანახმად 1910 წელს მიიღო. სამწუხაროდ, წიგნების მიღებისას, არ იქნა დაცული ქ. შ. წ-კ. გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკის ფონდის დაუშლელობის პრინციპი და ილიას პირადი ბიბლიოთეკა საჯარო ბიბლიოთეკის ფონდებს შეერია.

კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექციის 1945 წლის 17 მაისის № 60 ბრძანებით წიგნსაცავის გამგეს ბაბო ჯვარიძეს და მთავარ ბიბლიოთეკარს თამარ მაჭავარიანს დაევალათ ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის გამოყოფა საერთო საცავიდან და ცალკე დაცვა. კოლექციის მეთვალყურეობა თ. მაჭავარიანს დაევალა. თამარი მისთვის ჩვეული გულმოდგინებით შეუდგა ილიასეული ბიბლიოთეკის აღდგენას. მოძიებულ იქნა 412 წიგნი და 14 პერიოდული გამოცემა. ბიბლიოთეკა მოწესრიგდა სამეცნიერო კვლევისათვის, გამოვლინდა ბევრი ისეთი წყარო, რომლის მოკვლევასაც სხვაგვარად ბევრი დრო და შრომა დასჭირდებოდა. ამ ბიბლიოთეკის მოძიებითა და აღწერით თ. მაჭავარიანმა მოგვაწოდა დამატებითი მასალები ილიას ინტერესების სფეროს, მისი კოლეგების, ნაცნობ-მეგობრების და წიგნზე მუშაობის ილიასეული მეთოდების შესახებ. 1957 წელს გამოქვეყნდა ამ ბიბლიოთეკის სრული აღწერილობა ცალკე წიგნად.

თ.მაჭავარიანს ეკუთვნის აგრეთვე აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაბეჭდილი შრომების სია, „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის ბიბლიოგრაფია, მრავალი სარეკომენდაციო საძიებელი თუ კრიტიკული წერილი, მისი რედაქტორობით გამოვიდა ბიბლიოგრაფიული ნაშრომები გიორგი ქუჩიშვილზე, დიმიტრი ყიფიანზე, გიორგი წერეთელზე, ილია ჭავჭავაძეზე, ნიკო ნიკოლაძეზე და სხვა.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი ცხოვრების გზა განვლო თამარ მაჭავარიანმა. ვინც თუნდაც ერთხელ ყოფილა მასთან ბიბლიოთეკაში, შეუძლებელია არ დამახსოვრებოდა ქალბატონი თამარი, არ გაოცებულიყო მისი ენციკლოპედიური ცოდნით, არ მოხიბლულიყო მისი თავმდაბლობით, ერუდიციითა და მეხსიერებით, არ ეგრძნო მისი დახმარების გულწრფელობა და უანგარობა.

აი, როგორ იგონებს ქალბატონ თამარს აკადემიკოსი ვახტანგ ბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიძე: „ბიბლიოთეკაში ისეთი მრჩეველი და მზრუნველი მყავდა, რომ მის ამაგს ვერასოდეს დავივიწყებ. ეს იყო ყოველი ქართველოლოგის მეგობარი და პატრონი თამარ მაჭავარიანი, ქართული წიგნისა და პერიოდიკის დარგში ენციკლოპედიური ცოდნის მქონე, ჩვენი ეროვნული კულტურის უანგარო, დიდად დასაფასებელი მოღვაწე"[4].

ასეთივე ღრმა პატივისცემით იგონებს თ. მაჭავარიანს მეცნიერ-გეოგრაფი თაილი ღვინიანიძე: „ქალბატონ თამარ მაჭავარიანზე საუბარი მხოლოდ უდიდესი მოწიწებით და უდიდესი კრძალვით შეიძლება. მისი ინტელიგენტური გარეგნობა, გულითადი ხმა, ენციკლოპედიური ცოდნა და ის გულისხმიერება, რომელსაც იგი ყველას მიმართ იჩენდა — იდეალურ არსებას თუ გაიჩნია მხოლოდ, და ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რომ სიჯარო ბიბლიოთეკის წყალობით ახლოს, ძალიან ახლოს ვიცნობდი ამ ჭეშმარიტად იდეალურ ადამიანს.

თვალწინ მიდგას თეთრსაყელოიან შავ სადა კაბაში ფაქიზად გამოწყობილი, ჭაღარით შემკული, შინაგანი შუქით გასხივოსნებული მისი ჭკვიანი სახე. თვით დრომ და ხანმა ოდნავადაც ვერ მოხარა იგი და ლამაზად, „თამარისეულად", წელში გამართული, ნათელი ღიმილით შემოგხვდებოდათ საწერ მაგიდასთან წიგნებში ჩაფლული. რაც არ უნდა გადაუდებელი საქმე ჰქონოდა, მასთან შესული მკითხველისათვის ყოველთვის იპოვიდა დროს, მშვიდად იწყებდა ახსნა-განმარტების მიცემას და არ იყო საკითხი, რომ მას ფართოდ, ღრმად არ ეაშალოს. მისი დიდი ვანათლებითა და დიდი ერუდიციით მოხიბლული მკითხველები ვცდილობდით ასეთი წუთების გახანგრძლივებას, ვეწაფებოდით მის დიდ სკოლას".

თ. მაჭავარიანს იცნობდნენ არა მხოლოდ ჩვენში, მას მრავალი დამფასებელი ჰყავდა რუსეთისა და ევროპა-ამერიკის ქართველოლოგიურ ცენტრებშიც. ყოველი მხრიდან უგზავნიდნენ წერილებს ცნობებისა და განმარტებებისათვის. მისი მადლიერი იყო ყველა, ვისაც კი მასთან ნაცნობობა ჰქონია, რჩევა მიუღია. მაგალითისათვის მოვიყვანთ ერთ ფაქტს. უნგრელმა ქართველოლოგმა ლაიოშ ტარდიმ დისერტაცია საქართველოში დაიცვა. მისი მიწვევით დაცვას ქართველოლოგიის განყოფილების თანამშრომლებიც ესწრებოდნენ, გარდა ქალბატონი თამარისა, რომელიც ავადმყოფობის გამო არ ბრძანდებოდა. დისერტანტმა თავის შესავალ სიტყვაში მადლობა გადაუხადა უნგრეთისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიებს, საქართველოს უცხოეთთან ურთიერთობის საზოგადოებას. ერთადერთი პიროვნება, რომელიც მან გამოჰყო, იყო თა-

---

[4] ეპტანგ ბ ე რ ი ძ ე. მოგონებები. საბჭოთა ხელოვნება. 1985. № 1. გვ. 133.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარ მაჭავარიანი. ლაიოშ ტარდიმ აღნიშნა, რომ მას უმუშავია მსოფლიოს თითქმის ყველა დიდ ბიბლიოთეკაში, შეხვედრია საბიბლიოთეკო დარგის დიდ მეცნიერებს, ბიბლიოგრაფებს, მაგრამ ასეთ გულისხმიერ ადამიანს, ასეთი ერუდიციისა და მეხსიერების ბიბლიოგრაფს, იგი პირველად საქართველოში შეხვდა.

თამარ მაჭავარიანს სიცოცხლეშივე არ აკლდა აღიარება. იგი მრავალი მედლითა და ორდენით იყო დაჯილდოებული. რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ და მისმა მკითხველებმა ორჯერ იზეიმეს ღვაწლმოსილი ბიბლიოგრაფის იუბილე — 70 და 80 წლისთავი. ეს ზეიმები არა მარტო თამარის, არამედ მთელი საბიბლიოთეკო მეცნიერული საქმიანობის აღიარება და დაფასება იყო.

თ. მაჭავარიანი გარდაიცვალა 1979 წელს. რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას თამარ მაჭავარიანმა დაუტოვა ძღვნად მიღებული ავტოგრაფიანი წიგნების საკმაოდ მდიდარი კოლექცია. ნაჩუქრობის წარწერების გამაერთიანებელი ძაფია ავტორების მიერ მათ შრომაში თამარის უდავო მონაწილეობის აღიარება. კოლექცია 675 ბიბლიოგრაფიული ერთეულისაგან შედგება. მათ შორის 528 ქართული და 147 რუსული წიგნია. ბიბლიოთეკაში ნაჩუქარი ეგზემპლარების გარდა თავმოყრილია თ. მაჭავარიანის ნაშრომები და პირადი წიგნები.

ნაჩუქარი წიგნებიდან შევჩერდებით ზოგიერთ საყურადღებო ავტოგრაფზე. უპირველეს ყოვლისა მოვიხსენიოთ ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იოსებ გრიშაშვილის მიერ მირთმეული 16 წიგნი. თუ როგორი პატივისცემით იყო განმსჭვალული პოეტი თ. მაჭავარიანის საბიბლიოთეკო საქმიანობისადმი, კარგად ჩანს წიგნზე გაკეთებული წარწერებიდან. მაგ., 1930 წ. გამოქვეყნებულ გრიშაშვილის წიგნზე „ექვსი ლექსი“ ვკითხულობთ: „თამარ მაჭავარიანს თავისი საქმის იშვიათ ხელოვანს. ი. გრ“. მისი რედაქციით გამოსულ გ. სუნდუკიანცის „პიესების“ ეგზემპლარზე ი. გრიშაშვილს წაუწერია: „თამარ მაჭავარიანს. „შენი სიტყვა გვიღირს ძვირად“. რედაქტორ — ი. გრიშაშვილისაგან. 1950. 24 XII.“ აქვეა პოეტის თხზულებათა ერთტომეული, რომელსაც აწერია: „ქალბატონო თამარ! თქვენ ერთხელ დამპირდით, რომ ჩემი მომავალი ბიბლიოთეკის კატალოგს შეადგენთ. ეს კატალოგი უნდა გამოვიდეს ცალკე წიგნად. იმედია, თქვენს ცოდნასა და რუდუნებას არ მოაკლებთ ამ კეთილ საქმეს... ამთავითვე, საწინდრად გიძღვნით ჩემს პატარა შრომას. მიიღეთ სიყვარულის ნიშნად. პატივისცემით ი. გრიშაშვილი. 1949 წ. 14 სექტ.“ თ. მაჭავარიანმა მიცემულ სიტყვას არ უღალატა და პოეტის სიკვდილის

შემდეგ მონაწილეობა მიიღო მისი ბიბლიოთეკის დამუშავებაში. იგი ერთ-ერთი შემდგენელია სამ წიგნად გამოცემული ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგის პირველი ტომისა. ი. გრიშაშვილის ანდერძის თანახმად, სწორედ კატალოგზე მუშაობისას მიურთმევია, როგორც ჩანს, თ. მაჭავარიანისთვის ი. გრიშაშვილის დისშვილს ანი ციციშვილს, პოეტის თხზულებათა ხუთტომეულის მეოთხე ტომი შემდეგი წარწერით: „ქალბატონ თამარ მაჭავარიანს, ამ წიგნის ავტორის ქმაგს და მეგობარს, მისი ბიბლიოთეკის პატრიოტს, დამამშვენებელს, ჩემს უფროს მეგობარს. პატივისცემით ა. ციციშვილი 23 IV 66 წ.“



ი. გრიშაშვილის ავტოგრაფი

კოლექციაში მრავლადაა აგრეთვე მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ რ. ნიკოლაძის მიერ მიძღვნილი წიგნები (26 ცალი). ქალბატონი რუსუდანი და თამარ მაჭავარიანი ნიკო ნიკოლაძის არქივზე მუშაობისას დაახლოვდნენ და შემდგომში მათი ურთიერთობა პირად მეგობრობაში გადაიზარდა. თუ როგორი მაღალი წარმოდგენისა იყო რ. ნიკოლაძე თ. მაჭავარიანის მიერ შედგენილ ნ. ნიკოლაძის არქივის კატალოგზე, კარგად ჩანს წარწერიდან ამავე წიგნზე: „ძვირფას, სწორუპოვარ ავტორს მისივე შრომა მისი აღტაცებული მკითხველისა და მეგობრისაგან. რ. ნიკოლაძე. 1965, თებერვალი. თბილისი“. წიგნ-





ექიმ ჯუმბერ ქორჩილავას ავტოგრაფი

ში რ. ნიკოლაძეს ჩაუკრავს ორი ფოტო. ერთი გადაღებულია 1904 წელს ღა მასზე აღბეჭდილი ,ორიან თამარ, რუსუდან და გიორგი ნიკოლაძეები ზღვასთან ფოთში, ხოლო მეორე ფოტო 1900 წლით არის დათარიღებული და აქვს წარწერა: „აქ აღწერილი ფოტოარქივის ფუძემდებლები თავისი მემკვიდრეებით 65 წლის წინ.. (ოლგა გურამიშვილი, ნიკო, თამარ, რუსუდან, გიორგი ნიკოლაძეები)“.

თ. მაჭავარიანის ბიბლიოთეკაში დაგვაინტერესა ორმა წიგნმა. ერთი

მათგანი გახლავთ თედო ჟორდანიას „ქრონიკები და მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წიგ. 2, ტფ., 1897“. წიგნს აქვს წარწერა: „მოსკოვის ქართველთა საზოგადოებას ავტორისაგან. 1900 წ. 2 ნოემბ.“ მეორე წიგნი, რომელმაც ჩვენი ყურადღება მიიქცია, არის ი. გომართელის „კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანი“. მასზე გაკეთებული წარწერებიდან ვიგებთ, რომ ცნობილ ქართველ მსახიობს კ. ყიფიანს ეს წიგნი 1919 წ. უჩუქებია თავისი რძლისთვის. თ. მაჭავარიანს ამ წარწერისთვის გაუკეთებია კომენტარი: „კოტე ყიფიანი ამ წიგნს უძღვნის თავისი ბიძაშვილის-შვილის გიორგი ალექსანდრეს ძე ყიფიანის ცოლს, სოფო (სონა) პეტრეს ას ყიფიანისას, ვანო სარაჯიშვილის უმცროს დას. გ. ა. ყიფიანი გარდაიცვალა 1922 თუ 1921 წლის ზაფხულზე. მისი მეუღლე სონა — 1923 წელს. ალექსანდრე იყო დიმიტრი ყიფიანის უფროსი ძმის, ქაიხოსროს შვილი“.

თ. მაჭავარიანის ბიბლიოთეკის წიგნებს ამშვენებს მრავალი ცნობილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ავტოგრაფი. მათ შორის არიან მწერლები: ვ. ჭელიძე, მ. მრევლიშვილი, ე. მაღრაძე, რ. გაბრიაძე, კ. დევდარიანი; ლიტერატურათმცოდნეები: აპ. მახარაძე, ი. მეგრელიძე, პ. ინგოროყვა, გ. აბზიანიძე, დ. გამეზარდაშვილი; კინორეჟისორი რ. ჩხეიძე; აკადემიკოსები: ნ. კეცხოველი, ვ. ბერიძე და მრავალი სხვა. წიგნებზე გაკეთებულ წარწერებში იგრძნობა ყოველი მათგანის დიდი სიყვარული ქალბატონ თამარისადმი. ამის საილუსტრაციოდ გვინდა მოვიყვანოთ ექიმ ჯ. ქორჩილავას მიერ გამოთქმული სამადლობელი სიტყვები, რომლებიც მის მიერ ნაჩუქარ წიგნზე „ტიმოლეონ პერიკლეს ძე ტრიანტაფილდესი“ ამოვიკითხეთ: „ქალბატონ თამარს, მდიდარი ქართული პერიოდიკის ღირსეულ მემატიანეს, ქართველი მკითხველის იმედსა და დამხმარეს! თქვენი იმედი ნუ მოგვეშალოს ქართველ მკითხველებს! ავტორ ჯუმბერ ქორჩილავასაგან. 9.III. 74 წ.“

1987 წ. საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ გამოსცა თამარ მაჭავარიანის პირადი ბიბლიოთეკის კატალოგი.

გარდა პირადი ბიბლიოთეკისა, ქალბატონმა თამარმა, მისი ცხოვრებისა და მრავალმხრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალების არქივიც დაგვიტოვა. ქართველოლოგიის განყოფილების თანამშრომლებს განზრახული აქვთ ამ საბუთების შესწავლა და ცალკე ნაკვეთად გამოცემა. ვიმედოვნებთ, რომ საარქივო დოკუმენტების გამოქვეყნება ნათლად წარმოაჩენს იმ დიდ სამეცნიერო-საორგანიზაციო და საზოგადოებრივ მუშაობას, რომელსაც ეწეოდა თამარ მაჭავარიანი საბიბლიოთეკო საქმის სრულყოფა-განვითარებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკიდან წაღებული წიგნის ბედი

ჩემი ბიბლიოთეკა დიდი არ არის, მაგრამ მაქვს ბიბლიოგრაფიულად იშვიათი წიგნებიც. გრიშაშვილისა არ იყოს, წიგნის ხელაღებით განათხოვრება არ მიყვარს. წიგნის წამღებს მისი უკან დაბრუნება უჭირს. ასე ბევრი წიგნი დამიკარგავს, არადა, არც ის ვარგა, რომ შენი ბიბლიოთეკით სხვა არ ასარგებლო. წიგნები არ დამიშურებია ჩემი კოლეგების, მოწაფეებისა და მახლობლებისათვის. წლობით აქვს ჩემი რამდენიმე წიგნი თბილისის უნივერსიტეტის „რუსთველის კაბინეტს“ და ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენ კომისიას.

მინდა მოვიგონო წიგნების განათხოვრების სამი განსაკუთრებით დაუვიწყარი შემთხვევა.

ოცდაათიანი წლების დასაწყისში თურქეთიდან დაბრუნდა ხანგრძლივ სამეცნიერო მივლინებაში მყოფი სერგი ჯიქია. სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის ძმობას სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის მემუარების გამოცემა წამოეწყო. უკვე დაებეჭდათ სამი თაბახი, მაგრამ თხზულების დასაწყისი იმ ნაკლული ხელნაწერის მიხედვით აეწყოთ, რომელიც მათ ხელთ ჰქონდათ. გამომცემლებს სერგისთვის გადაუციათ წიგნის დაბეჭდილი თაბახები და უთხოვიათ მისი შედარება თბილისის ნუსხებთან: იქ თუ მეტი მასალა აღმოჩნდეს, გადმოგვიწერეთ და გამოგვიგზავნეთ, ჩვენს გამოცემას შევავსებთ, დაგელოდებით, ტექსტის ბეჭდვას დროებით შევაჩერებთო. ჩამოტანილი ანაბეჭდების თბილისურ ხელნაწერებთან შეჯერება სერგი ჯიქიამ მე მთხოვა (მაშინ ხელნაწერთა ფონდების მეცნიერ მცველად ვითვლებოდი). მართლაც, ჩვენს ნუსხებში უფრო ვრცელი ტექსტი აღმოჩნდა. გადმოვწერე და სტამბოლში გასაგზავნად გავამზადე. უნდა წაეღო კათოლიკე პატრ ვარდიძეს. ამ დროს ის დააპატიმრეს და საქმე ჩაიშალა. ფოსტით გაგზავნას მოვერიდეთ. ანაბეჭდები მე დამრჩა. არ ვიცი, რა ბედი ეწია წიგნის გამოცემას. ამის შესახებ ვუამბე წიგნის ფანატიკურად მოყვარულს და თვითონ სხვადასხვა დროს სხვადასხვა

გამომცემლობის ხელმძღვანელს სიმონ ხუნდაძეს. მთხოვა მისთვის მე-თხოვებინა ანაბეჭდები და აგრეთვე ნოე ჟორდანიას წიგნი შოთა რუსთაველზე, რომელიც შემთხვევით ჩამივარდა ხელში. აბა, უარს როგორ ვეტყოდი! 1933 წლის აგვისტოში სიმონ ხუნდაძე უეცრად გარდაიცვალა. შემოდგომაზე მისი ბიბლიოთეკა საგულდაგულოდ გადავჩხრიკეთ მე, მისმა მეუღლემ ქალბატონმა თამარმა და შვილებმა (ეუეუნამ და ნანამ). წიგნები არსად აღმოჩნდა, დაიკარგა.

როგორც ცნობილია, ბატონი ივანე ჯავახიშვილი სიკვდილის წინა თვეებში გულმოდგინედ მუშაობდა ქართული ფილოლოგიისა და ძველი ქართული მხატვრული ეპოსის ისტორიის საკითხებზე[1]. ამისათვის ბატონ ივანეს დასჭირდა სპარსული ვისრამიანი („ვის-ო-რამინ"). მან იცოდა, რომ მე მქონდა ეს იშვიათი წიგნი. მთხოვა. დაუყოვნებლივ მივართვი. ისიც ცნობილია, რომ ივანე ჯავახიშვილიც უეცრად გარდაიცვალა აღნიშნულ თემაზე მოხსენების კითხვის დროს 1940 წლის 18 ნოემბერს, ორშაბათს. მოხსენებას არ დავსწრებივარ, ორშაბათობით ლექციებს ვკითხულობდი გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ბატონი ივანეს გარდაცვალების თავზარდამცემი ამბავი გვიან ღამით გავიგე რადიოთი. ბატონი ივანეს დასაფლავებიდან ორი კვირის შემდეგ მის ქალიშვილს, ნათელა ჯავახიშვილს მორიდებით ვუამბე ვისრამიანის თაობაზე. დამპირდა მოვძებნიო. მეორე დღესვე მომიტანა. მამაჩემის საწერ მაგიდაზე იდო, ადვილად შესამჩნევ ადგილასო.

ახლა ცოტა რამ იმის შესახებ, როგორ მოხვდა ჩემს ბიბლიოთეკაში სპარსული ვისრამიანი.

მაშინ „ვის-ო-რამინის" ერთადერთი ძველი გამოცემა (კალკუტა. 1865) არსებობდა. ეს იშვიათი წიგნი ჰქონდა პროფესორ იუსტინე აბულაძეს. ერთი ცალიც დაცული იყო ყოფილი სააზიო მუზეუმის (აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის აწინდელი ლენინგრადის განყოფილების) ბიბლიოთეკაში, რომლითაც თავის დროზე სარგებლობდა ნიკო მარი. ვისრამიანის სპარსულ-ქართული ტექსტების შედარებას რომ ვაპირებდი, გადაკრულად სიტყვა ჩამოვუგდე ბატონ იუსტინე აბულაძეს, მაგრამ შევატყვე, რომ ეძნელებოდა „ვის-ო-რამინის" მისეული ცალის გასათხოვრება. ჩემი გასაჭირი იური მარს შევჩივლე (იური მაშინ თბილისში ცხოვრობდა) და ვთხოვე, დამხმარებოდა ლენინგრადული ეგზემპლარის დროებით სარგებლობისათვის გამოწერაში. შევახსენე, რომ

---

[1] დაუმთავრებელი დარჩა. დამთავრებული ნაწილი შევიდა მის წიგნში — „ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები", თბილისი, 1956, გვ. 58—75.

ადრე ასევე მასარგებლა მამამისმა, აკადემიკოსმა ნიკო მარმა, საბჭოთა მუზეუმში დაცული სპარსული „ყისაჲ ჰამზა“. ჩემდა მოულოდნელად და სასიხარულოდ იურიმ მითხრა, სპარსული ვისრამიანი მე თვითონ მაქვს და როგორ დაგიკავებო. დამიბარა კავკასიის არქეოლოგიურ ინსტიტუტში, სადაც ის მსახურობდა და გადმომცა სანუკვარი წიგნის ყდაში ჩასმული და მშვენივრად შენახული ცალი. თეირანში ყოფნის დროს სპარსული „ვის-ო-რამინი“ იური მარისათვის მიუძღვნია წიგნების მაღაზიის მფლობელს რუს ემიგრანტ კაშინს. წიგნს აწერია: «Дорогому Юрию Николаевичу Марру. На память о наших беседах и встречах в Тегеране и Исфагане. П. Кашин. 15 июля 1926».

ეს წიგნი იური მარმა საბოლოოდ მე გადმომილოცა, რითაც უზომოდ დამავალა, სამაგიეროდ, ერთი, მისთვის საჭირო წიგნი — სპარსული განმარტებითი ლექსიკონი მივართვი. რა თქმა უნდა, ეს ოდნავადაც ვერ აანაზღაურებდა იურის მიერ ჩემთვის გაწეულ სიკეთეს. ახლა კაშინისეულ-მარისეული კალკუტური „ვის-ო-რამინი“ ამშვენებს ჩემს ბიბლიოთეკას. გვერდით დევს მისი ორი ახალი თეირანული გამოცემა და უორდროპისეული ინგლისური თარგმანი. ჩემს ბიბლიოთეკაშია „ვისრამიანის“ ყველა ქართული გამოცემაც და რუსული თარგმანები. ეს მთელი განძია!

მესამე შემთხვევა სულ ახლახან მოხდა.

თავის დროზე ასპირანტად დავიტოვე, მოვამზადე და მეცნიერებაში გზა დავულოცე ნიჭიერ ახალგაზრდა კაცს ნოშრევან ჯიშკარიანს. საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე — „XII საუკუნის ქართული და სპარსულენოვანი აზერბაიჯანული სახოტბო პოეზია“. აპირებდა მუშაობა განეგრძო ქართულსა და სპარსულენოვან სამიჯნურო-რომანტიკულ ეპოსზე (ნოშრევან ჯიშკარიანმა სპარსული ენა კარგად იცოდა). ჯიშკარიანი, ისე როგორც სხვა ჩემი მოწაფეები, შეუზღუდავად სარგებლობდა ჩემი ბიბლიოთეკით. დაგეგმილი თემისათვის მას ჯერჯერობით დასჭირდა იშვიათი წიგნები — ნიზამი განჯელის „ლეილი და მაჯნუნი“ სპარსულ ენაზე (დასთგერდის ცნობილი თეირანული გამოცემა) და „ხოსროვი და შირინი“ (ბაქოს აკადემიური გამოცემა), აგრეთვე გიორგი ჯაკობიას მიერ ქართულ ენაზე გამოცემული „იოსებ ზილიხანიანი“. ნოშრევან ჯიშკარიანი გატაცებით მუშაობდა აღნიშნულ თემაზე, მაგრამ სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა 1988 წლის 9 თებერვალს ჯანღონით სავსე, ნიჭიერი ახალგაზრდა მკვლევარი, ჩემი ნაბოლარა საყვარელი მოწაფე... მაინც გავანდე წიგნების ამბავი მის მახლობელ ამხანაგებს. მოძებნეს და იპოვეს კიდეც. წიგნები უნაკლო სახით დაუბრუნდა მისთვის განკუთვნილ თაროს.

მაინც როგორ სახიფათოა ბიბლიოთეკიდან წიგნების ხანგრძლივი ვადით გატანა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ლეონიძე

ქართულო სიტყვავ!

პირველ მოწყვეტილ იების დღიდან,
მე ვარ დამწვარი შენი მსახური;
შენი თაფლი და მარილი მზრდიდა.
მზე შენ დამწერე და გაზაფხული.

შენ უკვდავი რძით დამაძუძურე,
შხეფი ნათლისა სულში დასძარი;
ჩემი დროშა ხარ მოიერიშე,
ჩემი ვენახი, ჩემი ტაძარი!

შენზე უჭკნობი და დიდებული
რაღამ შექმნას და ვიღამ დახატოს.
გულზე ხარ ცეცხლად მოჭიდებული,
ქართველი ხალხის სულის ღაღადო!

ფოლადნადებო, ვარდში ხვეულო,
თუ დაგივიწყო, შემახმეს ენა!
სისხლსაც შენ მოგცემ მე წვეთეულად,
სისხლის წინწკალსაც უკანასკნელად.

შენ უკვდავების ჩამონადენო,
მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო, —
ქართულო სიტყვავ,
ქართულო სიტყვავ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუჰამედ თარზი

ავღანელი მწერალი-განმანათლებელი

წიგნი

ვადიდოთ წიგნი — სინათლის ჩქერი,
მეცნიერების მეუფე ბრძენი,
მებრძოლი, თავის ძლიერი ხელით
უმეცრების ჯარს რომ აცამტვერებს.
გონებას, ვითარც ციხე-სიმაგრეს,
აძლევს სიმტკიცეს, ჰმატებს სიმაღლეს.
შავი, უფსკერო უფსკრულის თავზე
სდებს მტკიცე ხიდს და იმედით გვავსებს.
ვაშენებთ სკოლას — სინათლის დარბაზს, —
რას მოგვცემს სკოლა თუ წიგნი არ გვაქვს.
არ გაანათებს სახლს მძლავრი ლამპაც,
ძმაო, ამ სახლში წიგნი თუ არ გაქვს.
დიახ, წიგნია შენი მრჩეველი,
გზის გამკვალავი, შუქის მფრქვეველი.
წიგნი — ეს შენი დასვენებაა,
შენი შრომაა, გათენებაა,
ორთაყვირია, ტალღის მკვეთელი,
ტივია მტკიცე, თვალი-მჭვრეტელი;
ფასდაუდები საგანძურია,
წყაროა — სვამ და კიდევ გწყურია.
მისი ფერადი ცისარტყელებით
მოქსოვილია მთებიც, ველებიც.
დიახ, **უწიგნოდ ქვეყნად არ არი**
სიბრძნის სინათლე ზეაღმავალი.

თარგმნა თეიმურაზ ჯანგულაშვილმა

ყალმით
და
ფუნჯით

ᲬᲘᲒᲜᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲠᲝᲨᲘ ᲒᲐᲬᲐᲤᲮᲣᲚᲘᲐ, ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲜᲐᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲐᲠ ᲭᲙᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲠ ᲒᲘᲚᲐᲚᲐᲢᲔᲑᲡ.

ᲐᲚᲘ ᲘᲑᲜ-ᲐᲚ-ᲯᲐᲰᲛᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო ზაალიშვილი

ქართული საგზოთა წიგნის გრაფიკის სათავეებთან

გამოჩენილმა ქართველმა მხატვარმა ლადო გუდიაშვილმა მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედებითი მემკვიდრეობა დატოვა. მასში დაზგური და მონუმენტური ფერწერის ნიმუშების, თეატრალური დეკორაციების, კინოსათვის შესრულებული ესკიზების გვერდით დიდი ადგილი უკავია გრაფიკას. შემოქმედებითი მუშაობის პირველი წლებიდანვე იგი ერთნაირი გულმოდგინებით და სიყვარულით ქმნიდა ფერწერულ ტილოებს, მრავალრიცხოვან ნახატებსა და ილუსტრაციებს.

ხანგრძლივი, თითქმის სამოცწლიანი მოღვაწეობის განმავლობაში ოსტატმა რამდენიმე ათასი ნახატი შეასრულა. მხატვრის ფერწერის ევოლუციის ყველა ეტაპი გარკვეულ კვალს ტოვებდა მის გრაფიკაში და პირიქით, მრავალმა თემამ, რომელიც პირველად მის გრაფიკაში გამოჩნდა, გაამდიდრა მისი ფერწერული შემოქმედება.

ლადო გუდიაშვილის გრაფიკა გამოირჩევა უსაზღვრო ფანტაზიით, დასახულ მხატვრულ ამოცანათა სიმდიდრით, ტექნიკის მრავალფეროვნებით. მხატვარი არასოდეს შემოფარგლულა სინამდვილის პასიური აღბეჭდვით. ნატურიდან შესრულებულ ნახატებში, გროტესკულ კომპოზიციებში, შემოქმედის წარმოსახვაში წარმოშობილ და ქაღალდზე გადატანილ ფანტასტიკურ ხილვებში ნათლად მეღავნდება მისი პიროვნება, სამყაროს თავისებური აღქმა.

გუდიაშვილის გრაფიკული მანერა თანდათან ყალიბდებოდა. თბილისში, სამხატვრო სკოლის დამთავრების შემდეგ შექმნილ ნახატებში და განსაკუთრებით პარიზში ყოფნის პერიოდში, უკვე საკმაოდ ნათლად გამოიკვეთა მისი გრაფიკის მთავარი თავისებურებანი, აგრეთვე მხატვრის საყვარელი თემები და მოტივები — საქართველოს წარსული და ძველი თბილისის ყოფა. პარიზში ნოსტალგიის გრძნობა კიდევ უფრო ამძაფრებდა სამშობლოს სიყვარულს, აღვიძებდა მხატვრის წარმოსახვაში მისი ისტორიისა და ყოფის რეალურ თუ ფანტასტიკურ სურა-

ებს. 1921—24 წწ. პარიზში შესრულებულ ნახატებში, რომლებშიც წარმოსახული იყო ნადირობის სცენები, კინტოები, მშვენიერი ბანოვანები, მჟღავნდება გუდიაშვილის სწრაფვა დეკორაციულობისაკენ, სიბრტყობრიობისაკენ, ხაზის პლასტიკური მშვენიერებისაკენ. ეს სერიები მნიშვნელოვანი ეტაპია მისი გრაფიკული მანერის ჩამოყალიბების გზაზე. ამ პერიოდში ჩანფიქრის განხორციელებისას ლ. გუდიაშვილი ხშირად მიმართავდა ეროვნული ხელოვნების ტრადიციებს. მათ დიდი გავლენა იქონიეს მისი როგორც გრაფიკული, ისე ფერწერული ხელწერის ჩამოყალიბებაზე.

ჭაბუკობისას, ე. თაყაიშვილის მიერ მოწყობილ ექსპედიციებში მონაწილეობის დროს, ახალგაზრდა მხატვარმა კარგად შეისწავლა ძველი ქართული არქიტექტურა, ფრესკული მხატვრობა, გაეცნო ხალხური ხელოვნების ნიმუშებს. ეროვნული ტრადიციები ლ. გუდიაშვილის თავისთავადი სახის ჩამოყალიბების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა. ამასთან არ შეიძლება უგულებელვყოთ აღმოსავლური ხელოვნების გარკვეული როლი მისი შემოქმედების ზოგიერთი მხარის წარმოჩენაში. ევროპაში ყოფნის წლებში მხატვარს შესაძლებლობა ჰქონდა გაცნობოდა უახლეს მიმდინარეობებს, რომელთაგან ზოგიერთმა ერთგვარი, თუმცა არცთუ ხანგრძლივი გავლენა იქონია მასზე. არ არის გამორიცხული მოდერნის სტილის გრაფიკის გარკვეული ზემოქმედებაც. გუდიაშვილს მასთან აახლოვებს სწრაფვა დეკორაციულობისადმი, ხაზის სინატიფისადმი, ლტოლვა აღმოსავლური მოტივებისადმი. თუმცა უკანასკნელი მხატვართან ჩნდება არა მოდერნის, არამედ ქართული ხელოვნების ისტორიის ზოგიერთი ეტაპის შესწავლის შედეგად. ოცდაათიან წლებში, როდესაც მოდერნის სტილის მიმდევრობა მძიმე ბრალდებად ითვლებოდა, გუდიაშვილის განმქიქებლები ზედმეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მის შემოქმედებაში ამ სტილის ცალკეული ნიშნების გამოვლენას. დამცველები ვარდებოდნენ მეორე უკიდურესობაში და სრულიად უგულებელყოფდნენ რაიმე კავშირს მოდერნის სტილთან. გარკვეული შეხების წერტილები ძველი ქართული და აღმოსავლური ხელოვნების ან მოდერნის ტრადიციებთან სრულიადაც არ აკნინებს მხატვრის თვითმყოფადობას. მისი შემოქმედება არ ჩამოყალიბებულა ერთი, თუნდაც ძალიან მნიშვნელოვანი წყაროს გავლენით. მხატვარმა თავისებურად გადაამუშავა ქართული საერო მინიატურისა და ფრესკის, ევროპული მოდერნისა და ორიენტალისტური ხელოვნების ტრადიციები. ყოველი მათგანისაგან აიღო თავისი ინდივიდუალობისათვის ახლობელი თვისებები. დაძაბული ძიებების შედე-

გად ჩამოყალიბდა და საბოლოო სახე მიიღო გუდიაშვილის განუმეორებელმა სტილმა. მან თვალსაჩინო გამოვლენა ჰპოვა როგორც დაზგურ გრაფიკაში, ისე წიგნის ხელოვნებაში.

ლადო გუდიაშვილის შემოქმედებას წითელ ზოლად გასდევს ცხოველი ინტერესი წიგნისადმი, ლიტერატურისადმი. მხატვარი მეგობრობდა გამოჩენილ ქართველ მწერლებთან, თვალსაჩინო რუს და უცხოელ კალმის ოსტატებთან. სხვადასხვა დროს მან შექმნა მრავალი პორტრეტი, რომლებზეც თავისებურ მანერაში აღბეჭდა მისთვის ახლობელ შემოქმედთა სახეები.

მხატვრის მრავალი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრის შთაგონების წყაროა ქართული კლასიკური ლიტერატურა და ფოლკლორი, ანტიკური მითები, აღმოსავლური ლეგენდები—კეთილშობილური იდეებით აღსავსე ნაწარმოებების პოეტური სამყარო. ხანგრძლივი შემოქმედებითი მოღვაწეობის მანძილზე ლადო გუდიაშვილმა სამოცზე მეტი ქართული, რუსული, დასავლეთევროპული ლიტერატურის ნიმუში დაასურათა. მათ შორისაა რუსთაველის, დანტეს, ნიზამის, სერვანტესის, სულხან-საბა ორბელიანის, ლერმონტოვის, ქართველი საბჭოთა მწერლების ნაწარმოებები. მასვე ეკუთვნის ქართველ კომპოზიტორთა კლავირების, ხალხურ სიმღერათა კრებულების, აგრეთვე რამდენიმე სამეცნიერო წიგნის გაფორმებაც.

ლადო გუდიაშვილის პირველი ცდები წიგნის გრაფიკაში პარიზამდელ პერიოდს მიეკუთვნება. მათ შორისაა გ. ევანგულოვის წიგნის — „თეთრი დუქანი“ გაფორმება. ოციან წლებში მან შექმნა თოთხმეტი ილუსტრაცია ფრანგი პოეტი ქალის ჟანა გალენის ლექსების კრებულისათვის. მათში გამოჩნდა მხატვრის მისწრაფება დეკორაციულობისაკენ, გატაცება ხაზის სილამაზით, გამოჩნდა მისი საყვარელი გრაფიკული მოტივებიც — მშვენიერი ასულების, ფრინველებისა და ცხოველების, მათ შორის შვლის სტილიზებული გამოსახულებანი.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ლადო გუდიაშვილი აქტიურად ჩაება ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში, შექმნა მნიშვნელოვანი ფერწერული ტილოები, სპექტაკლების დეკორაციების ესკიზები, დაზგური გრაფიკის მშვენიერი ნიმუშები. ოცდაათიანი წლების დასაწყისში, უკვე ცნობილმა საკუთარი ხელწერის მქონე მხატვარმა დაიწყო სერიოზული მუშაობა წიგნის გრაფიკაში და მოკლე ხანში მიაღწია დიდ წარმატებას.

ლადო გუდიაშვილის მიმართვა წიგნისადმი დაემთხვა ქართული საბჭოთა გრაფიკის ისტორიის მნიშვნელოვან პერიოდს. ამ დროისათ-

ვის ასპარეზზე გამოვიდა ქართველ მხატვართა ახალი თაობა, რომელთაც განათლება თბილისის სამხატვრო აკადემიაში ჰქონდათ მიღებული, იმატა ილუსტრატორთა რიცხვმა, გაიზარდა დასურათებულ გამოცემათა, განსაკუთრებით ქართული კლასიკური ლიტერატურის ნიმუშების რაოდენობა. მრავალი გრაფიკოსის წინაშე დადგა წიგნისათვის ეროვნული სახის მინიჭების რთული ამოცანა. ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ გზად მათ ესახებოდათ ეროვნული ხელოვნების ტრადიციების შემოქმედებითი გამოყენება. მათ შორის საპატიო ადგილი უკავია ლადო გუდიაშვილს, რომლის მოღვაწეობამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ქართული საბჭოთა წიგნის გრაფიკის განვითარება.

1931—39 წწ. მხატვარმა გააფორმა რამდენიმე საკმაოდ მნიშვნელოვანი გამოცემა — ა. ისააკიანის პოემა „აბუ ალ მაარი“, ლ. ქიაჩელის ნოველები, ბ. პასტერნაკის „ქართველი ლირიკოსები“, „არსენას ლექსი“, ქართული ზღაპრების კრებული, ლიონ ჩი ფუს „ჩინური რომანი“, „ქართველი მწერლები რუსთაველს“, ლევან ასათიანის „ძველი ქართველი პოეტი ქალები“ და სხვ. ამ პერიოდს განეკუთვნება ლადო გუდიაშვილის ორი უმნიშვნელოვანესი გრაფიკული ნამუშევარი — ილუსტრაციების ორი ციკლი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისათვის“ (1934 წ., 1939 წ.) და ილუსტრაციები სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების კრებულისათვის „სიბრძნე სიცრუისა“ (1939 წ.).

შემოქმედებითი მუშაობის ადრეული წლებიდანვე გუდიაშვილს ძალიან იტაცებდა ფოლკლორი, ხალხური ეპოსი, თქმულებები, ლეგენდები, პოეზია ყოველთვის პოულობდა გამოძახილს მის სულში. არსენას, აბესალომისა და ეთერის, ამირანის და სხვა გმირების სახეები მუდამ თან სდევდა მის შემოქმედებას, მათი გამოსახულებანი არაერთხელ გვხვდება მხატვრის ფერწერულ ნამუშევრებსა და ილუსტრაციებში.

1934 წ. გამოიცა ლადო გუდიაშვილის მიერ დასურათებული „არსენას ლექსი“. ამ ნაწარმოებისათვის პირველად არ მიუმართავს მხატვარს. რამდენიმე წლის წინ მან შექმნა დეკორაციები კ. მარჯანიშვილის მიერ დადგმული სპექტაკლისათვის „არსენას ლექსი“. რეცენზენტები აღნიშნავდნენ მათ ფერადოვნებას, რომანტიკულ, პოეტურ ხასიათს. ეს განწყობა მხატვარმა შეინარჩუნა ილუსტრაციებშიც. ძველი თბილისის ხედების, ქალაქური ყოფის რეალიების, პერსონაჟთა ხატვისას იგი ცდილობდა თავი დაეღწია ნატურალიზმისაგან, წვრილმანი ეთნოგრაფიული სიზუსტისაგან, რაც ასე ახასიათებდათ ამ ნაწარმოების ადრინდელ ილუსტრატორებს. მთავარ მიზნად ლ. გუდიაშვილი ისახავდა ნაწარმოების საერთო განწყობის გადმოცემას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახვეწილი სინატიფით გამოირჩევა ლადო გუდიაშვილის მიერ გაფორმებული მეორე წიგნიც, რომელიც 1934 წელს გამოიცა. ეგზოტიკურ მასალაზე დაყრდნობით მხატვარმა შექმნა ნახატები ლიონ ჩი ფუს „ჩინური რომანისათვის“. ეს მშვენიერი გამოცემა რატომღაც უსამართლოდ არის დავიწყებული და თითქმის უცნობია თანამედროვე საზოგადოებისათვის. მცირე ზომის წიგნში ჰარმონიულადაა დაკავშირებული ერთმანეთთან გაფორმება და ილუსტრაციები. ნახატებში ოსტატურადაა გამოყენებული ჩინური ხელოვნების ტრადიციები. მათში ორგანულად არის ჩართული ამ ქვეყნის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ელემენტები. ილუსტრაციების მნიშვნელოვანი კომპონენტი გახდა ჩინური იეროგლიფების ყაიდაზე სტილიზებული შრიფტი. პერსონაჟთა მდიდრულად დეკორირებულ კოსტიუმებში, ფიგურათა პლასტიკაში, ჟესტების გამომსახველობაში ჩანს მხატვრის მაღალი გემოვნება, ოსტატობა ხაზის გამოყენებაში. „არსენას ლექსის“ და ლიონ ჩი ფუს „ჩინური რომანის“ ილუსტრაციებმა ნიადაგი მოამზადეს ლადო გუდიაშვილის წიგნის გრაფიკის ისეთი შედევრისათვის, როგორიცაა ნახატები შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისათვის“.

შოთა რუსთაველის პოემა მრავალი საუკუნის მანძილზე ასაზრდოებს ქართულ კულტურას. მისი უძველესი დასურათებული ხელნაწერები მე-17, მე-18 საუკუნეებს განეკუთვნება. გასულ საუკუნეში უნგრელმა მხატვარმა მიხაი ზიჩიმ შექმნა ილუსტრაციები, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. მეოცე საუკუნის ქართველი მხატვრების წინაშეც დადგა რთული ამოცანა — თანამედროვე თვალით შეეხედათ ნაწარმოებისათვის, მიახლოვებოდნენ მწერლის ჩანაფიქრს, ჩასწვდომოდნენ პოემის ფილოსოფიურ სიღრმეს, დამაჯერებლად გადმოეცათ პერსონაჟთა ხასიათები. შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლის იუბილეს აღნიშვნის შესახებ 1934 წელს მიღებულმა გადაწყვეტილებამ გააცხოველა მხატვართა დაინტერესება. მოგვიანებით ილუსტრაციების მნიშვნელოვანი ციკლები პოემისათვის შექმნეს თ. აბაკელიამ, ს. ქობულაძემ, ი. თოიძემ. ლადო გუდიაშვილმა მათზე ადრე დაასურათა ეს ნაწარმოები.

მხატვარი მთელი სერიოზულობით ემზადებოდა რთული ამოცანის გადასაწყვეტად. მხატვრის მიერ ჩატარებულმა მოსამზადებელმა სამუშაომ შესაძლებელი გახადა საკმაოდ გრანდიოზული ჩანაფიქრის განხორციელება. იგი ყურადღებით გაეცნო ყველა ადრინდელ ილუსტრაციას, მათ შორის, მამუკა თავაქარაშვილის მინიატურებსაც. დიდი როლი ითამაშა აგრეთვე ძველი ქართული ხელოვნების სხვა დარგების სა-

ფუძვლიანმა შესწავლამაც. 1937 წელს „ლიტერატურნაია გაზეტაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „როგორ წარმომიდგენია რუსთაველი და მისი გმირები“, გუდიაშვილი აღნიშნავდა, რომ მასალას თავისი პერსონაჟების სახეებისათვის იგი პოულობდა გამოსახულებებში, რომლებიც ამშვენებენ ძველებურ ტაძრებს. სიცოცხლის ბოლოს გამოქვეყნებულ მემუარებში მხატვარი ხაზს უსვამს ქართული საერო მინიატურების დიდ მნიშვნელობას მისი ხელწერის ჩამოყალიბებაში: „დიდად ვარ დავალებული ქართული მინიატურით. მინიატურამ მომცა გასაღები უფრო მკაფიოდ გამომესახა ეროვნული თავისებურებანი ჩემს შემოქმედებაში“.

გამომცემლობა „ფედერაციის“ მიერ გამოშვებული პოემა მხატვარს ჩაფიქრებული ჰქონდა, როგორც საიუბილეო, საზეიმო გამოცემა. ამგვარი გამოცემა იმ დროისათვის ერთ-ერთი პირველი ცდა იყო წიგნის ხელოვნების ნიმუშის შექმნისა, რამაც მხატვრისა და გამომცემელთა წინაშე მრავალი რთული პრობლემა დააყენა. პირველი ქართული საბჭოთა ილუსტრირებული გამოცემაა ეგნატე ნინოშვილის თხზულებათა კრებული, მაგრამ მასში მოთავსებული ნახატების სხვადასხვა დონის და მანერების სიჭრელის, ილუსტრაციებსა და გაფორმებას შორის არსებული შეუსაბამობის გამო ვერ იქცა წიგნის ხელოვნების მაღალ ნიმუშად. გუდიაშვილის ჩანაფიქრის ანალოგი შეიძლება ვიპოვოთ ორ რევოლუციამდელ გამოცემაში — ქართველიშვილისეულ „ვეფხისტყაოსანში“ და გედევანიშვილისეულ ი. ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში.

ლ. გუდიაშვილის მიერ გაფორმებული და დასურათებული „ვეფხისტყაოსანი“ გამოირჩევა შიდა და გარე გაფორმების მთლიანობით. ორგანულადაა დაკავშირებული ერთმანეთთან წიგნის ყველა ელემენტი. ამ გამოცემისათვის მხატვარმა შექმნა სუპერი, ყდა, ფორზაცი, ტიტული, თავსართები, ბოლოსართები, საზედაო ასოები და ორ ათეულზე მეტი ილუსტრაცია.

გამოცემის დანიშნულება თავდაპირველად მდიდრულად დეკორირებულ სუპერში მჟღავნდება. შესანიშნავი, ფერადოვანი ნახატით დამშვენებული, ორნამენტით შემკული სუპერი გამოირჩევა დახვეწილი კოლორიტით, ჰარმონიულობით. სუპერის შემდეგ სადა ყდა ერთგვარი პაუზის როლს ასრულებს. ისევე, როგორც ლ. გუდიაშვილის წიგნების უმრავლესობაში, „ვეფხისტყაოსანში“ გაფორმების მნიშვნელოვან ელემენტად ფორზაცი გვევლინება. მასზე მხატვარი ხშირად ათავსებს ნაწარმოების დედააზრის გამომხატველ ნახატს. რუსთაველის

პოემისათვის მან შექმნა ერთ-ერთი უმშვენიერესი ფორზაცი. ოქროს-ფერ ფონზე ყავისფერი კონტურის მეშვეობით გუდიაშვილი ქმნის მთავარ პერსონაჟთა სახეებს, ნატიფ, დასრულებულ კომპოზიციას. ტიტულების საზეიმო რიგს მკითხველი თანდათანობით შეჰყავს წიგნში. ყურადღებას იპყრობს თავების დასათაურების ხელნაწერი ასოების და ტექსტების ნაბეჭდი შრიფტის შეხამება. ეს ხერხი გუდიაშვილის მიერ გაფორმებული წიგნების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი გახდა. შრიფტის დაწერილობის ხასიათში კიდევ ერთხელ მჟღავნდება ხელნაწერი წიგნების ტრადიციების ღრმა შესწავლა. მხატვრის ჩანაფიქრის გახსნას ეხმარება თავსართების და ბოლოსართების ნახატები. გაფორმების ელემენტების სიმრავლე არ იწვევს გადატვირთულობის შეგრძნებას. კარგადაა შერჩეული წიგნის ფორმატიც. „ვეფხისტყაოსანში" ჩამოყალიბებული სახე მიიღო ხერხებმა, რომლებსაც გუდიაშვილი წარმატებით გამოიყენებს შემდგომში მრავალ მნიშვნელოვან გამოცემაში.

გაფორმების დიდი მნიშვნელობის მიუხედავად წიგნის კომპოზიციაში წამყვან როლს ილუსტრაცია ასრულებს. მხატვარმა დაასურათა არა მარტო ნაწარმოების საკვანძო მომენტები, არამედ სხვა ეპიზოდებიც, რომლებიც მისი აზრით, მნიშვნელოვანია პოემის აღსაქმელად. არჩეული თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანია — საზეიმო სცენები ენაცვლება ბატალურს, ლირიკული ეპიზოდების გვერდით იშლება ზღაპრულ-ფანტასტიკური მოვლენები (თინათინის გამეფება, ტარიელის ნახვა, ავთანდილის სიმღერა, ქაჯეთის ციხის აღება, ქორწილი და სხვა მრავალი). ყოველი ილუსტრაცია ჩარჩოთია შემოფარგლული. ჩარჩო გუდიაშვილის გრაფიკული კომპოზიციების მნიშვნელოვანი კომპონენტი გახდა.

პოემის ილუსტრირებისას მხატვარი არ ისახავს მიზნად სრული სიზუსტით გადმოგვცეს პერსონაჟთა რთული სამყარო, პოემაში აღბეჭდილი ქვეყნების დამახასიათებელი რეალიები; იგი გვთავაზობს მომხდარი ამბების საკუთარ, რამდენადმე ზღაპრულ-ფანტასტიკურ ინტერპრეტაციას. ამ მხრივ მისი ნამუშევრები დიდად განსხვავდება მიხაი ზიჩის ილუსტრაციების რამდენადმე ყოფითი გადაწყვეტისაგან. მხატვარი მკითხველს ფიქრისა და ფანტაზირების შესაძლებლობას არ უკარგავს. ყველა ილუსტრაცია შესრულებულია ერთ მანერაში. მათთვის დამახასიათებელია სიბრტყობრივობა. კომპოზიციების შექმნისას გუდიაშვილი მიმართავს ქართული საერო მინიატურის ტრადიციებს და შემოქმედებითად გადაამუშავებს მათ. მსგავსება მჟღავნდება ფიგურე-

„ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაცია

„ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაცია

ბის განლაგებაში, პერსპექტივის პირობითობაში (თუმცა ზოგიერთ კომპოზიციაში გვხვდება რეალისტური პერსპექტივაც). პერსონაჟები ერთგვარად ორნამენტულადაა გადაწყვეტილი. მათ შინაგან განწყობილებას მინიატურების მსგავსად მხატვარი მხოლოდ ჟესტების მეშვეობით გადმოსცემს. პირობითობა იგრძნობა პეიზაჟის გამოსახვისას. ორნამენტად იქცევა პეიზაჟის ყველა ელემენტი — წყალი, კლდეები, ხეები. მრავალფეროვნებით და სიმდიდრით გამოირჩევა ორნამენტული მოტივები. ხაზისა და ლაქის შეხამებით, ფიგურების განლაგებით მხატვარი აღწევს რიტმული გადაწყვეტის თავისებურებას. არქიტექტურასა და პერსონაჟთა სამოსში ოსტატურადაა შეხამებული აღმოსავლური და ქართული ელემენტები. „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებში გუდიაშვილი წარმოგვიდგა როგორც უკვე დასრულებული და ჩამოყალიბებული წიგნის ოსტატი, რომელმაც მკაფიოდ იცის რა სურს, იცის რა ხერხების მეშვეობით შეუძლია დასახული მიზნების მიღწევა.

რამდენიმე წლის შემდეგ მოსკოვში გამოიცა ლ. გუდიაშვილის მიერ დასურათებული შოთა რუსთაველის პოემა. ამ წიგნისათვის მხატვარმა შეასრულა რვა ფერადი ილუსტრაცია. სამწუხაროდ, ამჯერად მან ვერ შეძლო სრულად ეჩვენებინა თავისი შესაძლებლობანი, განეხორციელებინა მისწრაფება წიგნის ანსამბლის შექმნისაკენ (გაფორმება სხვა მხატვარს ეკუთვნოდა), რის გამოც დაირღვა გუდიაშვილის წიგნების უმრავლესობისათვის დამახასიათებელი მთლიანობა. ფერად ვარიანტში წარმოდგენილია ნაწარმოების უმთავრესი ეპიზოდები. ახალი კომპოზიციები პირდაპირ არ იმეორებენ შავ-თეთრ ნახატებს, თუმცა მათ შორის ბევრი საერთოა. ორივე ციკლში იგრძნობა სიახლოვე ქართული საერო მინიატურის ტრადიციებთან. ერთნაირი პირობითობითაა გადმოცემული პეიზაჟი და პერსონაჟთა ფიგურები. ახალ ვარიანტში მთავარი კომპონენტი ფერია, რომელმაც მეტად გაამდიდრა მხატვრის ჩანაფიქრი. ოსტატურად ნიუანსირებული ფერადოვანი შეხამებანი, კოსტიუმების დეკორაციული სილამაზე, უმშვენიერესი პეიზაჟები მკითხველში აღძრავენ კეთილშობილ, ამაღლებულ ფიქრებს. პოემის პერსონაჟთა დახასიათებისას მხატვარი ცდილობს ხაზი გაუსვას მათ შინაგან და გარეგნულ სილამაზეს, ასულების სინაზესა და ვაჟების სიმამაცეს.

ლადო გუდიაშვილის გრაფიკულ შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია ოცდაათიანი წლების მეორე მნიშვნელოვან ნამუშევარს—ილუსტრაციებს სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების კრებულისათვის. მასვე ეკუთვნის წიგნის გაფორმებაც. სადა ყდას ენაცვლება დახვეწი-

ლი ფორზაცი, რომლის მუქ ფონზე ღია ფერის კონტურით შემოფარგ-ულია მთავარი პერსონაჟების, აგრეთვე ცხოველთა და ფრინველთა სტილიზებული გამოსახულებანი. გუდიაშვილი წიგნის გაფორმებისას ხშირად რთავს ფერადოვან აქცენტს. ზოგიერთ შემთხვევაში ამ როლს სუპერი ასრულებს, სხვა შემთხვევაში ამგვარ აქცენტად იქცევა ფორ-ზაცი. იგივ-არაკების კრებულში ჩართულია ფრონტისპისი სულხან-საბა ორბელიანის პორტრეტით.

სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედება ახლოა გუდიაშვილის ინ-დივიდუალობასთან. იგი მრავალჯერ მიმართავს ამ ნაწარმოების თე-მებს როგორც ფერწერაში, ისე გრაფიკაში. მასში აღძრული საკითხე-ბი აღვიძებენ მხატვრის ფანტაზიას, აძლევენ საშუალებას შექმნას მრა-ვალფეროვანი, ხან იუმორით, ხან სარკაზმით სავსე ნახატები. თავისი გადაწყვეტით ისინი საკმაოდ ახლოა „ვეფხვისტყაოსნის“ ილუსტრა-ციებთან, თუმცა უფრო ცოცხალი და დინამიურია. ხაზი კვლავ რჩება მხატვრის ერთ-ერთ მთავარ იარაღად. სეპიის თბილი ფერის გამოყენე-ბით მხატვარი აღწევს სირბილისა და სინათლის, მეტი ჰაერის შთაბეჭ-დილებას.

ოცდაათიანი წლების დამლევისათვის საკმაოდ ნათლად ჩამოყალიბ-და მხატვრის გრაფიკული ხელწერა. ამ დროისათვის ძირითადად გა-მოიკვეთა ნაწარმოებთა წრე, რომლებიც ახლოს იყო მის შემოქმედე-ბით მისწრაფებებთან—უმთავრესად ქართული კლასიკური ლიტერატუ-რა და ფოლკლორი. საკუთარი შესაძლებლობების უფრო ფართოდ გა-მოვლენის მიზნით და აგრეთვე ჭეშმარიტ და ცრუ კეთილისმყოფელთა დაჟინებული მოთხოვნით, გუდიაშვილმა მიმართა თანამედროვე თემა-ტიკასაც. შრომის თემა, აქტუალური სიუჟეტები ჟამოჩნდა მის ფერწე-რაში, აგრეთვე დაზგურ და წიგნის გრაფიკაში. მხატვარმა დაასურათა რამდენიმე თანამედროვე ავტორის წიგნი. ამგვარი ცდების რიცხვს მიეკუთვნება ლ. ქიაჩელის „ნოველები“, ბ. პასტერნაკის თარგმანთა კრებული „ქართველი ლირიკოსები“ და სხვა.

ლ. ქიაჩელის ნოველებს ლ. გუდიაშვილმა ორჯერ მიმართა. ერთ შემთხვევაში იგი დასჯერდა მხოლოდ წიგნის გაფორმებას, მეორედ, რუსული გამოცემისათვის შექმნა როგორც გაფორმება, ისე ხუთი ილუსტრაცია. მხატვარი შეძლებისდაგვარად ცდილობს მოგვცეს მისი თანამედროვე ეპოქის ამსახველი ნიშნები, შეიტანოს მეტი კონკრეტუ-ლობა პეიზაჟში, პერსონაჟთა სოციალური მდგომარეობის ჩვენებაში, კოსტიუმებში, დახატოს არა ზღაპრული რაინდები და ბანოვანები, არა-მედ ჩვეულებრივი, ყველასათვის ნაცნობი ადამიანები. ხანდახან მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვეული მანერა წინააღმდეგობაში ვარდება ჩანაფიქრთან. პლასტიკური ამოცანებით გატაცებული გუდიაშვილი კვლავ თავისებურად გარდაქმნის რეალურ სინამდვილეს. მოსავს მანდილოსნებს უმშვენიერესი სამოსით, გადააქცევს ჩვეულებრივ მუშა ხარებს ზღაპრულ ნიკორებად, ერთ-ერთი დრამატული ნოველის „ჰაკი აძბას“ პერსონაჟს საბალეტო პას შემსრულებელ მოცეკვავეს ამსგავსებს. ქიაჩელისადმი გუდიაშვილის პირადი სიმპათიის მიუხედავად, ორი შემოქმედის მანერა ერთმანეთთან შეუთავსებელი აღმოჩნდა.

მეტი სულიერი სიახლოვე ჰქონდა გუდიაშვილს ბ. პასტერნაკის მიერ თარგმნილ კრებულში შეტანილ ქართველი პოეტების ნაწარმოებებთან. პასტერნაკთან მხატვარს ნამდვილი მეგობრობა აკავშირებდა. გუდიაშვილის თანხმობამ, ყოფილიყო წიგნის მხატვარი, იგი დიდად გაახარა. მწერალი მღელვარებით წერდა თბილისელ კორესპონდენტს თავისი სიხარულის შესახებ. ამ გამოცემისათვის — გ. ლეონიძის, ი. გრიშაშვილის, ი. აბაშიძის და სხვათა პოეტური ქმნილებებისათვის შესრულებულ მცირე ზომის თავსართებში მხატვარმა იპოვა შესატყვისი დეკორატიული ელემენტები, რომლებიც მეტ-ნაკლებად შეეფერებოდა ავტორთა ინდივიდუალობებს, შეიტანა მათში თანამედროვე ცხოვრების ყოფის ამსახველი ატრიბუტები, ჰარმონიულად დაკავშირა ერთმანეთთან წიგნის ყოველი ელემენტი.

ოცდაათიანი წლების ბოლოს ლადო გუდიაშვილმა რამდენჯერმე მიმართა დასავლეთევროპულ ლიტერატურას — დანტეს „ღვთაებრივ კომედიას“, სერვანტესის „დონ-კიხოტს“. ამ ნაწარმოებებისათვის შესრულებული ილუსტრაციები ნაკლებადაა ცნობილი, ისინი არ წარმოადგენენ მისი შემოქმედების განსაკუთრებით დამახასიათებელ ნიმუშებს. მაგრამ გვამცნობენ მხატვრის შემოქმედების ზოგიერთ უცნობ მხარეს. გვიჩვენებენ, რამდენად საინტერესო შეიძლებოდა ყოფილიყო მხატვრის მუშაობა ამ მიმართულებით. ორივე ნამუშევარი განსხვავებულ მანერაშია შესრულებული. პირველი ჩართულია ი. შარლემანის მიერ გაფორმებულ დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ თვით შარლემანისა და დასავლეთევროპელ ილუსტრატორთა ნამუშევრების გვერდით. გუდიაშვილის კომპოზიცია სამი ტყიურის გამოსახულებით, არ ჰგავს მხატვრის ამავე პერიოდში შესრულებულ სხვა ნამუშევრებს. რამდენადმე ექსპრესიონისტულ მანერაში შესრულებული ნახატი გამოირჩევა დაძაბულობითა და დრამატიზმით.

საკუთარ მანერაზე ნამდვილი ფალმომრეობის ნიმუშია გუდიაშვილის ნახატი „საბლიტგამის“ მიერ გამოცემული „დონ-კიხოტის“ ყდი-

არსენას ლექსი. ილუსტრაცია (1934 წ.)

შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, „ვეფხისტყაოსანი“. ილუსტრაცია (1939 წ.)

შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, „ვეფხისტყაოსანი“. ილუსტრაცია (1939 წ.)

ს.-ს. ორბელიანი, „სიბრძნე სიცრუისა“. ფორზაცი (1939 წ.)

ს.-ს. ორბელიანი, „სიბრძნე სიცრუისა“. ილუსტრაცია (1939 წ.)

მ. ლ ე რ მ ო ნ ტ ო ვ ი, „დემონი“. ილუსტრაცია (1941 წ.)

მ. ლერმონტოვი, „დემონი“. ილუსტრაცია (1941 წ.)

ქართული ხალხური ზღაპარი. ილუსტრაცია (1953 წ.)

ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „სიბრძნე სიცრუისა“. სუპერი (1958 წ.)

ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „სიბრძნე სიცრუისა“. ფორზაცი (1959 წ.)

სიბრძნე ბალავარისა. ილუსტრაცია (1962 წ.)

სიბრძნე ბალავარისა. ილუსტრაცია (1962 წ.)

ქართული ხალხური თქმულებები და ლეგენდები. „თქმულება ამირანზე“. ილუსტრაცია (1963 წ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის. ბავშვებისათვის განკუთვნილ წიგნში, იგი სპეციალურად ცდილობს, რაც შეიძლება ნატურალისტურად დახატოს პეიზაჟი, თავად დონ-კიხოტის ფიგურა. დონ-კიხოტისა და მის მიერ წაკითხული სარაინდო რომანების პერსონაჟების ტუშით შესრულებული ილუსტრაციები ყდისაგან განსხვავდება მეტი გამომსახველობით და მხატვრულობით. ამ ტიპის ნახატი შემდგომში აღარ გვხვდება მხატვრის შემოქმედებაში.

ევროპულ ლიტერატურას ლადო გუდიაშვილმა კვლავ მიმართა ორი ათეული წლის შემდეგ. მან შეასრულა ოთხი ნახატი და ყდა ა. დიუმას (შვილის) რომანისათვის „მარგარიტა გოტიე". ყდაზე მოთავსებული მარგარიტას და არმანის პორტრეტები ახლოა მის დაზგურ, გუაშით შესრულებულ ფურცლებთან. მდიდარი კოლორიტი, ნატიფად დამუშავებული ფერი, ღია პალიტრა 50-იანი წლების სხვა ნამუშევრების მსგავსად მხატვრის გრაფიკული მანერის ერთგვარ ევოლუციაზე მეტყველებს.

ლადო გუდიაშვილს არ გაუფორმებია ანტიკურ ავტორთა წიგნები, მაგრამ მის გრაფიკაში ხშირად ვხვდებით ანტიკური მითებით შთაგონებულ ფურცლებს, მედეას, არგონავტების და სხვა პერსონაჟების გამოსახულებებს. სამწუხაროა, რომ გამომცემლებმა უფრო ნაყოფიერად არ გამოიყენეს მხატვრის ეს მიდრეკილებანი. ასევე საწყენია, რომ გუდიაშვილმა ხანდაზმულობის გამო ვერ შეძლო შექსპირის თხზულებათა ილუსტრირებულ გამოცემაში მონაწილეობის მიღება. თავის მემუარებში მხატვარი წუხილს გამოთქვამს ამის გამო. მხატვრის სახელოსნოში ინახება შექსპირის რამდენიმე პორტრეტი, რომელიც მან უკანასკნელ წლებში შეასრულა.

40-იანი წლები ნაკლებ ნაყოფიერი აღმოჩნდა წიგნის გრაფიკისათვის. თუმცა, მხატვარი კვლავ განაგრძობს მუშაობას. ამ პერიოდში ლ. გუდიაშვილმა რამდენიმე განსხვავებული ხასიათის წიგნი დაასურათა. 1941 წელს გამოიცა მის მიერ გაფორმებული მ. ი. ლერმონტოვის ორი ნაწარმოები „დემონი" და „აშიკ-ქერიბი". იმავე წელს გააფორმა „აბესალომ და ეთერის" კლავირი. სამამულო ომის პერიოდში მხატვარი მეტ დროს დაზგურ გრაფიკას უთმობს, ქმნის მნიშვნელოვან ანტიფაშისტურ ციკლს, ხოლო ომის შემდგომ, 1946 წელს აფორმებს ქართული ხალხური სიმღერების ორ კრებულს.

თქმულება აბესალომსა და ეთერზე გუდიაშვილის საყვარელი თემების რიცხვს მიეკუთვნება. ფერწერულ ტილოებსა და გრაფიკულ კომპოზიციებში იგი აღბეჭდავს მათ ტრაგიკულ ბედს, სიყვარულის ძალას. ზ. ფალიაშვილის ოპერის „აბესალომ და ეთერის" კლავირის

გაფორმების მთავარი ელემენტი ფორზაცია, რომელშიც რუსთაველის და ორბელიანის ფორზაცების მონოქრომულობისაგან განსხვავებით, მთავარ როლს ფერი ასრულებს. პეიზაჟის ფონზე ნაწარმოების მთავარი გმირებია გამოსახული. პეიზაჟის ხასიათი, პერსონაჟების ფიგურები თავისი ნახატით ახლოა „ვეფხისტყაოსნის“ ფერად ილუსტრაციებთან, ჩასმულია იგივე ტიპის ჩარჩოში.

ლერმონტოვის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი იუბილესათვის ლ. გუდიაშვილმა შექმნა ილუსტრაციები ორი ნაწარმოებისათვის — „დემონი“ და „აშიკ-ქერიბი“.

„დემონის“ დრამატიზმი, მთავარი პერსონაჟის ხასიათი სრულიად ახალი თემაა მხატვრის შემოქმედებაში. თავის ილუსტრაციებში მან შეძლო გაქცეოდა ვრუბელის სახელგანთქმული ნახატების გავლენას. პოემაში გუდიაშვილმა შეძლო მოეძებნა საკუთარი ინდივიდუალობისათვის ახლობელი მოტივები. იგი შეეცადა ხაზი გაესვა ნაწარმოების ქართული ნაკადისათვის. ამას მოწმობს მის ილუსტრაციებში გამოყენებული ქართული არქიტექტურისა და კედლის მხატვრობის მოტივები, პერსონაჟთა კოსტიუმები, თვით ნახატების შესრულების მანერა. არსად, არც ერთ ილუსტრაციაში ასე ძლიერად არ გამომჟღავნებულა გუდიაშვილის განსაკუთრებული სიყვარული ქართული ფრესკისადმი. ფიგურათა პლასტიკაში, ილუსტრაციების კოლორიტში ძლიერად ჟღერს მხატვრის აღტაცება ქართული ხელოვნებით. ნახატები მოკლებულია ვრუბელის ნამუშევრების დრამატიზმსა და სიმძაფრეს. პოემის მთავარ ლეიტმოტივს — ნაღველს, სევდას, იმედგაცრუებას, კარგად შეეფარდება მისი კომპოზიციების ფერადოვანი გადაწყვეტა, განწყობილება.

ომის შემდგომი წლები მძიმე პერიოდია ლ. გუდიაშვილის გრაფიკული და ფერწერული შემოქმედებისათვის. მას ხშირად აკრიტიკებენ მანერულობისათვის, ცხოვრებისაგან მოწყვეტისათვის, რაც მხატვარს აიძულებს რამდენადმე შეცვალოს მანერა, შეკვეცოს თავისი ფანტაზია და მეტი ადგილი დაუთმოს ყოფითი, რეალისტური ელემენტების გადმოცემას. ამის ნიმუშია მისი ილუსტრაციები გრ. ჩხიკვაძის მიერ შედგენილი ქართული ხალხური სიმღერების კრებულისათვის, განსაკუთრებით კი მოსკოვური გამოცემისათვის (1946 წ). საქართველოს სხვადასხვა კუთხისადმი მიძღვნილ შმუცტიტულებზე მხატვარი გულმოდგინედ ხატავს გურიის, რაჭის, კახეთის და სხვა კუთხეების პეიზაჟებს, ცდილობს ეთნოგრაფიული სიზუსტით აღბეჭდოს კოსტიუმები, მუსიკალური საკრავები.

ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში მომხდარი მნიშვნელო-



„სიბრძნე სიცრუისა“ (ილუსტრაცია)

ვანი ძვრები დიდ გავლენას ახდენს ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაზე. ასპარეზზე გამოდის ახალგაზრდა მაძიებელ მხატვართა ჯგუფი, განაგრძობენ მუშაობას უკვე სახელგანთქმული ოსტატები, იცვლება დამოკიდებულება იმ მხატვრებისადმი, რომლებსაც თავის დროზე ფორმალისტების სახელი შეარქვეს და თითქმის მოკვეთეს მხატვრული ცხოვრებისაგან. 1957 წ. გამართული ლადო გუდიაშვილის პერსონალური გამოფენის ტრიუმფალურმა წარმატებამ ნათლად გამოავლინა დიდი ინტერესი მისი შემოქმედებისადმი. საზოგადოებამ ხელახლა აღმოაჩინა მისი თავისთავადი სამყარო, შეიგრძნო მისი ეროვნული ხასიათი, მრავალფეროვნება, მდიდარი ინდივიდუალობა. აღნიშნა მისი გრაფიკული შემოქმედების მაღალი დონე და დიდი მნიშვნელობა.

გამოფენის წარმატებამ თბილისსა და მოსკოვში დიდი გავლენა მოახდინა მხატვარზე, მისცა ახალი შემოქმედებითი იმპულსი. იგი მეტი ინტენსივობით და ხალისით მუშაობს წიგნის გრაფიკაშიც. საინტერესო შეკვეთები, საინტერესო ავტორები განაპირობებენ მისი ნამუშევრების მრავალფეროვნებას. ამ პერიოდში შექმნა გუდიაშვილმა მნიშვნელოვანი ილუსტრაციული ციკლები ძველი ქართული ლიტერატურის ისეთი ნიმუშებისათვის, როგორიცაა „ამირანდარეჯანიანი" (1965 წ), „სიბრძნე ბალავარისა" (1962 წ), გააფორმა „ვისრამიანი" (1964 წ), „ყარამანიანი" (1965 წ), „ქართული თქმულებები და ლეგენდები" (1963 წ), განაგრძო მუშაობა სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკებისა და ქართული ზღაპრების დასურათებაზე, გააფორმა აღმოსავლური ლიტერატურის ნიმუშები: ნიზამის, რუდაქის ნაწარმოებების კრებულები, თურქული და სპარსული ზღაპრები, საიათნოვას ლექსები. 1969 წელს შექმნა ილუსტრაციები „ათას ერთი ღამის" ორი ტომისათვის. გუდიაშვილის ნამუშევრებმა დაამშვენეს ქართველი პოეტების იეთიმ-გურჯის, მ. მრევლიშვილის, ი. ნონეშვილის, მ. ვარშანიძის, ა. გომიაშვილის, ხ. ბერულავას ლექსების წიგნები. სხვადასხვა გამოცემისათვის მხატვარმა შექმნა ქართველ მწერალთა, მათ შორის ნ. ბარათაშვილის, მოსე ხონელის, დ. გურამიშვილის, სულხან-საბა ორბელიანის და სხვათა პორტრეტები.

ლადო გუდიაშვილის სიცოცხლის ბოლო ორ ათეულ წელში შექმნილი ილუსტრაციები და წიგნის გაფორმების ნიმუშები განსხვავდებიან თავისი დანიშნულებით და ხარისხითაც. რიგ გამოცემაში მხატვარი კვლავ ინარჩუნებს მისთვის ჩვეულ მისწრაფებას წიგნის, როგორც მთლიანი ორგანიზმის აღქმისადმი, სხვებში მისი ნახატები და გაფორ-

მების ელემენტები არ არის ორგანულ კავშირში ერთმანეთთან. პოეტური კრებულების ყდებზე გამოყენებული ნახატები ნაკლებ არიან დაკავშირებული გასაფორმებელი წიგნის ხასიათთან.

საბავშვო ლიტერატურის დასურათებისას მხატვარი კვლავ ცდილობს გაამარტივოს თავისი ენა და გასაგები გახადოს ბავშვებისათვის, რაც ზოგჯერ ილუსტრაციების ხარისხის ხარჯზე ხდება. ამგვარი წიგნების რაოდენობა არ არის დიდი. მხატვრის საუკეთესო საბავშვო ნამუშევრებში ჩანს მისი თვითმყოფადობა და ოსტატობა. ამგვარია მისი ილუსტრაციები „ნაკადულის" მიერ გამოცემული სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკებისათვის და ქართული ხალხური ზღაპრებისათვის.

ქართული ფოლკლორი, კერძოდ კი ზღაპრები, გუდიაშვილის შემოქმედების მუდმივი მასაზრდოებელი წყაროა. 50-იან წლებში იგი განაგრძობს მათ ილუსტრირებას. 1952 და 1959 წლებში გამოცემულ კრებულებში გამოქვეყნებული ილუსტრაციები ოცდაათიან წლებში დაწყებული სერიოზული მუშაობის შედეგს წარმოადგენს. ხაზი ამ ილუსტრაციებში იძენს არაჩვეულებრივ მოქნილობას, სიცოცხლეს, არტისტულობას. განსხვავებით 1939 წლის ზღაპრების კრებულის გრაფიკული ფორზაცისაგან, ამ გამოცემების ფორზაცები უფრო ფერწერული ხდებიან და ამ პერიოდის გუდიაშვილისეული წიგნების ყველაზე მნიშვნელოვანი ფერადოვანი ლაქის როლს ასრულებენ („ქართული ლეგენდები და თქმულებანი" და სხვ.).

50-იანი წლების მეორე ნახევარში ლადო გუდიაშვილი აგრძელებს მუშაობას სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების კრებულის „სიბრძნე-სიცრუისა" დასურათებაზე. ერთ-ერთ გამოცემაში, რომელიც რუსულ ენაზე ორჯერ (1959, 1960 წწ.) გამოსცა „ზარია ვოსტოკამ", იგი რამდენიმე ნახატს ამატებს ოცდაათიან წლებში შესრულებულ ილუსტრაციებს. კომპოზიციები იგივე მანერაშია შესრულებული, თუმცა ხაზი რამდენადმე მოუხეშავი გახდა, გამარტივდა, მოაკლდა სინატიფე. სულ სხვა ხასიათისაა „ნაკადულის" გამოცემისათვის შესრულებული ფერადი ილუსტრაციები, გამოცემა გამოირჩევა ჩვეული მთლიანობით. გაფორმების ყველა ელემენტის შექმნის საფუძველია ძველი ქართული ხელნაწერი წიგნის ტრადიციები. ორნამენტებში, ხელნაწერი შრიფტის დაწერილობაში იგრძნობა მხატვრის სიყვარული და პატივისცემა ძველი ქართული ხელოვნებისადმი. ლადო გუდიაშვილი დასასურათებლად ამჯერად ირჩევს ბავშვებისათვის იოლად აღსაქმელ იგავ-არაკებს. ფერადოვან, ხატოვან ილუსტრაციებს საზეიმო ელფერი აქვს, აქ კარგად შეეხამება ერთმანეთს, ერთი მხრივ, მხატვრის სურვილი — გასაგები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაეხადა ნახატები პატარა მკითხველებისათვის და, მეორე მხრივ, მისწრაფება — არ გადაეხვია თავისი ჩვეული სტილისათვის, შეექმნა ლამაზი, დეკორაციული კომპოზიციები.

60-იან წლებში ლ. გუდიაშვილი ძირითადად ქართული ეპოსის ნიმუშებს აფორმებს. ეს ნაწარმოებები მეტად ახლოა მის შემოქმედებით ინტერესებთან. მის საყვარელ სამყაროსთან. ზღაპრული რაინდები და მშვენიერი ასულები, მფრინავი რაშები, დევები თუ გველეშაპები დიდ ასპარეზს აძლევენ მის ფანტაზიას.

„ამირანდარეჯანიანის" დასურათებასა და გაფორმებაში გუდიაშვილის, როგორც წიგნის გრაფიკოსის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი რამდენიმე ნაკადი გამოვლინდა. ნახატის ხასიათი, ხაზისადმი ჩვეული ინტერესი, პერსონაჟების პლასტიკა, ერთი მხრივ, ახლოა „ვეფხისტყაოსნის" და უფრო მეტად სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას" ილუსტრაციებთან, მეორე მხრივ კი, ფორზაცის კომპოზიციაში, მასზე გამოსახული აქვარელით, ოდნავ დაფერფლილი ფიგურების მასშტაბში, შესრულების მანერაში ჩანს სიახლოვე „ბალავარიანთან". სიახლოვე იგრძნობა ჩარჩოების ხასიათში, პერსონაჟთა პოზებისა და ჟესტების პირობითობაში, ორნამენტულობისაკენ სწრაფვაში.

60-იანი წლების წიგნების მნიშვნელოვანი კომპონენტი ხდება ფერი. სულხან-საბა ორბელიანის „იგავ-არაკებში", „ბალავარიანში" და განსაკუთრებით „ქართული ლეგენდებისა და თქმულებების" კრებულში ის მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მისი გამოყენების ხერხები მრავალფეროვანია. მხატვარი ხან აქვარელით ოდნავ ფარავს ტუშით შესრულებულ ნახატებს, ხან გუაშით დახატულ კომპოზიციებში მთელი სისავსით ამჟღავნებს კოლორიტულ ოსტატობას. „ქართული ლეგენდებისა და თქმულებების" კრებულის დასურათების დროს გუდიაშვილს საშუალება მიეცა კვლავ დაბრუნებოდა თავის საყვარელ თემებს და პერსონაჟებს—პოეტურ თქმულებებს თბილისის დაარსებაზე, აბესალომისა და ეთერის ნაღვლიან ბედზე, თამარ მეფის, არსენას და ამირანის სახეებს. ნახატების უმრავლესობაში ჩანს დიდი სიახლოვე ამ პერიოდში შექმნილ მისივე დაზგურ ფურცლებთან და ფერწერულ ტილოებთან. ილუსტრაციები გამოირჩევა ფერადოვნებით და ფანტაზიით. თუმცა შთაბეჭდილება მნიშვნელოვნად ქარწყლდება წიგნის დაბალი პოლიგრაფიული დონის გამო.

ნახატები წიგნისათვის „სიბრძნე ბალავარისა" მხატვრის ბოლო პერიოდის ილუსტრაციული შემოქმედების დამახასიათებელი ნიმუშია. კარდინალურ ცვლილებებს ისინი არ განიცდიან, მაგრამ განსხვავებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია ფიგურათა ხასიათი, ისინი უფრო წაგრძელებული პროპორციებისა ხდებიან. გუდიაშვილი ხშირად მიმართავს ფანქრის ტექნიკას, აქვარელით დაფერვას. ილუსტრაციები არ არის შემოფარგლული ჩარჩოთი, დიდი ზომის ფიგურები თითქმის მთლიანად ავსებენ ფურცელს. ნაკლები ყურადღება ეთმობა პეიზაჟს, მისი ელემენტები კვლავ ინარჩუნებენ პირობითობას.

ლადო გუდიაშვილის ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარია ილუსტრაციები „ათას ერთი ღამისათვის". ტუშით და ფანქრით შესრულებული, ოდნავ მოდელირებული ნახატები გვხიბლავენ სინაზითა და სინატიფით. ამ ნაწარმოების სიუჟეტები განსაკუთრებით ახლოა მხატვრის სულთან და რა სამწუხაროა, რომ მან ბოლომდე ვერ განახორციელა ჩანაფიქრი. გამომცემლობამ მხოლოდ ერთი ტომი გამოსცა მისი ილუსტრაციებით.

ლადო გუდიაშვილის გარდაცვალების შემდეგ კვლავ გამოიცა მის მიერ ილუსტრირებული წიგნები. მათ შორისაა ქართული ფოლკლორის ნიმუშების კრებული „იები მთაზე", რომელშიც აქვარელით შესრულებული ნახატები პოეტურობითა და სინაზით გამოირჩევიან.

დიდია ლადო გუდიაშვილის ღვაწლი ქართული საბჭოთა წიგნის ხელოვნებაში. იგი იდგა მისი ჩამოყალიბების სათავეებთან. მხატვარმა ერთ-ერთმა პირველმა სცადა გადაეჭრა ეროვნული ხელოვნების ტრადიციების შემოქმედებითი გამოყენების რთული ამოცანა. მის მიერ გაფორმებულ წიგნებში ჩვენს წინაშე იშლება მრავალფეროვანი, დახვეწილი სამყარო, დამშვენებული ნაირგვარი პერსონაჟებით. უმრავლეს შემთხვევაში გუდიაშვილი დასასურათებლად ირჩევს მისთვის ახლობელ ავტორთა ნაწარმოებებს. იგი არ არის ილუსტრატორი ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. იგი ქმნის საკუთარ, განუმეორებელ სამყაროს, რომლისთვისაც ბიძგს ლიტერატურული ნაწარმოები აძლევს.

განსხვავებული ეპოქების, სხვადასხვა ეროვნებისა და ინდივიდუალობის ავტორების წიგნების დასურათებისას მხატვარი ეძებს იმ საერთოს, რაც მათ აახლოვებს, გამოყოფს მისთვის ახლობელ მოტივებს. ყოველ გამოცემაში იგი იყენებს არა კონკრეტულად ამ ავტორისათვის შესაფერ მანერას, არამედ ცდილობს გაითავისოს ნაწარმოები, შეასრულოს საკუთარ მანერაში. ამ მისწრაფებით გუდიაშვილი ახლოა მეოცე საუკუნის გამოჩენილ მხატვარ-ილუსტრატორებთან — პიკასოსთან, შაგალთან, კოკოშკასთან, კუბინთან და სხვ. რომელთათვისაც საილუსტრაციო ნაწარმოები მხოლოდ ბიძგია საკუთარი სამყაროს წარმოსაჩენად.

გუდიაშვილის მიერ გაფორმებულ ყველა წიგნს აახლოვებს მხატვ-

რის მისწრაფება გაიაზროს ყოველი მათგანი, როგორც ერთიანი, მთლიანი ორგანიზმი. იგი მუდამ ცდილობს უარყოს საბჭოთა წიგნის გრაფიკის ზოგიერთ ეტაპზე გავრცელებული მავნე პრაქტიკა, როდესაც ილუსტრაციასა და გაფორმებას სხვადასხვა ავტორი ასრულებდა (1939 წ. გამოცემული ლ. გრიგოლიას მიერ გაფორმებული ი. თბილელის „დიდმოურავიანი", რომელშიც გუდიაშვილის ფორზაცია ჩართული და სრულიად უცხო სხეულად იკითხება, იშვიათი გამონაკლისია მის შემოქმედებაში).

ქართველი საზოგადოება კარგად იცნობს ლადო გუდიაშვილის წიგნის გრაფიკას, თუმცა ეს ცოდნა ძირითადად შემოფარგლულია „ვეფხისტყაოსნისა" და „სიბრძნე სიცრუისათვის" შესრულებული ილუსტრაციებით. კარგი იქნება თუ წიგნისმოყვარულებს ექნებათ შესაძლებლობა გაეცნონ გუდიაშვილის საუკეთესო წიგნებს — „არსენას ლექსს", ლიონ ჩი ფუს „ჩინურ რომანს", ზღაპრებს, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას" და სხვა. მათი ფაქსიმილური გამოცემები სხვა ქართველ მხატვართა საუკეთესო წიგნებთან ერთად გაამდიდრებს ჩვენს წარმოდგენას ქართული წიგნის ხელოვნების შესახებ, რომლის ერთ-ერთი დიდოსტატთაგანი ლადო გუდიაშვილიცაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერი წიგნის მომხატველთა ტერმინები
(X — XIII სს.)

დღეს უაღრესად განვითარებული პოლიგრაფიული ტექნიკის პირობებში, როცა ყოველდღიურად ათასობით წიგნი იბეჭდება და ვრცელდება, ძნელია წარმოვიდგინოთ შუასაუკუნეების მყუდრო მონასტერი, სადაც „ძმობაში“ გაერთიანებული ბერების, ანუ როგორც ძველად იტყოდნენ „ჴელი მწიგნობრობისაჲ“ წარმომადგენლები ძალზე ხანგრძლივ დროს ანდომებდნენ ერთი ხელნაწერი წიგნის შესრულებას.

ქართულ სამწიგნობრო კერებში, საქართველოს ფარგლებში თუ საზღვარგარეთულ ცენტრებში თავისი ერისადმი დიდი სიყვარულით, მისი კულტურისადმი მაღალი პატრიოტული გრძნობით მიმდინარეობდა ხელნაწერი წიგნის შექმნის ესოდენ რთული პროცესი. ქართველი ოსტატები ერთობლივი შრომითა და რუდუნებით წერდნენ, ხატავდნენ, კაზმავდნენ და მოსავდნენ წიგნებს. ცნობები იმის შესახებ, თუ რა მძიმე ვითარებაში უხდებოდათ წიგნის ოსტატებს ამ რთული და სერიოზული სამუშაოს შესრულება და როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ მას, ხშირად გვხვდება ანდერძ-მინაწერებში: „ამის სიკეთისათეს ესთენი მოვიჭირვე რომელ ორსა წელსა ვწერე და ვამოწმე ქართულთა ოთხთავთა სიკეთისათვის“ (A-1459, XIII ს.), ან „ღმერთმან იცის, ვაჲმე და ვაჲმე ჭირნი უსახლობისა და უადგილობისანი, რომელ სხვასა არავის წაჰკიდებია ესევითარი, რამეთუ სოფლისა ღელვათა და განსაცდელთა შინა ვეფალი ყელამდისინ“ (A-80, XI ს.).

V—XVIII საუკუნეთა მანძილზე, ვიდრე ნაბეჭდმა წიგნმა არ შეცვალა ხელით გადაწერილი წიგნი, ვიდრე არსებობდა წიგნი ხელნაწერის სახით, ჩვენმა წინაპრებმა მისი მრავალი ათასი ნიმუში შექმნეს, რაც ძვირფას ეროვნულ საუნჯედ იქცა. სამწუხაროა, რომ ბევრი ქართველი ოსტატის სახელი დღეს უცნობია ჩვენთვის. ისინი იშვიათად მოიხსენიებენ ანდერძებში თავიანთ სახელებს, თუმცა ყოველი ანდერძი იმაზე მეტყველებს, რომ მათ სავსებით ჰქონდათ შეგნებული გაწეული შრო-

მის მნიშვნელობა და ფასი. „შრომისათვის ლოცვა ჰყავთ“, — წერდნენ ისინი. ამ დიდ შრომას კი მათ მომავლის რწმენა უადვილებდათ, მტკიცედ სჯეროდათ, რომ საუკუნოდ დარჩებოდა მათი ნაამაგარი. „ველი მწერლისა მიწასა შინა ლპება და ნაწერნი ჰგიან“ (H-76, XVI ს.), ან „მშრომელნი მტუერ და ნაცარ ვიქმნებით, ხოლო ნაშრომი ჰგიეს უკუნისამდე“ (A-26, XIII ს.). დამკვეთნი, გადამწერნი, მმოსველნი, მკაზმველნი მხურვალედ ევედრებიან ღმერთს და შენდობას სთხოვენ იმ პირთათვის, ვინც მტკიცედ იცავს ხელნაწერის ღირსებებს და წყევლა-კრულვას უგზავნიან მათ, ვინც რაიმეს დაუშავებს წიგნს. „აწ ვინცა... ანდერძი ესე ჩემი შებღალოს, კრულმცა არს ამის სახარებისა მადლითა და ვინ, მტკიცედ იპყრას, იგი ღმერთმან აკურთხოს და ნუ დააკლოს საუკუნეთა კეთილთა მისთა“ (H-1344, 255). თითქმის ყველა სრულ ანდერძს ახლავს ასეთი შინაარსის გამონათქვამი.

ძველი ხელნაწერი წიგნის შექმნა, ანუ როგორც ივ. ჯავახიშვილი უწოდებს, წიგნის „შემზადება“[1], მეტად რთული პროცესია. იგი რამდენიმე ხელობის შესწავლას მოითხოვდა. XIV საუკუნის ერთ-ერთი ხელნაწერის (A-575) ანდერძში, რომელიც ავგაროზ ბანდაისძეს ეკუთვნის, ჩამოთვლილია წიგნის შექმნასთან დაკავშირებული სხვადასხვა საქმიანობა[2]. სამწიგნობარო ოსტატობა — ეტრატის შემზადება, გადაწერა, მოხატვა, აკინძვა, მოჭედვა — ერთმანეთზე დამოკიდებული თანმიმდევრული შრომითი პროცესებია. ამ ხელობას დაუფლებულ ოსტატებს კი ძველ ქართულ ხელნაწერებში თავიანთი აღმნიშვნელი ტერმინები აქვთ. ტერმინი, რომლითაც იწოდება წიგნის შემქმნელი, წარმოსდგება იმ ზმნებისაგან, რომლებიც შესაბამის შრომით საქმიანობას გამოხატავენ (მაგალითად, კაზმვა — მკაზმველი). წინამდებარე სტატიაში ჩვენ განვიხილავთ იმ ტერმინებსა და ეპითეტებს, რომლებითაც იხსენიებენ ძველი ხელნაწერი წიგნის მხატვრული გაფორმების ოსტატებს.

როგორც ცნობილია, ქართულ ხელნაწერებს ძირითადად ახლავს გადამწერის ანდერძები, სადაც აღნიშნულია წიგნის გადაწერის დრო და ადგილი, გადამწერისა და დამკვეთის სახელები. წინა პლანზე ყოველთვის წამოწეულია დამკვეთის პიროვნება, ე. ი. ვინც გარკვეულ საფასს იხდის ხელნაწერის შესასრულებლად (უნდა აღინიშნოს, რომ წიგნის შექმნა ძველ საქართველოში ძვირად ფასობდა). რაც შეეხება

[1] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 75.

[2] ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, ძველი ქართული მწერლობის კერები. ტ. I, ნაკვ. 1, 1960, გვ. 41.

წიგნის მომხატველთა — მინიატურებისა თუ ორნამენტული დეკორის შემსრულებელთა ანდერძებს, იშვიათად ვხვდებით. მხატვართა სახელების გამოვლენაში განსაკუთრებით გვეხმარება გადამწერისა და მხატვრის იდენტიფიკაცია. საილუსტრაციო მასალის შესწავლის საფუძველზე, როცა ხელნაწერის მხატვრობა (ორნამენტები და მინიატურები) მტკიცედაა დაკავშირებული ტექსტთან, ან როცა გადამწერის ანდერძი მხატვრულად უკავშირდება შემკულობას, მთელ რიგ ხელნაწერში გადამწერი ხელნაწერის მომხატველად მივიჩნიეთ. ხოლო ამის შედეგად თუ ანდერძში მითითებულია გადამწერის სახელი, შესაძლებლობა გვეძლევა გამოვავლინოთ ახალი მომხატველი ოსტატი. მხატვრის ანდერძი შინაარსით ხშირად არც კი განსხვავდება გადამწერის ანდერძისაგან. ტექსტი მოკლეა, ლაკონური. ოსტატი, იხსენიებს რა თავის სახელს, შენდობას და შეწყალებას ითხოვს ღვთისაგან.

ქართველ ოსტატ-მომხატველთა სახელები წიგნის მხატვრობაში ძირითადად მიფარვითაა მიწერილი. მაგ., ჯრუჭის ოთხთავის (H-1660) თავფურცელზე ჯვრის გამოსახულების ზევით მარჯვენა მხარეს მოთავსებული წარწერა, სადაც ხელნაწერის მომხატველი — თევდორე ღმერთს შენდობას სთხოვს, იკითხება სარკეში მარჯვნიდან მარცხნივ; ხშირად ანდერძი ორნამენტულ ნახატშია ჩაქსოვილი. მაგ., იენაშის ოსტატის იონას მრავალი მინაწერი საზედაო ასოებისა თუ თავსამკაულის მხატვრობაშია ჩაწერილი.

წიგნის მომხატველნი, ისევე როგორც კედლის ფერმწერნი, სხვადასხვა დროს სხვადასხვა ტერმინებით მოიხსენიებიან. არის შემთხვევები, როცა ერთსა და იმავე დროს ერთი და იმავე ცნების გამომხატველი ორი სხვადასხვა ტერმინია ნახმარი, ან ერთი და იგივე ტერმინი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ცნების შემცველია. მაგალითად, 940 წელს გადაწერილ ჯრუჭის ოთხთავში სატიტულო ფურცელზე ხელნაწერის მომხატველი თევდორე „კამარათმწერლად“ იწოდება. X ს. მრავალთავში (A-19) იოანე ოქროპირის ერთ-ერთი სიტყვა შეიცავს მითითებებს „ტაძრის მწერალთათვის“[3], ანუ ფრესკული მხატვრობის ოსტატებისადმი. ტექსტში მითითებულია ტერმინი „გამოსწერეთ“, რომელიც შინაარსის მიხედვით გულისხმობს „მოხატეთ“. ამავე ხანის კედლის მხატვრობაში, კერძოდ, დავით გარეჯის ფრესკულ წარწერებში[4], „მწერალი“ გამოყენებულია „მხატვრის“ მნიშვნელობით.

---

[3] ი. აბულაძე, მამათა სწავლანი X და XI საუკუნის ხელნაწერთა მიხედვით, 1955, გვ. 317.

[4] ზ. სხირტლაძე, საბერეების ფრესკული წარწერები, 1985, გვ. 68.

ტერმინი „მწერალი“ „მხატვრის“ მნიშვნელობით, ხოლო „წერა“ მოხატვის მნიშვნელობით შემდეგი საუკუნეების ანდერძ-მინაწერებშიც გვხვდება. მაგალითად, XI ს.-ის ალავერდის ოთხთავის მინაწერში აღნიშნულია, რომ ასომთავარნი „დაწერილია“ ოქროთი. აქ იგულისხმება მხატვრული საზედაო ასოები, რომელთა შესრულების დროს გამოყენებულია ოქრო. XII ს.-ის ლიტერატურული ძეგლის — „ამირანდარეჯანიანის“ ტექსტში რამდენჯერმეა მითითებული, რომ გამოსახულებანი „დაწერილია“ კედელზე[5]. თამარ მეფის მიერ დაკვეთილ ვანის ოთხთავში წიგნის მომხატველის — ბერძენი ოსტატის ანდერძშიც მხატვარი „ოქროჲთმწერლად“ იწოდება (272 v), ხოლო მოხატვის პროცესი აღნიშნულია ტერმინით „მოიწერა“. XIII ს.-ის ლაბეჭინის ოთხთავის მინაწერში, სადაც ლაპარაკია ლაბეჭინის ეკლესიის მეორედ აშენებისა და მისი შემკობის შესახებ, „მწერალნი“ მხატვრების მნიშვნელობით იხმარება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „წერა“ ზმნა ძველად ქვაზე გრაფიკულად კვეთის პროცესს აღნიშნავდა[6]. საინტერესოა, რომ ეს მნიშვნელობა ამ ტერმინს დღესაც შემორჩა: ფერწერა ფერებით ხატვას ნიშნავს.

როგორც ვხედავთ, ქართულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების მიხედვით ტერმინი „მწერალი“ მომხატველის მნიშვნელობით რთულ ეპითეტებსაც ქმნის: „ოქროჲთმწერალი“, „კამარათმწერალი“. პირველ შემთხვევაში იგულისხმება მხატვარი, რომელიც ხმარობს ოქროს (მაგ., ვანის ოთხთავის მოხატულობის შესრულების დროს), ხოლო მეორე შემთხვევაში ოსტატი, კერძოდ, ჯრუჭის ოთხთავის ოსტატი, რომელიც ასრულებს ხელნაწერის საერთო მოხატულობას — დეკორატიულ, კამაროვან ჩარჩოში ჩართულ ოთხთავის საძიებლებსა და მინიატურებს (კამარა, რომელიც ამჟამად გადახურვის აღმნიშვნელი ტერმინია, ძველად თაღედის მნიშვნელობით იხმარებოდა)[7].

ტერმინი „მხატვარი“ ან „მოხატვა“ ფრესკულ წარწერებში უკვე XI საუკუნიდან გვხვდება. შეიძლება დავასახელოთ ატენის სიონის დასავლეთ აბსიდაში 1080 წლის წარწერა[8], თევდორე მეფის მხატვრის წარწერები სვანეთის XI ს. ფრესკებზე[9], მიქაელ მაღლაკელის მიერ მო-

---

[5] ძველი ქართული ქრესტომათია, II, შედგ. ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1949, გვ. 3—5.

[6] მ. სურგულაძე, ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, 1978, გვ. 19.

[7] გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნება, I, 1942, გვ. V — VIII.

[8] თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, თბილისი, 1957, გვ. 6.

[9] ნ. ალადაშვილი, გ. ალიბეგაშვილი, ა. ვოლსკაია, მხატვარ თევდორეს მოხატულობა ზემო სვანეთში, 1966, გვ. 102.

ხატული მაცხვარიშის XII ს. ეკლესიის ფრესკული წარწერა[10] და ა. შ. ქართულ ხელნაწერებში ეს ტერმინი XIII ს-ში დასტურდება. ერთ-ერთ ოთხთავში (A-496, lr) თავსამკაულის გასწვრივ მოთავსებულ წარწერაში ვკითხულობთ „მათე მხატვარი". ავგაროზ ბანდაისძის ზემოხსენებულ ანდერძში (XIV ს.) „მხატვრობა" დასახელებულია წიგნის შექმნასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ხელობად.

უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „მხატვარი" ჯერ კიდევ ადრეული ხანიდანაა ცნობილი, კერძოდ, სამთავროს ნეკროპოლის ერთ-ერთი სამაროვანის ბერძნულ ეპიტაფიაში. აქ მხატვართუხუცესადაა მოხსენიებული ავრელი აქოლისი. ს. ყაუხჩიშვილი მიუთითებს, რომ ბერძნულ წერილობით წყაროებში ეს თანამდებობა XII საუკუნეში არ არის ცნობილი და რომ იგი სპეციალურად იყო შექმნილი ადგილობრივი საჭიროებისათვის[11]. ტერმინი „მხატვარი" დამკვიდრებულია მოგვიანო ხანის ხელნაწერებსა და ისტორიულ საბუთებში. ამავე ხანაში იხმარება ტერმინი „ჟელოანიც"[12].

განხილული პერიოდის ქართულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში მომხატველის აღსანიშნავად სხვა ტერმინიც გვხვდება. „მოქმედის" ეპიზეტით არის ცნობილი იენაშის ოთხთავის მომხატველი. იოანეს სახარების თავსამკაულში ხელნაწერის ორნამენტული შემკულობის შემსრულებელი იონა (19 r) თავისთავს „მოქმედს" უწოდებს[13], ანდერძი ასეთი შინაარსისაა: „ქრისტე, ძეო და სიტყუაო ღმრთისაო, შეუნდვენ ფრიად ცოდვილსა ამისსა მოქმედსა იონას". სულხან-საბა ორბელიანი ამ ტერმინს განმარტავს, როგორც „მქმნელი"[14], ხოლო ი. აბულაძის მიერ შედგენილ ლექსიკონში განმარტებულია, როგორც მუშაკი, შემოქმედი[15]. როგორც ცნობილია, ტერმინი „მოქმედი" იხმარებოდა სხვა ოსტატთა — ოქრომჭედელთა, გადამწერისა თუ დამკვეთის აღსანიშნად. მაგალითად, დავით კურაპალატის საწინამძღვრო ჭედური ჯვრის შემსრულებელი ასათი, XVIII ს.-ის (S-4776) ხელნაწერის გადამწერი გი-

---

[10] თ. ვირსალაძე, მიქაელ მაღლაკელის კედლის მხატვრობა მაცხვარიშში, ქართული ხელოვნება, IV, 1959, გვ. 169—230.

[11] ს. ყაუხჩიშვილი, მცხეთა-სამთავროს ახლადაღმოჩენილი ბერძნული წარწერა, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. IV, №6, 1943, გვ. 577 — 582.

[12] ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის მინიატურული პორტრეტი და მისი შემსრულებელი ალექსი მესხიშვილი, საბჭოთა ხელოვნება, 1959, № 10, გვ. 17.

[13] ელ. მაჭავარიანი, იონა გადამწერი — იენაშის ოთხთავის ორნამენტული მხატვრობის შემსრულებელი, ძეგლის მეგობარი, №36, გვ. 16.

[14] სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბილისი, 1949, გვ. 222.

[15] ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973, გვ. 281.

ორგი ერისთვისძე, XI ს. სვინაქსარის (H-2211) მომგებელი დავით ჯიბისძე[16].

როგორც ვხედავთ, გარკვეული ტერმინები და ეპითეტები, რომლებიც უკავშირდებიან მხატვრის შესაბამის ცნებას, საინტერესოა იმითაც, რომ ისინი გვაცნობენ შრომის ორგანიზაციის გარკვეულ წესს შუასაუკუნეების საქართველოში. „მხატვართუხუცესი“ და „მეფის მხატვარი“, როგორც ჩანს, პროფესიონალურად განსწავლული ოსტატები იყვნენ, მათი ხელმძღვანელობით წარიმართებოდა გარკვეული სამხატვრო საქმიანობა. სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ თევდორე „მეფის მხატვრის“ მოწაფეების მიერ იყო მოხატული წვირმის ეკლესია. შრომის განაწილება ფრესკულ ოსტატებს შორის ცნობილია მცხეთის კათედრალის „სვეტის“ მოხატულობაში. XVII ს. ოსტატი გრიგოლ გულჯავარაშვილი თავისი მოწაფეების დახმარებით მუშაობს[17]. საშემსრულებლო ტექნიკის თვალსაზრისით ფრესკულ და წიგნის მხატვართა შორის განსხვავებულობამ განაპირობა ის გარემოება, რომ გარკვეული მითითებანია შემუშავებული საკუთრივ ტაძრის მწერალთა მიმართ. ტერმინი „ოქროჲთმწერალიც“ გულისხმობდა წიგნის მხატვრობაში სპეციფიკური განსწავლულობის ოსტატს (ეტრატზე ოქროს დადების წესი ტექნოლოგიური ხერხების სრულყოფილად დაუფლებას მოითხოვდა).

ამრიგად, მიუხედავად მცირერიცხოვანი მასალის არსებობისა, ჩვენ წარმოვადგინეთ მხატვარ-ოსტატთა აღმნიშვნელი სხვადასხვა ტერმინები და ეპითეტები. ეს ტერმინები საინტერესოა როგორც „სიტყვის“ მნიშვნელობის ისტორიის გასათვალისწინებლად, ისე სპეციალურ ლიტერატურაში მათი გამოყენების თვალსაზრისითაც. მათი ზუსტი ახსნა შესაძლებლობას გვაძლევს სწორად გავიგოთ გარკვეული ისტორიული პერიოდის წერილობითი ძეგლის შინაარსი.

---

[16] ელ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, შავი მთის მწიგნობრული კერის ისტორიისათვის XI საუკუნის პირველ ნახევარში, საქ. სახელმწ. მუზ. მოამბე, XX, 1959, გვ. 95.

[17] ვ. ბ ე რ ი ძ ე, ძველი ქართველი ოსტატები, თბილისი, 1967, გვ. 77.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიებანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ამქვეყნიური დიდება დავიწყებას მიეცემოდა, ზენაარს რომ არ ეზრუნა მის გადარჩენაზე — არ შეექმნა წიგნები.

დ ე ბ ე რ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამაზ პატარიძე

ქართული მწიგნობრობა

მწიგნობრობა ქართულ ენაზე ძალიან ძველია, საუკუნეთა სიღრმეში იკარგება. რა თქმა უნდა, ქართველ მეცნიერთა ვალია მის სათავეებს მისწვდნენ, გამოარკვიონ როდის და როგორ დაიწყო ქართული მწიგნობრობა. ეს საკითხი კი თავისთავად უკავშირდება ქართული დამწერლობის წარმოშობისა და მის მრავალსაუკუნოვან წარსულს. უნდა ვიცოდეთ, როდის შეიქმნა ქართული ანბანი და განვითარების როგორი გზა გამოიარა უძველესი დროიდან დღემდე.

ქართული დამწერლობის მეცნიერული შესწავლის ფუძემდებელია დიდი ივანე ჯავახიშვილი. მან თავის ნაშრომში — „ქართული დამწერლობათმცოდნეობა", გამოთქვა მოსაზრება, რომ ქართული ანბანის შექმნა ძვ. წ. VII—III საუკუნეებს შორის იყო საძიებელი. შემდგომმა მეცნიერულმა კვლევამ დაადასტურა დიდი მეცნიერის ეს თვალსაზრისი.

ჩვენს ჟამამდე მოღწეული ქართული მწიგნობრული ძეგლები სხვადასხვა ქართული დამწერლობითაა შესრულებული. ეს გარემოება შესაძლებლობას იძლევა გავარკვიოთ, რომ არსებობს ქართული დამწერლობის ოთხი ძირითადი სახეობა: 1. მრგლოვანი ასომთავრული; 2. კუთხოვანი; 3. ნუსხური და 4. მხედრული.

ქართული დამწერლობის ნაირსახეობათა ასეთი თანამიმდევრობა შემთხვევით არ ჩამომიწერია. უძველესი ქართული დამწერლობა მრგლოვანი ასომთავრულია. ეს კი ასე უნდა გავიგოთ: როცა ქართული ანბანური დამწერლობა, ანუ ქართული ანბანი შეიქმნა, ქართული დამწერლობის სწორედ ეს სახეობა — მრგლოვანი ასომთავრული წარმოიშვა. ქართული „მრგლოვანი" დამწერლობის შექმნის შემდეგ დაიწყო ქართული დამწერლობის გარდაქმნა-განვითარების ხანგრძლივი პროცესი. „მრგლოვანი" ასომთავრულის საფუძველზე, როგორც ჩანს, იმთავითვე წარმოიშვა მისი „კუთხოვანი" ნაირსახეობა. მისი წარმოშობა, უნდა ვიფიქროთ, სწრაფი, გამარტივებული წერის მოთხოვნილებამ გა-

ნაპირობა. როგორც ცნობილია, „მრგლოვანი“ ქართული დამწერლობა ზუსტი გრაფიკული აღნაგობით ხასიათდება და სწრაფი წერისათვის მოუხერხებელია. ამიტომ, საყოველთაო ხმარებაში, ურთიერთმიმოწერის საშუალებად, როგორც ჩანს, კუთხოვანი დამწერლობა უნდა ყოფილიყო. ამგვარად, ქართული ანბანური დამწერლობის არსებობის ადრეულ ხანაში მისი ორი გრაფიკული ნაირსახეობა უნდა არსებულიყო: „მრგლოვანი“ და „კუთხოვანი“.

„კუთხოვანი“ დამწერლობის საფუძველზე თანდათანობით უნდა ჩამონაკვთულიყო მკაცრი ოთხხაზოვანი გრაფიკული სისტემის „ნუსხური“ დამწერლობა.

ქართული დამწერლობის გარდაქმნა-განვითარების ასეთი პროცესი შემდეგნაირად უნდა განიმარტოს: თავდაპირველად, „მრგლოვანი“ ასომთავრულის სახით შეიქმნა ორხაზოვანი გრაფიკული სისტემის ქართული დამწერლობა. როგორც ცნობილია, „მრგლოვანი“ ასომთავრული ე. წ. „კაპიტალური“ ანუ „მონუმენტური“ სახეობის დამწერლობაა. ასეთი დამწერლობის ნიშან-თვისებაა ასო-ნიშნების თანაზომიერი სიმაღლე და სწორხაზოვნება. შემდგომ, სწრაფი, გამარტივებული წერის შედეგად „მრგლოვანი“ ასო-ნიშნების თანაზომიერი სიმაღლე დაირღვა; წარმოიშვა მაღალი და დაბალი ასო-ნიშნები; „მრგლოვანის“ ბევრი ასო-ნიშანი გაკუთხოვნდა; შეირყა მისი მკაცრი ორხაზოვანი სისტემა. ამდენად, „კუთხოვანი“ დამწერლობა რაიმე გრაფიკულ კანონზომიერებას არ ექვემდებარება. სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ „კუთხოვანი“ გარდამავალი საფეხურია დამწერლობის ორხაზოვანი გრაფიკული სისტემიდან ოთხხაზოვან გრაფიკულ სისტემამდე.

„ნუსხური“ მკაცრი ოთხხაზოვანი გრაფიკული სისტემის დამწერლობაა. მის წარმოშობას უშუალოდ „მრგლოვანი“ ასომთავრულის საფუძველზე ვერ ავხსნით. ამგვარად, „ნუსხური“ ოთხხაზოვანი სისტემა თანდათანობით იქმნებოდა „კუთხოვანი“ დამწერლობის საფუძველზე. „ნუსხური“ დამწერლობა „კუთხოვანის“ განვითარებისა და საბოლოო დახვეწის შედეგია. ამგვარად, ხანგრძლივი განვითარების შედეგად „კუთხოვანი“ „ნუსხურ“ დამწერლობად გარდაიქმნა.

რა თქმა უნდა, „ნუსხურის“ წარმოშობის შემდგომ „კუთხოვანს“ არსებობა არ შეუწყვეტია, იგი გვიან ხანებშიც არსებობს, როგორც დამწერლობის ერთ-ერთი გრაფიკული ნაირსახეობა.

„ნუსხური“, როგორც ოთხხაზოვანი მკაცრი გრაფიკული სისტემა, უაღრესად წიგნური დამწერლობაა და თვისობრივად შეიძლება შევადაროთ დღევანდელ ბეჭდურ შრიფტს. სწორედ ამიტომ, საუკუნეების მანძილზე იგი გასაოცარ ერთგვაროვნებას ინარჩუნებს.

ქართული დამწერლობის გარდაქმნა-განვითარების ბოლო საფეხური „მხედრული“ დამწერლობაა. მისი წარმოშობა შედარებით მარტივად ასახსნელია. იგი წარმოიშვა მაშინვე, როდესაც „ნუსხური“ სწრაფი, გაკრული ხელით დაიწერა. ე. ი. თავდაპირველად „მხედრული“ „საკანცელარიო“, გაკრული ხელით შესრულებული „ნუსხური“ იყო. ამიტომ, სრულიად სამართლიანად იგი „მდივან-მწიგნობრულ“ დამწერლობად იწოდებოდა. სამეფო კანცელარია, მეფეთა მდივან-მწიგნობრები „მხედრულით“ სარგებლობდნენ. ცხადია, „მხედრული“ წარმოიშვა იმ დროს, როცა სამეფო კანცელარიამ ქართულ ენაზე დაიწყო საქმის წარმოება.

მაგრამ ვიცით როდის წარმოიშვა „მხედრული“ დამწერლობა? დღემდე ეს საკითხი გარკვეული არ იყო, რაკი „მხედრული“ საუკუნეთა სიღრმეში იკარგება. „მხედრული“ დამწერლობის უძველესი ნიმუშები VIII საუკუნის დამდეგიდან მოგვეპოვება. „მხედრულის“ ეს უძველესი ნიმუშები ხელოვნებათმცოდნე გურამ აბრამიშვილმა ატენის სიონის კედლებზე ამოიკითხა. მანვე ამოიცნო წარწერების შესრულების თარიღი — ახ. წ. 711 წელი.

ატენის სიონის კედლებზე ზაზა ალექსიძემ და გურამ აბრამიშვილმა IX და X საუკუნის მხედრული დამწერლობის ნიმუშებსაც მიაკვლიეს.

რაკი „მხედრული“ იმთავითვე სწრაფი, გაკრული ხელით სრულდებოდა, დროთა მანძილზე იგი განუწყვეტლივ იცვლებოდა. დღესდღეობით ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს თვალი გავადევნოთ მხედრული დამწერლობის ცვლილება-განვითარებას VIII საუკუნის დამდეგიდან დღემდე. ე. ი. უნდა ვიცოდეთ, რომ მხედრულ დამწერლობას განვითარების საკუთარი გზა აქვს გამოვლილი. მკითხველისათვის ეს გარემოება უფრო თვალსაჩინო რომ იყოს, ქვემოთ მოგვყავს მხედრული დამწერლობის ნიმუშები, რაც საშუალებას მისცემს მკითხველს თვალი გაადევნოს, როგორ იცვლებოდა ეს დამწერლობა თანდათანობით, საუკუნეების მანძილზე (იხ. ჩაკვრა).

რაც შეეხება XIX და XX საუკუნეებს, ამ საუკუნეთა მხედრული დამწერლობის ბეჭდური ნიმუშები მკითხველისათვის კარგადაა ცნობილი.

როგორც ზემოთ ითქვა, მეცნიერულად გამორკვეულია, რომ „მხედრული“ უფრო ადრინდელი „ნუსხური“ ქართული დამწერლობისაგან წარმოიშვა. მაგრამ დღესდღეობით ჩვენს ხელთ არსებული მხედრული დამწერლობის უძველესი ნიმუშები 711 წლისა, ცხადყოფენ, რომ „მხედრული“, თავისი წარმოშობით, კიდევ უფრო ძველია. მაშასადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე. 711 წლის ატენის კედლის მხედრული წარწერები „მხედრულის“ უპირველესი ნიმუშები კი არ არის, არამედ ამ დროისათვის მხედრულ დამწერლობას ცვლილება-განვითარების უკვე საკმაო ხანი აქვს გამოვლილი. საქმე ის არის, რომ 711 წლის ზოგი მხედრული ასო-ნიშნის მოხაზულობა დიდად განსხვავდება შესაბამისი ნუსხური ასო-ნიშნის მოხაზულობისაგან. ცხადია, გაკრული, სწრაფი ხელით ხანგრძლივი წერის შედეგად მხედრული ასო-ნიშანი მოხაზულობით დაშორდა თავის ნუსხურ დედანს.

ამგვარად, უეჭველია, რომ მხედრული ქართული დამწერლობა VIII საუკუნის დამდეგს კი არ წარმოიშვა, არამედ გაცილებით ადრე.

უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს ქართული დამწერლობის ევოლუციის უკანასკნელი სახეობის — „მხედრულის“ წარმოშობის ხანა.

როგორც ზემოთ ითქვა, ქართველ მეფეთა კანცელარია „მხედრული“ დამწერლობით სარგებლობდა; სამეფო კანცელარიის მდივან-მწიგნობრები მეფეთა ბრძანებებსა და მეფეთა სიგელებს, საერთოდ სახელმწიფო დოკუმენტებს „მხედრულით“ წერდნენ. სწორედ ამის გამო, „მხედრულის“ წარმოშობის ხანა საერო დოკუმენტებში უნდა ვეძებოთ.

სამწუხაროდ, ჩვენს დრომდე მოღწეული უძველესი საერო დოკუმენტები დედნების სახით მხოლოდ XI საუკუნიდან მოგვეპოვება, ისიც ძალიან მცირე რაოდენობით. უფრო ადრეულ დოკუმენტებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საერო ხასიათის დოკუმენტები მხედრულით XI საუკუნემდე არ იწერებოდა და შესაბამისად არც მხედრული დამწერლობა არსებობდა. აკი ატენის სიონის კედლებზე VIII, IX და X საუკუნის მხედრული დამწერლობის ნიმუშები აღმოჩნდა! ცხადია, თუ XI საუკუნეზე ადრინდელი მხედრული დამწერლობის დოკუმენტები დღეს არ გაგვაჩნია, მხოლოდ იმის გამო, რომ დრო-ჟამმა და ჟამთა სიავემ არ შემოგვინახა იგი; რაც შემოგვრჩა, ისიც არ არის სათანადოდ მიკვლეული.

ამ რამდენიმე ხნის წინათ აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა ლ. ხევსურიანმა 965 წლის სინურ ხელნაწერში რამდენიმე პალიმფსესტურ ფურცელს მიაკვლია, რომლის ქვედა ტექსტი მხედრული დამწერლობით არის შესრულებული. როგორც ჩანს, ეტრატის (პერგამენტის) საეკლესიო დოკუმენტები თავის დროზე ხელნაწერისათვის გამოუყენებიათ. ცხადია, ეს გაუქმებული დოკუმენტები, უფრო ადრინდელი თუ არა, X საუკუნის პირველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წახევრის დროინდელი მაინც იქნებოდა. თუ საერო დოკუმენტები, უკ-ლებლივ ყველა, მხედრული დამწერლობით იწერებოდა, სინური ხელ-ნაწერი იმის მაუწყებელია, რომ საეკლესიო დოკუმენტიც მხედრუ-ლით შეიძლებოდა დაწერილიყო.

ამგვარად, უეჭველია, რომ XI საუკუნეზე ადრინდელი დოკუმენტე-ბი მხედრულით იწერებოდა და შესაბამისად მხედრული XI საუკუნე-ში კი არ ჩაისახა, როგორც აკად. კორნელი კეკელიძე და აკაკი შანიძე ამტკიცებდნენ, არამედ გაცილებით ადრე.

მხედრული დამწერლობა XI საუკუნემდე რომ არსებობდა, ამის მტკიცებად კიდევ ერთი მაგალითი შეიძლება მოვიტანოთ და გურამ აბრამიშვილისა და ზაზა ალექსიძის თვალსაზრისიც მოვისმინოთ. პა-ტივცემული მეცნიერები წერენ:

„ე. წ. ფავნელთა სიგელი, რომელსაც დღეს ჩვენ ვიცნობთ XV (თუ XIII?) საუკუნეში გადაწერილი პირით, სამი ერთმანეთთან მექანიკუ-რად შეერთებული ფენისაგან შედგება. უძველეს ნაწილს სპეციალის-ტები IX ს-ის მიწურულით ათარიღებენ, მის მომდევნოს კი, მასში მოხ-სენებული პირების მიხედვით (კონსტანტინე III აფხაზთა მეფე, კახე-თის ქორეპისკოპოსები ფადლა I და კვირიკე I), 893—918 წლებით. რო-მელი დამწერლობით იყო შედგენილი ეს დოკუმენტები თავის დროზე? ვითომ ხუცურით? ყოველ შემთხვევაში მათი პირი მხედრულით არის შესრულებული და ერთი მათგანი მაინც ხუცურით რომ ყოფილიყო დაწერილი, ისინი ერთმანეთში აღარ აირეოდნენ და ერთ დოკუმენტად ვერ იქცეოდნენ“ („მხედრული დამწერლობის სათავეებთან“).

გურამ აბრამიშვილი და ზაზა ალექსიძე დასკვნის სახით წერენ: „... XI საუკუნემდე საქართველოში იყვნენ მეფეები, ჰქონდათ თა-ვისი კანცელარია, ჰყავდათ მდივან-მწიგნობრები, წერდნენ სიგელებს, ხელს ურთავდნენ მათ და ა. შ.

თუ ყველაფერი ეს ისედაც აშკარაა, ბუნებრივი ჩანს ვარაუდი, რომ საკანცელარო დოკუმენტები მხედრული დამწერლობით იწერე-ბოდა XI ს-ზე ბევრად ადრეც...“

ეს რომ მართლაც ასე იყო, ამას ჩვენ XI-XII საუკუნეთა დოკუმენ-ტებიდან ვგებულობთ. მკითხველისათვის ამ დოკუმენტთა ცნობები გა-საგები რომ იყოს, უნდა იცოდეს, რომ დოკუმენტს ძველ-ქართულად „სიგელი“, „დაწერილი“; „ხელით-წერილი“ ან მოკლედ „ხელი“ ეწო-დებოდა.

ჩვენამდე მოღწეული უძველესი, XI საუკუნის დოკუმენტი მეფე

ბაგრატ IV-ის სიგელი, მიცემული ოპიზარ და მიჯნაძოროელ მამათათვის, რომელიც 1054—1072 წლებით თარიღდება, გვამცნობს:

„მოვიდეს ჩუენ წინაშე... ესე მამანი მიჯნაძოროელნი და მამანი ოპიზარნი... და მოიხუნეს სიგელნი... შევკრიბენ კარსა დარბაზისა ჩუენისასა მღდელთ-მოძღუარნი, ერისთავთ-ერისთავნი, ერისთავნი და ყოველთა ხევთა ზემოთა და ქუემოთა აზნაურნი, მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი და დავსხენით წინაშე ჩუენსა. და წავიკითხენით მათნიცა და მათნიცა **დაწერილნი** და რომელი სიტყუის გებაჲ იყო მათ შორის, მოვისმინეთ და სამართლად ესე გავიგონეთ, რომელ **ხელნი** ამათნი მრავალნი და მტკიცენი იყუნეს და ჩუენგან მათი გატეხაჲ არა ჯერ-იყო, და **სულსა მათ პირველთა მეფეთასა არა დავამძიმებდით**. და აწ სალოცველად მეფობისა ჩემისა და სალოცველად **სულისა მათ პირველთა მეფეთასა** ესრეთ განვაგე და დავამტკიცე საქმე მათი... **ვითა მათ პირველთა მეფეთა დაწერილთა სიგელთა შიგან უწერიან...**“ (ხაზი ყველგან ჩემია. რ. პ.).

როგორც ვხედავთ, XI საუკუნის ამ დოკუმენტში საუბარია უფრო ადრეული ხანის — „პირველთა მეფეთა“ დროინდელი საერო დოკუმენტების შესახებ. ეს დოკუმენტები მხედრულით არის შესრულებული, რაც იქიდან ჩანს, რომ მათი უტყუარობა ამა თუ იმ მდივან-მწიგნობრის ხელისა და მეფეთა ხელ-რთვის მეშვეობით მოწმდება. **„ხელნი ამათნი მრავალნი და მტკიცენი იყუნეს“** — სწორედ ამაზე მეტყველებს, მიუხედავად იმისა, რომ „ხელი“ აქ დოკუმენტის მნიშვნელობით იკითხება.

„მხედრული“ ანუ „მდივან-მწიგნობრული“ ისეთი თვისების დამწერლობაა, რომ ერთი მდივან-მწიგნობრის ხელი თვალსაჩინოდ განსხვავდება სხვა მდივან-მწიგნობრის ხელისაგან. ამიტომ, როგორც წესი, დოკუმენტის ბოლოს მოიხსენიება მდივან-მწიგნობარი, რომლის ხელით იწერება ესა თუ ის დოკუმენტი. ეს გარემოება თავის მხრივ, საბუთის უტყუარობის ერთ-ერთი მტკიცებაა.

აქედან ცხადია, „პირველთა მეფეთა“ დროინდელი დოკუმენტებიც მხედრულით იწერებოდა.

ცნობები ადრინდელი ქართული დოკუმენტების შესახებ დასტურდება XI საუკუნის კიდევ ერთ, მეფე გიორგი II-ის მიერ მღვიმისათვის მიცემულ 1073 წლის დოკუმენტში. იგი გვამცნობს:

„მე გიორგი... მეფემან, ძემან სულკურთხეულისა მეფისა ბაგრატისმან დავწერე და მოვახსენე სიგელი ესე უდაბნოსა მღუიმისასა.

მოვიდეს ჩუენ წინაშე... ყოველნი მამანი მკუიდრნი მღუიმისანი და **სიგელნი** მოიხუნეს მამათა და პაპათა ჩემთანი და **დაწერილნი** მთავარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა ყოველთა... და მოგუახსენეს, რაითა იგი სიგელნი გაუახლენით და **დაწერილნი** დაუმტკიცენით.

...სამლოცველოდ მეფობისა ჩემისა... და მოსახსენებლად სულთა პირველთა მეფეთა მამათა ჩემთასა, გაგუიახლებიან **სიგელნი** მამისა და პაპათა ჩემთანი, და დაგუიმტკიცებიან **დაწერილნი** ყოველთა... ვითა თუით **პირველთა სიგელთა** სწერიან და ვითა შემწირველთა **ხელით-წერილსა** შინა სწერიან... აწ ჩუენცა მასვე ზედა გაგუითავისუფლებიან... ყოვლისა შესავლისა და გამოსავლისაგან. და **ვითა პირველთა სიგელთა შინა უწერია**, გაგებით მას წესსა ზედა იყუნენ".

მკითხველმა ამ უკანასკნელი დოკუმენტის გამოთქმა — **„ვითა პირველთა სიგელთა შინა უწერია"** შეადაროს წინა ბაგრატ IV-ის დოკუმენტის გამოთქმას — **„ვითა მათ პირველთა მეფეთა დაწერილთა სიგელთა შიგან უწერიან"**.

რაკი სამეფო კანცელარიის დოკუმენტები — ქართველ „პირველთა მეფეთა" სიგელები მხედრულით იწერებოდა, ამიტომ მხედრული დამწერლობა ქართველ „პირველთა მეფეთა" დროინდელი დამწერლობაა და არა XI საუკუნეში ჩასახული, როგორც, სამწუხაროდ, დღემდე მიღებულია სამეცნიერო ლიტერატურაში.

1073 წლის დოკუმენტში კიდევ ერთ გარემოებას მივაქციოთ ყურადღება: დოკუმენტის შემდგენელი იმდროისათვის მიღებული — „სიგელი", „დაწერილი" — ტერმინებით სარგებლობს, მაგრამ ერთხელ მან ტერმინი „ხელით-წერილი" იხმარა. მაგალითად, „ვითა თუით პირველთა სიგელთა სწერიან და ვითა შემწირველთა ხელით-წერილსა შინა სწერიან..." (ხაზი ჩემია რ. პ.).

საქმე ის არის, რომ „ხელით-წერილი", როგორც დოკუმენტის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი, გაცილებით ძველია, ვიდრე ტერმინი „დაწერილი". დოკუმენტის აღმნიშვნელი ეს ზოგადი ტერმინი — „ხელით-წერილი" ქართულ დოკუმენტებში სხვაგან აღარ გვხვდება არც XI და არც მომდევნო საუკუნეებში. როგორც ჩანს, ძველი დოკუმენტების განხილვისას, მწიგნობარმა უნებურად ისარგებლა დოკუმენტის აღმნიშვნელი ძველი ტერმინით.

ზემოთ ითქვა, რომ XI, XII საუკუნეთა ქართულ დოკუმენტებში დაცულია ცნობები უფრო ადრინდელი, „პირველ მეფეთა" დროინდელი ქართული დოკუმენტების შესახებ. გარდა ამისა, რიგ შემთხვევებში, სახელდობრ ჩამოთვლილია ის ძველი დოკუმენტები, რომელთა საფუძველზეც ახალ დოკუმენტს ადგენენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ თვალსაზრისით განვიხილოთ XII საუკუნის ერთ-ერთი დოკუმენტი. გ. აბრამიშვილი და ზ. ალექსიძე წერენ:

„საერო ხასიათის დოკუმენტების შედგენა XI საუკუნეში რომ არ დაუწყიათ, უეჭველად მოწმობს გიორგი III-ის მიერ შიომღვიმისათვის მიცემული მამულის მფლობელობისა და შეუვალობის განახლების სიგელი (საბუთი თარიღიანია — 1170 წლის):

„მოვიდეს ჩუენ წინაშე წმინდანი მამანი უდაბნოისა დიდისა მღუიმისანი... და მოიხუნეს სიგელნი დიდისა მეფეთა-მეფისა, პაპისა ჩუენისა დავითისა და მამისა ჩუენისა დემეტრე მეფისანი და **სხუანი ძუელნი მრავალნი პაპათა და მამათა ჩუენთანი...** ეგრეთვე ჩუენ გაუახლენით **ძუელნი სიგელნი** სიგლითა ჩუენითა და დავამტკიცეთ **ბრძანებაჲ და სიგელი პაპათა და მამათა ჩუენთაჲ**".

ქვემოთ მეფის მწიგნობარი დანგა ბრუტაისძე ჩამოთვლის კიდეც იმ დოკუმენტებს, რომელთა საფუძველზეც წერს სიგელს:

„სოფელი სხალტბაჲ და მათი კერძი გოროვანი **წმიდისა ევაგრესაგან მოსყიდული; აგარაჲ ჯოჯიკისაგან მთავრისა მოსყიდული;** რუეთი— ნასყიდი და შემოწირული; შიოის-უბანი ყოველი — მოსყიდული თუით მონოზონთა მეუდაბნოეთაგან; **ჩიქუნურნი — რუსისა** ნასყიდნი, მისგან აშენებულნი და შემოწირულნი; ხორვაჲ—მამისა ჩემისა ნაბოძვარი სამღუიმოდ, გოგრაჭისაგან შემოწირული; ივანწმინდაჲ—**ძუელადვე გოდერძისა შემოწირული;** დაოთი — კუირიკე კახთა მეფისაგან შემოწირული; ალაჭინი — ხახუილაგისაგან შემოწირული; თრიალეთს — ბჭითი — **ადრნესესგან ნასყიდი და შემოწირული;** მანგლის ხევს — ბორცუისჯუარი, ძუელადვე მღუიმისაჲ, ლიპარიტეთგან წაღებული, აწ ახლად პაპისა ჩემისა დიდისა მეფისა დავითისაგან შემოწირული; მოუგონელთა, ფერხადის და ფიცეს-წურილმანად გლეხები; ცხირეთს—ცხევერი და გავაზელნი — წმიდისა შიოის ოქროჲთა და ვერცხლითა მონასყიდი ფავნელთა და ტბელთაგან; კობალი, რაიც რატი სურამელისაგან შემოწირულია..."

ზემოჩამოთვლილ მამულთაგან უმრავლესობა XI საუკუნემდეა ნასყიდი ან შეწირული და მაშინვე შედგენილი ყოფილა სათანადო დოკუმენტები. ამათგან უძველესი — ევაგრე მღვიმელის ნასყიდობის წიგნი, VI საუკუნის მიწურულით უნდა დათარიღდეს" (გ. აბრამიშვილი, ზ. ალექსიძე, „მხედრული დამწერლობის სათავეებთან").

ამგვარად, სავსებით უეჭველია, რომ მეფე გიორგი III-ის 1170 წლის სიგელში ჩამოთვლილი ქართული დოკუმენტები VI — XII საუკუნეებისა საკანცელარიო ანუ მხედრული დამწერლობით იწერებოდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაბამისად მხედრული დამწერლობა VI საუკუნეში უკვე არსებობდა.

საამისო მტკიცებისათვის, გ. აბრამიშვილისა და ზ. ალექსიძის თვალსაზრისით, ძველ ქართულ მწერლობას შემონახული აქვს საკონტროლო ცნობებიც:

კერძოდ: I — „ცხოვრებაჲ შიოჲსი და ევაგრესი“ გვამცნობს, რომ VI საუკუნეში (შიო და ევაგრე მე-6 საუკუნის საეკლესიო მოღვაწენი არიან), ბერების სასწაულებითა და „უპოვარი ცხოვრებით“ მოხიბლულმა ფარსმან მეფემ (მეფობდა მე-6 საუკუნეში) „მიანიჭა უკუე მონასტერსა მას (შიომღვიმის მონასტერს) ოთხნი რჩეულნი სამეუფოთა დაბათაგან და **დაწერა ხელითა თვისითა** თავისუფლებაჲ მათი...“ (ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ. 1955 წ. გვ. 111).

„ხელითა თვისითა“ იმას ნიშნავს, რომ ფარსმან მეფეს წყალობის სიგელი თავისი ხელწერით დაუმტკიცებია.

II — იგივე „ცხოვრებაჲ შიოჲსი და ევაგრესი“ გვამცნობს, რომ VI საუკუნის მიწურულს:

„მოუწოდა უკუე სტეფანოზ **მწიგნობარსა თვისსა და უბრძანა მას, რაჲთა დაწერნეს** ორნი დაბანი დაბათაგან სამეუფოთა ურჩეულესნი... **და დაამტკიცა უკუე ხელით წერილი იგი ხელითა თვისითა**, და მასვე ჟამსა **დაწერა ჰროარტაკი და დაამტკიცა ხელითა თვისითა** და წარსცა ყოველსა შინა ქართლისასა, რაჲთა ყოველნი ეკლესიანი **განათავისუფლნენ** მძლავრებისაგან და ხარკის მიხდისა“ (იქვე, გვ. 203—205).

„ცხოვრებაჲ შიოჲსი და ევაგრესი“ ზუსტად აგვიწერს სამეფო ხელისუფალის მიერ დოკუმენტის გაცემის წესს VI საუკუნის საქართველოში. თხზულებაში იმდროინდელი საკანცელარიო (სამდივანმწიგნობრო) ტერმინებიც დასტურდება. საგულისხმოა, რომ ეს ადრინდელი ხანის ტერმინები განსხვავდება გვიანი ხანის — XI საუკუნის სამდივანმწიგნობრო ტერმინებისაგან. კერძოდ, XI საუკუნეში მიღებული ტერმინების — **„დაწერილის“** ან **„სიგელის“** ნაცვლად VI საუკუნეში ტერმინი „ხელით-წერილი“ იხმარება, ხოლო XI საუკუნის **„ბრძანებაჲ“**-ს ნაცვლად ტერმინი „ჰროარტაკი“.

საქმე ის არის, რომ **„დაწერილი“** და **„ბრძანებაჲ“** XI საუკუნეზე ადრინდელი საკანცელარიო ტერმინებია. ორივე ტერმინი იხმარება ჯერ კიდევ IX საუკუნეში. ტერმინი **„ბრძანებაჲ“** დასტურდება ფავნელთა IX საუკუნის დოკუმენტში, ხოლო ბაგრატ IV-ის დოკუმენტში ნახსენებია **„დაწერილი გუარამ მამფლისაჲ“** (IX საუკუნე).

ამგვარად, უეჭველია, რომ „**ხელით-წერილი**“ და „**ჰროარტაკი**“ უფრო ძველი საკანცელარიო ტერმინებია, რომლებიც ხმარებაშია არა მხოლოდ VI, არამედ უფრო ადრეულ საუკუნეებშიც, „**ხელით-წერილი**“, როგორც დოკუმენტის აღმნიშვნელი სიტყვა, თავისი წარმოშობით გაკრული ხელით შესრულებულ ნაწერს უნდა გულისხმობდეს, რაკი დოკუმენტი გაკრული ხელით იწერებოდა. რაც შეეხება „**ჰროარტაკს**“, უცხოური სიტყვაა და მეფის ბრძანების წიგნს ნიშნავს. ესეც ნიშნეულია: VI საუკუნეში საქართველოში მეფობა გაუქმებულია. „შიოსა და ევაგრეს ცხოვრებით“ კი სტეფანოზ პატრიკიოსმა, რომელიც მეფის ტიტულის მფლობელი არ არის, „დაწერა **ჰროარტაკი**“ და დაამტკიცა ხელითა თვისითა და წარსცა ყოველსა შინა ქართლისასა“.

ცხადია, სიტყვა „ჰროარტაკი“ შემთხვევითი ხასიათის სიტყვა კი არ არის, არამედ ტრადიციული ქართული საკანცელარიო ტერმინია და სავარაუდებელია, ქართველ „პირველთა მეფეთა“ დროინდელი საკანცელარიო ტერმინიც კი იყოს. უთუოდ, ორივე სამდივანმწიგნობრო ტერმინი — „ხელით-წერილი“ და „ჰროარტაკი“ იმას მოწმობს, რომ საერო-საკანცელარიო ქართული მწიგნობრობა არსებობს VI საუკუნეზე უფრო ადრეც — პირველ ქრისტიან ქართველ მეფეთა ხანაშიც. „პირველთა მეფეთა“ მოხსენიება ქართულ დოკუმენტებში უნიადაგო არ უნდა იყოს, საფიქრებელია IV—V საუკუნეების მოღვაწე პირველი ქართველი ქრისტიანი მეფეები იგულისხმებიან, რაკი ეს მეფენი ქრისტიანული ტაძრების პირველნი მაშენებელნი და ეკლესიებისათვის მამულების პირველი შემწირველნი არიან, როგორც ამას ბაგრატ IV-ის დოკუმენტი გვამცნობს:

„ესე ორნივე წმინდანი უდაბნონი (ოპიზა და მიჯნაძოროჲ) მშუიდობით და უშფოთველად იყუნენ... და მათ **პირველთა მეფეთა** მაშენებელთა და შემწირველთაცა ულოცვიდენ“-ო.

გამორიცხული არ არის, ოდესმე IV ან V საუკუნის სამეფო კანცელარიის ქართული დოკუმენტი აღმოჩნდეს. იგი უსათუოდ მხედრულით იქნება დაწერილი, ხოლო დოკუმენტის აღმნიშვნელად ტერმინი „ხელით წერილი“ დადასტურდება.

საგულისხმოა, რომ უძველესი ქართული მატიანე „მეფეთა ცხოვრება“, მირიან მეფის ძის — ბაქარ მეფის შესახებ, რომლის ზეობა ახ. წ. 334 — 356 წლებზე მოდის, გვამცნობს;

„მაშინ მეფემან ბაქარ, შუამდგომლობითა ბერძენთა მეფისა და სპარსთა მეფისათა, დაწერა **ხელით-წერილი** ძმისწულთა მისთა და დედისა მათისა სალომესგან ესრეთ, ვითარმედ: „ვიდრემდის იყოს ნათე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავი ბაქარისი, რომელსა ეძლოს პყრობა მეფობისა, მისი იყოს მეფობა, და არაოდეს ძებნონ მეფობა ნათესავთა რევისთა".

უეჭველია, ქართულ მატიანეში ბაქარ მეფის (334—356 წწ.) დროინდელი დოკუმენტისა, ანუ „ხელით-წერილი"-ს ფრაგმენტი დასტურდება. ნიშნეულია, რომ ტერმინი **„ხელით-წერილი"** IV საუკუნეში იხსენიება.

შეიძლება დავასკვნათ: მხედრული ქართული დამწერლობა, რომელიც ქართული დამწერლობის განვითარების უკანასკნელი საფეხურია, „პირველთა მეფეთა" დროიდან ანუ IV საუკუნის დამდეგიდან არსებობს. იგი ჩაისახა იმ დროს, როცა სამეფო კანცელარიაში მწიგნობრობა ქართულ ენაზე დაიწყო. შესაბამისად, მხედრული დამწერლობა საერო-საკანცელარიო ანუ მდივანმწიგნობრული დამწერლობაა, რომელიც IV საუკუნის დამდეგს ჩაისახა, როცა მირიან მეფის დროს აღორძინდა სრულიად-სახელმწიფო მწიგნობრობა ქართულ ენაზე.

როგორც ცნობილია, მხედრული დამწერლობა საერო დამწერლობად იწოდება, ხოლო „მრგლოვანი", „კუთხოვანი" და „ნუსხური" ერთი საერთო სახელწოდებით „ხუცური"-თ ერთიანდება. ე. ი. „ხუცური" დამწერლობის სამი გრაფიკული სახეობა არსებობს.

რაკი მხედრული დამწერლობის წარმოშობის საკითხები გაირკვა, ახლა უფრო ზოგადი — ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხი გავარკვიოთ.

ამ საკითხის თაობაზე კი ქართულ მატიანეებსა და ქართულ წერილობით წყაროებში საგულისხმო ცნობებია დაცული. დავიწყოთ ქართული მატიანეებით.

„ცხოვრება ფარნავაზისი", უკანასკნელი მეცნიერული გამოკვლევებით, წარმართული ხანის უძველესი ქართული მატიანეა. ეს თხზულება, უნდა ვივარაუდოთ, დაწერილია დაახლოებით ძვ. წ. III—II საუკუნეებში.

ფარნავაზ მეფის მემატიანე გვაუწყებს:

„ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული; და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული."

ფარნავაზის მეფობა, ანუ მისი ზეობის ხანა, დაახლოებით ძვ. წ-ის 302—237 წლებზე მოდის (ვახუშტი ბაგრატიონი). მისი მეფობის ხანაში საქართველო ერთიანი ეროვნული სახელმწიფოა. ფარნავაზ მეფის მიერ ჩატარებული რეფორმების შედეგად საქართველოში შემოღებულ იქნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყოველთაო-სახელმწიფო ქართული ენა და სრულიად-სახელმწიფო მწიგნობრობა ქართულ ენაზე.

მემატიანის ცნობები სწორედ ქართული ენისა და მწიგნობრობის შემოღებას უნდა გულისხმობდეს. ფარნავაზ მეფეს ქართული ანბანი კი არ შეუქმნია, არამედ მან საქართველოს სამეფოში ქართული ენა და ქართული მწიგნობრობა შემოიღო.

მემატიანეს უწყება მართლაც ასე რომ უნდა გავიგოთ, ამას 1608 წლის განმარტებითი მინაწერი ცხადყოფს:

„აქა მწიგნობრობა დაიწყეს ქართველთა ქართული ადამს აქეთ **ძლიბ** წელს“ (ეს მითითებული თარიღი ძვ. წ. 284 წელს ნიშნავს), ხოლო მინაწერი ასე უნდა გავიგოთ: წერა-კითხვა ქართულ ენაზე ქართველებს ძვ. წ. 284 წ. დაუწყიათ.

საგულისხმოა, რომ ფარნავაზის მიერ ქართული ენისა და ქართული მწიგნობრობის შემოღების თარიღი ძველთაგანვე ცნობილი ყოფილა, რაკი ეს თარიღი ასე გვიან — XVII საუკუნეშიც კი სცოდნიათ.

ეს გარემოება სულ ახლახან აღმოჩენილმა დავათის ქვა-ჯვარმაც ცხადყო. ქვა-ჯვარი თარიღიანი ძეგლია ახ. წ. 367 წლისა. მასზე გამოქანდაკებულია ქართული მწიგნობრობის შემოღების სცენა. ჩამოწერილია ქართული ანბანი თავიდან ბოლომდე — ასომთავრული ასო-ნიშნები ან-იდან ჰოე-მდე, ხოლო ანბანში ჩაწერილია მისი შემოღების თარიღი—ძვ. წ. 284 წ.

გარდა ამისა, ქართული ენისა და მწიგნობრობის შემოღების თარიღ'ს ძვ. წ. 284 წელს შეფარულად გვაუწყებს ძველი ქართული მწერლობის სწორუპოვარი ძეგლი „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“. ეს თხზულება ჯერჯერობით ქართული მწერლობის უძველესი თარიღიანი თხზულებაა. იგი დაიწერა ახ. წ. 342 წელს.

ამგვარად, ქართული ენისა და ქართული მწიგნობრობის შემოღებას ფარნავაზის ხანაში სამი სხვადასხვა ძეგლი გვაუწყებს: 1. „ქართლის ცხოვრების“ მინაწერი 1608 წლისა; 2. დავათის ქვა-ჯვრის გამოქანდაკებული ხატი 367 წლისა, და 3. „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ 342 წლისა. სამივე ძეგლის უწყებით ქართული ენისა და მწიგნობრობის შემოღების თარიღია ძვ. წ. 284 წელი.

ეს თარიღი ხსენებულ ძეგლებში სულ ახლახან — 1970-იანი და 1980-იანი წლების მეცნიერული კვლევის შედეგად აღმოჩნდა. კერძოდ, „ქართლის ცხოვრების“ მინაწერი ამოცნობილ იქნა ჩემს მიერ 1972 წელს; დავათის ქვა-ჯვარზე იგივე თარიღი ამოიკითხეს გურამ აბრამიშვილმა და ზაზა ალექსიძემ 1985 წელს, ხოლო „ქებაჲ“-ში ამ თარიღს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივაკვლიეთ მე და მათემატიკოსებმა ნოდარ კანდელაკმა და გურამ ცერ-ცვაძემ 1987 წელს („მნათობი", № 1, № 2).

მაგრამ ამ თარიღის — ძვ. წ. 284 წლის აღმოჩენამდე, ქართველ მეცნიერებს ადრევე ჰქონდათ ვარაუდი ამ თარიღისა და ადრევე გამოუთქვამთ თვალსაზრისი მისი რაობის შესახებ. ამ თვალსაზრისის თანახმად, ძვ. წ. 284 წელი ქართული ეროვნული წელთაღრიცხვის დასაბამია, ან სხვა შემთხვევაში იგივე ძვ. წ. 284 წელი ქართული ქრისტიანული ქრონოლოგიის ათვლის საწყისი წერტილია.

დავათის სტელა

კერძოდ, ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონი (1696—1757) თავის „საქართველოს ისტორიაში" წერდა:

„ფარნაოზის მეფობის ცხრამეტ წელს **ქართული** ხუთასიანი ქრონიკონი ათჯერ მობრუნებული განვიდა და მეთერთმეტე იწყების"-ო.

ვახუშტი ბაგრატიონს მიაჩნდა, რომ ფარნავაზის მეფობის მეცხრამეტე წელი ძვ. წ. 284 წელია, ხოლო ამ წელს ქრისტიანული ქართული დასაბამითგან მე-11 532-წლიანი ჟამეული დაიწყო.

შემდგომ, თეიმურაზ ბაგრატიონი აღნიშნავდა, რომ ძვ. წ. 284 წლიდან „უცთომელად მოდიან ქართულნი წელთა აღრიცხვანი"-ო. ე. ი. ქართული ეროვნული წელთაღრიცხვის დასაბამ თარიღად თეიმურაზ ბაგრატიონს ძვ. წ. 284 წელი მიაჩნდა; იგივე თარიღი მიაჩნდათ ქართული ქრონოლოგიის დასაბამად დავით ჩუბინაშვილს (1814—1891), მოსე ჯანაშვილს, ალექსანდრე სვანიძეს.

ქართული წელთაღრიცხვის რაობა ყველაზე უკეთ პავლე ინგოროყვამ ამოიცნო. მან ქართული ეროვნული წელთაღრიცხვა ქართულ კალენდარსა და ქართული მწიგნობრობის შემოღებას დაუკავშირა. ეს იმ დროს, როცა „ქართლის ცხოვრების“ 1608 წლის მინაწერი ჯერ ცნობილი და ამოცნობილი არ იყო. კერძოდ, მეცნიერი წერდა:

„ფარნავაზის დროს მომხდარა რეფორმა კალენდარისა, შემოღებულ იქნა ადგილობრივი ეროვნული ქართული წელთაღრიცხვა, რომლის დასაბამად მიღებულია 284 წელი ძველი წელთაღრიცხვისა. ცნობა, რომ ფარნავაზმა **შექმნა მწიგნობრობა, ქრონოლოგიურად** ემთხვევა ამ ხანას, კალენდარის რეფორმას, ქართული ადგილობრივი წელთაღრიცხვის შემოღებას ძვ. წ. 284 წელს. ძველი ქართული კალენდარის შესწავლიდან ირკვევა, რომ სახელდობრ დასაწყისი ქართული ნაციონალური წელთაღრიცხვისა, არის 284 წელი ჩვენს ერამდე. ეს წელი არის გამოსავალი თარიღი, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედვა ქართული ქრონიკონის სისტემას“.

ეს თვალსაზრისი პ. ინგოროყვას გამოთქმული აქვს 1939, 1941 და 1970 წელს გამოქვეყნებულ შრომებში. ამიტომ, შეიძლება ითქვას, პავლე ინგოროყვამ ლამის შეუცთომლად მიაკვლია ქართული მწიგნობრობის შემოღების თარიღს — ძვ. წ. 284 წელს, რომელიც რამდენიმე ხნის შემდეგ ჯერ „ქართლის ცხოვრების“ მინაწერში, ხოლო შემდეგ დავათის ქვა-ჯვარზე და „ქებაჲ“-ში აღმოჩნდა.

მაგრამ, გარდა ყოველივე ამისა, 1608 წლის „ქართლის ცხოვრების“ მინაწერს გაცილებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თუ მას „ქართლის ცხოვრების“ სხვა იმავდროულ მინაწერებთან კავშირში განვიხილავთ. ასეთი განმარტებითი მინაწერი ექვსია; ექვსივე მინაწერი ისტორიული მოვლენის თარიღის აღმნიშვნელია:

1. მოსე ზღუა განვლო, ადამს უკან 2443 წელს უკან მოსე ზღუა განვლო;
2. ადამს აქათ 3360 წელს უკან იყო ნაბუქოდონოსორ;
3. ადამს აქათ 3447 წელს უკან განძლიერდა მეფობა სპარსთა;
4. ადამს აქათ 3662 წელს უკან იყო ალექსანდრე;
5. ადამს აქათ 3233 წელიწადს უკან აღაშენეს რომის ქალაქი;
6. აქა მწიგნობრობა დაიწყეს ქართველთა ქართული ადამს აქათ 3712 წელს.

ამ მინაწერებში მითითებული თარიღები მეცნიერულად შესწავლილია. ამ თარიღების მნიშვნელობა ასეთია:

1. მოსემ ზღვა განვლო ძვ. წ. 1553 **წელს;**

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. იყო ნაბუქოდონოსორ ძვ. წ. 626 წელს;
3. გაძლიერდა მეფობა სპარსთა ძვ. წ. 549 წელს;
4. იყო ალექსანდრე (მაკედონელი) ძვ. წ. 334 წელს;
5. აღაშენეს რომის ქალაქი ძვ. წ. 753 წელს;
6. ქართველთა მწიგნობრობა დაიწყეს ქართული ძვ. წ. 284 წელს.

პირველ მინაწერში ებრაელთა ეგვიპტიდან გამოსვლის ბიბლიური ამბავი იგულისხმება. ებრაელებმა ეგვიპტელთა მონობისაგან თავი დაიხსნეს, როცა სასწაულებრივ გავლეს ზღვა და აღთქმული ქვეყნისაკენ გაემართნენ. ეს თარიღი ებრაელთა ბიბლიური ქრონოლოგიის უმნიშვნელოვანესი თარიღია. **ებრაელთა სახელმწიფოს არსებობა ფაქტიურად ამ დროიდან იწყება** (შენიშვნის სახით უნდა ითქვას, რომ ებრაელთა ეგვიპტიდან გამოსვლის ჭეშმარიტი თარიღია ძვ. წ. 1510 წელი და არა ძვ. წ. 1553 წელი. მინაწერში ეს მცირეოდენი განსხვავება ჯერჯერობით აუხსნელია).

მეორე მინაწერის ძვ. წ. 626 წელი მნიშვნელოვანი თარიღია შუამდინარეთის ისტორიისა. ეს წელი შუამდინარეთში ქალდეველთა ახალ-ბაბილონური სამეფოს დაარსების წელია და ახალ-ბაბილონური ქრონოლოგიის საწყისი თარიღია.

მესამე მინაწერში თარიღი ძვ. წ. 549 წელი სპარსეთის სახელმწიფოს დაარსების წელია, როცა აქემენიდმა კიროსმა სპარსეთი და მიდია გააერთიანა და სპარსეთის ერთიანი სახელმწიფო შეჰქმნა.

მეოთხე მინაწერში თარიღი ძვ. წ. 334 წელი ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა და ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის შექმნის საწყისი თარიღია. ეს თარიღი შემდგომ ელინისტური ეპოქის დასაბამ თარიღად ჩაითვალა.

მეხუთე მინაწერის ძვ. წ. 753 წელი ქალაქ რომის აშენებისა ანუ ქალაქის დაარსების თარიღია. ეს წელი რომის ისტორიის დასაბამი თარიღია. იგივე წელი ქალაქის დაარსებისა, ე. წ. (ab urbe condita) რომაული წელთაღრიცხვის საწყისი თარიღიცაა.

უკანასკნელი **მეექვსე მინაწერი** „ქართლის ცხოვრებისა“, ძვ. წ. 284 წელს ქართული მწიგნობრობის დაწყებას გვაუწყებს.

ამგვარად „ქართლის ცხოვრების“ ექვს მინაწერში ებრაული, ბაბილონური, სპარსული, ბერძნული, რომაული და ქართული თარიღები ერთიანდება. ექვსივე მინაწერს ერთი საერთო დედააზრი აქვს და ერთი საერთო თვალსაზრისი აერთიანებს: ზემოთ ჩამოთვლილი ყოველი ერის სახელმწიფოებრივი არსებობის დასაბამია მათი ისტორიული წარსუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა. იგივე ისტორიული ფაქტი მათი ეროვნული წელთაღრიცხვის დასაბამიცაა.

ამგვარად, „ქართლის ცხოვრების“ 1608 წლის მინაწერის ავტორმა გვამცნო, რომ:

1. საქართველოში ქართული ენისა და ქართული მწიგნობრობის შემოღების თარიღია ძვ. წ. 284 წელი;

2. ქართული ეროვნული წელთაღრიცხვის საწყისი თარიღია ძვ. წ. 284 წელი.

მაგრამ რა კავშირია ქართული დამწერლობის შემოღებასა და ქართულ ეროვნულ წელთაღრიცხვას შორის? როგორც ცნობილია, წელთაღრიცხვის შემოღება კალენდარის გარეშე შეუძლებელია. მეცნიერული კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ ქართულ ანბანში ქართველ ქურუმთა ძველ-ქართული კალენდარი დასტურდება. ქართული ანბანი ერთდროულად მზის წელიწადის კალენდარული სისტემაა: ცხადია ამიტომ, ქართული დამწერლობის შემოღება, ქართული ანბანის მზის კალენდარული სისტემის შემოღებასაც ნიშნავს. ძვ. წ. 284 წელს, სრულიად-სახელმწიფო ქართული ენისა და ქართული მწიგნობრობის შემოღებასთან ერთად, ამოქმედდა ქართული ანბანის მზის კალენდარული სისტემაც. ფარნავაზის დროს „ყოველი ქართლი“ ანუ სრულიად საქართველო თავისი არსებობის წელთაღრიცხვას სრულიად-სახელმწიფო ქართული ენისა და ქართული მწიგნობრობის შემოღებით იწყებს. თეიმურაზ ბაგრატიონის სიტყვებით რომ ვთქვათ: ძვ. წ. 284 წლიდან უცთომელად მოდიან ქართულნი წელთა აღრიცხვანი.

* * *

ქართული ანბანის მეცნიერული კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ ქართული დამწერლობა შექმნილია არა ძვ. წ. IV — III საუკუნეთა მიჯნაზე — ფარნავაზის ხანაში, არამედ გაცილებით ადრე — ძვ. წ. V საუკუნის დასასრულს; გამოირკვა: ქართული ანბანი შექმნილია ქართველ ქურუმთა წიაღში, ებრაულ-ფინიკიური ანბანური დამწერლობისა და ქალდეველთა ხანის ბაბილონური ლურსმული დამწერლობის საფუძველზე.

გარდა ამისა, მეცნიერულმა კვლევამ ცხადყო, რომ ქართული ანბანი შეიქმნა არა „ხანმეტური“ ქართული ენის საფუძველზე, არამედ „ჰაემეტური“ ქართული ენის საფუძველზე.

ამიტომ სავარაუდებელია, რომ ქართული ანბანი შეიქმნა არა ქარ-



ბოლნისის სამშენებლო წარწერა 357 წლისა:

ოო. შეწევნითა წმიდისა სამებისაითა უფალთ-უფლისა პეროზ მეფეთა თვისისა ნახპეტობასა ხიწყო წმიდისა ამის ეკლესიაისაი და თხუთმეტ წლისა ყამეულსა აღხეშენა. ჯუარსა ქრისტესსა ვინ აქა შინა თავყანისცეს ღმერთმან შეიწყალენ, და ვინ ამის ეკლესიაისა მშრომელსა ბოლნელსა ეპისკოპოსსა ხულოცოს იგიცა ღმერთმან შეიწყალენ, ამენ.



ნუსხური დამწერლობის ნიმუში



მხედრული დამწერლობა VIII საუკუნისა (711 წ.). ატენის სიონის წარწერა



მხედრული დამწერლობა IX საუ-
კუნისა (875 წ.)



მხედრული დამწერლობა X საუ-
კუნისა. ატენის სიონის წარწერა.

ბაგრატ IV სიგელი (1060-65 წწ.)

მანდატურთუხუცესი ჭიაბერის შეწირულობის წიგნი (1184-85 წწ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღლაპო წიგნი (1260 წ.)

წყალობის წიგნი (1345 წ.)



ალექსანდრე I სიგელი (1441 წ.)



ანასეული ქართლის ცხოვრება (XVI ს. 70-იანი წლები)



მარიამისეული ქართლის ცხოვრება (1634-58 წწ.)



მე-18 საუკუნის მხედრული ხელნაწერი

თი ტომების მიწა-წყალზე „ხანმეტური“ ქართული ენის სამყაროში, არამედ გაცილებით სამხრეთით — „ჰაემეტური“ ქართული ენის სამყაროში — მესხურ-კოლხური ტომების მიწა-წყალზე.

ასეთია მეცნიერული კვლევის შედეგები ქართული დამწერლობის წარმოშობის თაობაზე.

გაგვაჩნია თუ არა რაიმე ცნობა ქართული დამწერლობის წარმოშობის შესახებ?! ხომ არ შემოუნახავთ ქართულ მატიანეებს უწყება იმისა, თუ როგორ ან როდის შეიქმნა ქართული ანბანი?

ასეთი ცნობა არსებობს. მას „მატიანე შემეცნებათა“ ეწოდება. ჟამთა სიავისაგან სასწაულებრივ გადარჩენილ ამ ცნობას გურამ შარაძემ მიაკვლია და გამოაქვეყნა 1972 წელს.

იგი გვაუწყებს:

„არა უწიგნონი იყვნენ ქართველნი უწინარესთა ჟამთაცა შინა, ვიდრე ფარნავაზამდე სწერდნენ იგინი უხუცესთა წერილითა, ესე იგი ქურუმთა მათ, რომელთაცა უხუცესთა და ხევის-ბერთა უხმობენ; იგინი იყვნენ კერპთა მღვდელნი და მემსხვერპლენი ერისანი ღმერთთა მიმართ. და წერილი მათი არს წერილი ესე ხუცური ჩვენი... წერილნი ხუცესნი პირველსა ჟამსა ქმნილ არს წერილისაგან ებრაულისა და ქალდეურისა და მსგავსცა არიან ასოთა მათთა ჩვენნი ხუცურნი“.

მტკიცედ შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ ერს არ გააჩნია მსგავსი სისრულის მქონე ცნობა საკუთარი დამწერლობის წარმოშობის თაობაზე.

ამ მართლაც უბადლო ცნობის წყალობით ჩვენ საბოლოოდ ვიცით, რომ ქართული ანბანი წარმართული ეპოქის ძეგლია და ქართველ ქურუმთა წიაღშია აღმოცენებული. ახლა ისიც ვიცით, თუ რატომ ეწოდება ძველ ქართულ დამწერლობას „ხუცური“. „ხუცური“ ქურუმთა დამწერლობას ნიშნავს. ამიტომ ცხადია „მრგლოვანს“, „კუთხოვანს“ და „ნუსხურს“ ქურუმთა დამწერლობა ჰქვია.

საგულისხმოა, „მატიანე შემეცნებათას“ მიაჩნია, რომ თავდაპირველი ქართული ანბანი, ე. ი. „მრგლოვანი“ ასომთავრული ებრაულ და ქალდეურ დამწერლობათა საფუძველზეა შექმნილი.

უეჭველია, „მატიანე შემეცნებათა“ ადასტურებს ქართული დამწერლობის მეცნიერული კვლევის შედეგებს.

ზემოთ ითქვა, რომ ქართული ანბანი ერთდროულად ქურუმთა ძველქართული კალენდარია. ანბანური და კალენდარული მონაცემების საფუძველზე ქართული დამწერლობის წარმოშობის მიახლოებითი ხანაც შეიძლება განისაზღვროს. ამ მონაცემების წყალობით ქართული ან-

ბანი დაახლოებით ძვ. წ. 430—400-იან წლებში უნდა შექმნილიყო. მაგრამ ქართული დამწერლობის წარმოშობის დრო შეიძლება კიდევ უფრო დაზუსტდეს:

ქართული ანბანის მზის კალენდარული სისტემა აგებულია მზის 4-წლიან და 128-წლიან ციკლებზე. ამ ციკლების შემოღების ერთადერთი შესაძლებელი თარიღი ძვ. წ. 430—400-იანი წლების პერიოდში არის ძვ. წ. 412 წელი. ამიტომ როცა ძვ. წ. 412 წელს ქართული ანბანის მზის კალენდარული 4-წლიანი და 128-წლიანი ციკლები ამოქმედდა, წელთაღრიცხვის მზის კალენდარული ეპოქა დაიწყო.

შესაბამისად ქართული ანბანი შექმნილია ქართველ ქურუმთა წიაღში ძვ. წ. 412 წლის ახლო ხანებში, ხოლო ძვ. წ. 412 წელს ქართული ანბანის კალენდარულმა სისტემამ მზის კალენდარული ეპოქა დაიწყო. ეს იყო ზუსტად 2. 400 წლის წინათ (412+1988=2400). მაშასადამე, ქართული ანბანი 2. 400 წლისაა.

მზის წელიწადის ხანგრძლივობის კალენდარულ ათვლას ქართული ანბანის 35 ასო-ნიშანი ახორციელებს. სწორედ ამიტომ, იმ დროს, როცა ქართული ანბანი შეიქმნა, ანბანში, არც მეტი არც ნაკლები, — 35 ასო-ნიშანი იყო. ანბანი იწყებოდა „ან“-ით, ხოლო ანბანის დასასრულის აღმნიშვნელ ასო-ნიშნად ჯვარი იყო დასმული. ანბანის დასასრულის მაუწყებელ 35-ე ასო ნიშანს, ჯვარი — სიტყვის თავკიდური ბგერის, — ჯ-ბგერის მნიშვნელობა ჰქონდა.

ამ ანბანში მე-8 ადგილას, რიცხვის — რვის აღმნიშვნელად „ჰ“ ბგერის გამომხატველი ასო-ნიშანი იჯდა.

„ჰაემეტური“ ქართული ენის ანუ ქურუმთა ანბანი ასეთი იყო:

1. ა-ან	10. ი-ინ	19. რ-რაე	28. ჩ-ჩინ
2. ბ-ბან	11. კ-კან	20. ს-სან	29. ც-ცან
3. გ-გან	12. ლ-ლას	21. ტ-ტარ	30. ძ-ძილ
4. დ-დონ	13. მ-მან	22. ჳ-ჳე	31. წ-წილ
5. ე-ენ	14. ნ-ნარ	23. ფ-ფარ	32. ჭ-ჭარ
6. ვ-ვინ	15. ჲ-ჲე	24. ქ-ქან	33. ხ-ხან
7. ზ-ზენ	16. ო-ონ	25. ღ-ღან	34. ჯ-ჯარ
8. ჰ-ჰაე	17. პ-პარ	26. ყ-ყარ	35. ჴ-ჴან
9. თ-თან	18. ჟ-ჟან	27. შ-შინ	

ძვ. წ. IV საუკუნის დასასრულს საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურმა ცენტრმა სამხრეთიდან ჩრდილოეთში გადმოინაცვლა. ამის შესახებ ქართული მატიანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ გვაუწყებს:

„თანა-ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზოჲ, ძე არიან-ქართლისა მეფისაჲ, და მას მიუბოძა მცხეთაჲ საჯდომად და საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და ეგრის წყალი და სომხითი და მთაჲ ცროლისაჲ და წარვიდა. ხოლო ესე აზოჲ წარვიდა არიან-ქართლად, მამისა თვისისა, და წარმოიყვანა რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამა-მძუძეთანი, და დაჯდა ძველ მცხეთას; და თანა-ჰყვანდეს კერპნი ღმრთად — გაცი და გაიმ. და ესე იყო პირველი მეფეჲ მცხეთასა შინა, აზოჲ, ძე არიან-ქართველთა მეფისაჲ...“

ამ დროიდან ქართლი საქართველოს პოლიტიკური ცენტრია, მაგრამ ერთიანი ქართული ეროვნული სახელმწიფო ჯერ არ არსებობს. აზო — სამხრეთ-ქართული სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელი ბერძნული ორიენტაციის მესვეურია. აზოს (ძვ. წ. 327—303) მმართველობას ბოლო მოუღო ქართლის საგვარეულო სახლის წარმომადგენელმა, მცხეთის მამასახლისის — სამარის ძმისწულმა ფარნავაზმა.

ფარნავაზის ზეობის ხანა (ძვ. წ. 303—238) საქართველოს ერთიანი ეროვნული სახელმწიფოს წარმოშობის ხანაა. ამ დროისათვის გაძლიერებულსა და დაწინაურებულ ქართლს, როგორც ჩანს, ძალა შესწევდა ეთავა უდიდესი მისია ქართველი ტომების გაერთიანებისა და საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს შექმნისა. ამ ეროვნულ მოძრაობას სათავეში ჩაუდგნენ ქართლის ხელისუფლის მემკვიდრე ფარნავაზი და ეგრისის ერისთავი ქუჯი. ქართლისა და ეგრისის შეერთებული ძალით შეიქმნა ერთიანი ქართული სახელმწიფო — „ყოველი ქართლი“. ხოლო „ფარნავაზ... მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა“.

ამიერიდან ფარნავაზი „ყოველი ქართლის“ მბრძანებელი მეფეა. მემატიანე წერს:

„ხოლო თვენი გაზაფხულისა და სთვლისა არისანი დაყენის მცხეთას—სამეუფოსა ქალაქსა; და თვენი ზამთრისანი დაყენის გაჩიანთა; ხოლო თვენი ზაფხულისანი — წუნდას. და ჟამითი-ჟამად მივიდეს ეგრისს და კლარჯეთს და მოიკითხნის მეგრელნი და კლარჯნი და განაგის ყოველი საქმე დაშლილი“.

ამიერიდან ქართლის სამეუფო საგვარეულო სახლი სრულიად საქართველოს სამეფო საგვარეულო სახლია. შემთხვევითი არ არის, რომ მემატიანე ფარნავაზის ჩამომავლობის შესახებ ამბობს:

„და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი“. ე. ი. ფარნავაზი პირველი ქართლოსიანი მეფეა „ყოველი ქართლისა“.

ფარნავაზის დროიდან ქართველ ტომთა სახელმწიფოებრივ ერთიანობას ქართლი მეთაურობს. ამიტომ ქართველ ტომთა სახელმწიფოებრივ გაერთიანებას „ქართლი“ ან „ყოველი ქართლი“ ეწოდება (ეს ის დროა, როცა ტერმინი „საქართველო“ ჯერ არ არსებობს).

ფარნავაზის მიერ გატარებული რეფორმების შედეგად საქართველო ცენტრალიზებული სახელმწიფოა. ქვეყნის შემადგენელი ცალკეული საერისთაოები ემორჩილებიან შიდა ქართლის სპასპეტს, რომელიც ერთდროულად საერო და სამხედრო ხელისუფალია. იგი ქართლის სპასპეტი — ერისთავთა საქმიანობის გამგებელი, ამავე დროს მეფის მოადგილეა. მემატიანის ეს უწყება ფრიად მნიშვნელოვანია. იგი გასაოცარი სიზუსტით აგვიწერს ქვეყნის მართვა-გამგებლობის მთელ სისტემას:

„ფარნავაზ განამრავლნა ყოველნი მხედარნი ქართლოსიანნი, განაწესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტი... ხოლო დაადგინა სპასპეტად და მისცა ტფილისითგან და არაგვითგან ვიდრე ტასისკარამდე და ფანვარამდე, რომელ არს შიდა-ქართლი. და ესე სპასპეტი იყო შემდგომადვე წინაშე მეფისა, მთავრობით განაგებდის ყოველთა ერისთავთა ზედა. ხოლო ამათ ერისთავთა ქვეშე, ადგილთა და ადგილთა განაჩინნა სპასალარნი და ათასისთავნი, და მათ ყოველთაგან მოვიდოდა ხარკი სამეუფო და საერისთავო“.

„ყოველი ქართლის“ საქვეყნო საქმენი, რომელიც ფარნავაზ მეფემ განაგო, ცხადია ერთ მიზანს ემსახურებოდა: განემტკიცებინა ქართველი ტომების სახელმწიფოებრივი ერთიანობა. ამ ერთიანობას ქართლი მოთავეობდა.

„ყოველი ქართლის“ ტომობრივი სიჭრელის გამო აუცილებელი იყო სრულიად-სახელმწიფო, ერთი რომელიმე ქართული ენის შემოღება, რათა სრულიად-სახელმწიფო მწიგნობრობა ერთ რომელიმე ქართულ ენაზე დაწყებულიყო. ამიტომ, სავსებით გასაგებია მემატიანის უწყება:

„ამან (ფარნავაზ) განავრცო ენა ქართული...“ ან ზოგ ხელნაწერში ასე იკითხება:

„ამან (ფარნავაზ) განავრცო ენა ქართლისა...“

ეს იმას ნიშნავს, რომ სრულიად-სახელმწიფო ქართულ ენად შემოღებულ იქნა ჰეგემონი ქართველი ტომის ენა — ქართული ენის ქართლის დიალექტი. როგორც უკვე ვიცით, ქართული ენისა და ქართული მწიგნობრობის შემოღების თარიღია ძვ. წ. 284 წელი. იგივე წელი, როგორც ცნობილია, სრულიად-სახელმწიფო ქართული ეროვნული წელთაღრიცხვის დასაბამია.

მაგრამ რატომ არის სახელდობრ ძვ. წ. 284 წელი ქართული ენისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწიგნობრობისა და ამასთან ქართული წელთაღრიცხვის შემოღების თარიღი? ეს საკითხიც უნდა გაირკვეს.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ძვ. წ. 412 წელს, როცა ქურუმთა ქართული ანბანის მზის კალენდარული 4-წლიანი და 128-წლიანი ციკლები ამოქმედდა, საქართველოში წელთაღრიცხვის მზის კალენდარული ეპოქა დაიწყო.

ძვ. წ. 412 წლიდან (ჩათვლით) დაწყებული, 4-წლიანი ციკლებისა და პირველი 128-წლიანი ციკლის ათვლა ძვ. წ. 284 წლისათვის დასრულდებოდა: 412—128=284.

უნდა ვიფიქროთ, რომ ფარნავაზ მეფემ სწორედ ეს კალენდარული ვითარება გამოიყენა. ქართული ენისა და ქართული მწიგნობრობის შემოღებასთან ერთად, რაკი ძვ. წ. 284 წლიდან კალენდარული ციკლების ახალი ათვლა იწყება, ეს თარიღი ფარნავაზ მეფემ სრულიად-სახელმწიფო ეროვნული წელთაღრიცხვის დასაბამად გამოაცხადა.

ამგვარად, ქართული ანბანის კალენდარულმა სისტემამ საქართველოში ჯერ (ძვ. წ. 412 წელს) მზის კალენდარული ეპოქა, ხოლო შემდეგ (ძვ. წ. 284 წელს) ქართული ეროვნული წელთაღრიცხვა დაიწყო.

ახლა უკვე გასაგებია: ქართული ანბანის შემოღებასა და ეროვნული წელთაღრიცხვის შემოღებას შორის უშუალო კავშირია. გარდა ამისა, ფარნავაზ მეფის ზეობის ხანაში ქართული ეროვნული წელთაღრიცხვა შეიძლებოდა შემოღებულიყო მხოლოდ და მხოლოდ ძვ. წ. 284 წელს.

როგორც უკვე ვიცით, ფარნავაზ მეფემ იგივე, ძვ. წ. 284 წელს, საყოველთაო სახელმწიფო ქართული ენა შემოიღო. ფარნავაზ მეფის მემატიანე ამის შესახებ წერს:

„ამან (ფარნავაზ) განავრცო ენა ქართული“ ან სხვაგვარად:

„ამან (ფარნავაზ) განავრცო ენა ქართლისა“.

მემატიანეს ეს ცნობა ჯეროვნად გაგებული არ არის. საქმე ის არის, რომ ძვ. წ. III საუკუნეში „ენა ქართული“ ნიშნავდა ქართლის ენას ანუ ქართული ენის ერთ-ერთ დიალექტს. საფიქრებელია, რომ იმ დროისათვის არსებობდა საკუთრივ ქართული ენის ორი ძირითადი დიალექტი: სამხრულ-ქართული და ჩრდილო-ქართული. სამხრულ-ქართული „ჰაემეტური“ ქართული ენა იყო, ხოლო ჩრდილო-ქართული კი — „ხანმეტური“ ქართული ენა.

როცა საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურმა ცენტრმა სამხრეთიდან ჩრდილოეთში გადმოინაცვლა, ქართლის „ხანმეტური“ ენა უთუოდ უნდა დაპირისპირებოდა სამხრულ „ჰაემეტურ“ ქართულ ენას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არადა ძვ. წ. 412 წლიდან „ჰაემეტური ქართული“ — მწიგნობრული ენა იყო.

ამგვარად, ფარნავაზის მემატიანის ჩვენება:

„ამან (ფარნავაზ) განავრცო ენა ქართლისა... და ამან შეჰქმნა მწიგნობრობა ქართული“, ასე უნდა გავიგოთ:

ფარნავაზმა ქართლის „ხანმეტური“ ქართული „ყოველი ქართლის“ ანუ სრულიად საქართველოს სახელმწიფო ენად შემოიღო; ფარნავაზმა შეჰქმნა მწიგნობრობა „ხანმეტურ“ ქართულ ენაზე.

ეს უკანასკნელი ვითარება ქართულ ანბანში აისახა.

ცხადია, რაკი „ჰაემეტური“ ქართული ენის ანბანი უკვე არსებობდა (იხილეთ ზემოთ), ეს ანბანი ფარნავაზის ხანაში „ხანმეტურ“ ქართულ ენას უნდა მისადაგებოდა. ასეც მოხდა. ამასთანავე მისადაგების შედეგად ანბანმა მცირეოდენი ცვლილებაც განიცადა. ეს გარემოება დავათის ქვა-ჯვარმა ცხადყო.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ დავათის ქვა-ჯვარი ახ. წ. 367 წლის ძეგლია. ქვა-ჯვარზე გამოქანდაკებულია ქართული მწიგნობრობის (ქართული ანბანის) შემოღების სცენა; ჩამოწერილია ქართული ანბანის ასო-ნიშნები თავიდან ბოლომდე, ხოლო ამ ანბანში ჩაწერილია მისი შემოღების თარიღი — ძვ. წ. 284 წელი. ე. ი. ჩვენს ხელთაა ის ანბანი, რომელიც ფარნავაზ მეფემ შემოიღო. როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ანბანში მართლაც ცვლილებებია შეტანილი. ამგვარად, „ხანმეტური“ ქართული ენის ანბანი ასეთია:

1. ა-ან	10. ი-ინ	19. რ-რაე	28. ჩ-ჩინ
2. ბ-ბან	11. კ-კან	20. ს-სან	29. ც-ცან
3. გ-გან	12. ლ-ლას	21. ტ-ტარ	30. ძ-ძილ
4. დ-დონ	13. მ-მან	22. ჳ-ჳე	31. წ-წილ
5. ე-ენ	14. ნ-ნარ	23. ფ-ფარ	32. ჭ-ჭარ
6. ვ-ვინ	15. ჲ-ჲე	24. ქ-ქან	33. ხ-ხან
7. ზ-ზენ	16. ო-ონ	25. ღ-ღან	34. ჯ-ჯარ
8. ჱ-ე, ე ჲ	17. პ-პარ	26. ყ-ყარ	35. ჯ-ჯან
9. თ-თან	18. ჟ-ჟან	27. შ-შინ	36. ჰ-ჰაე
			37. ჰ-ოჰ

როგორც ვხედავთ, „ჰაემეტური ანბანის“ 35 ასო-ნიშნის ნაცვლად „ხანმეტურ ანბანში“ 37 ასო-ნიშანია. მე-8 ასო-ნიშანს ანბანში დაკარგული აქვს თავისი თავდაპირველი მნიშვნელობა და „ჰ“ ბგერის ნაცვ-

დავათის სტელა (დეტალი)

ლად მინიჭებული აქვს „ე“ და „ეჲ“ ბგერების მნიშვნელობა. 36-ე ასო-ნიშნად შექმნილია „ჰ“ ბგერის გამომხატველი ახალი ასო-ნიშანი, ხოლო 37-ე „ოჰ“—ახალი ასო-ნიშანი ბერძნული „ომეგა“ ასო-ნიშნის ბადლადაა შემოღებული.

ეს არის და ეს. რაიმე განსაკუთრებული ცვლილება ქართულ ანბანს ფარნავაზის ხანაში არ განუცდია. ერთადერთი რამ, რაც „ხანმეტურ“ ქართულ ანბანში თვალში გეცემათ, გახლავთ ის, რომ „ჰაე“ ასო-ნიშანი დამცრობილია. როგორც ბგერა გაძევებულია ანბანის მე-8 ადგილიდან და ანბანის ბოლოში უადგილო ადგილას ზის. აკი ყველა ანბანში, როგორც წესი, „ჰ“ ბგერა მე-8 ადგილზეა და რიცხვის—რვის მნიშვნელობა აქვს. არაფერი დაშავდებოდა, „ჰაე“ მე-8 ადგილზე დატოვებულიყო, ხოლო „ოჰ“ თუ დასამატებელი იყო, ისედაც უმტკივნეულოდ დაემატებოდა ანბანს ბოლოში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ჰაე“ ბგერა „„ჰაემეტური“ ქართული ენისათვის მნიშვნელოვანი ბგერაა (პირის ნიშნების გამომხატველია), „ხანმეტურ“ ქართულში კი „ჰაე“ მართლაც იშვიათად თუა საჭირო.

ერთი რამ უეჭველია, ფარნავაზ მეფის ხანაში შემოღებულა სრულიად სახელმწიფო ქართული ენა და ქართული ენის „ხანმეტური“ ანბანი. ე. ი. მისი მეფობის ჟამს უკვე არსებული ქურუმთა ქართული ანბანის ერთდაგვარი რეფორმა ჩატარებულა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ჰაემეტურ“ ანბანს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ ცალკეული მინიშნებები ცხადყოფენ, რომ ასეთი ანბანი უთუოდ არსებობდა. მეცნიერული კვლევის წყალობით ეს საკითხი საბოლოოდ გარკვეულია. აღმოჩნდება თუ არა ოდესმე „ჰაემეტური“ ანბანი მსგავსად „ხანმეტურისა“ დავათის სტელაზე, ვინ იცის? იქნებ იგი საბოლოოდ დაიმარხა სამხრულ-ქართულ „ჰაემეტურ“ ენობრივ სამყაროში.

რაც შეეხება „ხანმეტურ“ ანბანსა და ფარნავაზის ხანაში მომხდარ ანბანის რეფორმას, ამის შესახებ მნიშვნელოვან ცნობას მიაკვლია იტალიაში ვატიკანის არქივებში მუშაობისას საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფრ. მეცნიერ-თანამშრომელმა ილია ტაბაღუამ. ეს ცნობა, რომელიც XIX საუკუნის დამდეგს საქართველოში იმდროისათვის არსებული წერილობითი წყაროების საფუძველზე შეუდგენიათ, გვაუწყებს:

„... ფარნავაზი, რომელიც ცნობილია, როგორც იბერთა პირველი მეფე, გარდაიცვალა ძვ. წ. 299 წელს. მან თავის სამეფოში შემოიღო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგი კანონები, დაჰყო თავისი ქვეშევრდომები ფენებად და **გაუუმჯობესა დამწერლობა,** რომელიც დღემდე ხმარებაშია ქართველ მღვდლებს შორის".

ცნობაში ფარნავაზის გამეფების თარიღი შეცდომით გარდაცვალების თარიღადაა მიჩნეული. ქართველ მეცნიერებს ფარნავაზის გამეფების თარიღად დაახლოებით ძვ. წ. 303—300 წლები მიაჩნდათ. ვინ იცის, იქნებ თარიღი ძვ. წ. 299 წელი ფარნავაზის გამეფებისა, უფრო ზუსტია.

რაც მთავარია, ამ უნიკალური ცნობის თანახმად ფარნავაზ მეფე ქართული დამწერლობის შემქმნელი კი არ არის, არამედ მას, იმდროისათვის უკვე არსებული ქართული დამწერლობა **გაუუმჯობესებია.**

როგორც ჩანს, XIX საუკუნის დამდეგს, საქართველოში, ჯერ კიდევ არსებულა წერილობითი ცნობები ფარნავაზის გამეფებისა და მის მიერ ქართული დამწერლობის გაუმჯობესებისა თუ რეფორმის თაობაზე.

* * *

მწიგნობრობა ქართულ ენაზე, როგორც ეს ბოლო დროის გამოკვლევებმა ცხადყვეს, ძვ. წ. V საუკუნეში იწყება, ჰაემეტური ქაროული ენის სამყაროში. უძველესი ძეგლი ქართული მწიგნობრობისა თვით ქართული ასომთავრული ანბანია — სწორუპოვარი ქმნილება ძვ. წ. V საუკუნისა.

წარმართული ხანის ქართული მწიგნობრობის უძველეს თხზულებად „ცხოვრება ფარნავაზისი" უნდა მივიჩნიოთ. ეს თხზულება დაწერილია ფარნავაზ მეფის მემატიანის მიერ დაახლოებით ძვ. წ. III—II საუკუნეებში.

წარმართული ხანის ქართული მწიგნობრობის ძეგლებია უძველესი ქართული მატიანეები. სხვა ძეგლებს, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევიათ. ოღონდ დარჩენილია ცნობები ასეთი ძეგლების არსებობის შესახებ.

რა ბედი ეწია ქართულ მწიგნობრობას ფარნავაზის შემდგომ, მომდევნო ხანებში?

როგორც ჩანს, უკვე ძვ. წ. II საუკუნეში დაიწყო საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს რღვევა. აღმოსავლეთში სპარსეთისა და სომხეთის, ხოლო დასავლეთში პონტოს ბერძნული გაერთიანების გაძლიერების შედეგად, საქართველო ჰკარგავს თავის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. ერთიანი საქართველოს სახელმწიფო მოიშალა. ქართულის ენის უფლებები შეილახა. თანდათანობით ქართლში სპარსული ენა გაბატონდა, ხოლო ეგრისსა და კლარჯეთში ბერძნული. ქართულმა ენამ თავისი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი უფლებები დაჰკარგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ერთიანი სახელმწიფო ეროვნული რელიგია მარცხდება. ფარნავაზ მეფის მომდევნო ხანაში ქართული ეროვნული რელიგია ჰკარგავს სრულიად სახელმწიფო რელიგიის ფუნქციებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ელინისტურ ხანაში ქართული რელიგია ვერ უმკლავდება ელინურ კულტებსა და ბერძნულ კულტებს, ხოლო მეორე მხრივ სპარსულ რელიგიასა და სპარსულ კულტურას. უთუოდ, ქართველ ქურუმთა პოლიტიკურ-კულტურული ჰეგემონია აღარ არსებობს. ქართული წარმართული რელიგიის დამარცხებას ელინისტურ ხანაში უსათუოდ უნდა გამოეწვია ქართული ენისა და ქართული დამწერლობის დამარცხებაც.

ამგვარად, ფარნავაზის შემდგომ, როცა საქართველოს ერთიანი სახელმწიფო აღარ არსებობს, როცა საქართველო ჰკარგავს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, როცა დაუძლურებულია ქართული ეროვნული რელიგია, საქართველოში უცხო რელიგიური კულტები ძლიერდება. ენა და რელიგია ძველთაგანვე განუყოფელი თანამგზავრები არიან. ბერძნული ელინური კულტებისა და სპარსული ცეცხლმსახურების გავრცელებასთან ერთად საქართველოში ბერძნული ენა და ბერძნული დამწერლობა, სპარსული ენა და სპარსული (არამეული) დამწერლობა ვრცელდება.

ელინისტური ხანა საქართველოში ბერძნული და სპარსული ენების ბატონობის ხანაა. არქეოლოგიური გათხრები საქართველოში სრული უეჭველობით ცხადყოფენ ასეთ ვითარებას.

ახ. წ. I საუკუნიდან საქართველოში თანდათანობით ქრისტიანული რელიგიური მრწამსი იკიდებს ფეხს. ქრისტიანული რელიგია თავდაპირველად ქალაქის მოსახლეობის ულარიბეს ფენებში ვრცელდება, როგორც ამას ძველი ქართული მემატიანეები გვამცნობენ. ქრისტიანობა საქართველოში ქართულ ენაზე ვრცელდება. ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად იქმნება ქართული ქრისტიანული მწიგნობრობა. ამიტომ ქრისტიანული მოძრაობა საქართველოში თანდათანობით ეროვნულ ელფერსაც ღებულობს. ქრისტიანულ ქართულ მწიგნობრობას, საქართველოში ქრისტიანული რელიგიის საბოლოო გამარჯვებამდე, თითქმის 300 წლის ისტორია აქვს. სამწუხაროდ, მეცნიერულად ეს საკითხი ჯერჯერობით შეუსწავლელია. არადა ქრისტიანული ქართული მწიგნობრობა სამასი წლის მანძილზე უპირისპირდებოდა არა მხოლოდ ბერძნულ კულტებსა და სპარსულ ცეცხლმსახურებას, არამედ ბერძნული და სპარსული ენების ბატონობასაც საქართველოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ქრისტიანული მოძრაობის შედეგად დაიწყო საქართველოში ეროვნული აღმავლობა, სრულიად-სახელმწიფო ქართული ენისა და ქართული მწიგნობრობის აღორძინება.

ქართული მატიანე „ცხოვრება მირიანისა" ამის შესახებ გვაუწყებს:

„და აღიზარდა მირიან მსახურებასა მას შინა შვიდთა მათ კერპთასა და ცეცხლისასა. ხოლო შეიყვარნა ქართველნი, და დაივიწყა ენა სპარსული და ისწავა ენა ქართული. და ჰმატა შემკობა კერპთა და ბომონთა, კეთილად იპყრნა ქურუმნი კერპთანი და ყოველთა მეფეთა ქართლისათა უმეტეს აღასრულებდა მსახურებასა მას კერპთასა, **და შეამკო საფლავი ფარნავაზისი.** ხოლო ესე ყოველი ქართველთა სათნოებისათვის ქმნა, და კეთილად იპყრნა ქართველნი ნიჭითა და ყოვლითა დიდებითა".

ყოველივე ეს საქართველოს გაქრისტიანების წინა ხანაში ხდება. შეუძლებელია აქ ქართული ეროვნული აღმავლობის სურათი არ დავინახოთ.

ცხადია, მირიან მეფემ ქართული წარმართული რელიგიის მესვეურები—ქართველი ქურუმები მიიმხრო და სპარსულ ცეცხლმსახურებას, სპარსულ ენასა და მწიგნობრობას დაუპირისპირდა. რაკი მირიან მეფე ფარნავაზის საფლავს ამკობს, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ქართული ენისა და ქართული მწიგნობრობის აღორძინება იწყება. ბრძოლა, რომელიც სპარსული რელიგიისა და მწიგნობრობის წინააღმდეგ დაიწყო, ქართულმა ქრისტიანობამ საბოლოო გამარჯვებით დაასრულა. უნდა ვიფიქროთ, ძველი ქართული რელიგიის მსახური ქურუმები ახალი ქრისტიანული რელიგიის სამსახურში ჩადგნენ. ამას თანდათანობით წარმართული ქართული მწიგნობრული ძეგლების დაღუპვა უნდა გამოეწვია.

კიდევ ერთხელ დავათის ქვა-ჯვარს უნდა დავუბრუნდეთ, რადგან მისი შინაარსი ჯერ ბოლომდე არ გაგვიმხელია. ქვა-ჯვარზე გამოქანდაკებულია სცენა — ქართული სახელმწიფო მწიგნობრობის შემოღებისა ფარნავაზ მეფის მიერ ძვ. წ. 284 წელს და ქართული სახელმწიფო მწიგნობრობის აღორძინებისა მირიან მეფის მიერ ახ. წ. 311 წელს.

ამიერიდან დავათის ქვა-ჯვარის წყალობით ჩვენ ვიცით, რომ მირიან მეფემ შეამკო საფლავი ფარნავაზისი ახ. წ. 311 წელს. ქართული მატიანე „ცხოვრება მირიანისი" და დავათის ქვა-ჯვარი ერთმანეთს ეთანხმებიან.

ქართული მწიგნობრობის აღორძინების ამბავს გვამცნობს კიდევ ერთი ძეგლი IV საუკუნისა — „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჲ“. მკითხველს მოვაგონებ: ქართული მატიანე „ცხოვრება მირიანისი“ 330-იანი წლების თხზულებაა; დავათის ქვა-ჯვარი გამოქანდაკებულია 367 წელს, ხოლო ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ თარიღიანი ძეგლია 342 წლისა.

„ქებაჲ“-ში ქართული ენა და ქართული მწიგნობრობა გაიგივებულია.

თხზულების ავტორი ქართულ ენას ქრისტეს მეგობარ ლაზარეს უწოდებს:

„და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვიან...
და მეგობრობაჲ ამისათვის თქუა, ვითარმედ,
ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს“.

ლაზარე ქრისტეს მეგობარი იყო. იგი დასნეულდა და მოკვდა. ოთხი დღის დამარხული მკვდარი ლაზარე ქრისტემ მკვდრეთით აღადგინა.

ქართული ენა ლაზარეა, რაკი იგი ცოცხლობდა, მოკვდა და მკვდრეთით აღდგა. ყოველი საიდუმლო ამ ენაშია დამარხული, რაკი იგი მკვდრეთით აღმდგარი და აღორძინებული ენაა. ეს არის ქართული ენის ყველაზე დიდი საიდუმლო — მისტერია.

ქართული მწიგნობრობის ძირითადი თარიღები ასეთია:

1. დაახ. ძვ. წ. 415 წელი — შეიქმნა ქართული ანბანი.

2. ძვ. წ. 412 წელი — ქართულმა ანბანმა დაიწყო მზის კალენდარული ეპოქა.

3. ძვ. წ. 284 წელი — სრულიად-სახელმწიფო—ქართული მწიგნობრობისა და ეროვნული წელთაღრიცხვის შემოღების თარიღია.

4. ახ. წ. 311 წელი — ქართული მწიგნობრობის აღორძინების თარიღია.

ნათელა ნადიბაიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ბაგრატიონი — მწიგნობარი

ქართული პორტრეტული ფერწერის ერთ-ერთი უძველესი და შესანიშნავი ნიმუშია ქართველი ჭაბუკის პორტრეტი, რომელიც დათარიღებულია 1696 წლით. პორტრეტზე გამოსახულია შავულვაშა ჭაბუკი ქართველი მეომრის სამოსელით, რომელიც ღრმა ფიქრებს მისცემია.

სხვაგვარად წარმოგვიდგება იგი პორტრეტზე, რომელიც მოსკოვის ისტორიული მუზეუმის კოლექციის საკუთრებას წარმოადგენს. აქ იგი უფრო ახალგაზრდაა, სახეს ჩუმი ღიმილი უნათებს და ნდობითა და იმედით შემოგვყურებს.

წარწერა ადასტურებს, რომ ორივე პორტრეტზე ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონია გამოსახული.

ვინ იყო ეს ქართველი ჭაბუკი და რა ბედი ეწია მას?

უფლისწული ალექსანდრე გახლდათ უფროსი ვაჟი მეფე არჩილისა, რომელიც ბედის უკუღმართობამ აიძულა დაეტოვებინა ტახტი, საქართველო და შორეულ ერთმორწმუნე რუსეთში ეძია თავშესაფარი. მეფეს თან ახლდა მეუღლე ქეთევანი, შვილები ალექსანდრე, მამუკა, დავითი და დარეჯანი, აგრეთვე დიდი ამალა. პირველ ხანებში მოსკოვში არჩილის მიღება ვერ მოხერხდა და მას ადგილსამყოფლად ასტრახანი მიუჩინეს, ხოლო რუსეთის მეფის კარზე ჩაიყვანეს შვილები — ალექსანდრე და მამუკა.

მოსკოვში ქართველი უფლისწულების ჩასვლას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ამაზე მეტყველებს საელჩო ბრძანების წიგნის მრავალი ჩანაწერი, სადაც დაწვრილებითაა აღწერილი ქართველ უფლისწულთა მიღების რიტუალი და მათი შემდგომი ყოფნა რუსეთის დედაქალაქში.

ქართველმა უფლისწულებმა საპატიო ადგილი დაიკავეს რუსეთის მეფის კარზე. განსაკუთრებით ალექსანდრე დაუახლოვდა პეტრე პირველს. იგი გახდა მისი მეგობარი, შემდგომში კი თანამებრძოლი და თანამზრახველი.

იგი საოცრად ჭკვიანი, ცნობისმოყვარე და გონებაგახსნილი ჭაბუკი იყო, სწრაფად ითვისებდა და აღიქვამდა ყველაფერ ახალს, იტაცებდა მეცნიერება, ლიტერატურა, რამაც განაპირობა ის, რომ პეტრე პირველმა ალექსანდრე შეიყვანა „დიდი ელჩობის“ შემადგენლობაში და თან გაიყოლა საზღვარგარეთ. იქ პეტრე და ალექსანდრე ყოველთვის ერთად იყვნენ და ერთ ოთახში ცხოვრობდნენ.

1876 წელს ჟურნალში „დუხ ჟურნალოვ“ დაბეჭდილი სტატიის ავტორი[1] „დიდი ელჩობის“ შემადგენლობის აღწერისას აღნიშნავდა: „ყველას ყურადღებას იქცევდა ქართველი უფლისწული, ქართველი მეფის შვილი, ბაგრატიონთა გვარისა, მას თავისი ეროვნული ტანსაცმელი ეცვა და სპარსული ბრწყინვალებით ატარებდა“[2].

საარდამში ყოფნისას პეტრე I თავისი ახლობელი პირებით გადასახლებულა გემთსაშენების ახლოს, მისთვის გამოყოფილ პატარა სახლში. მასთან ერთად ყოფილან „თავადი ბაგრატიონი და გრაფი აპრაკსინი, რომელიც შემდგომში რუსეთის ადმირალი გახდა. ხელმწიფეს ძალიან უყვარდა თავადი ბაგრატიონი, განსაკუთრებით იმიტომ, რომ მან ძალიან მალე გაიცნო და შეითვისა საზღვაოსნო ტერმინები და თვითონაც ისწავლა ოსტატურად მართვა ნავისა“.

ევროპაში ყოფნისას ალექსანდრემ შეისწავლა საარტილერიო საქმე. ევროპიდან დაბრუნებისთანავე კი, როდესაც პეტრე I რუსული არმიის რეორგანიზაციას შეუდგა, უფლისწული ალექსანდრე არჩილის ძე დანიშნა რუსეთის არმიის „გენერალ-ფელდცეხმეისტერად“.

„უფლისწული ალექსანდრე პირველი იყო, რომელმაც ეს პოსტი დაიკავა როგორც პროფესიით არტილერისტმა. მანამდე საარტილერიო საქმეს განაგებდნენ ისეთი პირები, რომელთაც არაფერი ჰქონდათ საერთო **არ**ტილერიასთან“, — წერდა ცნობილი არქეოლოგი, ისტორიკოსი და სამხედრო მწერალი ნ. ე. ბრანდენბურგი. ის აღნიშნავდა, რომ „ამგვარი დანიშვნა უფლისწულისა მოხდა უკვე არა საუკუნოვანი წეს-ჩვეულების, არამედ იმ მონაცემების მიხედვით, რასაც თვითონ პიროვნება წარმოადგენდა“ და რომ ჯერ კიდევ ევროპაში გამგზავრებამდე „პეტრეს უეჭველად გათვალისწინებული ექნებოდა უფლისწულის მომავალი თანამდებობა“. ალექსანდრე ბაგრატიონი რუსეთის არტილერიის გენერალ-ფელდცეხმეისტერად დაინიშნა 1700 წლის მაისში, რუსეთ-შვეციის ომამდე რამდენიმე თვით ადრე.

ახალი გენერალ-ფელდცეხმეისტერი შეუდგა სავალალო მდგომარეო-

---

[1] სტატია ხელმოუწერელია.

[2] «Дух журналов», Спб., 1816, кн. 18, с. 869—870.

ბაში მყოფი არტილერიის რეორგანიზაციას, მაგრამ არ დასცალდა. დაიწყო ომი და რუსეთის ჯარი უიმედო მდგომარეობაში აღმოჩნდა.

1700 წლის ნოემბერში ნარვასთან რუსეთის არმიის მთელი გენერალიტეტი ტყვედ ჩაუვარდა შვედებს. ამის შესახებ ბევრი ცნობა მოგვეპოვება, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა ამ ფაქტის აღწერა ვოლტერის წიგნში „კარლოს XII ისტორია“: „ნარვასთან დატყვევებულებს შორის იმყოფებოდა საქართველოს ტახტის მემკვიდრე, უფლისწული არჩელუ[3]. მამამისი, მიტელესის[4] მეფე და მბრძანებელი დედამიწის უკეთესი ნაწილისა, რომელიც მდებარეობს არარატის მთებსა და შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებს შორის, განდევნილ იქნა თავისი სამშობლოდან საკუთარი ქვეშევრდომების მიერ. 1688 წელს მან არჩია დახმარებისათვის მიემართა არა თურქეთის სულთნისათვის, არამედ მოსკოვის მეფისათვის. ამ ხელმწიფის 19 წლის შვილმა[5] მოისურვა ხლებოდა პეტრე დიდს შვედების წინააღმდეგ ექსპედიციაში. ფინელმა ჯარისკაცებმა იგი დაატყვევეს, ტანზე გახადეს და მოკვლა დაუპირეს. ვრაფმა რენშილდმა გამოგლიჯა იგი ჯარისკაცებს, მისცა ტანსაცმელი და წარუდგინა მეფეს. კარლოსმა იგი გაგზავნა სტოკჰოლმში, სადაც უბედური პრინცი რამდენიმე წლის შემდეგ გარდაიცვალა. მისი გამგზავრების შემდეგ კარლოსმა თავი ვერ შეიკავა და აღნიშნა ამ აზიელი უფლისწულის უცნაური ბედი, რომელიც კავკასიის მთების ძირას დაიბადა და ტყვედ იქნა გაგზავნილი შვეციის ყინულეთში: „ეს იგივეა, — თქვა მან, — მე რომ ყირიმის თათრების ტყვე აღმოვჩნდე“. ამ სიტყვებს მაშინ არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, მაგრამ შემდეგ, როცა ეს წინასწარმეტყველება ახდა, ბევრმა გაიხსენა იგი“.

11 წელი გაატარა უფლისწულმა ტყვეობაში. მას ვაჟკაცურად და ღირსეულად ეჭირა თავი. თავის თავზე მეტად იგი იმათზე ზრუნავდა, ვინც მასთან ერთად აღმოჩნდა ტყვეობაში. როცა შვედებმა ალექსანდრეს განთავისუფლებისათვის დიდძალი ოქრო მოითხოვეს და პეტრემ ამის შესახებ ტყვე უფლისწულს შეატყობინა, ალექსანდრემ უპასუხა: „არა თუ სათქმელად, ფიქრადაც არ მომსვლია რამე ზარალი მოუვიდეს სახელმწიფოს არა თუ ჩემი განთავისუფლების, არამედ იმათი განთავისუფლებისთვისაც კი, რომლებიც ჩემზე ათასკეცად მეტი ღირან; ჩვენ ამისთვის ვართ მოწოდებულნი: ვითმინოთ და მოვკვდეთ სახელმწიფოსა და მამულის ინტერესებისათვის“.

---

[3] ალექსანდრე შეცდომით მოხსენიებულია მამის სახელით.

[4] იმერეთის.

[5] ალექსანდრე მაშინ 26 წლის იყო (დაიბადა 1674 წელს).

პეტრე არასოდეს არ ივიწყებდა თავის ერთგულ მეგობარსა და თანამოსაგრეს. მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრე 11 წელი ტყვეობაში იმყოფებოდა, საარტილერიო უწყებაში ყველა განკარგულება ალექსანდრე არჩილის ძის სახელზე იგზავნებოდა. ქართველი უფლისწული სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ითვლებოდა რუსეთის არმიის გენერალ-ფელდცეხმეისტერად. როგორც იქნა, 1711 წელს მოხერხდა მისი გაცვლა, მაგრამ ტყვეობაში ყოფნას, მძიმე ავადმყოფობას, გასაჭირს არ შეეძლო თავისი დაღი არ დაეჩნია უფლისწულისათვის. მან მოსკოვში ვეღარ ჩააღწია და გზაში გარდაიცვალა, კუნძულ პიტეოზე. მისი ცხედარი მოსკოვში გადმოასვენეს და დონის მონასტერში დაკრძალეს.

რუსეთის ისტორიის ერთ-ერთი მკვლევარი ი. ტოკმაკოვი წერდა: „პეტრე დიდის ისტორიკოსებს დღემდე არ განუმარტავთ იმის მიზეზი, თუ რატომ დაიწყო ზეიმი შვეციასთან დაზავების გამო სწორედ სოფელ ვსესვიატსკოეში“[6]. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საზეიმო კორტეჟი სწორედ სოფელ ვსესვიატსკოედან გაემართა მოსკოვისაკენ. ზეიმის წინ პეტრე პირველმა მთელი ღამე გაატარა თავისი ერთგული ქართველი უფლისწულის სახლში, დიდხანს ესაუბრა მის მგლოვიარე დას და მხოლოდ შემდეგ გაემართა მოსკოვისაკენ[7].

ამრიგად, შვედებზე გამარჯვების პირველი სადღეგრძელო შეისვა უფლისწულ ალექსანდრეს სახლში და, რასაკვირველია, ამ დღეს არ შეიძლება არ ეხსენებინათ ისინი, ვინც სიცოცხლე შესწირა რუსეთის დიდებას. და, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი პირველი სადღეგრძელო ალექსანდრე ბაგრატიონის ხსოვნას მიეძღვნა.

ასეთი იყო მოკლედ შესანიშნავი ქართველი მამულიშვილის ცხოვრების გზა. მაგრამ იგი მარტო სამხედრო მოღვაწეობით როდი ამოიწურება. მძიმე ხვედრისა და ბედის უკუღმართობის მიუხედავად ალექსანდრემ საკმაო ლიტერატურული მემკვიდრეობა შექმნა და ფლატარა, მაგრამ ღირსეული კვალი დატოვა ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის ისტორიაში.

მის კალამს ეკუთვნის ქართულ ენაზე ნათარგმნი „საარტილერიო

---

[6] სოფ. ვსესვიატსკოე ალექსანდრეს საკუთრება იყო. ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ იქ ცხოვრობდა მისი და დარეჯანი, რომელიც დიდ კულტურულ მოღვაწეობას ეწეოდა.

[7] Токмаков И. Ф. Историко-статистическое и Археологическое описание села Всесвятского Московской губернии и уезда с 1798—1890 г., М., 1988, с. 15.

წიგნი". განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ თარგმანი შესრულებულია უშუალოდ ფრანგული ენიდან (რაც ჩვენს მიერაა სპეციალურად დადგენილი) და წინ უსწრებს 1709 წლის პირველ რუსულ გამოცემას. არტილერიის შესახებ რამდენიმე ნაშრომი არსებობდა — ერნესტ ბრაუნის წიგნის ორი გამოცემა, იოჰან ზიგმუნდ ბუხნერის „არტილერიის სწავლება და პრაქტიკა", სენ-რემის „მემორიები, ანდა საარტილერიო ჩანახატები" და ტიმოთე ბრინკის „არტილერიის აღწერა".

ამ გამოცემებიდან ალექსანდრეს თარგმანი ყველაზე ახლოა სენ-რემის წიგნის 1697 წლის ფრანგულ გამოცემასთან. წიგნის შესავალში ნათქვამია, რომ იგი უახლესი გამოკვლევაა საარტილერიო დარგში და დიდი პოპულარობით სარგებლობს ევროპაში, განსაკუთრებით ჰოლანდიაში. ჩვენთვის ცნობილია, რომ ალექსანდრე სწორედ ჰოლანდიაში ეუფლებოდა საარტილერიო საქმეს. უეჭველია, მისი ერთ-ერთი ძირითადი სახელმძღვანელო იქნებოდა სენ-რემის „საარტილერიო წიგნი". დასაშვები და მისაღებია აგრეთვე ვარაუდი, რომ იგი სწორედ ჰოლანდიაში შეუდგა ამ წიგნის თარგმნას.

სენ-რემის წიგნს მაღალ შეფასებას აძლევდა პეტრე I. მისი ბრძანებით იგი გადათარგმნეს რუსულად, რედაქცია დაევალა ცნობილ რუს პოეტს ვ. ტრედიაკოვსკის.

ქართველი მკითხველისათვის ალექსანდრემ თარგმანს დაურთო სპეციალური განმარტებანი, სადაც ქართული შესატყვისებით ხსნიდა ცალკეული ტერმინებისა და ცნებების შინაარსს.

ალექსანდრე ბაგრატიონმა გადმოაქართულა რამდენიმე მნიშვნელოვანი რუსული სასულიერო და დიდაქტიკური ხასიათის ძეგლი. ესენია: „სადიდებელნი გალობანი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, ბერძნულისაგან რუსულად თარგმნილნი, ხოლო რუსულისაგან ქართულად თარგმნილნი საქართველოს მეფის ძის ალექსანდრეს მიერ" (А № 347, ფ. 29—33; № 212, 8 г—22 v. № 150, 37—411 V). ჩვენ დავადგინეთ ამ ნაწარმოების რუსული წყარო. ეს გახლავთ „Канон умилительный ко Господу нашему Иусусу Христу" დაწერილი ბერძნულ ენაზე სტუდიის მონასტრის ბერის (Монахом студийского монастыря) თეოქსისტეს მიერ. რუსულ ენაზე ამ „გალობანის" მრავალი თარგმანი არსებობს, რომელთა შეჯერებამაც საშუალება მოგვცა დაგვედგინა, რომ ალექსანდრემ სათარგმნელად გამოიყენა 1646 წლის რუსული გამოცემა.

საყურადღებოა, რომ „გალობანის" თარგმნისას ალექსანდრე ითვალისწინებს ქართული სასულიერო ლიტერატურის ტრადიციებს, შე-

მოქმედებითად უდგება თარგმანს, უდარებს მას ქართულ წყაროებს და ქმნის სასულიერო ნაწარმოებს, რომელიც ორგანულად ერწყმის ქართული ლიტურგიული ლიტერატურის ტრადიციებს.

ალექსანდრე არჩილის ძეს ეკუთვნის სიმეონ პოლოცკის ორი ქადაგების ქართული თარგმანიც. ესენია: „სიტყუაჲ დღესა ყოვლად წმიდისა ტაძრად მიყვანებისასა“ და „ღვთისმშობლის მიძინებისა“. აგრეთვე მან თარგმნა სიმეონ პოლოცკის მიერ რედაქტირებული „ტესტამენტი“ — ანდერძი, დაწერილი ბერძენი იმპერატორის, ბასილი მაკედონელის მიერ (867—886) თავისი ძის, ლეონის მიმართ.

ამრიგად, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ალექსანდრეს მთარგმნელობით მოღვაწეობაში სიმეონ პოლოცკის ნაწარმოებებს დიდი ადგილი უჭირავს. ეს ბუნებრივიცაა: სიმეონ პოლოცკის პიროვნება მჭიდროდაა დაკავშირებული იმ საგანმანათლებლო მოძრაობასთან, რომელიც რუსეთში გაიშალა XVII ს-ის მეორე ნახევრიდან.

სიმეონ პოლოცკი მიეკუთვნებოდა მაშინდელი უკრაინისა და ბელორუსიის ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელიც პანური პოლონეთის წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ბრძოლების დღეებში მიემხრო თავიანთი სამშობლოს რუსეთის სახელმწიფოსთან შეერთების მოსურნეებს. სიმეონ პოლოცკი იმდროინდელი რუსული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. მთელი მისი ლიტერატურული მოღვაწეობა ემსახურებოდა ერთ მიზანს — თავისი წვლილი შეეტანა რუსეთის განათლების საქმეში. იგი ყველაზე უფრო თვალსაჩინო წარმომადგენელია იმ დიდი მოძრაობისა, რომელიც ბუნებრივად და გადაჭრით დასრულდა პეტრე I-ის დიადი რეფორმებით.

საინტერესო და მნიშვნელოვანია სიმეონ პოლოცკის მქადაგებლური მოღვაწეობა. იგი დაჟინებით მოითხოვდა, რომ მოსკოვში დიდი ხნის წინათ დამკვიდრებული წეს-ჩვეულება — ეკლესიაში ძველ საეკლესიო მოძღვართა შეგონებების კითხვა შეცვლილიყო ცოცხალი ქადაგებით. მისი მქადაგებლური მოღვაწეობის ნაყოფი იყო ორი ფოლიანტი — „Обед душевный“ და „Вечеря душевная“. ორივე კრებული დაბეჭდილია მოსკოვში პოლოცკის მიერ დაარსებულ „უმაღლეს“ (ანუ სასახლის) სტამბაში.

პოლოცკის მრავალმხრივი მოღვაწეობა მოსკოვში ვერ დარჩებოდა არჩილ მეფის კოლონიის ყურადღების გარეშე. მით უფრო, რომ მეფე არჩილისა და სიმეონ პოლოცკის ერთმანეთთან მეგობრობა, მიმოწერა აკავშირებდათ. 1680 წელს ქართველმა მეფემ სწორედ მას მიმართა დახმარებისა და შუამდგომლობისათვის რუსეთის ხელმწიფის წინაშე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი მიაჩნდა „ტკბილ სასოებად და სიქადულად სადგურთა სულისა წმინდისა“. ამდენად, ბუნებრივი და კანონზომიერია, რომ ალექსანდრემ სათარგმნელად სწორედ ეს წიგნი შეარჩია.

საინტერესოა კიდევ ერთი ფაქტი: პოლოცკის ნაწარმოებებზე მუშაობის დროს, მოსკოვის ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკის „იშვიათი წიგნის“ განყოფილებაში შეგვხვდა „Обед душевный“-ის ერთი ეგზემპლარი, რომელიც გამოცემული იყო მოსკოვში 1681 წელს. წიგნს აქვს წარწერა: „Книга Обед душевный по души своей дала княгиня Феодосия Ивановна Милославских старицам кутеинским Новодевичьим“.[8]

სავსებით შესაძლებელია, რომ სწორედ ამ წიგნით სარგებლობდა უფლისწული ალექსანდრე სიმეონ პოლოცკის ნაწარმოებთა თარგმნისას. „ღვთისმშობლის მიძინების“ დედანი მკვლევართათვის ადრევე იყო ცნობილი (მ. ჯანაშვილი, კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ლ. მენაბდე, ტ. რუხაძე), ხოლო პირველის — „სიტყუაჲ ტაძრად მოყვანებისასა“ ავტორი ჩვენს მიერ იქნა დადგენილი.

ეს ქადაგებანი სიმეონ პოლოცკის მიერ დაწერილია ხატოვანი, ცოცხალი რუსული ენით. ალექსანდრე ბატონიშვილმა თარგმნისას შესძლო შეენარჩუნებინა ავტორისეული სული და ორიგინალური სტილი. თუმცა თარგმანი სიტყვასიტყვითია, იგი შესანიშნავი ქართულით არის შესრულებული და ორიგინალური მხატვრული ნაწარმოების შთაბეჭდილებას ტოვებს.

ალექსანდრემ თარგმნა ავრეთვე „ტესტამენტი“. საბერძნეთის იმპერატორის ბასილი მაკედონელის მიერ IX საუკუნეში შექმნილი ეს თხზულება მიეკუთვნება დიდაქტიკურ-მორალურ ნაწარმოებთა ჟანრს, რომლისადმი ინტერესი განსაკუთრებით აღორძინების ეპოქაში გამოიკვეთა. ამ ჟანრის ჩანასახებს ჯერ კიდევ სასულიერო ლიტერატურაში ვხვდებით, განსაკუთრებული განვითარება და გავრცელება მან XVII—XVIII სს-ში ჰპოვა. შეგონებანი, დარიგებანი, არსებულ ნაკლოვანებათა და ხელმოცარული მმართველობის ალეგორიული ფორმით განკიცხვა ეპოქის აქტუალურ მოთხოვნად იქცა. ამ ჟანრის ლიტერატურა უმეტეს შემთხვევაში იდეალური მეფის და მმართველის სახეს ქმნი-

---

[8] ფედოსია ივანეს ასული მილოსლავსკაია ალექსანდრე არჩილის ძის პირველი ცოლი იყო (ალექსანდრე ორჯერ იყო დაქორწინებული. დაქვრივების შემდეგ მან შეერთო გლიკერია ილიას ასული დავითაშვილი).

ფედოსია მილოსლავსკაიას მამა — ბოიარი იოანე მილოსლავსკი, განათლებული კაცი იყო და ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა მფარველად ითვლებოდა. ამაზე მეტყველებს პოლოცკის მისდამი მიძღვნილი 3 ლექსი.

და[9]. სწორედ ასეთ მმართველად წარმოგვიდგება „ტესტამენტში“ ბასილი მაკედონელი. ნაწარმოებს დიდი წარმატება ხვდა წილად ძუა საუკუნეებშიც. იგი მრავალ ენაზე ითარგმნა.

რუსეთში „ტესტამენტი“ პირველად 1607 წელს დაიბეჭდა. ამას მოჰყვა რამდენიმე გამოცემა (ამავე საუკუნეში), რომ არაფერი ვთქვათ ხელნაწერებზე. „ტესტამენტის“ ქართული თარგმანი კარგად იყო ცნობილი ქართველ მეცნიერთათვის (კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ტ. რუხაძე, ლ. მენაბდე). მათ მიერვე იყო დამტკიცებული, რომ მთარგმნელი იყო ალექსანდრე არჩილის ძე და არა ალექსანდრე ბაქარის ძე, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობდა.

„ტესტამენტის“ ტექსტების შეჯერების საფუძველზე დადგინდა, რომ ალექსანდრე არჩილის ძემ თარგმნისთვის გამოიყენა 1680 წელს მოსკოვში გამოცემული, სიმეონ პოლოცკის მიერ რედაქტირებული ტექსტი. თარგმანის შესწავლის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ალექსანდრე აქაც სიტყვასიტყვით თარგმნის. ეს ნაშრომიც მაღალმხატვრულ დონეზეა შესრულებული: „კეთილ შესწრებულ არს სამეფო იგი, რომლისაცა შინა ანუ სიბრძნის მოყვარენი მეფობენ, ანუ მეფენი სიბრძნის მოყვარეობენ“. „არა არ არს ესრეთ მშვენიერ ყოველსა სოფელსა, ვითარცა სათნოება შემამკობელ არს მეფეთა, ვითარმედ სიკეთე მშვენიერებისა, ანუ სენისა მიერ, ანუ წელთა გამოსვლათა მიერ დაჭნების“. ზედმიწევნით სათუთად და ყურადღებით ექცევა ავტორი ტექსტს და ცდილობს ქართველ მკითხველს ორიგინალის ყველა ნიუანსიც კი აგრძნობინოს.

ალექსანდრე არჩილის ძის მთარგმნელობითი მოღვაწეობის განხილვისას არ შეიძლება არ მივაქციოთ ყურადღება მის მიერ მეფის კურთხევის წესის თარგმნას. თარგმანის დედანი ცნობილი არ იყო. მეფედ კურთხევის მრავალი რუსული ტექსტის შესწავლისას, ჩვენ შევძელით დაგვედგინა, რომ ალექსანდრემ დედნად გამოიყენა წესი, რომელსაც საფუძვლად დაედო მეფეების პეტრესა და იოანეს კორონაცია. მართალია, აღნიშნული წესის ავტორი არ მიუთითებს, თუ რომელი მეფეები ეკურთხნენ, მაგრამ ამის მიხვედრა არ არის ძნელი, ვინაიდან იოანესა და პეტრეს კორონაცია ორი მეფის ერთდროული კურთხევის ერთადერთი შემთხვევა იყო. ამასთან დაკავშირებით, იძულებულნი იყვნენ მეფის ძალაუფლების რეგალიების დუბლიკატები შეეკვეთათ.

რუსული წესის ავტორი წერს მეფედ კურთხეულ ორ უფლისწულ-

---

[9] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1952, გვ. 469.

ზე, მთარგმნელი მხოლოდ ერთ მეფეს ახსენებს, რადგან მას მხოლოდ რიტუალი, კურთხევის პროცესი აინტერესებს. არის შემთხვევა, როდესაც მთარგმნელს შეცდომაც ეპარება. მაგ: „... წარვლენ ო რ ნ ი ვ ე (ხაზგასმა ჩვენია. — ნ. ნ.) იგი მეფენი და დადგებიან წინაშე აღსავლის კართა ზედა და მიართმევენ მას წმიდა მირონსა სხვანი იგი მღვდელმთავარნი... და მიიღებს იგი მირონსა მას...“ კიდევ ერთი მეტად საინტერესო დეტალი: თარგმანში ძალიან ხშირად გვხვდება სიტყვები: „ქართული წესისამებრ, ქართულად“ და ა. შ. ზოგი აღწერილობა შემოკლებულია, ზოგი პირიქით—გავრცობილია (ლოცვები) და ძალიან გაქართულებული, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი შემოქმედებითად მიუდგა თარგმანს და სცადა შეექმნა ქართული წესი. ამ შემთხვევაში იგი დასახელებული ნაწარმოების თანაავტორადაც კი გვევლინება.

დაბოლოს, ერთ-ერთი ყველაზე საკამათო და საინტერესო თარგმანის შესახებ, რომელსაც ეწოდება „ლოცვა ახლად თარგმნილი რუსულისაგან“. „ქართული წიგნის“ I ტომში ეს ლოცვა აღნიშნულია იმ წიგნებს შორის, რომლებიც მოსკოვში დაიბეჭდა ქართულად 1739—1744 წლებში. იგივე წიგნი ა. აბრამიშვილს მოხსენიებული აქვს როგორც დიდი ბიბლიოგრაფიული იშვიათობა.

წიგნის ერთადერთი ეგზემპლარი დაცულია ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის სსრკ ხალხთა ლიტერატურის განყოფილებაში. ეს წიგნი (9,6 X 7) სულ 32 გვერდისაგან შედგება. დაბეჭდილია მოსკოვის სტამბისათვის ჩვეული ნუსხურით, ასეთი წვრილი შრიფტით მხოლოდ ეს „ლოცვაა“ ნაბეჭდი.

იმ გარემოებამ, რომ ჩვენამდე მოაღწია ამ წიგნის მხოლოდ ერთმა ეგზემპლარმა, ძალიან გაართულა კვლევა და აი, რატომ: წიგნს თავფურცელი აკლია, ხოლო ტექსტის პირველი გვერდი შემდეგნაირად გამოიყურება:

ზემოთ დაბეჭდილია:

I ლოცვა

II ახლად თარგმნილი

შემდეგ ორნახევარ სტრიქონზე დაწებებულია თხელი გაუმჭვირვალი ქაღალდი, რომელზეც შავი ტუშით, ნუსხურითვე წერია:

რუსულისაგან ქართულად
თარგმნილი ბატონი შვილის
ალექსანდრესაგან...



„ლოცვის“ პირველი გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სტრიქონების დამწერს, როგორც ჩანს, არ ეყო ადგილი და ალექსანდრეს სახელი მან სტრიქონს ზემოთ მოათავსა. ეს ფრიად მნიშვნელოვანი მინაწერია, რადგან მთარგმნელის ვინაობას გვაუწყებს. იბადება კითხვა: რა საჭირო იყო ამ ქაღალდის დაწებება? იგი იმ შემთხვევაში იქნებოდა გამართლებული, თუ გვერდი დაზიანებული იქნებოდა და საჭირო გახდებოდა ტექსტის აღდგენა. გვერდი არ არის დაზიანებული. დაწებებული ქაღალდის მიღმა შესაძლებელია ასოების ამოკითხვა. ასე რომ, ეს ტექსტის აღსადგენად არ გაკეთებულა. იგივე დაადასტურა დაზიანებული ნაწილის რენტგენოლოგიურმა ანალიზმაც, რომელიც ჩვენი თხოვნით ჩაატარა ლენინგრადის დოკუმენტების კონსერვაციისა და რესტავრაციის ლაბორატორიის გამგემ დ. ერასტოვმა. მან ტექსტი ინფრაწითელი სხივების ქვეშ მოათავსა (ასეთი წესით იკით-

„ლოცვის“ პირველი გვერდის აღდგენილი ნაწილი

ხება გადაშლილი წარწერები). რადგან არც ამან გამოიღო შედეგი, ერასტოვმა რთული წესით გადაიღო 3 ტექსტი — (ფურცლის ორივე გვერდისა და დაწებებული ტექსტები) და შემდეგი სურათი მიიღო:

ტექსტის აღდგენა ასეთნაირად მოხერხდა:[10]

რუსულითგან ქართულად

(არჩილი) ს მეფი (ს ძის) ალექსანდ-

რესაგან...

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ორიგინალში სიტყვა „თარგმნილი“ გამოტოვებული იყო და ქაღალდი დააკრეს ამ შეცდომის გასასწორებლად.

---

[10] დაფარული ტექსტის გაშიფვრაში დიდად დაგვეხმარა პროფ. ი. ლოლაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა თვით თარგმანს გავეცნოთ.

სახელწოდება — „ლოცვა, ახლად თარგმნილი რუსულისაგან“ — მიუთითებს იმაზე, რომ ეს „ლოცვა“ ადრეც ყოფილა თარგმნილი ქართულად, ხოლო ახლა ხელმეორედ უთარგმნიათ. სიტყვა „ახლად“ გამოტანილია სათაურში, რათა კიდევ ერთხელ გაესვას ხაზი ამ გარემოებას. ტექსტის ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ამჯერად საქმე გვქონდა სასულიერო ლიტერატურის რამდენადმე უჩვეულო მოვლენასთან.

ჩვენ, ბუნებრივია, არ ვენდეთ საკუთარ გამოცდილებას და მივმართეთ სამღვდელოების წარმომადგენლებს. სხვებთან ერთად ლოცვას გაეცნო თვით საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II და „ლოცვის“ უჩვეულობამ მისი გაკვირვებაც გამოიწვია.

ტექსტის წინ მოთავსებულია პატარა შესავალი, რომლის ნაწილი ჩვენ უკვე მოვიყვანეთ, ახლა კი გავიმეორებთ მას მთლიანად, ქარაგმების გახსნით:

ლ ო ც ვ ა

(ა) ხლად თარგმნილი
(რ) უსულისაგან ქართულად
თარგმნილი ბატონი შვილ
ის ალექსანდრესაგან წირვაზედ
სათქმელი და მარილ ზავებული
ყაფლანის (შ) ვილის (ტ)ფილელ
მიტროპოლიტის ნიკოლაოზის-
აგან: ამას ყოველნი იტყვიან რომელ-
თაცა ინებოს ერის კაცნიცა.

ეს წინასიტყვაობა შრავალმხრივაა საინტერესო. ჯერ ერთი, აქ ორჯერ გვხვდება სიტყვა „თარგმნილი“: „ლოცვა, ახლად თარგმნილი“ და იქვე „(რ) უსულისაგან ქართულად თარგმნილი“.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მეორედ ეს სიტყვა გვხვდება ჩასწორებულ ნაწილში, რაც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ იგი გამორჩენილი იყო ტექსტში.

მეორე: ამ მონაკვეთში მთარგმნელის სახელის გვერდით გვხვდება ახალი სახელი: „და მარილ ზავებული ტფილელ მიტროპოლიტის ნიკოლაოზისაგან“.

მესამე: ჩვენი ყურადღება მიიქცია სიტყვებმა: „ამას ყოველნი იტყვიან რომელთაცა ინებოს. ერის კაცნიცა“. ეს სიტყვები მიგვანიშნებენ ავტორის პრეტენზიაზე, რომ ეს ლოცვა წარმოთქვან სასულიერო პირებმა, და თუ მოისურვეს — ერის კაცებმაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რითია ასე უჩვეულო ეს ლოცვა?

უჩვეულოა მისი კომპოზიცია. მასში მოცემულია ლოცვები, რომლებიც უნდა წარმოთქვან მლოცველებმა ლიტურგიის დროს. ამაში, რასაკვირველია, არაფერია უჩვეულო, მაგრამ საქმე ის არის, რომ ავტორს სურს, მლოცველებმა კი არ გაიმეორონ ის ლოცვები, რომლებსაც კითხულობს მღვდელი, არამედ სულ სხვა ლოცვა წარმოთქვან. ასეთი სტილი დამახასიათებელია კათოლიკური ლოცვანებისათვის, მაგრამ ეს „ლოცვა" არ არის კათოლიკური, რადგან ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი — „მრწამსის სიმბოლო" — მოცემულია მართლმადიდებლური რედაქციით. ამგვარად, ხელთა გვაქვს მართლმადიდებლური ლოცვანი, შედგენილი კათოლიკურ ყაიდაზე.

ამ გარემოების ასახსნელად საბოლოო პასუხს ვერ მოგახსენებთ, მხოლოდ ჩვენ მოსაზრებებს გაგაცნობთ.

ინტერესს იწვევს სათაურში მოხსენიებული „ტფილელი მიტროპოლიტი ნიკოლაოზი", რომლის მიერ იყო „მარილ ზავებული" ეს ლოცვა.

„ტფილელი მიტროპოლიტი ნიკოლაოზი" გახლავთ ნიკოლოზ ორბელიანი, სულხან-საბა ორბელიანის ძმა[11]. მას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ქართული ლიტერატურის უანგარო მოღვაწე, ნიჭიერი ავტორი და ყურადღებიანი რედაქტორი, ვახტანგ VI სტამბის ერთ-ერთი უერთგულესი თანამშრომელი — ასე წარმოგვიდგება ნიკოლოზ ორბელიანი.

მისი სასულიერო-საეკლესიო მოღვაწეობა XVII—XVIII საუკუნეების მიჯნაზე დაიწყო. ეს ეპოქა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში დაკავშირებულია საქართველოს ერთ-ერთი უგანათლებულესი მეფის ვახტანგ VI ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან. ვახტანგ VI უახლოესი პოლიტიკური მრჩეველი და მესაიდუმლე, როგორც ცნობილია, სულხან-საბა ორბელიანი იყო. მისი ძმის, ნ. ორბელიანის სახელი ხშირად მოიხსენიება სინოდის საქმეებში, ხოლო 1726 წელს ნიკოლოზ ორბელიანი სინოდთან ვახტანგ VI შუამდგომლობით ხდება თბილელი მიტროპოლიტი.

ნიკოლოზ ორბელიანი გარდაიცვალა 1732 წელს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „ლოცვის" რედაქცია მას უნდა გაეკეთებინა 1726 — 1732 წლებში, რადგან ამ წლებში ატარებდა იგი ტფი-

---

[11] ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, ნ. ორბელიანი (სულხან-საბა ორბელიანი. საიუბილეო კრებული, თბ., 1959, გვ. 147—183); ი. ლოლაშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან, თბ., 1959; დ. ბრეგაძე. ქართული კულტურის მოღვაწენი რუსეთში. თბ., 1974.

ლელი მიტროპოლიტის“ ტიტულს. როგორც ჩანს, სწორედ ამ პერიოდში ეწეოდა ნიკოლოზი განსაკუთრებით აქტიურ რედაქტორულ მოღვაწეობას, რადგან მის მიერ რედაქტირებულ ნაწარმოებთა უმეტესობაზე „ტფილელი მიტროპოლიტის“ ტიტულს ვხვდებით.

როდესაც ნიკოლოზ ორბელიანის რედაქტორულ მოღვაწეობაზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში, ბუნებრივია, უნდა ვახსენოთ სულხან-საბა ორბელიანის „სამოთხის კარის“ რედაქტირებასა და მის კათოლიკური „სულისაგან“ განწმენდაზე ჩატარებული დიდი მუშაობა.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილმა ევროპაში ყოფნის დროს რომელიმე კათოლიკური ლოცვანი თარგმნა.

ამ გარემოების ახსნას რომ ვცდილობდით, კიდევ ერთხელ მივმართეთ ალექსანდრე ბატონიშვილის ბიოგრაფიას. ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა ფაქტმა, რომელიც ვ. სოპიკოვს აქვს მოხსენიებული. იგი წერს, რომ ჰოლანდიაში ყოფნისას პეტრე I (აქვე შეგახსენებთ, რომ მას თან ახლდა ალექსანდრეც) ჰაგაში დასაბეჭდად რამდენიმე სასულიერო წიგნი და ბიბლია შეუკვეთა. დაბეჭდვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ამ წიგნების უმრავლესობა კათოლიკური და ლუთერანული ყოფილა. როდესაც ამის შესახებ უწმინდესმა სინოდმა შეიტყო, გადაწყდა, რომ ყველა გამოცემა განადგურებულიყო. როგორც ვ. სოპიკოვი აღნიშნავს, რამდენიმე ცალი თუ გადარჩა.[12]

ბუნებრივია, ვივარაუდოთ, რომ კათოლიკური ხასიათის ლოცვანი ალექსანდრეს ამ დროს ჩაუვარდა ხელში და მან იგი მაშინვე თარგმნა.

სწორედ ამიტომ მოუხდა ტფილელ მიტროპოლიტ ნიკოლაოზს მისი „მარილ ზავება“, რათა კათოლიკური სულისკვეთებისაგან განეწმინდა. ჯერჯერობით, ჩვენი აზრით, ეს ყველაზე მისაღები მოსაზრებაა.

ყოველ შემთხვევაში ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ ამ „ლოცვის“ თარგმნა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ იგი უთუოდ ძალიან მრავალმხრივი და ნაყოფიერი მთარგმნელი იყო. ლოცვის უჩვეულობას რომ თავი დავანებოთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მისი შესანიშნავი ქართული ენერადობა, თარგმანის მაღალი მხატვრული დონე.

საერთოდ გაოცებას იწვევს ამ შრომისმოყვარე და მრავალმხრივი ნიჭის მქონე ქართველი ახალგაზრდის მოღვაწეობა, რომელმაც ბავშვობაში დატოვა სამშობლო, მაგრამ მთელი თავისი ხანმოკლე და ნათელი ცხოვრების მანძილზე გულით ატარებდა საქართველოს სიყვარულს, ზრუნავდა და იღვწოდა მისთვის.

---

[1] В. С. Сопиков. Опыт Российской Библиографии, т. I, СПб., 1904, с. 45.

ეროვნული ბიბლიოთეკა



წარსულის ფურცლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნები დროის ტალღებზე მოხეტიალე აზრის ხომალდებია, რომელთაც თაობიდან თაობამდე სიფრთხილით დააქვთ თავიანთი ძვირფასი ტვირთი.

ფ. ბეკონი

წიგნები განსაკუთრებული სამყაროა, წმიდა, კეთილი, რომელთა შორის ჩვენ შეგვიძლია ვიცხოვროთ და ვიყოთ გედნიერი.

ვორდსვორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან მენაგდე

მწიგნობრობა ძველ ქუთაისში

ქუთაისი საქართველოს მეორე ქალაქია სიდიდითა და მნიშვნელობით. ამასთანავე, ის მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია, რომელმაც განვითარების რთული და ძნელი გზა განვლო. ქუთაისის აღმოცენების ისტორია საუკუნეთა წყვდიადში იმალება, მაგრამ მისი დაწინაურება, როგორც სატახტო ქალაქისა, გვიანი ხანის მოვლენაა. მის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში რამდენიმე ძირითადი ეტაპი გამოიყოფა: ადრე ის იყო კოლხეთის სამეფოს ძლიერი ქალაქი, შემდეგ — „აფხაზთა სამეფოს" სატახტო ქალაქი, თითქმის საუკუნენახევარს (978—1122) გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქის ფუნქციას ასრულებდა, ხოლო გვიან ხანაში იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ ცენტრად იქცა.

საფიქრებელია, ქუთაისში ადრევე გაჩაღდებოდა ლიტერატურული საქმიანობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ძველ მასალას ნაკლებად ვიცნობთ. გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ქუთაისში კერა ძველი ქართული მწერლობისა, კერა კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობისა უკვე ადრეული ხანიდან, ყოველ შემთხვევაში, ბაგრატ მესამის (975—1014) დროიდან მაინც უნდა არსებულიყო. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა ბაგრატის მიერ 1007—1014 წლებში შედგენილი „აფხაზთა ისტორია", მისივე ინიციატივითა და დაკვეთით თარგმნილი ზოგიერთი ჰაგიოგრაფიულ-აპოკრიფული თხზულება (მაგალითად, „ცხორებაჲ წმიდისა ბაგრატისი, ტავრომენიელთ ქალაქისა მღდელთმოძღურისაჲ"), მის კარზე მომრავლება მწიგნობრებისა (რომელთა „ზედა მთავრად" ერთხანს გიორგი ათონელის ბიძა გიორგი მწერალი იყო) და სხვ. მაგრამ ეს ორიოდე ცნობა, რასაკვირველია, ძალზე ცოტაა გარკვეული დასკვნების გამოსატანად. ასე რომ, ქუთაისის კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრების ადრეულ ხანაზე ბევრს ვერაფერს ვიტყვით. შედარებით უკეთაა ცნობილი ის პერიოდი, როდესაც ქუთაისი იმერთა სატახტო ქალაქი იყო.

იმერეთის სამეფო კარზე მწიგნობრულ-საგანმანათლებლო ინტერესები ადრეული ხანიდან შეინიშნება. მოღწეულია გიორგი მეორის (1565—1585) შეკვეთით დამზადებული ხელნაწერი (K № 165), სოლომონ პირველის (1752 — 1784) მიერ შემკული სახარება (Q № 901) და მისი კუთვნილი „ვეფხისტყაოსანი“ (S № 5006), მზეხათუნ ბატონიშვილისეული (გარდ. 1830 წ.) „ვეფხისტყაოსანი“ (W № 17) და სხვ. ბევრი წიგნი გადაიწერა დავით მეორის (1784—1789) მეუღლის ანა დედოფლის (1765/70—1832) ინიციატივით — მისი დაკვეთით ხელნაწერებს ამრავლებდნენ იოანე მუსხელიშვილი (H № 1071), გიორგი ჯათიშვილი (H № 2365), ოსე გაბაშვილი (A № 301, Q № 328 და სხვ.), გელათის არქიმანდრიტი ზაქარია (Q № 895).

ნიჭიერი პოეტი იყო სოლომონ პირველის შვილიშვილი გიორგი ბაგრატიონი (1778—1807). იგი ქუთაისში აღიზარდა, იქაური ლიტერატურულ გარემოში გაიწაფა, იქვე გადადგა პირველი ნაბიჯები შემოქმედებით სარბიელზე.

გიორგი ბაგრატიონი ტახტზე პრეტენზიას არ აცხადებდა, მაგრამ ზოგიერთმა დიდებულმა სცადა მისი გამოყენება სოლომონ მეორესთან (1787—1810) ბრძოლაში. 1797 წელს სოლომონ მეფის ერთგულებმა „ციხესა შინა მუხურისასა“ გამოკეტეს. პირველმა გაქცევამ (1798) სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, მალე შეიპყრეს. 1806 წელს მეორედ გაიქცა ციხიდან და რუს ხელისუფლებთან გამოცხადდა, ხოლო 1807 წელს რუსეთის გზას გაუდგა.

გიორგი ბაგრატიონი, როგორც თვით აღნიშნავს, შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა „დროსა უმაღლესისა და უკეთილმსახურესისა სრულიად საიმერეთოსა და სხვათა მეფისა მეორე სოლომონის არჩილის ძისათა“, როდესაც „დაიწყეს თემთა ტრფობად ხელოვნებად სიბრძნისად“, „მიიღეს ნიში სწავლისა და სურვიელ იქმნენ სწავლათათვის“, მაგრამ საერო ლიტერატურას ბედი არ სწყალობდა — „უმეცართა არა ძალედვათ და მეცნიერნი არა იკადრებდნენ... შემართვად“. მას, როგორც ჩანს, სწორედ საერო ლიტერატურა იზიდავდა, იგი „ეგულსშინავებოდა“, ამიტომაც საერო ლიტერატურაში უცდია კალამი. კერძოდ, მუხურის ციხეში (1803—1804 წწ.) დაუწერია რომანტიკული ხასიათის ეპიკურ-ლირიკული თხზულება „ხუბმარდიანი“ (H № 2205), ხოლო რუსეთში (1807 წ.) — „თავგადასავალი“, უფრო ზუსტად — „შემთხუევანი იმერთა მეფის სოლომონის ძის ძისა გიორგი ალექსანდრესისა“[1]. მასვე ეკუთვნის ხელნაწერებში (H №№ 874, 1420; S № 1088

[1] „მოამბე“, 1900, V, გვ. 42—53.

და სხვ.) შემონახული ლექსები: „მოგიწერ დასა ტურფასა“, „ჰოი, რა გიწყო, ტირილი ვიწყო“, „ბრძენი მთხრბელს ირჩევს საჯდომლად“, მაჯამა („სახელით მზეობ, სახით მთოვარებ“), ანბანთქება („ავმა ბედმა გული დამწყლა“), ამბიკოები („არსთა მბადისა მაღნიტო“, „მესმა ხმა სანატრელი“), „ანბანთქება მეფის ასულს მზეხათუნზე თქმული“ („აღვამკობ ალვასა ამოსა“), ბესიკის ქება („რა ვაქო ბესარიონი“) და სხვ. აღსანიშნავია, რომ გიორგი ბაგრატიონის არაერთი ლექსი (თუ ლექსის ნაწილი) — „მოგშორდი სულსა“, „ვართ კარგის მგონე“, „ამბავს ავწერ ადრინდელსა“, „აღვახვამ ქებად ბაგესა“, „როს განვიცადე, ტურფაო“, „მე სული ჩემი ფეშქეშად“ — ბესიკისეულად იყო მიჩნეული და ზოგჯერ მის თხზულებათა კრებულშიც იბეჭდებოდა. ეს ფაქტი რამდენადმე უკვე მიგვანიშნებს როგორც ამ ლექსების მხატვრულ ღირსებაზე, ისე ბესიკის პოეზიასთან მათ მსგავსებაზე.

როგორც ჩანს, გიორგი ბაგრატიონმა ჯერ კიდევ ყრმობაში გაიცნო ბესიკის ლირიკა, შემოქმედებითად აითვისა მისი ტრადიციები. მათ ლექსებში იგრძნობა სიტყვიერ-ლექსიკური თანხვდენილობა, მუსიკალური მსგავსება, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ერთიანობა. იგი ბესიკის პოეზიის მიმდევარია, მისი ლექსებით შთაგონებული და მისგან დავალებული შემოქმედია. მადლიერებისა და პატივისცემის გრძნობითაა აღსავსე ის პოეტური სტრიქონები, რომლებიც მან ბესიკს უძღვნა.

ქუთაისის ადგილობრივ ლიტერატურულ მოღვაწეებს ხშირად ემატებოდნენ აღმოსავლეთ საქართველოდან ამა თუ იმ მიზეზით გადასული მწიგნობრებიც; ქუთაისის შემოქმედთა წრეს ამშვენებდნენ თეიმურაზ პირველი, არჩილი, ბესიკი.

თეიმურაზ პირველი (1589—1663) ადრეც რამდენჯერმე გადავიდა დასავლეთ საქართველოში (1614, 1616 წწ.), ხოლო 1643 წლიდან საკმაო ხნით, 7 წლით, დამკვიდრდა იმერეთში. სიძემ, იმერთა მეფე ალექსანდრე მესამემ (1639—1660), იგი პატივით მიიღო, ქუთაისში დააბინავა, ხოლო შემდეგ საცხოვრებლად რაჭა მიუჩინა. იმ დროს, დასავლეთ საქართველოში ყოფნისას, თეიმურაზმა თარგმნა-გადმოაკეთა რამდენიმე თხზულება, დაწერა ლექსებიც. „გაბაასებაში თეიმურაზისა და რუსთველისა“, თეიმურაზი ამბობს:

ახლა ვსთქვი შვიდის კრებისა მამათა წმინდათ დასება,
სჯულის სიმტკიცე ნათლისა მით მიერ შეიმოსება,
სარწმუნოება მართალი მუნითგან დაეთესება,
ჯერკვალთა, დრკუთა, მწვალებელთ ოდითგან ეყო დავსება.

ვარდს ბულბული გავაუბნე, შემოდგომა გაზაფხულსა,
კვლავ სანთელსა პეპელაი, მისგან დამწვარ-დადაგულსა,
ამ დროს ლექსი ვით გავაწყევ, ძლივდა მხედავ მე სულდგმულსა,
მუნ „მაჯამას“, — შეყრილს, — ვხედავ, არ იქი-აქ დაკარგულსა[2].

როგორც ამ სტრიქონებიდან ჩანს, თეიმურაზს დასავლეთ საქართველოში დაუწერია (თუ გადმოუკეთებია) რამდენიმე თხზულება. მართალია, ზოგიერთი დასახელებული ნაწარმოები („შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“, „შამფარვანიანი“...) რაჭაშია დაწერილი, მაგრამ, საფიქრებელია, ზოგი რამ მან უშუალოდ ქუთაისში დაწერა, როდესაც იქ სახლობდა და აქტიურად მონაწილეობდა როგორც იქაურ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ისე შემოქმედებით საქმიანობაში. თავისი პოეტური ნიჭით, მგრძნობიარე ლექსებითა და შთამაგონებელი პოემებით თეიმურაზი გარკვეულ გავლენას მოახდენდა ქუთაისის ლიტერატურულ საზოგადოებრიობაზე.

იმერეთში გახიზნულ თეიმურაზს უთუოდ სხვა მწიგნობრებიც გაჰყვებოდნენ. თუ თეიმურაზთან ერთად არა, ყოველ შემთხვევაში, თეიმურაზისა და როსტომ მეფის (1633—1658) ბრძოლის ჟამს გადასულა იმერეთში პოეტი ფეშანგი ხითარაშვილი. იგი ჯერ ჩხარში ცხოვრობდა, შემდეგ დაუახლოვდა სამეფო კარს და „იმერელთ მეფის მდივან-მწიგნობრობასაც“ კი მიაღწია. ფეშანგი წერდა საბუთებს[3], მონაწილეობდა რუსი დიპლომატებისა და იმერეთის სამეფო კარის მოლაპარაკებაში. გიორგი ლეონიძის აზრით, მასვე შეუდგენია იმერეთის სამეფოს გეოგრაფიული, ეკონომიკური და სტატისტიკური აღწერილობა და იმერეთის მეფის ალექსანდრე მესამის ფიცის წიგნი რუსეთის სახელმწიფოს მფარველობის მიღებაზე.

ქუთაისში ცხოვრობდა არჩილ ბაგრატიონიც (1647—1713), რომელიც ხუთჯერ ავიდა იმერეთის სამეფო ტახტზე (1661—1663, 1678—1679, 1690—1691, 1695—1696, 1698 წწ.). მართალია, იგი სულ ბრძო-

---

[2] არჩილი, თხზულებათა სრული კრებული. ა. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, II, თბ., 1937, გვ. 121. სხვათა შორის, არჩილმა დაწვრილებით აღწერა თეიმურაზის იმერეთში ყოფნა, ქუთაისში ცხოვრება, დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებთან ურთიერთობა და სხვ. (იქვე, გვ. 55—56, 65, 118—119).

[3] საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, II, თბ., 1909, გვ. 89—90; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466—1770 წწ.), I, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1958, გვ. 30—31.

ლაში იყო ჩაბმული, ხან თურქ-ოსმალებს ეომებოდა, ხან ურჩ ფეოდალებს ებრძოდა, მაგრამ დროდადრო ლექსებსაც თხზავდა.

1724 წელს ქუთაისში ჩავიდა და ერთხანს იმერეთის სამეფო კარზე იმყოფებოდა ნიკოლოზ რუსთველი (ჩერქეზიშვილი, გარდ. 1735 წ.) — ლიტურგისტი, მქადაგებელი, ჰიმნოგრაფი, ქართლიდან იგი ვახტანგ მეექვსეს (1675—1737) გაჰყვა, მაგრამ რუსეთში აღარ წავიდა, იმერეთში დარჩა, ალექსანდრე მეხუთის (1720—1751) კარზე, სადაც განაგრძო შემოქმედებითი საქმიანობა.

ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა იმერეთის მეფეს მიართვა „ქართლის ცხოვრების“ ძვირფასი ხელნაწერი მიძღვნით „ნიკოლაოზ კახი რუსთველი ამკობს მეფეს ალექსანდრეს იმერელს“:

ნებროთიანი თარგამოს ქართლს იჯდა პირველ ძეობით,
მერმე ფარნავაზ ტახტოსნად, იდგა სიქველით, მხნეობით,
არშაკუნიანთც იმეფეს, მიერ ხვასროვანთ სვეობით,
აწ ვსუფევთ ბაგრატოვანნი, ვგიეთ ღმრთის მესათნეობით.
ეს წიგნი მრავალ ნათესავთ მომთხრობი ყველას ხსენებით,
ქართლს, კახეთს, მცხეთას, რანს, ხუანს, იმერეთს გეტყვის ენებით,
აფხაზეთს, ჯიქეთს, გურიას, სამცხელთ და კლარჯელთ ხევნებით,
ეს ყველა ჩვენ გვმორჩილობდენ მდაბლათ და ყმურათ, ქენებით[4].

მასვე დაუწერია დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის გრიგოლის (1696—1742) მიერ ბიჭვინთისათვის ბოძებული „იადგარი მამულისა და შემწირველობისა“ (1733), რომელსაც ახლავს იამბიკო აკროსტიქით „ნიკოლაოზ რუსთველი ვმუსიკობ“[5].

იმერეთის სამეფოში გადავიდა ზაქარია გაბაშვილიც (1707—1782), რომელსაც იოანე ბაგრატიონი ასე ახასიათებს: „ძველთა ფილოსოფიისა სწავლათა შინა გამოცდილი და ღვთისმეტყველებასაცა მიწევნილი, მშვენიერი რიტორი და უცხო მოქადაგე... მშვენიერი მწერალი და მთხზველი მაღალსა ფრასსა ზედა, უცხო პიიტიკოსი“.

1764 წლის დოკუმენტი, — „განჩინება და მსჯავრი სამოციქულოჲ ზემოჲსა საქართველოჲსა მამამთავრისა ანტონის მიერ და ეპისკოპოს-

---

[4] Е. Такайшвили, Описание рукописей «ОРГСГН», II, 1 т., 1960, გვ. 49—50; ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, I, შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებულია ე. ნიკოლაძის მიერ, თბ., 1953, გვ. 169—170.

[5] დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, გამოცემული ს. კაკაბაძის მიერ, თბ., 1921, გვ. 131—147; ქართული სამართლის ძეგლები, III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 718—735.

თა სამეუფოსა ქალაქსა ტფილისს, პალატსა საკათალიკოსოსა შეკრებულთაგან ზაქარიასთჳს ხუცისა და ვიეთთამე მიმდგომთა მისთა, ცხადად დამთრგუნველთა სჯულთა საღმრთოთა და მამათა კანონისათა“,— გვამცნობს, რომ ზაქარია გაბაშვილი ადრევე „წარვიდა სხვად სამეფოდ“, „განიპარა სამეფოჲთა საქართველოჲსათა“[6]. ამ ცნობის მიხედვით საფიქრებელი ხდება, რომ იგი ჯერ კიდევ 1762—1763 წწ. გადასულა იმერეთს. 1764 წელს „პყრობილი“ ჩამოიყვანეს თბილისში და სასტიკად დასაჯეს. მას შემდეგ, რაც განკვეთეს (18. IX. 1764), ზაქარია გაბაშვილის აღმოსავლეთ საქართველოში დარჩენა შეუძლებელი შეიქნა; 1767 წლიდან იგი რუსეთში ჩანს, ხოლო 1771 წლიდან იმერეთში დამკვიდრდა.

ქუთაისში ზაქარია გაბაშვილი პატივით მიიღეს. იგი დაუახლოვდა ხელისუფლებას, დაწინაურდა სამეფო კარზე, წერდა საბუთებს[7], განაგრძობდა ლიტერატურულ საქმიანობას. იმ პერიოდის ჩანაწერებიდან აღსანიშნავია შესხმა-მილოცვა[8], რომლითაც მწერალმა სოლომონ პირველს ამაღლებული ტონით, მაღალფარდოვანი სტილითა და საზეიმო განწყობილებით მიულოცა ჩხერის ომში (1774) თურქ-ოსმალებზე გამარჯვება. ამ უსათაურო თხზულებაში, რომელსაც პირობით „სოლომონ პირველის ხოტბას“ უწოდებენ, უსაზღვროდ გახარებულმა და გულწრფელად აღფრთოვანებულმა სიამაყის გრძნობით აღწერა მტრის დამარცხება, შეაქო და განადიდა სარდალი, რომელმაც ძლევამოსილად დაასრულა რთული სამხედრო ოპერაცია. მან ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სოლომონმა „მოუგონებელი ძლევა-გამარჯვება“ მოიპოვა, მუსრი გაავლო ოდინდელ მტერს, „ისწავა თათართა სისხლით შეღებვა მიწისა და ხუთი ათასი სული ერთად აღმოხეთქა თათარ-ლეკთა“; ამით მან „ერთა და მეგობართა გული გაუცისკროვნა; ცამან იხარა და ქუეყანამან; ჯოჯოხეთმანც გაიხარა: ხუთი ათასი თათრის ბილწი სუ-

---

[6] ბ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა (კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი), თბ., 1900, გვ. 169; ქართული სამართლის ძეგლები, IV, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 505.

[7] ისტორიული დოკუმენტები, I, გვ. 129—132; ქართული სამართლის ძეგლები, II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 428—433.

[8] ვინმე მესხი [ი. გვარამაძე], ისტორიული მასალები, „დროება“, 25. IX. 1879, № 198; ლ. ქუთათელაძე, ზაქარია გაბაშვილის რიტორული თხზულება და მისი დაწერის თარიღი, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIX-B (1956), გვ. 41—46.

ლი ერთად ჩაყლაპა! მამადის საფლავი დაიქცა, მურთუზალის ოჯახი დაეცა, ომარ გლოვის ძალით შეისუდრა. ხუთი ათასი სული ერთად მოკუდა!“

ზაქარია გაბაშვილმა შემოქმედებითი აღმაფრენითა და მხურვალე მამულიშვილური გრძნობით გამოხატა საერთო-სახალხო სიხარული ჩხერის ომის ქართველთა სასახელო გამარჯვებით დამთავრების გამო. იგი, ვითარცა კარის მეხოტბე-ორატორი, ბუნებრივია, ძირითადად სოლომონს მიაწერდა გამარჯვებას, მას აქებდა და ადიდებდა: „ნამდვილი არსი ვიყო, ყოველს უსხეულოს სახეებს ჯარად შეგიყრი და მუდამ შენის ძლევა-გამარჯვების გალობას ტკბილშეწყობილი კილოთი ვაგალობებ; საუკუნოება ვიყო, სამარადისოდ მეფობაშიდ დაგიცავ და სიკუდილის შავს დროშას შენს დიდებულს კარზედ არაოდეს მოუშვებ; ეთერის ცეცხლი ვიყო, ყოველს ღამეს ლამპრების ჩირახოვანს შენ და შენს მხედრობას დას-დასად აუნთებ“.

ზაქარია გაბაშვილს არ ძალუძდა დუმილი და მოზღვავებული გრძნობის დაოკება, გულწრფელად სურდა გამარჯვებული მეფისა და სარდლის ქება, თუმცა თავი არ მიაჩნდა ამის შემძლედ; „უკეთუ დავდუმდე, ვილა უნდა ვაქო? და თუ კალამს ხელი მოვავლო, პირველად არა მაქუს სიტყვა და მერმე ეგოდენი ქაღალდ-მელანი, რომ შენის ახოვნების ქების გამოთქმას გასწუთეს“, — მიმართავდა იგი სოლომონ პირველს.

მართალია, ზაქარია გაბაშვილი მეტწილად სოლომონ მეფეზე წერდა, მას მიაკუთვნებდა თავისი მიწა-წყლისათვის ბრძოლაში გამარჯვების უმთავრეს პატივს, მაგრამ ფეოდალური ურთიერთობის ხანაში, გამარჯვებისა და საყოველთაო ზეიმის ჟამს კარის მოღვაწე სხვანაირად ვერც მოიქცეოდა. საგულისხმოა, რომ უკანასკნელად მან ერთხელ კიდევ მიმართა უშუალოდ სოლომონს: „ერსა და სამეფოში მშვიდობა ჩამოაგდე, მეზობელთა და გარემოთაცა შენთა მშვიდობა მიფინე; ჭეშმარიტის გულით ინებე და ქმენ მშვიდობა“. ამ სიტყვებით იგი წარმოგვიდგება მამულისა და მშობელი ხალხის ბედით, მშვიდობით, ნათელი მომავლით დაინტერესებულ მწერალ-მოქალაქედ.

ეს შესხმა-მილოცვა ქართული ორატორული ხელოვნების, სადღესასწაულო მჭევრმეტყველების საყურადღებო ნიმუშია.

ქუთაისში მოიყარეს თავი ზაქარია გაბაშვილის შვილებმაც — იოსებმა, ბესარიონმა (ბესიკმა), ნიკოლოზმა, ოსემ... ისინიც დაწინაურდნენ სამეფო კარზე. კერძოდ, იოსები, რომელიც ადრე მამასთან ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თად შეაჩვენეს, იმერეთში სახლთუხუცესი გახდა, მამულებიც მიიღო[9], ცნობილია მის მიერ დაწერილი საბუთები 1776—1777 წლებისა[10]; ასევე დაწინაურდა ნიკოლოზიც, რომელიც 1785-1803 წლების საბუთებში ხშირად იხსენიება. მას „ერთგულებისა და მსახურებისათვის“. ყმაგლეხებიც კი უწყალობეს. იგი ქუთაისში ეწოდა მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობას, თარგმნიდა (K № 129), წერდა საბუთებს[11]; არაერთი ხელნაწერი დაამზადა ოსემ.

საგანგებოდ უნდა მოვიხსენიოთ ქართული მხატვრული სიტყვის ბრწყინვალე ხელოვანი, ლექსის ვირტუოზი ბესარიონ გაბაშვილი — ბესიკი (1750-1791) — „მეცნიერებასა შინა გამოცდილი და უცხო პიიტიკოს-მოშაირე, მსგავსი რუსთაველისა, რომელმანცა მრავალი საამოშაირი დაწერა“ (იოანე ბაგრატიონი).

ბესარიონ გაბაშვილი 1777 წლის შემდეგ ქართლში აღარ ჩანს. საფიქრებელია, ქართლში შექმნილი პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი მდგომარეობის გამო იგი ამ წელს გადავიდა იმერეთში, სადაც დაწინაურდა სოლომონ პირველის კარზე, ხოლო შემდეგ — დავით მეორის ზეობაში, მისი გავლენა იმდენად გაიზარდა, რომ მდივანთუხუცესი (ეს იყო გამონაკლისი, დაშვებული ბ. გაბაშვილისათვის. სხვა შემთხვევა იმერეთის სამეფო კარის მდივანთუხუცესობისა უცნობია), მეფის პირველი მრჩეველი და თანამზრახველი გახდა[12].

ბესარიონ გაბაშვილს იმერეთში თავადობაც ებოძა, ხოლო 1787—1791 წლებში დიპლომატიური მისიის მეთაურობაც დაევალა: „უპირატესი მდივანი და მწიგნობართუხუცესი ბესარიონ ზაქარიას ძე გაბაონელიძე“ 1787 წლის 29 მაისს რუსეთს წარიგზავნა[13].

ქუთაისში ბესიკმა დაწერა არაერთი საინტერესო ნაწარმოები: „ცრემლთა ისხარნი“, „ასპინძისათვის“, „სამძიმარი“, „რუხის ბრძოლა“, „ქება სოლომონ მეფისა“, „სოლომონ მეფის ეპიტაფია“, „დედოფალს ანაზედ“ და სხვა.[14]

„ცრემლთა ისხარნი“ აღმოსავლეთ საქართველოდან გაძევების შთა-

---

[9] დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, გამოცემული ს. კაკაბაძის მიერ, II, თბ., 1921, გვ. 56.

[10] იქვე, გვ. 50—51.

[11] იქვე, გვ. 85, 140.

[12] რ. აბესაძე, სამეფო დომენის სამოხელეო აპარატი იმერეთში XVIII საუკუნის II ნახევარში, ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, თბ., 1971, გვ. 209.

[13] ვ. მაჭარაძე, ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, თბ., 1968.

[14] ბესიკი, თხზულებანი, თბ., 1962, გვ. 39 — 41, 46 — 47, 62 — 65, 81 — 85, 122 — 147.

ბეჭდილებითაა შეთხზული და ნათლად გვაცნობს ექსორიაქმნილი პოეტის სულიერ განწყობილებას. ბესიკმა გულისტკივილით გამოიტირა მშობლიური ადგილებიდან განდევნა:

> ცრემლთა ისხარნი, მოსისხარნი, ჩვენდა არენით,
> ილმენით გულნი, ჭირნახულნი, შეგვიწყარენით!
> უცხონი თემით სოფლის ცემით გავიხარენით.

პოეტი შეაძრწუნა შექმნილმა ვითარებამ — „დაჰბერა ქარმან დაუწყნარმან“, „დაბინდნა თვალნი“, „დაბერდა ყური“. იგი სიყვარულით იგონებს მეგობრებს, თანამოძმეთ, რომელთაც ანაზდეულად დაშორდა:

> როს გვაგონდებით, შევღონდებით, ლომნო ყმა-ძმანო,
> თანზრდილნო სწორნო, განა შორნო, საყვარლად კმანო!

იმერეთს გახიზნული ბესიკი „ცრემლთა ისხარნის“ დაწერისას ჯერ კიდევ არ იყო გულაყრილი ერეკლე მეორეზე, ყოველ შემთხვევაში, მას არ მიიჩნევდა მტრად, ამიტომაც წერდა:

> ხელმწიფე, გული ცეცხლდაგული, სულით გამყოფლით,
> ჭირსამცა თქვენსა, თუ გალხენსა, მოიხმარენით!

ოდაში „ასპინძისათვის“ აღწერილია ქართველთა ბრძოლა მომხდურ მტერთან — თურქ-ოსმალთა და ლეკთა მხედრობასთან, სისხლისმღვრელი ომი, რომელშიც ქართველთა ლაშქარმა სასახელო გამარჯვება მოიპოვა (20. IV. 1770). მართალია, ოდაში იხსენიება მთავარი გმირი ასპინძის ბრძოლისა — ერეკლე მეორე („თვით მეფე, ქართველ და კახნი ომის ხალისით ხლდებოდენ“, „მიულოცვიდენ მეფესა, იეფდა კაცნის ძღნობანი“), მაგრამ წინა პლანზე წამოწეულია სარდალი დავით ორბელიანი (გარდ. 1796 წ.). „ასპინძის მიწა გიწამებს“,—მიმართავს პოეტი ძველ მეგობარს და არსებითად მას მიაწერს მტრის ძლევას. ერეკლეზე გამწყრალი რამდენადმე აზვიადებს დავითის დამსახურებას: „ხან გთქვიან კაცად, ხან ფრინვლად, ხან გმირად პილოს ტანათა“, „დაჰფრიწენ მათნი წყობანი“, „კვლავ იქეთ ლეკთა ჩაუხდი, დამართნი ცისა გრეხანი“, „მი და მო ჰკაფდი უწყალოდ, მჭვრეტნი გაქებდეს მხნობითა“, „მწყურვალე ხრმალი დაგეთროთ“ და ა. შ. მიუხედავად ერთგვარი ტენდენციურობისა, ბესიკმა შეთხზა პატრიოტული მგზნებარებით აღსავსე ოდა, რომელიც ცხადყოფს, რომ მას სწორად ესმოდა ქართველთა გამარჯვების ისტორიული მნიშვნელობა.

აღმოსავლეთ საქართველოში ყოფნის შთაბეჭდილებითაა დაწერილი ბესიკის კიდევ ერთი ნაწარმოები — სამგლოვიარო ოდა „სამძიმარი“, რომელშიც მსგოსანმა ცხარე ცრემლებით, გულმხურვალედ დაი-

ტირა თავისი ყრმობის მეგობარი ლევან ბატონიშვილი (1756—1781). უსაზღვროდ დამწუხრებული პოეტი ნაღვლიანად იგონებდა ერთად ყოფნას, „ერთსულობას“, „მეგობრობას“, „პატრონისდა ყმობას“. იმერეთს გახიზნულმა და ერეკლეს მოწინააღმდეგეთა ბანაკში მოხვედრილმა ბესიკმა მაინც მწვავედ განიცადა ერეკლეს რჩეული ვაჟიშვილის, გულადი მეომრის დაღუპვა:

ლეონის თოფი
ნეტარ თუღა არს მყოფი!
ლეონის ხრმალი,
ვაი, თუმცა არს მშრალი!
ლეონის შუბი
ან თუ სხვათ შენატყუბი?
ლეონის დამბაჩა
ცოცხალიღა თუ დარჩა?
ვაი, სატევარი
უმისოდ საწყევარი!

იმერეთში დაწერილ თხზულებებში ბესიკმა რამდენადმე არაობიექტურად წარმოაჩინა ერეკლე მეორე და განადიდა ახალი მწყალობელი პატრონი სოლომონ პირველი. ამ მხრივ საინტერესოა პოემა „რუხის ბრძოლა“, რომელშიც გაცოცხლებულია საკარო-სახოტბო პოეზიის ტრადიციები და რიტორული ენაწყლიანობით შექებულია სოლომონისა და მისი თანამებრძოლების გმირობა და ვაჟკაცობა.

1779 წელს თურქ-ოსმალთაგან წაქეზებულმა აფხაზებმა, ალანებმა, ჯიქებმა, ჩერქეზებმა და სხვა მთიელებმა შეუტიეს ოდიშის სამთავროს; კაცია II დადიანის (1758—1788) თხოვნით, თანამოძმეთ მიეშველა იმერეთ-გურიის მხედრობა სოლომონ პირველის მეთაურობით. გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა რუხის ციხის ახლოს. ერთი ხელნაწერის ცნობით, „რუხის ბრძოლა“ არის „შესხმა იმერთა მეფე სოლომონ პირველისა დავითიან-ბაგრატოვანისადმი თქმული ბესარიონ ზაქარიას ძის გაბაონისაგან, რომელიცა მიართვა მან მეფესა თვით ჴელითა თვისითა დღესა ქრისტეს აღდგომისასა და მიულოცა მით აღდგომა ქრისტესი და ძლევა ძლიერი აფხაზთა, ჯიქთა და ალანელთა ზედა, პროზად და შაირად შეთხზული“ (H № 1150).

ქართველთა გამარჯვება შთამბეჭდავი იყო; მართალია, ბესიკმა ჯარის პოეტისათვის დამახასიათებელი პანეგირიკული ტონითა და მაღალფარდოვანი სტილით შეაქო მეფე და მისი თანამებრძოლები, მაგრამ, ამასთანავე, გულწრფელი სიხარული გამოხატა მომხდურთა დამარცხების გამო. სიამაყის გრძნობითაა აღბეჭდილი მისი სიტყვები:

„დღეს დაცემა იქმნა ქედმაღალთა მათ უცხო თესლთა აგაროვანთა და აღსდგა პირი დავრდომილი ჩვენ ქრისტიანეთა“. ბესიკი აღფრთოვანებულია სოლომონის მხედრული და მოქალაქეობრივი ღირსებებით:

ერთპირობისა გზათა მრებელი,
არს სახალისო სასტუმრებელი;
სადაა საქმე შეუძლებელი,
იგი მუნ არის გამმარჯვებელი.

პოეტმა ისე საგანგებოდ აღწერა ბატალური სცენები, რომ არაა გამორიცხული მისი უშუალო მონაწილეობა რუხის ბრძოლაში.

1782 წელს, როდესაც რუსეთის ხელისუფლებამ სოლომონ პირველი ორდენით დააჯილდოვა, ბესიკმა დაწერა „ქება სოლომონ მეფისა“, რომელშიც ერთხელ კიდევ შეასხა ხოტბა იმერთა მბრძანებელს. „ქებაში“ სოლომონი „სიბრძნითა ბრძენია“, „ტანად საროსებრ აღყვავებულია“, „ხრმალბა სრულესულია“, მან „მტერს დაჰკრა კვერთხი“ და უკუაქცია. პოეტი მოწიწებით მიმართავს მეფეს, ლოცავს და გამარჯვებას უსურვებს მას:

ხელმწიფევ დიდო, ყოვლით სადიდო,
მომლოცველი ვარ ამა ნიშისა,
გადიდოს ღმერთმან, სამებით ერთმან,
მვედრებელი ვარ სულის წმინდისა!
სიცოცხლე მოგცეს, მტერი დაგიცეს,
მხიარულ იქმენ დღეს ამ ნიჭისა!
ამაღლდეს ტახტი, ვით არარატი,
ვერვინ შეიქმნეს მზრახე იშისა!

აღსანიშნავია, რომ ბესიკი აქებდა რა სოლომონ პირველს, მასში, უპირველეს ყოვლისა, ხედავდა ხალხის მეთაურს, რომელსაც ევალებოდა მოძალებული მტრის წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლა ქვეყნის სასიკეთოდ და თანამემამულეთა საკეთილდღეოდ. მან „სოლომონ მეფის ეპიტაფიაშიც“ (1784) საგანგებოდ გამოყო და აღნიშნა სოლომონის დამსახურება თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში („აღვსთქვენ და აღვფხვრენ აგარიეთ ოსმალნი, ჩემზე ზე მყოფნი...“).

ბესიკის შემოქმედების ქუთაისის პერიოდიდან აღსანიშნავია საყოველთაოდ ცნობილი ლექსი „დედოფალს ანაზედ“, რომელშიც შექებულია იმერეთის მეფის დავით მეორის მეუღლე ანა დედოფალი — ბესიკის მფარველი და მწყალობელი პატრონი:

ვფუცავ მე არვინ მიხილავს,
რომ არს შვენებით ანაო!
მთვარესა ეზრახებოდა:
„შენ ვერ ხარ ჩემისთანაო!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავნი მისდა სამონოდ
გარს უდგენ თანისთანაო!
მხილველნო დამემოწმებით:
კარგი ყოფილა განაო!
ცნობა მიმიღო და გული,
ხედვით შემზღუდა ანამან,
კვლავ მომკლა მისმან ციალმან
და წელთა მიმოტანამან;
კოკობსა ვარდსა ნარგიზმან
აპკურა ცრემლი, ანამა.
ჯობს, რომ არ ჰყავდეს მიჯნური,
ან მოკლას ამისთანამან!

ზემოგანხილული მასალა უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქუთაისში დასახლებული ბესიკი ღირსეულად აგრძელებდა თავის შემოქმედებით საქმიანობას.

დაახლოებით იმავე ხანაში ცხოვრობდა ქუთაისში სოლომონ პირველის სიძე, ქსნის ერისთავთა ოჯახის წევრი, სამკვიდროჩამორთმეული პოეტი ელიზბარ ერისთავი (1738 — 1813). იგი ერთგულად ემსახურებოდა სოლომონს, ვაჟკაცურად იბრძოდა მის მხარდამხარ რუხის ციხესთან. ბესიკის სიტყვით,

ავაზობდის, გავაზობდის,
დაჰქროლვიდის და სთრთოლვიდის,
ნავარდობდის, შავარდნობდის,
მიწას დასცის, დაჰქროლვიდის...

გვართა სახის გარდმომხატი შალვაობს და ელიზბარობს,
სჯულისა და მეფისათვის სისხლთა დენას ვერ იკმარობს,
შუად რაზმად შევლის ფრეწად, წინადგომთა დამამწარობს,
მათ თხათაებრ ლომი ხოცს და მისსავ თათსა დაიგვარობს.

ელიზბარ ერისთავი კიდევ უფრო დაწინაურდა დავით მეორის მეფობაში. მან მეფის პირველი ყარისკაცის პატივი მოიპოვა.

ელიზბარ ერისთავი რომანტიკული განწყობილების პოეტია. მის პოეზიაზე ბესიკის ლირიკის გავლენა, რაც თვალნათლივ ჩანს, იმერეთში მათი ერთობლივი მოღვაწეობისა და ახლო ურთიერთობის შედეგია (ბესიკის პოეზიასთან მსგავსების გამო, ელიზბარ ერისთავის ლექსებს ხშირად ბესიკისეულად მიიჩნევდნენ). მის ლექსებში („ვაი, ეს დრონი", „ვემონე მასა")[15] შეინიშნება ავტორის სულიერი მღელვარება

[15] ტ. რ უ ხ ა ძ ე. ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბ., 1954, გვ. 231—232.

და ტრაგიკული განცდა, მკაფიოდ ისმის გულშეჭირვებული პოეტის გოდება:

ვაი, ეს დრონი, საეედრონი მომცემს წყენასა,
ვინ უძლოს ჭირსა ჩემთა თქმასა ანუ სმენასა...
ვჰგმე იგი ჟამნი დრკუ და ავნი, გასამწარენი...
გამოკრთა ელვა, ვითა ღელვა, მიმტაცა ცნობა,
ტყვექმნილმან გულმან, დადაგულმან ვერა ჰყო თმობა.
ვიგლოვოთ მწარედ, ჩვენდა არედ, ჩავიცვათ თალხი,
ბედი გაბრუნდა და დაბრუნდა უკუღმა ჩალხი.

1779 წელს იმერეთში ჩავიდა ერეკლე მეორის მოწინაღმდეგე დასის კიდევ ერთი წარმომადგენელი, პოლიტიკური მოღვაწე და მოაზროვნე ალექსანდრე ამილახვარი (1750—1802). მან ქუთაისში დაწერა და იმერეთის მეფეს მიართვა (1780) ტრაქტატი „ბრძენი აღმოსავლეთისა ანუ განზრახვაჲ მისი საჴელმწიფოჲსათჳს მმართებლობისა, შეძღვნობილი სამმადლობელად აწ მპყრობელად მეფისად იმერთა სოლომონისა თავადისა მიერ ალექსანდრე ამილახორის შვილისა“[16]. ამ ათთავიან თხზულებას (რომლის შედგენილობა ასეთია: მეფეთა მმართებელობისათვის, თავადთა და მთავართათვის, სამეფოისათა, მხედართა და მთავართა მათთათვის, სამღუდელოთა წესთათვის, ვაჭართათვის, გლეხთათვის და ა. შ.) უძღვის მიძღვნა სოლომონ პირველისადმი, ერთვის ერთსტროფიანი ლექსი:

მცირე ვჰყავ ჭირი, ვაუბენ პირი, შესაწევნელად მამულთა
თვისთა,
სიყრმითგან ჩემით, ჭკუა-გასაჩემით, შევუპყრავ შურსა
კეთილად ვისთა;
თუ ჩემებრ ძმანი ცდილობენ სხუანი, ბედნიერ ჰყოფდენ
ყოველთა მისთა,
არ ჰქონდეთ თვისი, ივასხონ სხვისი, კულავ შეიწევდენ
ზე ძალთა ღმრთისთა.

ალექსანდრე ამილახვარი თავადური იდეოლოგიის მკვეთრი გამომხატველია, ცენტრალიზებული სახელმწიფოს ნაცვლად თავადთა უფლებების ეაზრდისა და დიდებულთათვის უკეთესი სახელმწიფოებრივი წყობილების მქადაგებელია. მისი ტრაქტატი, რომელშიც არეკლილია დასავლეთ ევროპის განმანათლებელთა მოძღვრება, ქართული პოლიტიკურ-ფილოსოფიური აზროვნების მაღალი დონის მაჩვენებელია.

ქართლიდან წასული მწიგნობრები იმერეთში ჩადიან XIX საუკუნის პირველ წლებშიც. მაგალითად, 1801 წელს ქუთაისში ჩავიდა, ვი-

---

[16] „მოამბე“, 1902, II, გვ 21—35; ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, თბ., 1907, გვ. 227 — 241.

თარცა იულონ ბატონიშვილის მხლებელი, იოანე ქართველიშვილი (1772 — 1816). იულონი „სასაყდროსა ქალაქსა შინა“, „სამეფოს პალატში“ დაბინავდა. მასთან იყო იოანე ქართველიშვილი, რომელიც, პატრონის ნებართვით, ემსახურებოდა სოლომონ მეორეს, როგორც მდივანი — წერდა არზებს; იქვე, „ქუთაისს, ეზოსა სამეფოსა“ დაიწყო მემუარების წერა[17].

იოანე ქართველიშვილის მემუარულ თხზულებაში ვრცლადაა აღწერილი XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის დამდეგის საქართველოს ცხოვრება, იგი ქართული საისტორიო ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლია.

1802 წელს იმერეთში ჩავიდა გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, ერეკლე მეორის ყოფილი მსაჯული სოლომონ ლიონიძე (1741/54—1818). იგი მალე დაწინაურდა სამეფო კარზე — „დიდი კარგი ყმა შეიქმნა მეფის სოლომონისა. მეფემ შეიყუარა და დიდსა პატივსა უყოფდა და რჩევასაცა უსმენდა“ (H № 2130). მეფემ მას უბოძა მამულები რაჭა-იმერეთში, დანიშნა კანცლერად, ხოლო 1803 წელს რუსეთსაც მიავლინა. როგორც ჩანს, ს. ლიონიძემ ქუთაისში განაგრძო წერა, კერძოდ, იქ შეთხზა სატირა ნიკო დადიანზე[18].

ქუთაისის ლიტერატურულ ცხოვრებაში მონაწილეობდნენ არა მარტო სამეფო კარის წარმომადგენლები ან აღმოსავლეთ საქართველოდან ჩასული მწიგნობრები, არამედ ქუთათელი მღვდელმთავრები და რიგითი საეკლესიო მოღვაწენიც, რომლებიც ზრუნავდნენ ქართული წერილობითი კულტურის დაცვასა და ძველი ხელნაწერების გამრავლებაზე. მაგალითად, ანტონ ქუთათელმა (XII ს.) გადააწერინა ოთხთავი (H № 325), სვიმეონ ქუთათელმა (ჩხეტიძემ, XVI ს.) სვიმეონ კარგარეთელს გადააწერინა გულანი (K № 16), თეოფილე ქუთათელმა, გურიელის შვილმა, ოქროპირ ქავჟარაძეს შეაკაზმინა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა თარგმანების შემცველი ძველი ხელნაწერი (KN 9), მაქსიმე ქუთათელმა (აბაშიძემ) 1761 წელს „მოიგო“ სასულიერო-საეკლესიო შინაარსის კრებული (Q № 35), დოსითეოს ქუთათელმა (წერეთელმა) 1797 წელს ოსე გაბაშვილს გადააწერინა კაცხის მონასტრის გუჯრები (H № 1781) და სხვ.

---

[17] ი. ქ ა რ თ ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, მემუარები, ა. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ს გამოკვლევით, რედაქციითა და შენიშვნებით. თბ., 1952, გვ 13—16, 42, 65, 87—90, 95.

[18] ტ. რ უ ხ ა ძ ე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 161, 167. როგორც ირკვევა, ს. ლიონიძეს საბუთებიც უწერია (ს. ს ხ ი რ ტ ლ ა ძ ე, წერილები, თბ., 1977, გვ, 104).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ტიმოთე გაბაშვილი (გარდ. 1764 წ.) და ანტონ ბაგრატიონი (1720-1788). პირველი XVIII საუკუნის 30-იანი წლების დამდეგს გადავიდა იმერეთს, სადაც ქუთათელ მთავარეპისკოპოსად აკურთხეს. როგორც ჩანს, მან თავი გამოიჩინა და ნდობა დაიმსახურა; იგი ისე დაუახლოვდა იმერეთის მეფე ალექსანდრე მეხუთეს, რომ მისი დავალებით რუსეთსაც კი გაიგზავნა დიპლომატიური მისიით (1737 წ.). განსწავლულმა მღვდელმთავარმა რუსეთს წაიღო იმერეთის რუკა, რომლის შედგენა, უკანასკნელი გამოკვლევებით, მას მიეწერება. ამ რუკას დიდი მნიშვნელობა აქვს დასავლეთ საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური, სოციალურ-ეთნოგრაფიული და საეკლესიო-სარწმუნოებრივი ისტორიისათვის.

ანტონ ბაგრატიონი (შემდგომ კათალიკოსი ანტონ პირველი) 1740-1742 წლებში, ტ. გაბაშვილის რუსეთში ყოფნისას, ქუთათელ მიტროპოლიტად იყო. რუსეთიდან დაბრუნებული ტიმოთე გაბაშვილი 1742-1747 წლებში კვლავ ქუთაისის ეპარქიას განაგებდა. ვფიქრობთ, ტიმოთე გაბაშვილი და ანტონ ბაგრატიონი არც ქუთაისში შეწყვეტდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას.

სხვათა შორის, XVIII საუკუნის 80-იან წლებში იმერეთში გადასულა კიდევ ერთი საეკლესიო მწერალი, გარეჯიდან ლტოლვილი იონა გედევანიშვილი (1737—1821), მაგრამ „არა შეწყნარებული არცა მეფისა და არცა ეპისკოპოსთაგან, წარმოგზავნილი იქნა ქართლადვე“[19].

იმერეთის სატახტო ქალაქის კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციების ორგანული დაგვირგვინება იყო „სამეფოსა ქალაქსა ქუთათისს, პალატსა სამეფოსასა“ ქართული სტამბის დაარსება და საგამომცემლო საქმიანობის გაჩაღება. თუ ადრე თხზულებათა გამრავლების ერთადერთი გზა ხელნაწერების დამზადება იყო, რამაც კალიგრაფთა რიცხვის ზრდა გამოიწვია, ამიერიდან სტამბა ამოქმედდა და მისი პროდუქცია მთელ დასავლეთ საქართველოს მოეფინა.

მას შემდეგ, რაც მტრის ურდოებმა თბილისი ააოხრეს (1795) და სტამბა გაანადგურეს, აღმოსავლეთ საქართველოში საგამომცემლო საქმიანობა ჩაკვდა. მდგომარეობის გამოსწორება ქუთაისმა იკისრა. როგორც ირკვევა, იქ სტამბა XVIII საუკუნის მიწურულს დაარსდა, ხოლო პირველი წიგნი უკვე 1801 წელს გამოვიდა. ესაა დავითნი — დაბეჭდილი „დროსა ყოვლად უბრწყინვალესისა, უკეთილმსახურესისა და უმაღლესისა სოლომონ მეორისა, მეფისა ყოვლისა საიმერეთოჲსა-

---

[19] მიმოსულა ანუ მგზავრობა ი ო ნ ა რუისის მ ი ტ რ ო პ ო ლ ი ტ ი ს ა, პ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ს გამოცემა, თბ., 1852, გვ. 2 — 3.

სა". მის ბოლოსიტყვაობაში მესტამბე გიორგი პაიჭაძე არაერთ სა-ყურადღებო ცნობას გვაწვდის: „მებრძანა... მეფის... სოლომონისაგან, მე, მისსა მონასა პაიჭაძე გიორგი მესტამბეს... სტამბის გამართვა და გაკეთება... მე მორჩილ ვიქმენ... და წარველ რუსეთად მოსკოვს და რომელიც საჯმარნი სტამბას ესაჭიროებოდა, ყოველივე სრულად და უნაკლულოდ მოვიტანე საფასითა მისის უმაღლესობისათა და გავაკეთე ქუთაისს, ვითა ჯერ იყო, რომელიც არაოდეს ყოფილიყო იმერეთში"[20].

გიორგი პაიჭაძეს არაერთი წინააღმდეგობა შეხვდა. იგი გულისტკივილით შენიშნავდა, რომ ხელს უშლიდა და საქმეს ურთულებდა ბუნებრივ-კლიმატური პირობები, სტამბის მუშაკთა გამოუცდელობა და სხვა, მაგრამ, ვინაიდან „იმერთა ერთა ხილვა ჰსურდათ სტამბისა, მათმა სიყუარულმა აღარ დააყენა" და მოსკოვიდან ჩამოტანილი მოწყობილობით სტამბაც გამართა და პირველი წიგნიც დაბეჭდა. მასთან ერთად იღვწოდნენ ქილიფთართუხუცესი როსტომ ნიჟარაძე, „სტამბისა ნაკლების შემასრულებელი დათიკა მესხი" და სხვ. ქუთაისის სტამბის მესვეურებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოიყენეს თბილისის სტამბის გამოცდილება — დასაბეჭდად გამზადებული ტექსტი „შესწორებულ იქმნა ტფილისის დაბეჭდილ დავითნზედ" და ისე გამოქვეყნდა.

მალე მდგომარეობა შეიცვალა: გიორგი პაიჭაძე რუსეთს გაემგზავრა, მესტამბედ რომანოზ რაზმაძე-ზუბაშვილი დაინიშნა, ხოლო ზედამხედველობა სახლთუხუცეს ზურაბ წერეთელს დაევალა[21]. სასტამბოსაგამომცემლო საქმიანობაში აქტიურად ჩაება გელათის არქიმანდრიტი ზაქარია. ერთიმეორის მიყოლებით დაიბეჭდა „სახარება ვნების კვირიაკისა" (1803), „კურთხევანი" (1803), „დავითნი" (1807), „ჟამნი" (1808), „ლოცვანი" (1810). როგორც წესი, ყველა წიგნში პატივით იხსენიებიან „სტამბის უხუცესი" ზურაბ წერეთელი, მესტამბე რომანოზ რაზმაძე-ზუბაშვილი, „გამგებელი და მმართველი სტამბისა" არქიმანდრიტი ზაქარია[22], რომლებიც ცოდნასა და ენერგიას არ ზოგავდნენ ბეჭდური გამოცემების სრულყოფისათვის.

1810 წელს იმერეთის სამეფოს გაუქმებისა და დასავლეთ საქართველოში პოლიტიკური სიტუაციის შეცვლის შედეგად ქუთაისის სტამბამ არსებობა შეწყვიტა.

---

[20] ქართული წიგნი, I, თბ., 1941, გვ. 77.

[21] „კვალი", 1896, № 27, გვ. 471—472; პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., VII. ქართული სტამბის წიგნი (1629—1979), თბ., 1984, გვ. 336.

[22] ქართული წიგნი, I, გვ. 83, 86—87.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ჯაგოდნიშვილი

რაფიელ ერისთავის ლექსიკოგრაფიული და ლექსიკოლოგიური ინტერესები

ჩვენს თანამედროვეთა ცნობიერებაში რაფიელ ერისთავი ის ხელოვანია, რომელმაც XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ჩვენი ეროვნული ყოფის თავისთავადობის განმსაზღვრელ ორიენტირთა ძიების ჟამს, სამშობლოს სიყვარულისა და ქართველად მყოფობის ყველაზე ხელშესახები ხატი დაძებნა. ასეთ ხატად მან სამშობლოს „თოვლიანყინულიანი სალი კლდეები“ დასახა და ეროვნული სახიერების შენარჩუნების გზად მათთან თანამყოფობის პირობა წამოაყენა. იგი მარტო სასწაულებრივად ზუსტი პოეტური ხატის მიგნებით და მკითხველისათვის მისი მიწოდებით არ დაკმაყოფილებულა. როგორც ცნობილია, მან თავისი მოღვაწეობითა და პიროვნული ცხოვრებით ცხადყო მამულიშვილობისა და მამულისადმი მსახურების იდეის შინაარსიც და თვით იდეის უკვდავებაც. XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული, არ დარჩენილა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა თუ ინტერესების არც ერთი სფერო, რაფიელ ერისთავს რომ არ მიეღო მონაწილეობა და არ ეთქვა თავისი „სიტყვა საქმიანი“, ხშირ შემთხვევაში კი მოთავედ თუ წამომწყებად არ მოგვვლენოდა. მრავალ საქმეთა უხმაუროდ, უჩუმრად კეთების გამო რ. ერისთავის ნაღვაწი ჩვენი სულიერი ცხოვრების ცალკეულ სფეროში მოკლებულია გარეგნულ ეფექტურობას; უფრო მეტიც, ამ ნაღვაწის შემჩნევას, მისი სივრცული და სიღრმული პარამეტრების დანახვას, ხშირად საგანგებო კვლევა-ძიებაც კი სჭირდება. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში აკაკი წერეთელს, როცა რაფ. ერისთავის შესახებ ამბობდა: „არც ერთხელ არ შემინიშნავს, რომ მაგას გულგრილათ გვერდი აევლოს ჩვენი შინაური საქმეებისათვის და შესაფერისი თანაგრძნობა არ გამოეცხადებიოს... რ. ერისთავი მხოლოდ მაშინ ხდებოდა იძულებული დაენებებინა თავი რომელიმე მოღვაწეობისათვის, როდესაც გარემოება მოითხოვდა მისგან, რომ საკუთარი რწმუნების

წინააღმდეგ, სხვის ნებაზე წასულიყო და გადაეხვია... ბ. რაფიელი ეკუთვნის მესამოცე წლების გუნდს. ეს დრო ჩვენში დიდი მარტოხელობის დრო იყო და ხომ მოგეხსენებათ, თუ რა ტვირთი აწვება მარტოხელა კაცს ოჯახში?.. საოცარი შესანიშნავიც რომ იყოს მარტოხელი მუშა, რომელიც ბევრს სხვადა-სხვა რამეს აკეთებს და ერთი-სათვის მარტო ვერ იცლის, რომელიმე ნასაქმის სიდიადით ვერ გაგვაკვირვებს, მისი ნაშრომი მთას ვერ წარმოგვიდგენს და მისი ნაღვაწი ზღვას, მაგრამ თუ ამას ათას გვარ წვრილმან ნასაქმარს ერთმანეთს შეუხორცებთ, მაშინ კი მთაც გამოვა და ზღვაც“ (აკაკის სიტყვა, წარმოთქმული რ. ერისთავის საიუბილეო საღამოზე, 1895 წლის 22 ოქტომბერს. იხ. კრებული: „საერო დღესასწაული თ. რაფ. ერისთავის იუბილეს გამო“, თბილისი, 1899 წ., გვ. 109—111).

ამ მთისა და ბარის შემწონავი ნაღვაწის ერთი სფეროა XIX ს. ქართული ლექსიკოგრაფია, ლექსიკოლოგია და რაფიელ ერისთავის მიერ ცოდნის ამ სფეროში შეტანილი დიდზე დიდი წვლილი.

საზოგადოდ რაფ. ერისთავის თანამედროვენი და შემდგომი დროის მკვლევარებიც ერთსულოვნად ამახვილებენ ყურადღებას პოეტის „კოლოსალურ ენერგიაზე“, „გასაოცარ შრომისმოყვარეობაზე“. მის ამ თვისებებს მიაწერენ იმას, რომ პოეტმა ასე განსაცვიფრებლად ბევრის გაკეთება შესძლო. ეს მართალია, მაგრამ რ. ერისთავის ამ პიროვნულ ღირსებებს აუცილებლად უნდა დაემატოს უტყუარი ალღოც. რ. ერისთავი სწორედ ამ უტყუარი ალღოთი გრძნობდა ეპოქის მაჯისცემას, ამ უტყუარი ალღოს წყალობით ახერხებდა თუნდაც რამდენიმე წამით დაესწრო მოვლენებისათვის და დღეს დაეწყო იმის კეთება, რისი აუცილებლობაც ხვალ გახდებოდა ნათელი.

როგორც ცნობილია, გასული საუკუნის 80-იან წლებში, საქართველოში ფართოდ გაიშალა ლექსიკოლოგიური და ლექსიკოგრაფიული მუშაობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი. ამ მუშაობის წამოწყება, თავისთავადი აუცილებლობის გარდა, ქართული ენის ღირსებისა და უფლებების დაცვის ინტერესებითაც იყო განპირობებული და მიმართული იყო იმ საშიში რუსიფიკატორული პოლიტიკის საწინააღმდეგოდ, რომლის გატარებასაც 1881—1885 წლებში ენერგიულად ცდილობდა კავკასიის სასწავლო ოლქის მაშინდელი მზრუნველი, ავადსახსენებელი იანოვსკი. სკოლებიდან ქართული ენის განდევნის მოსურნეთა ერთი არგუმენტი, როგორც ცნობილია, იმას ემყარებოდა, რომ ქართული ენა ღარიბი იყო, არ გააჩნდა ტერმინოლოგია მეც-



რაფიელ ერისთავი

ნიერების სხვადასხვა დარგში — ფიზიკაში, ქიმიაში, მათემატიკაში, ეკონომიკურ მეცნიერებაში და სხვა. აღნიშნული საკითხის თაობაზე, როგორც ცნობილია, 1880 წ. ოქტომბერში ქ. ქუთაისში მასწავლებელთა სპეციალური კრებაც კი გაიმართა. ამ კრებაზე იანოვსკის დავალებით გამოვიდა გორის საოსტატო სემინარიის დირექტორი სემიონოვი, რომელიც ამტკიცებდა, რომ საქართველოში ყველა საგანი რუსულ ენაზე უნდა ვასწავლოთ, რადგან ტერმინოლოგიის უქონლობის გამო ქართული ენა არ გამოდგებაო.

სემიონოვის გამოსვლას გამანადგურებელი პასუხი სწორედ რაფიელ ერისთავმა გასცა გაზეთ „დროებაში“ (1880 წ. № 212). მან სემიონოვს და მის უკან მდგომ ძალებს ამცნო, რომ ქართულ ენაზე ჯერ კიდევ ძველად არსებობდა ფიზიკის, მათემატიკის, გეომეტრიის, ლოგიკის, ესთეტიკის, ფილოსოფიის ტერმინოლოგიები. პოლიტიკურ ვითარებათა გამო ქართული კულტურის განვითარება შეფერხდა, მაგრამ თუ მას განვითარების ნორმალური პირობები შეექმნა, ქართული ენა ნაკლს ისევე შეივსებს ნეოლოგიზმების ხარჯზე, როგორც სხვა ენებმა შეივსეს, რადგან „ქართველებსაც თამამად შეუძლიათ (ახალი) სიტყვები პირდაპირ მიიღონ, როგორც მიიღეს სხვადასხვა განათლებული ქვეყნის მცხოვრებლებმა და ზოგი, შეიძლება ადვილად დაასახელონ თავიანთებური სახელწოდებითაც“. ამას, როგორც უკვე ითქვა. რ. ერისთავი 1880 წელს წერდა. მაგრამ უკვე დაწყებული ჰქონდა მუშაობა ამ მხრივაც. იგი კარგად გრძნობდა ახალ პირობებში ქართული ლექსიკოგრაფიული და ლექსიკოლოგიური მუშაობის გაშლის აუცილებლობას. ამ მიზნით მან უპირველესად ქართული ლექსიკოგრაფიის უმთავრეს მონაპოვარს — სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს მიაპყრო ყურადღება, რომელიც ხელნაწერების სახით არსებობდა და ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად იყო ხელმისაწვდომი. რ. ერისთავმა შეკრიბა მისთვის ცნობილი 6 ხელნაწერი სულხან-საბას ლექსიკონისა, შეაჯერა ერთმანეთთან, საკუთარი ხელით გადაწერა ლექსიკონის ორიათასზე მეტი გვერდი, გამართა, დაურთო შენიშვნები, სულხან-საბა ორბელიანის მოკლე ბიოგრაფია და 1881 წლისათვის სრულიად გაამზადა სასტამბოდ. ეს ლექსიკონი პირველად დაისტამბა 1884 წელს, სათაურით: „ქართული ლექსიკონი შედგენილი სულხან-საბა ორბელიანისაგან, რაფ. ერისთავის რედაქტორობით და შენიშვნებით“. ეს იყო ლექსიკონის პირველი ბეჭდვური გამოცემა და გაცხადება ქართული ენის ლექსიკის სიმდიდრისა და თავისთავადობისა. როგორც რ. ერისთავი აღნიშნავს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსიკონზე მუშაობისას მას ხელთ ჰქონია ექვსი ხელნაწერი: საკუთარი, სერგი მესხისა, რომელიც უვარგისად უცვნია შელახულობის გამო და პატრონისათვის უკანვე დაუბრუნებია, იონა მეუნარგიასი, დიმიტრი ბაქრაძისა, გ. ავალიშვილისა, ნათლისმცემლის მონასტრისა, რომელიც ადრე ტარასი არქიმადრიტის კუთვნილება ყოფილა და რომელიც დავით რექტორს შეუსწორებია და გადაუწერია. ამის თაობაზე რ. ერისთავი ოფიციალურად სწერდა 1884 წ. ალექსანდრე ჭყონიას, რომელმაც „მან-ჭარ-ხან-ძილის" ფსევდონიმით რეცენზია უძღვნა რ. ერისთავის მიერ გამოცემულ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს. ამდენად, ეს იყო პირველი მეცნიერული გამოცემა სულხან-საბასეული ქართული განმარტებითი ლექსიკონისა.

ამავე წლებში შეუდგა რ. ერისთავი მუშაობას რუსულ-ქართულ ლექსიკონზე. პოეტმა, უპირველეს ყოვლისა, დიდი მოსამზადებელი სამუშაოები ჩაატარა. იგი, რასაკვირველია, იცნობდა ჩუბინაშვილის რუსულ-ქართულ ლექსიკონს და კარგადაც ხედავდა მის ნაკლოვანებებს. აქედან გამომდინარე, პირველ რიგში მან შეიმუშავა ლექსიკონის შედგენის პრინციპები და თავისი მოსაზრებები ლექსიკონის გეგმითურთ 1880 წელს დაბეჭდა გაზეთ „ივერიაში" (№ 144). რ. ერისთავის აზრით, სრულყოფილი რუსულ-ქართული ლექსიკონის შესადგენად აუცილებელი იყო მოსახლეობის ფართო ფენების ჩაბმა ამ საქმეში, რაც შეიძლება მრავალფეროვანი ლექსიკური მასალის გამოსავლენად და თვითეული რუსული სიტყვისათვის ყველა შესაძლო ლექსიკური შესატყვისების დასაძებნად, არა მარტო ქართული სალიტერატურო ენიდან, არამედ ქართული ენის დიალექტებში შემორჩენილი ლექსიკური მასალიდან. ამ მიზნით, რ. ერისთავი საჭიროდ თვლიდა „გადაბეჭდილი რუსული და ქართული სიტყვების" საქართველოს ყველა კუთხეში დაგზავნას, რათა მათთვის ადგილებზე მიეწერათ „შესატყვისი სიტყვები", შემდეგ ეს რვეულები მოგროვილიყო და მომხდარიყო მათი განხილვა. განხილვაში — ამბობდა რ. ერისთავი, — მონაწილეობა უნდა მიიღონ „ხალხის ფართო ფენებმა — საზოგადო მოღვაწეებმა, აგრონომებმა, ექიმებმა, მასწავლებლებმა, გლეხებმა..." მხოლოდ ამ გზით მიიჩნევდა იგი შესაძლებლად „შედარებით უნაკლო და სრული, საზოგადოებისათვის სასარგებლო ლექსიკონის" შედგენას (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის რ. ერისთავის ფონდი, № 134.). აღნიშნული ნათელყოფს, რომ რ. ერისთავმა თავისი დროისათვის სრულიად ახლებური პრინციპები წამოაყენა ორენოვანი

ლექსიკონების შედგენის თაობაზე. მან უარი თქვა ლექსიკონის არ-ქაული სქოლასტიკით დამძიმებულ ენობრივ ლექსიკაზე და ფარ-თოდ გაუღო კარი მდიდარ ხალხურ სასაუბრო ლექსიკას. ეს იყო ჭეშმარიტად დემოკრატიული ნაკადის შემოტანა-დამკვიდრების და-საწყისი ქართულ ლექსიკოლოგიაში. რ. ერისთავი რუსულ-ქართულ ლექსიკონზე სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა, დიდი რუდუნებით ჰკრებდა ქართულ-რუსულ ლექსიკურ მასალას, საგანგებო სიფრთხი-ლით არჩევდა და უჯერებდა ერთმანეთს ქართულ-რუსულ სიტყვათა თუ ცნებათა შესატყვისობებს. ამ თვალსაზრისით რ. ერისთავის არ-ქივებში დაცული მასალა პირდაპირ გაოცებასაც იწვევს თავისი სიუხ-ვით. მრავალი შესატყვისობა რუსულ-ქართული ლექსიკონის დღევან-დელ მოთხოვნებს პასუხობს.

რ. ერისთავი დაინტერესებული იყო ეტიმოლოგიური ლექსიკო-ნების შექმნითაც. მისი არქივი ამ თვალსაზრისითაც უმდიდრეს მასა-ლას შეიცავს. აქ გვხვდება მასალა გეოგრაფიულ სახელთა ეტიმოლო-გიური ლექსიკონისათვის, საკუთარ სახელთა ეტიმოლოგიური ლექსი-კონისათვის და სხვ. მართალია, როგორც ეს მასალა, ისე რ. ერის-თავის დაკვირვებები არაა თანაბარი ღირებულებისა და არც ეტი-მოლოგიათა სიზუსტით გამოირჩევა, რადგან არაიშვიათად დაუსა-ბუთებელ და პოეტის უშუალო დაკვირვებების ნიადაგზეა ამოზრდი-ლი, მაგრამ თავისთავად მნიშვნელობას, თუნდაც საკითხის ისტორიის თვალსაზრისით, ეს მასალა და დაკვირვებები მაინც ინარჩუნებს. სანი-მუშოდ შეიძლება რამდენიმე დაკვირვების მოტანა რ. ერისთავის მიერ შედგენილი გეოგრაფიული სახელების ეტიმოლოგიური ლექსიკონის მასალებიდან. ეს მასალა კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში რ. ერისთავის ფონდის № 121 საქმეში ინახება. რ. ერისთავის დაკვირვე-ბით „ქართველი“ — არის „მცხოვრები, სადაც ბლომათაა ქარიც და ვე-ლიც, ესე იგი — ქართლი; კახეთი — ანუ ქვა-ხეთი, რომელიც არის ტყია-ნი და რიყეებიანი; არდაღანი — უნახავათ მოსავლის მომცემი; ზუგდი-დი — ანუ ზურგ დიდი, დიდი გორა აკრავს ვაკეს, ანუ ზურგი; თელა-ვი — შემოკლებული მთელავი; ქობულეთი — ქვაბულეთი; ფშაველი — ფშა-ველის მცხოვრები; მოხევე — ხეობის მცხოვრები; ერწო — ბალა-ხი იცის ამ წოდებისა; ქარელი — ქარი იცის; იმერეთი — იქითური; გურია — გულია (მეგრულათ) იმ მხრისა, სამურზაყანო — კუთვნილი მურზაყანისა“ და სხვა. წარმოდგენილი ნიმუშები მასალობრივი სიჭ-რელის გარდა, როგორც ვხედავთ, დაკვირვებათა ზედაპირულობითაც გამოირჩევა, თუმცა, ვიმეორებთ, ამ შემთხვევაში საყურადღებოა თა-

ვად რ. ერისთავის ინტერესი ცოდნის ამ სფეროსადმი და არა მისი მეცნიერული დონე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც აღინიშნა, რ. ერისთავის ლექსიკოგრაფიულ თუ ლექსიკოლოგიურ ნაღვაწში განსაკუთრებით დიდი ადგილი უკავია ტერმინოლოგიურ ლექსიკონებს. XIX საუკუნის 80-იან წლებში, როგორც უკვე ითქვა, განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ ტერმინოლოგიური ლექსიკონების შექმნას მიენიჭა. რ. ერისთავმა აქაც გასაოცარი მზრომისუნარიანობა გამოიჩინა. მან დაამუშავა „თანამდებობათა აღმნიშვნელი", „სამხედრო", „საზღვაო", „ასტრონომიული", „ფიზიკური გეოგრაფიის", „ფიზიკის", „ქიმიის", „მეტეოროლოგიის", „არითმეტიკისა" და „გეომეტრიის", „საზომისა და საწყაოსი", „ზღვისა და შიგ ცურვის", „მედიცინის", „სამჭედლო და სადურგლო საქმის" ტერმინოლოგიები (საქ. სსრ მეც. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის რ. ერისთავის ფონდი, №№122; 123; 124; 125; 126; 127; 128).

1883 წ. „დროებამ" გამოაცხადა კონკურსი არითმეტიკული ტერმინების შედგენის თაობაზე. რ. ერისთავმა სპეციალურ კომისიას წარუდგინა საკუთარი ტერმინოლოგიური ლექსიკონი. მისი ნაწილი გაზეთ „დროებაში" დაისტამბა კიდეც. კომისიას რ. ერისთავის ეს ტერმინოლოგიური ლექსიკონი მოუწონებია. ამის შესახებ „დროებამ" ოფიციალური ცნობაც კი დასტამბა (შ. ვ ა შ ა ყ მ ა ძ ე, რ. ერისთავი, თბილისი, „საბჭოთა საქართველო", 1962, გვ. 87).

დიდი წვლილი შეიტანა რ. ერისთავმა ქართული ბოტანიკური და ზოოლოგიური ლექსიკონების შედგენა-გამოცემის საქმეშიც. მან 1873 წელს გამოსცა „შემოკლებული ლათინურ-რუსულ-ქართული მცენარეთა ლექსიკონი", 1884 წელს — „მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოდან — ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი", რომლებსაც ჯერ-ჯერობით არ დაუკარგავთ თავიანთი ისტორიული და გარკვეულწილად მეცნიერული ღირებულებაც. სიცოცხლის ბოლო წლებში რ. ერისთავი კვლავ აგრძელებდა მუშაობას „მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოს" რუსულ-ქართულ-ლათინური ლექსიკონის ახალ, შევსებულ გამოცემაზე. ამას ნათელყოფს ისევ მის არქივში დაცული მრავალფეროვანი მასალა.

თავისთავად ნათელია, თუ რა დიდი პრაქტიკული და მეცნიერული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი საზოგადოებისათვის ამ ლექსიკონების დასტამბვას. ისიც აშკარაა, რომ რ. ერისთავმა შექმნა წანამძღვრები და საფუძველიც ქართული ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის განვითარებისათვის ახალი დროის მოთხოვნათა შესაბამისად და ფილო-

ლოგიური მეცნიერების ეს დარგიც ქართველი ხალხის იმ დროისათვის აქტუალური საეროვნო ამოცანების სამსახურში ჩააყენა.

ასე გამოიყურება ზოგადად რ. ერისთავის ლექსიკოგრაფიული და ლექსიკოლოგიური ნაღვაწი. ბუნებრივია, პოეტის არქივებში დაცული მასალისა თუ ამ რიგის მისი ბეჭდური პროდუქციის სრული გააზრება-შეფასებისათვის სრულიადაც არაა საკმარისი საჟურნალო წერილი. რ. ერისთავის ღვაწლი ქართული ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის განვითარებაში სპეციალურ მონოგრაფიულ კვლევა-ძიებას საჭიროებს და თავის მკვლევარს მოელის.

ოთარ კასრაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების გამოცემის ისტორიისათვის (XIX ს.)

ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების გამოცემის ისტორია XVIII საუკუნის მეორე ათწლეულის დამდეგიდან იწყება. ამ დიდ ეროვნულ საქმეს საფუძველი ვახტანგ VI-ის მიერ 1712 წელს თბილისის სტამბაში „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვით ჩაეყარა. სამწუხაროდ, ეს მნიშვნელოვანი თაოსნობა ქვეყნის მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის გამო 1724 წლიდან საკმაოდ ხანგრძლივი დროით შეჩერდა.

XIX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულიდან პლატონ იოსელიანი სათავეში უდგება მრავალსაუკუნოვანი ქართული ეროვნული კულტურის, კერძოდ, ძველი მწერლობის ფართო საზოგადოებისათვის გაცნობას. ფაქტიურად ამ დროიდან იწყება ამ ძეგლების მეცნიერულ-ფილოლოგიური შესწავლა. 1838 წ. იაკობ და დავით არზანოვების სტამბაში იბეჭდება ჩახრუხაძის „თამარიანი“, რომლის სატიტულო გვერდზე ვკითხულობთ: „თამარ მეფასი და მეუღლისა მისისა დავით მეფისა შესხმა თქმული ლექსად ჩახრუხას-ძისაგან წელსა ქრისტესით 1187-სა, აღბეჭდილი პლატონ ეგნატეს-ძის იოსელიანისა მიერ“.

გამომცემელი თხზულების სათაურის შესახებ სქოლიოში ასეთ განმარტებას იძლევა: „ძუელსა დედანში ზედნაწერსა (იგულისხმება სათაური — ო. კ.) წიგნისა ამისა ესრეთ იყო: სრულიად საქართველოს, ქართლ, კახეთ, იმერეთისა და ხუთთა სამთავროთა და სხუათა და სხუათა მპყრობელის, ბაგრატოვანის მეფის გიორგის ასულის თამარ მეფასი და მეუღლისა მისისა მეფისა სოსლან დავითისა, შესხმა ჩახრუხას ძისაგან, რომელი იყო ადგილთაგან არაგვისათა, თემით მოხევე. ეს მან დალექსა ოც მარცვლოვანად, თვითოსა ტაეპსა წინა წყობილად, და მის გამო უწოდენ ქართველნი ჩახრუხაულსა“.

ამრიგად, პლატონ იოსელიანი საინტერესო ცნობებს გვაწვდის პოემის ავტორის ვინაობის, თხზულების დაწერის თარიღისა და ვერსიფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაციის შესახებ. აქედან ვგებულობთ, რომ „თამარიანი“ შეუქმნია მოხევეს, გვარად ჩახრუხაძეს, რომელსაც თავისი პოემა დაუწერია 1187 წელს ოცმარცვლიანი შაირით. ამ ცნობების საფუძვლიანობას ადასტურებს ძველი ქართული ლიტერატურის ისეთი შესანიშნავი მცოდნე, როგორიც იყო მეფე არჩილი. „თამარიანის“ ავტორად ჩახრუხაძის აღიარებას მოწმობს შემდეგი ადგილი მისი პოემიდან „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“: „სხვა ლექსით ჩახრუხაძემა შეამკო მეფე თამარი“, ან კიდევ: „ჩახრუხაძემ უწინ არ თქვა, რად იპარავ პირველ თქმასა?“ ჩახრუხაძის მოხევეობაზე მიგვანიშნებს არჩილი თხზულებაში „პირველი და შემდგომითი-შემდგომთა მეფეთა ქება და სამხილებელი“, როცა ამბობს: „ვის მე ხევითა, საროსხევთა, უთქვამს ლექსებირტო-გარდაფრენით“, ან კიდევ „მოხეველისამ, ჩახრუხელისამ, ლექსთა სიტკბომა ამიყოლიაო.“

„თამარიანის“ 1838 წლის გამოცემის დაბეჭდვით პლ. იოსელიანმა ოფიციალურად დაამკვიდრა სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობები პოემისა და მისი ავტორის შესახებ. სამწუხაროდ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ არჩილის პოეტურ მემკვიდრეობას, რომელშიც გამოთქმულია ცალკეული მოსაზრებანი ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე, 1838 წლის გამოცემის სქოლიოში პლ. იოსელიანის მიერ მოტანილი ცნობების გარდა არაფერია ცნობილი „თამარიანსა“ და მის ავტორზე.

ჩახრუხაძემ თავისი „თამარიანით“ სრულიად კანონიერად დაიმკვიდრა საპატიო ადგილი ჩვენს მრავალსაუკუნოვან სიტყვაკაზმულ მწერლობაში, მანვე გაამდიდრა იგი ოცმარცვლიანი შაირით და საფუძველი ჩაუყარა ახალ ლიტერატურულ ჟანრს — ქართულ სახოტბო პოეზიას.

1838 წელსვე თბილისში, იმავე ი. და დ. არზანოვების სტამბაში პლ. იოსელიანი ბეჭდავს იოანე შავთელის პოემას „თამარ მეფასი და მეუღლისა მისის დავით მეფისა შესხმა“. აქაც პოემის სათაურთან დაკავშირებით პლ. იოსელიანი სქოლიოში საყურადღებო ცნობებს იძლევა შავთელზე. აქედან ვგებულობთ, რომ იგი წარმოშობით სამცხე-საათაბაგოდან ყოფილა, ერთხანს თამარის მდივან-მწიგნობრად უმსახურია, შემდეგ კი იოანეს სახელით გელათში ბერად აღკვეცილა.

1851 წელს თბილისში, კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის სტამბაში იბეჭდება იოსებ თბილელის — სააკაძის „დიდმოურავიანი“.

წიგნს დართული აქვს პლ. იოსელიანის წინასიტყვობა. ეს არის პირველი მეცნიერული გამოკვლევა „დიდმოურავიანის“ ავტორის ვინაობის, ამ გამოცემის ხელნაწერის და პოემის რაობის შესახებ.

ჩვენამდე „დიდმოურავიანის“ მრავალი ხელნაწერია მოღწეული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა XVIII — XIX საუკუნეებით თარიღდება. პლ. იოსელიანს გამოსაცემად დავით რექტორის ხელნაწერი შეურჩევია.

გ. ლეონიძის დაკვირვებით, ისევე, როგორც დანარჩენი ხელნაწერები, დავით რექტორის ნუსხაც შორს უნდა იდგეს ორიგინალისაგან. მართალია, სტროფების რაოდენობით ისინი ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან, მაგრამ ტექსტუალურად გადამწერთაგან ერთმანეთზე უარესადაა წარყვნილი. მათში სიტყვები და ფრაზები მრავალგან დამახინჯებულია[1].

პლ. იოსელიანი წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ „დიდმოურავიანი" არის ისტორიული შინაარსის პოემა, რომელშიაც აღწერილია ქართლ-კახეთის ბედუკუღმართი წარსული XVII საუკუნის პირველ სამ ათწლეულში.

პლ. იოსელიანის განცხადებით, ავტორი „წიგნისა ამის („დიდმოურავიანის" — ო. კ.) იოსებ თფილელი — მიტროპოლიტი გუარით საკაძე, იყო ძის-ძე დიდისა მოურავისა გიორგი საკაძისა".

პლ. იოსელიანის ცნობით, იოსებს აღზრდა ქვათახევის მონასტერში მიუღია და იქვე აღკვეცილა ბერად. ერთხანს რაჭაში, ნიკორწმინდის ეკლესიაში ყოფილა გამწესებული არქიეპისკოპოსად, საიდანაც მალე ქართლის მეფის როსტომის თხოვნით სამცხე-საათაბაგოში გადასულა თურქთაგან გაუქმებული აწყურის ეპარქიის აღსადგენად, მაგრამ ახალციხის ფაშას არ მიუღია. ბოლოს იოსები თბილისშია და როსტომის მიერ ნაბოძებ სამიტროპოლიტო კათედრას განაგებს.

მიტროპოლიტად ყოფნის პერიოდში ბევრი რამ გაუკეთებია იოსებს სიონის ეკლესიის საკეთილდღეოდ. ამჯერადაც წყაროზე მითითებით პლ. იოსელიანი წინასიტყვობაში წერს: „გრამატიდამ, რომელიცა აწც ჰგიეს საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორასა შინა (ქორონიკონით 376 — 1683) ჰსჩანს, რომელ დიდად განმრავლდა ბიბლიოტეკა ანუ წიგნთსაცავი სიონის ეკლესიისა, მოუსყიდა და მოუშოვნა ყმანი და მამულნი. ნისსავე ღუაწითა შუამდგომლობითა მიეცა სიონისავე წმიდასა ტაძარსა მეფისა გიორგი VI ანუ სხუათა სახელით შაჰნავაზ მეორისაგან თფილისის აბანო, აწმდე წოდებული აბანოდ სიონისა".

შემდეგში „დიდმოურავიანით" მრავალი მკვლევარი დაინტერესდა, მაგრამ ახალი არაფერი უთქვამთ. გ. ლეონიძე 1939 წელს წერდა: „სამწუხაროდ, მეტად მწირი ბიოგრაფიული ცნობებია შემონახული პოე-

---

1 გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, გამოკვლევები და წერილები, 1958, გვ. 87.

ტის (იოსებ სააკაძის — ო. კ.) შესახებ და ვერც ჩვენ ვუმატებთ ახალ რამ საყურადღებოს"[2]. იქვე იგი განაგრძობს: „არც ერთი მკვლევარი არავითარ წყაროს არ გვისახელებს თავისი ცნობის დასამტკიცებლად. ვფიქრობთ, ზემოხსენებული მკვლევარები შეუმოწმებლად და გამოუკვლევლად მხოლოდ პლ. იოსელიანის ცნობას იმეორებენ"[3].

1852 წელს პლ. იოსელიანი ბეჭდავს „მოხილუა წმინდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა, ტიმოთესაგან ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსისა". ჟანრობრივად იგი მემუარული ხასიათისაა.

ტიმოთე გაბაშვილს ახასიათებს, როგორც თავისი დროისათვის დიდად განსწავლულ და განათლებულ პიროვნებას, ბრძენ მოაზროვნეს და ავტორიტეტულ მოღვაწეს.

ტიმოთეს „მოხილვის" გამოსაცემად პლ. იოსელიანს ხელთ ჰქონდა „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის" თავად ნიკოლოზ იოსების ძე ფალავანდიშვილის თხოვნით დავით რექტორის მიერ 1787 წელს გადაწერილი ხელნაწერი, რომელსაც ბოლო ფურცელზე შემდეგი მინაწერი ჰქონია: ესე წიგნი გაბაშვილის ტიმოთე მთავარეპისკოპოსისაგან გაკეთებული, მთაწმინდისა და იერუსალიმისა და სხუათა ადგილთა მოხილუა, რომელი თვით ეხილუა, ყოველივე აღწერა და ერთ წიგნად ექმნა, ხოლო მე მაღალ-კეთილშობილმან, სრულიად კახეთის სამეფოს, თელავის-ქალაქის რექტორმან, ფილოსოფიისა და ღუთის-მეტყველებისა მოძღუართა დავით აღვჰსწერე წიგნი ესე გარდანუსხვით".

წიგნს დართული აქვს სქოლიოები, რომლებშიაც გამოთქმულია შენიშვნები ცალკეულ საკითხებზე, განმარტებულია ძნელად გასაგები სიტყვები და ა. შ.

1852 წელს პლატონ იოსელიანი ბეჭდავს ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლს „მიმოსვლა ანუ მგზავრობა იონა* რუისისა მიტროპოლიტისა". ესეც ქართული მემუარული ჟანრის ნაწარმოებია.

წიგნს გამოკვლევის სახით წამძღვარებული აქვს პლ. იოსელიანის წინასიტყვაობა. აღსანიშნავია, რომ პლ. იოსელიანზე ადრე არც იოანე გედევანიშვილის ბიოგრაფია და მისი „მიმოსვლა" გაუხდია ვინმეს სპეციალური შესწავლის საგნად.

„მიმოსვლის" წინასიტყვაობაში მოტანილი ცნობები, მასში გამოთქმული მოსაზრებანი და დასკვნები დასაბუთებულია წყაროთა მოშვე-

---

[2] გ. ლ ე ო ნ ი ძ ე. გამოკვლევები და წერილები, 1958, გვ. 87.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 87.

* იოანე გედევანიშვილის.

ლიებით. ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით, რაც მას, როგორც დამოუკიდებელ გამოკვლევას, სარწმუნოს ხდის. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ კ. კეკელიძე თავის „ძველი ქართული მწერლობის ისტორიის“ პირველ ტომში იოანე გედევანიშვილის „მიმოსვლის“ განხილვისას უსიტყვოდ იზიარებს პლ. იოსელიანის მოსაზრებებს.

„მიმოსვლას“ დართული აქვს სქოლიოები, რომლებშიც მოცემულია საინტერესო ცნობები ამა თუ იმ ისტორიულ პიროვნებასთან, ფაქტთან, მოვლენასთან დაკავშირებით. ერთ-ერთ მათგანში, მაგალითად, მოტანილია გაიოზ რექტორის ბიოგრაფიული თარიღები, გადმოცემულია ათონის ივერთა მონასტრის ახლოს მდებარე სოფელ ივერიის ისტორია, განმარტებულია პამფოს ეპარქიის მონასტერში შემონახული ლუკა მახარობლისეული მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატების ურთიერთმიმართების საკითხი და ა. შ.

„მიმოსვლის“ გამოცემას საფუძვლად დადებია უშუალოდ ორიგინალიდან გადაწერილი ხელნაწერი.

XIX საუკუნის II ნახევრიდან პლ. იოსელიანის მიერ გამოცემულ ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებს შორის საყურადღებოა აგრეთვე 1853 წელს დაბეჭდილი ანტონ I კათალიკოსის იამბიკური ლექსით დაწერილი ქმნილება „წყობილსიტყვაობა“, რომელშიც გარკვეულწილად მოცემულია XI—XVIII საუკუნის ქართული სასულიერო და საერო მწერლობის ისტორია.

გამოცემას დართული აქვს ანტონ I-ის პორტრეტი, წინასიტყვაობა, აგრეთვე შენიშვნები და სქოლიოებში ჩატანილი კომენტარები.

ზოგიერთ ნაკლოვანებათა მიუხედავად, პლ. იოსელიანმა ანტონ კათალიკოსის „წყობილსიტყვაობის“ გამოცემით მნიშვნელოვანი ეროვნული საქმე გააკეთა — გაამდიდრა ქართული მწერლობა კიდევ ერთი შესანიშნავი ძველი ლიტერატურული ძეგლის პუბლიკაციით, რასაც წან საკმაოდ დიდი დრო, ძალა და ენერგია შეალია.

1853 წელსვე იბეჭდება აგრეთვე „ცხოვრება მეფის თეიმურაზ პირველისა, აღწერილი ლექსად არჩილისაგან მეფისა“, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში „თეიმურაზიან-ს“ სახელწოდებითაა ცნობილი.

ადრე გამოცემული ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლებისაგან განსხვავებით, „თეიმურაზიანს“ არ ახლავს გამოკვლევის სახით დართული წინასიტყვაობა. ამ ნაკლს ერთგვარად ავსებს სქოლიოებში ჩატანილი შენიშვნები, კომენტარები, სხვადასხვა სახის ისტორიული ხა-

სიათის ცნობები, ახსნა-განმარტებანი და სხვა, რომლებიც მთლიანობაში გარკვეულ წარმოდგენას უქმნის მკითხველს თეიმურაზის ცხოვრებაზე. აღსანიშნავია, რომ სახელოვანი მეფე-პოეტის შესახებ „თეიმურაზიანის“ დაბეჭდვამდე ფართო საზოგადოებრიობისათვის ბევრი რამ უცნობი იყო.

ამრიგად, ფაქტობრივი მასალების შესწავლამ თვალნათლივ წარმოაჩინა ის დიდი ღვაწლი და დამსახურება, რომელიც პლ. იოსელიანს ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების შესწავლასა და გამოცემის საქმეში მიუძღვის.

* * *

1862 წელს ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია ივ. კერესელიძის სტამბაში ბეჭდავს იოანე ბაგრატიონის „კალმასობის“ პირველ ნაწილს.

წიგნს წინასიტყვაობის სახით დართული აქვს დ. ბაქრაძის გამოკვლევა, რომელიც 1861 წელს „ცისკარში“ იყო დაბეჭდილი. მოკლე შესავლის შემდეგ ამ წინასიტყვაობის ავტორი ზოგადად გვაცნობს იოანე ბაგრატიონის ცხოვრებას რუსეთში გადასახლებამდე. შემდეგ საკმაოდ ვრცლად განიხილავს „კალმასობას“, როგორც ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლს და ნაწარმოების სახელწოდების განმარტების მიზნით გამოთქვამს საყურადღებო მოსაზრებას. „კალმასობა“ ჰნიშნავს, — წერს იგი, — პურისა და ღვინის მოთხოვნასა მონასტრისათვის კალოობასა და რთველში“. თუ მხედველობაში არ მივიღებთ მცირეოდენ უზუსტობას (პურისა და ღვინის შეგროვებას უშუალოდ კალოობასა და რთველში), შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის „კალმასობის“ პირველი სწორი განმარტება, რომელმაც კანონიერად დაიმკვიდრა ადგილი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

„კალმასობა“ იოანე ბატონიშვილის ნაშრომის ნამდვილი სახელწოდება არ არის, როგორც კ. კეკელიძე და ალ. ბარამიძე შენიშნავენ, იგი „ამ თხზულებას დაუმკვიდრდა... მხოლოდ ლიტერატურის ისტორიაში, ალბათ იმიტომ, რომ მის პირველ ნაწილში იონა ხელაშვილი მართლაც ჰკრეფს მონასტრის სასარგებლოდ პურსა და ღვინოს, არსებითად ასეთი სახელი თხზულებისათვის ზუსტი და ამომწურავი არაა, რადგანაც თხზულების სხვა ნაწილებში, განსაკუთრებით მესამეში, იონა საკალმასოდ უკვე აღარ დადის. ყოველ შემთხვევაში ასეთი სახელი ავტორს არ მიუცია თავისი ნაწარმოებისათვის, ის მას უწოდებს

„ხუმარსწავლას“, როგორც ეს ჩანს თვით მისივე შენიშვნიდან თხზულების ბოლოში: „დასრულდა წიგნი ესე ხუმარსწავლა“[4].

ამრიგად, იოანე ბაგრატიონის ნაშრომს სამეცნიერო ლიტერატურაში „კალმასობა“ დ. ბაქრაძემ დაუმკვიდრა სახელად.

„კალმასობის“ ეტიმოლოგიურ განმარტებასთან ერთად დ. ბაქრაძეს წინასიტყვაობაში საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ნაშრომის, როგორც ლიტერატურული ძეგლის, შეფასების თვალსაზრისით. „კალმასობა“, — აღნიშნავს იგი, — არის სარკე წარსულის საუკუნისა. ჩვენ განგებ შევამოწმეთ ისტორიის თქმულებათა და არათუ წინააღმდეგობა რაი ვჰპოვეთ: იმით ისტორიის მოთხრობაში ბევრი შეიმსებიან... ამგვარს წიგნს (რომ იმაში სწავლა ქუეყნის პირნი და ისტორია, ზნეობა იყოს ამგვარად) ვერცერთ ენაზედ ვერა ჰნახავთ, როგორათაც არც ერთ ხალხს არა აქვს თვითქმის, თვით ბროსსეს შემოწმებითა, ჩუვენის ეახუშტის გეოგრაფიისთანა გეოგრაფია. „კალმასობას“, რომ საგნათ ჰქონდეს სხუა ევროპის სახელმწიფო და იყოს დაწერილი ფრანცუზულს ანუ ნემეცურს ენაზედა, ამაში ჩუვენ ეჭვი არა გვაქვს, რამდენჯერმე გამოიცემოდა იმ ქვეყანაში, რომელსაც ეკუთვნოდა“.

დ. ბაქრაძე საგანგებოდ ჩერდება ნაწარმოების ენაზე, ხაზს უსვამს მის სისადავეს, გამომსახველობითს უნარს და მაღალ შეფასებას აძლევს მას.

კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის განმარტებით „კალმასობა“ თვით იოანე ბატონიშვილის ხელით დაწერილი ყოფილა ერთ ცალად.

„კალმასობის“ მეორე ნაწილი ხუთი წლის შემდეგ დაიბეჭდა. მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო „ცისკრის“ რედაქციამ მისი გამოცემა მხოლოდ 1867 წელს მოახერხა. დაიბეჭდა იგი წინასიტყვაობისა და შენიშვნების გარეშე.

1895 წელს, თბილისში, ე. ხელაძის სტამბაში ზ. ჭიჭინაძე ბეჭდავს „კალმასობის“ მეორე გამოცემას, რომელსაც წინასიტყვაობის სახით ამჯერადაც წამძღვარებული აქვს 1861 წელს „ცისკარში“ გამოქვეყნებული დ. ბაქრაძის გამოკვლევა, ახლავს აგრეთვე ზ. ჭიჭინაძის ბოლოსიტყვაობა, რომელიც რამდენიმე საინტერესო ცნობას შეიცავს გამოცემასთან დაკავშირებით.

1895 წელს ზ. ჭიჭინაძის მიერ გამოცემული „კალმასობა“ გაცილებით მაღლა დგას 1862 და 1867 წლების გამოცემებზე. გასწორებულია

---

[4] ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, ტ. I, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, 1936, გვ. 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალი დამახინჯებული სიტყვა, კორექტურული შეცდომა და ა. შ.

1859 წელს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში იქაური ქართველების ინიციატივით იბეჭდება ქართულ მხატვრულ მწერლობაში ახალი ლიტერატურული ჟანრის — დიდაქტიკურ-მორალური ეპოსის დამფუძნებლის, სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების კრებული „სიბრძნე სიცრუისა". მთელ რიგ ნაკლოვანებათა მიუხედავად, სულხან-საბა ორბელიანის იგავების ამ გამოცემას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში. მისი საშუალებით გაეცნო ჩვენი ხალხი პირველად ძველი ქართული ლიტერატურის უშესანიშნავეს ძეგლს.

1871 წელს პეტრე უმიკაშვილის რედაქციით იბეჭდება სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისას" მეორე გამოცემა. იგი პირველთან შედარებით უფრო სრულია. გამოტოვებული სიტყვები, წინადადებები და აბზაცები აღდგენილია, ენობრივ-ლიტერატურული სწორებების შედეგად ტექსტი საგრძნობლად გამართულია.

წინასიტყვაობაში, რომლის სათაურია „სულხან-საბა ორბელიანი და იმისი სიბრძნე-სიცრუვის წიგნი", პ. უმიკაშვილი მოკლედ მიმოიხილავს „ვინ იყო სულხან-საბა ორბელიანი, რა თხზულებაა იგი".

პ. უმიკაშვილი პირველი მკვლევარია, რომელმაც გააცნო ფართო საზოგადოებრიობას დიდი ქართველი მწერლის სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი მომენტები. მის მიერ მოძიებული ცნობები სანდო და სარწმუნოა. ამიტომაცაა, რომ შემდგომში მკვლევარნი სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრების შესწავლისას ძირითადად პ. უმიკაშვილის წინასიტყვაობაში მოტანილ მასალებს ეყრდნობიან.

პ. უმიკაშვილმა მოგვცა აგრეთვე პირველად სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისას", როგორც ლიტერატურული ძეგლის, მეცნიერული ანალიზი და შეფასება. იგი მის ღირსებას ხალხურობაში, დიდაქტიკურ-მორალური პრობლემების წინა პლანზე წამოწევაში ხედავს. „ცხოველათ გამოხატვა აზრისა, — განმარტავს იგი, — ცხოველი ენა, ოხუნჯური კილო, წრფელი სიცილი, მარტივი დანახვა სხვადასხვა შემთხვევისა — ადვილ საკითხავ წიგნათ ჰხდის ამ წიგნსა. ბევრი ხალხში გაგონილი არაკები აქ შეგხვდებათ ლამაზათ გამოხატული: არაკებში გამოყვანილია მარტივი აზრები ცხოვრებაზე, კეთილზე და ბოროტზე იმ გვარათ, როგორც ხალხს ესმის კეთილი და ბოროტი და ამით საბა არის სახალხო მწერალი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედების ხალხურობის პოზიციიდან უდგება პ. უმიკაშვილი აგრეთვე „სიბრძნე-სიცრუისას“ ენის შეფასებასაც. „თუმცა ენა მრთელის წიგნისა, — წერს იგი, — ძველი ენაა და ზოგ ადგილებში თითქოს ძალათ დამახინჯებულია, მაგრამ ეს ნაკლოვანება ისე ხშირი არ არის, როგორც პირველად გვეჩვენება; ძალიან ხშირათ საბა მარტივის, ჩვენი სასაუბრო ენითა სწერს და ამიტომ ძალიან უახლოვდება სახალხო ენას. ამიტომაც ხალხისათვის ძალიან გასაგონია და კიდეც გავრცელებულია ეს წიგნი. ენის კილო მრავალგან ნამდვილი ხალხისაა, ნამდვილი ქართულია. სიარტი სიტყვა, მოკლეთ გამოთქმა აზრისა — ნამდვილი ხალხისაა. მრავალსიტყვაობა და გაჭიანურება საბას არ უყვარს; აზრი მოკლეთა და ძლიერათა აქვს გამოხატული...

ამის გამო სიბრძნე-სიცრუვის წიგნის ენა შეიძლება ბევრჯერ ქართული ენის ნიმუშათ მოიტანოს კაცმა, და ქართული ენის სწავლებაში საბას წიგნს ამისთანა ადგილი უნდა ეჭიროს, როგორც რუსულის სწავლებაში კრილოვს უჭირავს“.

1881 წელს გრ. ჩარკვიანი, თბილისში, თავისსავე სტამბაში კვლავ ბეჭდავს სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისას“. ეს უკვე ამ წიგნის მესამე გამოცემაა. მისი ტექსტი გადმობეჭდილია 1871 წლის პ. უმიკაშვილისეული გამოცემიდან. იგი გამოსულა 1859 წლის პეტერბურგის გამოცემის მსგავსად—ყოველგვარი აპარატის გარეშე. იგი არც მხატვრულ-ტექნიკური გაფორმებითა და პოლიგრაფიული დონით გამოირჩევა.

სამაგიეროდ, ამას ვერ ვიტყვით 1892 წლის, ანუ ამ წიგნის მეოთხე გამოცემაზე. რომლის სატიტულო გვერდზეც ვკითხულობთ: „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა საბა-სულხან ორბელიანისა სხვადასხვა ხელნაწერებთან ახლად შედარებული და გამართული ნ. მთვარელიშვილის მიერ“. წიგნს ბოლოს დართული აქვს რედაქტორის გამოკვლევა „სულხან-საბა ორბელიანი“, რომელშიც მწერლის ცხოვრება-მოღვაწეობისა და იგავ-არაკების განხილვასთან ერთად განმარტებულია ის ვითარება, რამაც განაპირობა ამ წიგნის მეოთხედ გამოცემა. „რადგან „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“, — ვკითხულობთ გამოკვლევაში, — დაბეჭდილი სრულად 1871 წ. აღარ იყო საშოვარი, ამისათვის „ქართულ წიგნების გამომცემელთა ამხანაგობამ“ განიზრახა ამის ხელ-ახლად დაბეჭდვა, რომლის რედაქცია, ამხანაგობის გამგეობის წინადადებით, მე ვიკისრე. 1871 წ. დაბეჭდილის გარდა, ჩვენ გვქონდა ექვსი სხვა ხელთნაწერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედარების დროს. ამ შედარებას დიდი ცვლილება არ გამოუწვევია. რასაც თვით მკითხველი დაინახავს“.

ტექსტის კონსტრუქციული თვალსაზრისით 1871 და 1892 წლების გამოცემებს შორის აშკარად დარღვეულია თანაფარდობა. ამ მხრივ ნ. მთვარელიშვილისეული გამოცემა არსებითად განსხვავდება წინა გამოცემებისაგან. აქ ყოველ იგავ-არაკს, სენტენციას-აფორიზმს, ანეკდოტს, გამოცანას თავისი შესატყვისი სათაური აქვს. ამას არათუ ადრინდელ გამოცემებში, საერთოდ ჩვენს სიძველეთსაცავებში დღემდე შემონახულ ხელნაწერებშიც კი ვერ ვხვდებით. ეს ნ. მთვარელიშვილის, როგორც რედაქტორის, ჩარევის შედეგია. „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“ თავად ავტორსვე — სულხან-საბა ორბელიანს არ ჰქონია ქვესათაურებად დაყოფილი.

იმისათვის, რომ გაამართლოს ამგვარი რედაქტორული ჩარევა, ნ. მთვარელიშვილი განმარტავს: „ეს ცვლილება საჭიროდ დავინახეთ როგორც წიგნის ადვილად ხმარებისა და სარგებლობისათვის, ეგრეთვე მისის შესწავლისა და გავრცელებისათვის ხალხში. დედნისთვის მაინც ხელი არ ვგიხლია და, სათაურების ჩამატების გამო თავთავის ადგილს, არავითარი არსებითი ცვლილება არ მოგვიხდენია. მომხდარი ცვლილება გამოიწვია თვით წიგნისავე ღირსებამ, რომელიც საუკეთესო საკითხავი წიგნია ქართველთათვის, როგორც სასიამოვნო და გასართობი შინაარსით, ეგრეთვე თვით ენის სიწმინდით და სიმარტივით“.

თუ რაოდენ მართებული და მისაღები გამოდგა ნ. მთვარელიშვილის ამგვარი ჩარევა, ამ კითხვაზე პასუხი განვლილმა დრომ გასცა. სულხან-საბა ორბელიანის წიგნი „სიბრძნე-სიცრუისა“ 1892 წლიდან დღემდე ნ. მთვარელიშვილისეულ დასათაურებათა გარეშე არც ერთხელ არ გამოცემულა.

* * *

XVII—XVIII საუკუნეების ე. წ. აღორძინების ხანის ლიტერატურული ძეგლების — „არჩილიანი“, „დიდმოურავიანი“, „სიბრძნე-სიცრუისა“ და სხვათა გარდა, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, კერძოდ, 1870 წელს, თბილისში, სტ. მელიქიშვილის სტამბაში, ცალკე წიგნად იბეჭდება აგრეთვე დ. გურამიშვილის „დავითიანიც“. ამ გამოცემას საფუძვლად უდევს ავტორიზებული ხელნაწერი, რომელიც ფელდმარშალ პოტიომკინთან დიპლომატიური მოლაპარაკებისათვის კრემენჩუგში ჩასულ მირიან ბატონიშვილისათვის პირადად დ. გურამიშვილს გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუცია 1787 წელს საქართველოში წამოსაღებად. ქართველ ელჩს ეს დავალება პირნათლად შეუსრულებია, გზაში გამოვლილ გაჭირვებათა მიუხედავად, ამ ხელნაწერში თავმოყრილი პოეტის მთელი შემოქმედებითი მემკვიდრეობა უკლებლივ ჩამოუტანია სამშობლოში.

„დავითიანის“ 1870 წლის გამოცემა არ არის დ. გურამიშვილის პოეზიის სრული კრებული. მასში შესულია პოეტის ლექსების მხოლოდ ერთი ნაწილი.

ამ წიგნის გამოცემის იდეა პ. უმიკაშვილს უნდა ეკუთვნოდეს, რასაც გვაფიქრებინებს ჩვენი ამაგდარი მოღვაწის, როგორც პროფესიონალი გამომცემლის, ინტერესები, ისე ის ფაქტი, რომ მირიან ბაგრატიონის მიერ კრემენჩუგიდან ჩამოტანილი ხელნაწერი ბოლო ხანებში მისი საკუთრება ყოფილა და მასვე ჩაუბარებია იგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის. პ. უმიკაშვილს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ეს ხელნაწერი გადაურჩა ჟამთა სიავეს და დღეს იგი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდშია დაცული.

1870 წელს გამოცემულ „დავითიანს“ წამძღვარებული აქვს გ. წერეთლის ისტორიულ-ფილოლოგიური ხასიათის ნარკვევი „დავით გურამიშვილი და იმის წინა დროება“, რომელშიც განხილულია ძველი ქართული მწერლობის შესწავლის იმდროინდელი მდგომარეობა, გამოთქმულია კრიტიკული შენიშვნები ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე, მინიშნებულია მათი დაძლევის გზები.

ნარკვევში განსაკუთრებული ადგილი უკავია XI—XII საუკუნეების ქართული კულტურის კერებს, კერძოდ კი, ათონის ივერთა მონასტრის დახასიათებას, აღნიშნულია თორნიკე ერისთავის ღვაწლი და დამსახურება ქართული მწიგნობრობის ამ დიდებული ცენტრის წინაშე, განსაზღვრულია ექვთიმე მთაწმინდელის წვლილი აქ გაჩაღებულ ლიტერატურულ-შემოქმედებით პროცესში, მოცემულია ცნობები იოანე ხახულელის, იოანე პეტრიწისა და გიორგი მთაწმინდელის შესახებ.

რომ არაფერი ვთქვათ ათონის ივერთა მონასტრის ისტორიაზე, იოანე პეტრიწის, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების მოღვაწეობის შეფასებაზე, ძველ ქართულ მოღვაწეთა შორის მარტო იოანე ხახულელის მოხსენიებაც კი მოწმობს, თუ რაოდენ კარგად იცნობდა გ. წერეთელი X—XI საუკუნეების ჩვენს მწერლობას და რაოდენ დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა 1870 წელს გამოცემული „დავითიანისათვის“ წამძღვარებულ მის გამოკვლევას.

XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიული წარსულის საფუძ-ლიანი ცოდნა და ფილოლოგიურ-ლიტერატურული კვლევის უნარი გ. წერეთელს საშუალებას აძლევს ღრმად ჩასწვდეს დ. გურამიშვილის პოეზიას და გამოიტანოს მართებული დასკვნები. მისი აზრით, პოეტის მთელი შემოქმედება მოთქმით გოდებაა სამშობლოს ბედუკულმართობით — „ქართლის ჭირით“ გულმოკლული კაცისა, რომელიც თავად იყო მომსწრე და თვითმხილველი უცხოელთა შემოსევებისა თუ გავლენიან ფეოდალთა შინაური აღრევებისა, ზნეობრივი მოშლილობის შედეგად ღრმად ფესვგადგმული მტრობა-ქიშპობისა, მუხანათობისა, ერთმანეთის გაუტანლობისა, ნათელ-მირონის წაბილწვისა.

გ. წერეთლის აზრით, დ. გურამიშვილს გამორჩეული ადგილი უკავია ქართულ მწერლობაში. მან თავისი შემოქმედებით ხელი შეუწყო რეალიზმის დამკვიდრებას, პატრიოტული მოტივის წინ წამოწევას ჩვენს ლიტერატურაში.

პ. უმიკაშვილი, თბილისში, გ. ხელაძის სტამბაში 1881 წელს განმეორებით ბეჭდავს „დავითიანს“, რომელიც თავისი შედგენილობით მნიშვნელოვნად განსხვავდება პირველი გამოცემისაგან. თუ 1870 წელს დაბეჭდილ „დავითიანში“ შეტანილი იყო მწერლის ლექსების ნაწილი, მეორე გამოცემაში შესულია მირიან ბატონიშვილის მიერ კრემენჩუგიდან ჩამოტანილი დ. გურამიშვილის მთელი პოეტური მემკვიდრეობა.

განსხვავება არსებობს ამ ორი გამოცემისათვის დაწერილ გ. წერეთლისა და პ. უმიკაშვილის გამოკვლევებშიც. მათში სულ სხვადასხვა საკითხებია განხილული. თუ გ. წერეთელი ყურადღებას ძირითადად დ. გურამიშვილის შემოქმედებაზე ამახვილებს, პ. უმიკაშვილი, პირიქით, უფრო მეტ ადგილს პოეტის ცხოვრების შესწავლას უთმობს და საარქივო მასალების უქონლობის მიუხედავად გურამიშვილის ისეთ ბიოგრაფიას წერს, რომელსაც მთლიანობაში დღესაც ანგარიშს უწევენ მკვლევარნი. ყოველივე ამასთან ერთად საინტერესოა აგრეთვე მისი მოსაზრებები დ. გურამიშვილის პოეზიაზეც.

პ. უმიკაშვილს „დავითიანის“, როგორც მხატვრული ნაწარმოების გარჩევისას ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე აქვს გამახვილებული ყურადღება — ხალხის როლზე ისტორიაში. იგი სრულიად სამართლიანად შენიშნავს, რომ XVII—XVIII საუკუნეების ალორძინების პერიოდის მწერალთა შემოქმედებისაგან განსხვავებით, „დავითიანში“ გადმოცემულია არა მეფეთა ერთპიროვნული ისტორია, არამედ მთელი ქართველი ხალხის წარსული თავისი ჭირ-ვარამით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყურადღებოა აგრეთვე მეორე არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხში — პიროვნებისა და ყოფიერების კონფლიქტში პ. უმიკაშვილის მიერ დ. გურამიშვილის პოზიციის გარკვევა. ამ შემთხვევაში მას ჯანსაღი, პროგრესული შეხედულებები აქვს გამოთქმული. პ. უმიკაშვილი არ იზიარებს იმ ვერსიას, თითქოს დ. გურამიშვილი თავის ლირიკულ ლექსებში ქადაგებდეს ღმერთისადმი მონურ, დამაბეჩავებელ მორჩილებას, ცხოვრებისაგან განდგომას, ამქვეყნიური სიკეთის უარყოფას, ბერმონაზვნობის გაიდეალებას. მკვლევარი კარგად იცნობს პოეტის სულიერ სამყაროს, მისი ლირიკისათვის დამახასიათებელ ჰიმნოგრაფიულ მოტივს, მაგრამ ამაში იგი ვერ ხედავს დ. გურამიშვილის მხარდაჭერას პიროვნების აქტიური ყოფიერებიდან გარიყვისადმი. ღვთისმორწმუნეობას, მისი აზრით, პოეტი განიხილავს, როგორც მოკვდავთა გამაკეთილშობილებელ ფაქტორს.

პ. უმიკაშვილი თავის გამოკვლევაში ვრცლად მიმოიხილავს დ. გურამიშვილის პოეზიის ენას. მას მიაჩნია, რომ მარტივმა, ხალხურმა სასაუბრო ენამ ძველ ქართველ მწერალთა შორის ყველაზე უფრო ფართო გამოყენება „დავითიანის“ ავტორის შემოქმედებაში ჰპოვა. ამაში ხედავს იგი დ. გურამიშვილის პოეზიის კიდევ ერთ დიდ ღირსებას. „გურამიშვილის... ლექსების ენა, — აცხადებს პ. უმიკაშვილი, — არის ისეთი სახალხო, საერო ენა, რომელსაც მწერლობაში პირველად ვხედავთ. ქართულ მწერლობაში დამკვიდრდა სალიტერატურო ენა საღმრთო წერილის გავლენის ქვეშ; მართალია ეს ენა ცხოვრებაში ყოველთვის იცვლება, ეს ცვლილება მწერლობაში თუ არ შევა, უეჭველად ძნელი გასაგები შეიქმნება მკითხველისათვის... ქართულს მწერლობაში სასაუბრო ენა დიდი ხანია ხმარებული იყო მე-14 საუკუნიდანვე. XVII საუკუნის დასასრულს საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუის“ წიგნმა გაუხსნა გზა სასაუბრო ენას, ბოლოს გურამიშვილმა „ქაცვია მწყემსით“ დაუმკვიდრა უფლება სახალხო სასაუბრო ენასა“.

შეუძლებელია არ აღინიშნოს ის შრომა, რომელიც პ. უმიკაშვილმა დ. გურამიშვილის პოეზიის ვერსიფიკაციის შესასწავლად გასწია. მან პირველმა მიაქცია ამ საკითხს ყურადღება. მკვლევარის დაკვირვებულ თვალს მხედველობიდან არ გამორჩენია, რომ დ. გურამიშვილს ერთნაირად ეხერხებოდა როგორც აკროსტიქული, ისე ანბანთქების მოტივზე შექმნილი ლექსების წერა, უცხო არ იყო მისთვის არც მაჯამა, რუსთაველური შაირი თუ ჩახრუხაული. პ. უმიკაშვილს ისიც შეუმჩნევია, რომ დ. გურამიშვილმა გაამდიდრა ჩვენი ეროვნული პოეზია 5,6,7,11,12 და

14 მარცვლოვანი ლექსებით, რითაც ღირსეული წვლილი შეიტანა აღორძინების პერიოდის ქართული მწერლობის ახალი პოეტური ფორმებით გამდიდრებაში.

1894 წელს ზ. ჭიჭინაძე მესამედ ბეჭდავს „დავითიანს“. იგი არის 1881 წელს გამოცემული დ. გურამიშვილის ლექსების სრული კრებულის გამეორება. წიგნს აქვს პირველი გამოცემიდან გადმობეჭდილი გ. წერეთლის წინასიტყვაობა და მეორე გამოცემისეული პ. უმიკაშვილის გამოკვლევა. რაიმე სიახლეს წინა ორ გამოცემასთან შედარებით მასში ვერ ვხვდებით.

1875 წელს პ. უმიკაშვილი ბეჭდავს თეიმურაზ I-ის პოემას „ვარდბულბულიანს“, როგორც თვითონ პ. უმიკაშვილი წერს: „ეს ვარდბულბულიანი“, რომელთანაც ერთად ვიპოვეთ სხვა... თერთმეტი ლექსი თეიმურაზ პირველისა დაბეჭდილია ხელნაწერის დედნიდან 1787 წლისა“.

წიგნს დართული აქვს პ. უმიკაშვილისავე მოკლე, ზოგადი, მიმოხილვითი ხასიათის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოცემულია თეიმურაზ I-ის ბიოგრაფია. კერძოდ, განსაზღვრულია მისი დაბადების, გამეფების, გარდაცვალებისა და სხვა თარიღები, რომელთა საფუძვლიანობასაც ადასტურებს მათი ისტორიულ წყაროებთან შეჯერება. ამ წინასიტყვაობის მნიშვნელობა ის არის, რომ მასში მოტანილია თეიმურაზ I-ის ნაწარმოებთა ნუსხა, რომელმაც პირველად შეუქმნა წარმოდგენა საზოგადოებრიობას პოეტის შემოქმედებით მემკვიდრეობაზე.

1886 წელს ზაქარია ჭიჭინაძემ გამოსცა თეიმურაზ I-ის ლექსების კრებული თავისი წინასიტყვაობითა და ბოლოსიტყვაობით, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია ამ წიგნის გამოცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე, კერძოდ კი, სხვადასხვა დროის გადამწერთაგან პოეტის ნაწარმოებთა ერთმანეთში აღრევაზე, ზოგიერთი პოემისა თუ ლექსის გადანუსხვისას უმეცართაგან დაშვებულ შეცდომებზე და სხვა, რამაც ზ. ჭიჭინაძის თქმით, რამდენიმე წლით დააგვიანა თეიმურაზის „ლექსების კრებულის“ გამოცემა.

XIX—XX საუკუნეების სხვა ცნობილ მოღვაწეთა გარდა ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების გამოცემაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ე. თაყაიშვილმაც. 1895 წელს, თბილისში, მ. შარაძის სტამბაში, იგი ბეჭდავს იესე ტლაშაძის 16-მარცვლიანი რუსთველური შაირით დაწერილ ისტორიული ხასიათის პოემას „კათოლიკოზ ბაქარიანს“. „კათოლიკოზ ბაქარიანისათვის“ დაწერილ გამოკვლევაში ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავს, — „კათოლიკოზ ბაქარიანი... საყურადღებოა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა პოეზიის მხრით, არამედ საისტორიო მნიშვნელობის მხრით. ეს თხზულება გალექსილი მატიანეა ტლაშიძის დროის ქართლ-კახეთის ისტორიისა, ნამდვილი მოთხრობაა თანამედროვე პირისა, საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის სურათია მე-18 საუკუნის პირველი მეოთხედისა... მას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ისტორიისათვის".

1895 წელსვე თბილისში, „ქართული წიგნის გამომცემელთა ამხანაგობის" სტამბაში, ე. თაყაიშვილი ბეჭდავს კიდევ ერთ ლიტერატურულ ძეგლს — ქართულ ვერსიას ადრეული შუა საუკუნეების აგიოგრაფიული ჟანრის პოპულარული ნაწარმოებისა — „სიბრძნე ბალავარისა", რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთსა და დასავლეთში.

1886 წელს ე. ხელაძის სტამბაში გრიგოლ გურიელი ი. ჭყონიას რედაქტორობით ბეჭდავს იგავ-არაკების კრებულს, ანუ დიდაქტიკურ-მორალური ხასიათის „ზნეთსასწავლებელი წიგნის" „ქილილა და დამანას" ქართულ თარგმანს, შესრულებულს მეფე ვახტანგ VI მიერ ამ ინდური ლიტერატურული ძეგლის სპარსული ვერსიიდან.

ამრიგად, XIX საუკუნის გამოჩენილი მოღვაწენი — პლ. იოსელიანი, პ. უმიკაშვილი, გ. წერეთელი, ზ. ჭიჭინაძე, ე. თაყაიშვილი და სხვები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ძველი ქართული წიგნების ბეჭდვა-გამოცემაში, რადგანაც ეს მათ დიდ ეროვნულ საქმედ მიაჩნდათ. ისინი იყვნენ არა მარტო ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მწერლობის პროფესიონალი გამომცემელნი, ქართულ ლიტერატურულ განძეულობათა სამზეეროზე გამომტანნი, არამედ ხშირ შემთხვევაში მათი პირველი მკვლევარ-შემფასებელნიც, დაბეჭდილი წიგნებისათვის დართული წინასიტყვაობებით, კომენტარებით, განმარტებებით, შენიშვნებით, ბოლოსიტყვაობებით, სხვადასხვა ხელნაწერებიდან მოტანილი ტექსტობრივი ვარიანტებით, მათ გარკვეული წვლილი შეიტანეს ძველი ქართული მწერლობის შესწავლის საქმეში, რითაც გაუმაგრეს საძირკველი ჩვენი ეროვნული ფილოლოგიური მეცნიერების შემდგომ განვითარებას.

АННОТИРОВАННОЕ СОДЕРЖАНИЕ

ИРАКЛИЙ АБАШИДЗЕ

Главный редактор издательства «Грузинская Энциклопедия»

Национальное богатство

Недавно завершилось издание «Грузинской Советской Энциклопедии» в двенадцати томах — первой универсальной энциклопедии на грузинском языке.

Главный редактор издательства — поэт-академик Ираклий Абашидзе в беседе с заслуженным журналистом Грузинской ССР Ираклием Кипиани рассказывает о том, как создавалась энциклопедия.

ЛУИДЖИ МАГАРОТТО

Картвелолог (Италия)

Он остается для нас примером

Беседа с Луиджи Магаротто, заведующим кафедрой картвелологии Венецианского университета, участником празднования 150-летия со дня рождения Ильи Чавчавадзе.

Итальянский ученый, который приурочил к юбилею свой перевод рассказа И. Чавчавадзе «У виселицы», делится своими мыслями о творчестве выдающегося грузинского писателя, публициста и общественного деятеля, а также своими планами на будущее — он собирается перевести на итальянский язык поэзию Важа Пшавела.

МИХАИЛ ШЕНГЕЛИЯ

Доктор медицинских наук, профессор

Заза Панаскертели-Цицишвили и его «Лечебная книга—Карабадини»

Статья посвящается 550-летию со дня рождения видного грузинского государственного и общественного деятеля и ученого Зазы Панскертели-Цицишвили, 500-летию создания его знаменитого труда «Лечебная книга—Карабадини».

ДАРЕДЖАН ДЖОЛОГУА

Кандидат филологических наук

Книга—юбиляр

Статья посвящается 100-летию первого иллюстрированного издания (1888 г., изд. Г. Картвелишвили, художник Михай Зичи) бессмертной поэмы Шота Руставели «Витязь в тигровой шкуре».

СОЛОМОН ХУЦИШВИЛИ

Доктор филологических наук, профессор

Александр Казбеги

Статья посвящается 140-летию со дня рождения классика грузинской литературы Александра Казбеги

ДАВИД МЧЕДЛУРИ
Писатель

Сын многострадальной страны

В статье рассказывается о творческой жизни Александра Казбеги.

АВТАНДИЛ БЕНДУКИДЗЕ, ДЖОНДО ШАРИКАДЗЕ
Кандидаты физико-математических наук, доценты ТГУ

Нико Мусхелишвили—библиофил

Выдающийся советский ученый, академик Николай Иванович Мусхелишвили более 30 лет был президентом АН ГССР и одновременно директором Института математики. В институте в мемориальном кабинете им. Н. И. Мусхелишвили собраны книги из его личной библиотеки, как научная, так и художественная литература.

В статье говорится о литературных интересах и библиофильских увлечениях ученого.

АЛЕКСАНДР ЛОРИЯ
Кандидат филологических наук

Георгий Бакрадзе

В статье рассказывается о жизни и деятельности известного грузинского библиографа, доцента Тбилисского государственного педагогического института им. А. С. Пушкина Георгия Илларионовича Бакрадзе — одного из основателей факультета библиотековедения этого института, воспитателя многих поколений библиотечных работников.

КЛАРА РАМИШВИЛИ. ЭТЕР ИМНАДЗЕ
Библиотековеды

Тамар Мачавариани

В статье рассказывается о жизни и научной деятельности заслуженного библиотекаря ГССР Т. Мачавариани, которая всю свою сознательную жизнь посвятила составлению аналитических библиографий, разных библиографических указателей и каталогов.

АЛЕКСАНДР БАРАМИДЗЕ
Академик АН Грузинской ССР

Судьбы книг

Автор рассказывает о судьбах книг из своей личной библиотеки.

НИНО ЗААЛИШВИЛИ
Кандидат искусствоведения

У истоков грузинской советской книжной графики

Статья посвящена книжной графике выдающегося грузинского художника Ладо Гудиашвили. Главное внимание уделяется иллюстрациям к произведениям грузинской классической литературы и фольклору, в которых наиболее полно проявились творческое своеобразие и мастерство художника.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ЕЛЕНА МАЧАВАРИАНИ
Доктор искусствоведения

Термины оформителей грузинской рукописной книги (X—XIII вв.)

В колофонах древнегрузинских рукописей сохранились термины оформителей этих рукописей.

РАМАЗ ПАТАРИДЗЕ

Доктор филологических наук. Профессор

Происхождение грузинской письменности

Статья содержит научно обоснованные сведения о происхождении и стадиях развития грузинской письменности.

НАТЕЛА НАДИБАИДЗЕ
Кандидат филологических наук

Александр Багратиони—книжник

Грузинский царевич—Александр Багратиони, близкий друг Петра I, первый фельдцехмейстер русской артиллерии, известен как переводчик с русского на грузинский язык церковной и дидактической литературы.

ЛЕВАН МЕНАБДЕ
Доктор филологических наук. Профессор

Литературная жизнь Кутаиси

В статье дается краткий обзор литературной жизни г. Кутаиси XVII—XVIII веков.

ТЕЙМУРАЗ ДЖАГОДНИШВИЛИ
Кандидат филологических наук

Лексикографические и лексикологические интересы Рафиеля Эристави

С 70—80-х годов XIX века в Грузии развертывается работа по лексикографии и лексикологии. В статье говорится о лексикологической деятельности известного грузинского писателя Рафиеля Эристави.

ОТАР КАСРАДЗЕ
Доктор филологических наук

Из истории издания древнегрузинских литературных памятников (XIX в.)

Статья освещает важный этап в истории изучения и издания древнегрузинских литературных памятников, в частности большую работу таких выдающихся деятелей как: Пл. Иоселиани, П. Умикашвили, Г. Церетели, З. Чичинадзе, Е. Такаишвили и др.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

წიგნი და ცხოვრება

ირაკლი აბაშიძე — ერის სიმდიდრე 7
ლუიჯი მაგაროტო — იგი დღესაც სამაგალითოა ჩვენთვის . . . 24

ჩვენი იუბილარები

მიხეილ შენგელია — ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი და მისი „სამკურნალო წიგნი—კარაბადინი“ 31
დარეჯან ჯოლოგუა — იუბილარია წიგნი 43
გალაკტიონ ტაბიძე — ვწერ ვინმე მესხი მელექსე 60
სოლომონ ხუციშვილი — ალექსანდრე ყაზბეგი 61
დავით მჭედლური — ტანჯული ქვეყნის შვილი 73
ვაჟა-ფშაველა — ალექსანდრე ყაზბეგს 82

ბიბლიოთეკები და ბიბლიოფილები

ავთანდილ ბენდუქიძე, ჯონდო შარიქაძე — ნიკო მუსხელიშვილი — მეცნიერი, მოღვაწე, ბიბლიოფილი 85
ალექსანდრე ლორია — მადლიერებით მოსაგონარი 103
კლარა რამიშვილი, ეთერ იმნაძე — თამარ მაჭავარიანი . . .114
ალექსანდრე ბარამიძე — ბიბლიოთეკიდან წაღებული წიგნის ბედი 126
გიორგი ლეონიძე — ქართული სიტყვავ 129
მუჰამედ თარზი — წიგნი (თარგმნა თეიმურაზ ჯანგულაშვილმა) . . 130

ფუნჯით და ყალმით

ნინო ზაალიშვილი — ქართული საბჭოთა წიგნის გრაფიკის სათავეებთან 133
ელენე მაჭაკარიანი — ხელნაწერი წიგნის მომხატველთა ტერმინები (X—XIII სს.) 153

ძიებანი

რამაზ პატარიძე — ქართული მწიგნობრობა 161
ნათელა ნადიბაიძე — ალექსანდრე ბაგრატიონი — მწიგნობარი . 189

წარსულის ფურცლები

ლევან მენაბდე — მწიგნობრობა ძველ ქუთაისში 205
თეიმურაზ ჯაგოდნიშვილი — რაფიელ ერისთავის ლექსიკოგრაფიული და ლექსიკოლოგიური ინტერესები 221
ოთარ კასრაძე — ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების გამოცემის ისტორიისათვის (XIX ს.) 229

გასწორება: მ. ბაქანის მოგონება „იგი მთებს ესაუბრებოდა“ (მწიგნობარი — 87) უკრაინულიდან თარგმნა სოსო ჩოჩიამ.

Добровольное общество любителей книги
Грузинской ССР

МЦИГНОБАРИ — 88

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1988

რედაქტორი ე. ტრიპოლსკაია
მხატვრული რედაქტორი კ. თევზაძე
ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზავა
კორექტორი დ. ცინცაძე
გამომშვები ა. სააკაძე

გადაეცა წარმოებას 14.11.88. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.04.89. საბეჭდი ქაღალდი № 1 60×84 1/16. გარნიტური ვენა. ბეჭდვის ხერხი მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 14,42+ჩაკვრა 1,63. პირ. საღ.-გატ. 15,89. სააღრ.-საგამომც. თაბახი 12,64.
ტირაჟი 15.000. უე 06633. შეკვეთა № 2249.
ფასი 1 მან. 40 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის, 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.

217/10



ეროვნული
ბიბლიოთეკა